



ჩვენი მწერალი

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

19 სექტემბერი 2014

№ 19 (227)

ალბერ კამიუს ნოველა
 დალილა ბედიანიძის ლექსები
 ინტერვიუ ლუბა ელიაშვილთან
 „ლუზიადების“ ქართული ორეული
 ზაალ სამადაშვილის მინიატურები
 ფსევდოლეგენდა გალაკტიონის სიყვარულზე
 გიორგი სოსიაშვილის ბელეტრისტული ჩანახატები
 ბონდო არველაძე ცრულმოჩენების წინააღმდეგ
 ლუკა ბაქანიძის სადებიუტო რომანი
 მერაბ გეგია გიორგი ქავთარაძეზე
 მარინე ტურავა ნატა ვარადაზე
 სამყარო ღამის სხივებში
 მამაჩემის ღმერთი



შინაარსი

წითელი და წლავი	2	გიორგი სოსიაშვილი ღრმის საზომთა გარეშე
მასპარეზი-ინტერვიუ	10	ლუბა ელიაშვილი „თავისუფლება პასუხისმგებლობა“ (მომზადდა მაკა ჯაფარიძემ)
პროზა	11	ზაალ სამადაშვილი კალამს მიღვევებით დანაირილები
	14	ოთარ ჭულუხაძე მოხუცი მწერალი
მწერლის არქივიდან	16	გაბრიელ ჯაბუშანიური ბარათი ირაკლი აბაშიძეს
პუბლიკაციის კვლევა	17	ელგუჯა თავბერიძე თბილისური ციფრამთარი (კიდევ ერთხელ ანდრეი ბეკეტოვის სამოგზაურო ნარკვევზე)
პოეზია	18	დალილა ბედიანიძე დაბადება და სხვა ლექსები
პოეტის ერთი ლექსი	21	შალვა საბაშვილი სამყარო ღამის სხივებში
უხსოვრის სწავლებიდან	24	ტომას სტელანდრი ორჰან ფამუქი — გულწრფელი და სენტიმენტალური მწერალი
	24	„შიქარა მე ვარ მწერალი, რომელიც ისწავის გლოპალიზაციისკენ“ (მანუელ კარკასონს ესაუბრება ორჰან ფამუქი)
კულტურის სიღვიძი	26	ნინო მჭედლიშვილი პორტუგალიელი ჰომეოპათი: კაცი-ლიტერატურა (ლუის დე კამონის „ლუზიანების“ შესანიშნავი ქართული ორეული)
ღიაღვრი	28	არ არის დასავლენიანი დიმიტრი მელნიქოვი-სტეფანოვი (მარინე გიგაშვილს ესაუბრება იოსებ ალიმბარაშვილი)
თქვა მართლისა	30	ბონდო არველაძე ახალი სომხური „აღმოსავლი“
უხსოვრის თვალთ	32	ეკატერინე ტუკვაძე ვარდის ფურცლოვანი ჟამი... პატრისია კანის კონცერტზე
ლიტერატურული დებამები	34	თეიმურაზ დიმიტოვი ღრამა ბინაში ანუ ფსევდონიმების წინააღმდეგ
დოქტორული პროზა	37	როსტომ ჩხეიძე მამარაშვილის ღმერთი (ეპილოგი ბიოგრაფიული რომანიდან „დევების სტუმარი“)
ხელოვნის პორტრეტი	51	მერაბ გეგია თვითნაბადი, დაუღვრომელი, ყველაგანაყოფი... (გიორგი ქავთარაძე)
კრიტიკა	54	მარინე ტურავა შოპის მისტერია (ნატა ვარადას პოემა „მერვე დღისა, უადამიანოდ“)
	58	მარინე ტურავა ლიტერატურული „ღოზა“ (ლუკა ბაქანიძის რომანი „მესამე ნაპირი“)
გამოსავლება	60	თამარ გუმბერიძე პედუკულმარტოვის შუქ-ჩრდილები (გია ხოფერიას ნოველას „მეზობლის ჭადარი“)
რეპორაჟი	62	თინათინს ანასაშვილი არქიმანდრიტი ადამი „სოხუმის ქუჩაზე“
საპარტიკო გზაზე	63	ანი ცაციაშვილი ყველაზე დამაჯერებლად ეს ვერსია გვიჩვენებს (როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექცია გორის უნივერსიტეტში)
აინტროლა	64	ეთერ ბერიანური დაღლილ ფეხსადას სამყაროს ბინადარი (ედვინება ელას)
უხსოვრის ნოველა	65	ალბერ კამიუ მოღალატე ცოლი
ამ მთისა და იმ გარისა	71	ისტორიული რიჩარდ მისამე



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 3 ოქტომბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი

როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი

ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი

მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი

თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი

კარლო ფაჩულია

დიზაინერი

მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი

ნინო დევანოძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი

თამარ ჩიხლაძე

სარეკლამო მენეჯერი

ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური

ლევან კვიციანი

გარეკანზე: ჯემალ ინჯია უმბას ფონზე
თამარ ინჯიას ფოტოგრაფიული

გიორგი სოსიაშვილი

დროის საზომთა გარეშე

მეუფა ისაია

რალაცა მინდა ვთქვა ისეთი, მეუფეო, რაც ყველაზე კარგად და ცხადად გამოიმახატინებს ჩემს სათქმელს. ვეძებ სიტყვებს, როგორ დავინწყო. თქვენი ყველაფერი მემშობლიურება. რალაც ისეთი განცდა მეუფლება, საკუთარ თავს თითქო შორიდან ვუმზერ და ვაკვირდები. ყველა შეხვედრის შემდეგ ვგრძნობ, რომ უფრო მეტად მიყვარდება ადამიანები. უფრო მეტად მძაფრდება ღვთის მიერ შექმნილ არსებათა მიმართ სიყვარულის განცდა. იშვიათია ასეთი თავმდაბლობა, ასეთი სითბო, თქვენი თვალებიდან რო იფრქვევა გაზაფხულის ძალაჩამდგარი მზის სხივების ჩქერალივით. იშვიათია ასეთი მადლი, თქვენს ყველა სიტყვას რომ თან ახლავს. სულ მინდა რომ გიყუროთ და თქვენი ხმა მესმოდეს. სულ მინდა რომ ამბიონზე გადმომდგარს სახეგაციკროვნებულს გხედავდეთ. ეს უძველესი ეპარქია რომ გარგუნათ გამჩენმა. აგვისტოს ომში რომ აგიტიალეს, დაგიბომბეს და ნაცარტუტად გიქციეს, მაგრამ ეპარქიას არაფერი დასტყობია, წირვა არ შენელებულა, თქვენმა ლოცვამ იხსნა ლიხვის და ქსნის ხეობა. ისეთი ძალა აქვს თქვენს ლოცვას... იციან ეს აქაურებმა. ამიტომაც უყვარხართ ასე ხალხს. თქვენს საარაკო თავმდაბლობასა და ქართველობაზე ლეგენდები დადის, თუმცა რა ლეგენდები გვინდა, არ გიცნობთ? რომ შემედლოს კარგი ლექსის დანერა ლექსსაც მოგიძღვნიდი, მაგრამ არ შემიძლია, ამიტომ გაუჩორკნავ, ხიჭვიან სტრიქონებს არ გაკადრებთ, ვნერ ისე, როგორც მოვიფიქრე, უკეთესადაც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარია, რომ სათქმელს გამოვხატავ. ღვინობისთვის მიდის უკვე, მიიპარება. დალამდა. გვიანი შემოდგომის ნყვდიადი ჩამოდგა. ცა მოქუფრულია, ვერ გაიგებ სათოვლედ ემზადება, თუ კიდევ ერთხელ წამოიტირებს ზამთრის მომლოდინე ბუნება. სარკმელთან ვიჯექი, ვფიქრობდი სიცოცხლის არსზე, ადამიანის დანიშნულებაზე, თითოეული მოკვდავის ამქვეყნიურ მისიაზე და ამ დროს გამახსენდით, მეუფეო, ჩემს ნისლიან ფიქრებში შეამოაშუქა თქვენმა მზერამ. საოცარი ღმერთი, ქრისტეს მადლით გაბრწყინებული მზე როა ჩაბუდებული.



სტუმრად მეუფე ისაიასთან

საოცარი სიყვარულია თქვენს ირგვლივ, ეს სიყვარული თქვენ გეკუთვნით. მერჩულეს სიტყვები მიესადაგება თქვენს ღვაწლს „ზეცისა კაცი და ქვეყნისა ანგელოზი“.

მეც ვეძებ სიტყვებს, თქვენ რომ შეგეფერებათ. მარადიულია ერი, რომელსაც თქვენისთანა მოღვაწეების აღზრდა შეუძლია. მეუბნებრულა კიდევ რომ გავბედე და ვნერ თქვენზე. სადღეგრძელოსავით კი გამომივიდა, მაგრამ როგორც მოვახერხე...

ფოტოს დაცვქერით მე და ანა იმნაძე.
ციფრული ფოტოპარატის კადრს შეჰყვინვია დრო... გაჩერებულ წამში ჩატეულა მარადისობა. გორის უნივერსიტეტიდან ვესტუმრეთ მეუფე ისაიას, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები. საეპისკოპოსოს ცენტრში არსებული ტაძრების დასათვალისწინებლად და მოსალოცად წამოგვეყვამეუფე. აღმართზე შემდგარს, ლიხვის ნაპირებიდან გამოპარული თელხი უწენავს ნასრანისფერ წვერს. უკან ხალხის ნაკადი მოსდევს. თითქო ამ ფოტოზე აღბეჭდილა ნიქოზელი ეპისკოპოსის ქრისტეს ნათელით მოსილი გზა. მთელი ცხოვრება ხალხის ნაკადი მისდევს ისაიას, რომელსაც სასუფეველის ბილიკებზე მიჰყავს სულიერი შვილები.

გადნიერი დანჯილი

ფართხალბენ, ხტიან, მირბიან და მორბიან. უჰ, რა ხმაურია, დაანგრის აქაურობა ამ შობელძაღვებმა, ეს რა უბედურებაა, გათენებას მაინც დაელოდნონ. კაცს არ მოასვენებენ, მამლის მესამე ყვილი იყო, ეს სეთარის მეზობლის ყელტიტველამ კენტად რო შერჩა დედლების გარეშე ქვრივი მამალი საქათმეს, ზამთრის დაუმთავრებელ ღამეს შეჰყვივლა, ყიყიყივით, მაგრამ ვერაფერი, ზამთრის ღამე ვერანია, ეგრე მარტივად ვერ დააფრთხობ. ვითომც ვერ გაიგო ქვრივი მამლის ყივილი. ესენი კიდევ... არც მამალი აინტერესებთ, არც ზამთრის ღამე, მირბიან და მორბიან. არახუნებენ ათას რამეს, ასეთი უნამუსობა შეიძლება? დილის სიზმარი მაინც დამაცადეთ თქვე ოხერ-ტიალებო, მაგრამ რას შეასმენ. ესენი რო რამეს აიხირებენ და აიტყხავენ, მტრისას. ველარ დააშოშმინებ. — ადე ზეზე! — მეძახის ერთი და თავში მირაკუნებს რალაც ჩაქუჩის მსგავსს.

— ეგრე სად არის რო გაშოტილხარ და გძინავს არხეინად, ჩვენ რა არსებობა არ გვინდა? — მიყვირის მეორე.
— რო დამაყენე ესე და ყურადღებას აღარ მაქცევ, შე კაი კაცი, ეს სინდისია? — ახლა მესამე.
ჩაკვერი, საბანი ნავიმზე, იქნებ მოვიგერიო, იქნებ ძილი გავაგრძელო, ღამენატეხი ვარ, ამოდენა ღამე რო გაგიტყდებოდა და თვალს ვერ მოხუჭავს, მთელი ღამე რო გხრავს და გფიტავს ნუთისოფლის დარდ-ვარამი, ღობე-ყორეს ედები ფიქრში ადამიანი. ხან ალთასა ხარ და ხან ბალთას, ხან მკვდრები გახსენდება და ხან ცოცხლები, ხან ომზე გეფიქრება და ხან მშვიდობაზე, ხან მშვირებზე და ხან მადრებზე. ხან იმათზე ვისაც სიკეთე გაუკეთე, ხან იმათზე ვისაც გული ატკინე ოდესმე... ერთი სიტყვით, დაუმთავრებელი აღსარებაა ეს ამოდენა ღამე საკუთარ თავთან და ტანჯვით უახლოვებში დილას. სადაცაა ზამთრის რიჟრაჟი მოიპარება და ამ დროს წამოგეპარება ძილი. მიქუსტული ხარ ლოგინში. საკუთარი სითბოთი ითბობ სხეულს. ეს არის ლოგინის მთელი ფილოსოფია. ამ დროს ატყდება ჟრიაშული. ადექი, ადექი, ადექი. მალევიძარა რო იყვეს გამორთავდი ბოლო-ბოლო, ან სულაც დაამტვრევი და ნაკუნებად აქცევი, მაგრამ ამათთან ვერაფერს გახდები. ადგომა არ გინდა? წამოდგომა მეზარება, ინათლა, ფარდა გავნიე, მოუთოვია. უფრო გამაბაბანა, მაგრამ ესენი

* ნანყეტი წიგნიდან

სიცივესაც დაგვიწყებენ, შიმშილსაც და დარდსაც. ადექი, ადექი, ადექი. ნამოვიზლაქნე. მაგიდაზე უღიმღამოდ შევავლე თვალი ღამის სანათურს, ერთმანეთზე დალაგებულ ფურცლებს და მთვლემარე კალამს, რომელიც ცოტა ხანში ჩემსავით ძილგამფრთხალი დაიწყებს წრიბინს. ტვინის ხვეულებიდან ჟრიაშული გააქვთ არსებებს. კიდევ კარგი, რო მეზობლებსაც არ ესმით მათი ხმაური და არ წუხდებიან, თორემ მერე სად წავალ, სად გადავიკარგები. თუმცა ამ ხმაურსაც აქვს თავისი ტკბილხმოვანება, ამ განყვეტილ სიზმარსაც აქვს თავისი ნეტარება, ამ სიცივესაც აქვს სასიამოვნო შეგრძნება ჩამთბარი ლოგინიდან რომ ნამოდგები და ჩასაფრებული სიცივე მოგვარდება. ამიტომ ველარ ვიგებ, სასჯელია ეს ყველაფერი თუ ბედნიერება. ალბათ ორივე ერთად. ხომ უცნაურია? ბედნიერი დასჯილი.

მადრიდელი გოგონა

შავტუხა, პირხმელი, მალალ-მალალი კაცი მომჩერებია, მადრიდის აეროპორტის მოსანევე ოთახში კედელზე ვარ მიყუდებული და ვენევი. მილეთის ხალხი შეჯგროვილა ამ ციციქნა ოთახში, ყველა მწველი, ყველა თამბაქოსთან გამიჯნურებული, ყველა ფილტვებდაავადებული, ბევრმა არც იცის, რომ მოურჩენელი დაავადება აქვს შეყრილი. შედიან და გადიან, ზოგი ფეხს არ იცვლის, ენევა და ენევა, ერთიანად ინაზლაურებს. ხარბად ინოვს კუპრიან-ნიკოტინიან-ჯანდაბიან კვამლს. სუნთქვა ჭირს, მაგრამ მაინც იქ ვარ. ჩაინვება, ახალს ვუკიდებ. არიან ადამიანები ჩაის ფინჯანთან ერთად შემოდინან. აქ რომ ჩაის დალევ კაცი. სიკვდილის ოთახივით არის. და რალაცნაირად კრემატორიუმს შევადარე ჩემთვის, ჩუმად ფიქრებში. ამ დროს მოვიდა ის პირხმელი კაცი და მეკითხება: „ქართველი ხარ?“

კი ქართველი ვარ. ისე თბილად მივესალმეთ და გადავხევი ერთმანეთს, იტყვი ნების უნახავი ბიძაშვილები შეხედნენო. უცბად გავიცანით ერთმანეთი, უცბად გავმინაურდით, უცბად გადავუხსენით გული ერთმანეთს. დარდების კიდობანსაც ავხადეთ. აბა, თურქი, ესპანელი, ამერიკელი, თუ მოზამბიკელი სულ ვერ გაიგებდა ჩვენს სადარდებელს. ის ქართულად, ახალგაგნობილ კაცს უზიარებდა თავის ჭირ-ვარამს, მე კი კახელ, ბოდბეში დაბადებულ ბიჭს, რომელიც გაჭირვებამ, ქვეყანაში არსებულმა ქართველი კაცის დაუფასებლობამ ნაიყვანა შორეულ ესპანეთში. მიყიდ-მოყიდა მამული. ფული შეაკონინა, ბანკიდან ვალი აიღო, მამულის ფული რომ ვერ ჰყოფნიდა. მშობლებსაც არ დაუჯერა (ნუ გგონია, რომ უცხოეთში ღობე-ღობე ყვაროს ფული და ეგრე უშრომლად რამე იშოვო, მამამისი არიგებდა). უცხოეთი რალაც სხვანაირი ნამოედგინა. ნარმოსახვაში უკვე გამდიდრებულიყო.

რამდენი წლის ვიქნებო, გამომცდეულად მომაჩერდა. შეხვდევ, სახეზე გულდასმით დავაკვირდი, თმის ფერზეც, იქნები ასე ორმოცდახუთის მეთქი. გაეცინა. ოცდაოთხი წლის ბიჭი ყოფილა. ყოველდღიური საშინელი ჯაფით გატეხილი და ნაადრევად ჩამობერებული. სამი წელი ფეხი არ დაედგა მშობლიურ მიწაზე და ახლა ბრუნდებოდა. გამნარებულს, სული კბილით ეჭირა. მამის გარდაცვალების ამბავი შეუტყობინებოდა და მიუტოვებია ყველაფერი მოქალაქეობის მოლოდინში მყოფს, ცეცხლში ჩაუძახებია ესპანური საბუთები და ახლა თვითმფრინავის მოლოდინში, თავის თავგადასავალს მიყვებოდა მწველთა ოთახში. ალალი ბიჭი ჩანდა, სულგახსნილი, თვლებში ზომავე მეტი სევდა და დარდი ჰქონდა.

შვილები ხომ გყავს?

კი, როგორ არა, ქალ-ვაჟი.

არასოდეს არ გაუშვა შენი შვილები უცხოეთში სამუშაოდ. ესპანეთი, მადრიდი... ბუტბუტებდა. იმის ფასი რა გავაკეთე, რომ მამაჩემს ცოცხალსაც ვერ ჩავუსწარი.

ალნაანთ ქალის აზრები

ევროპა ამათა და მეხი დავაყარე, განყდა ამათი ჯიში ამათი. აი, ჩემი ბალებების ახირებისა რა ვთქვა, თორე, აქ რა მინდოდა, ამ დასანველ ალაგზე, ჩემი ქმრის გვერდით უნდა დავმინებულიყავი, მაგრამა ამათ ფეხები გაფშოკეს, რისთვის გავვზარდე, რისთვის ჩავვაყარე ამოდენა ამავიო, დამავლეს ამოდენა ქალს ხელი და ამომაყოფინეს თავი ევროპაში, ევროპა ევროპაო, რა ყრია მერე ამ დასანველში, ბიძაშვილი ამათ არ იციან და მამიდაშვილი, მეხნა, მეთესა, იქა ვგდებულიყავი, რამდენი ხანია მზის სხივი არ შესულა ჩემს სახლშია, ეგრე გამოკეტილია, ეგრე ჩანესტიანებული გდია ჩემი ქმრის ნამამაგარი. მე ქალი ვარ? ეეჰ, არ გეკადრებოდა ალნაანთ ქეთო ესეთი რამე შენა, მაგრამ, ამ ჩემი გოგოების ახირება.

ბაბო, რო ჩახვალ, ხო დავკვირეკავ, შვილიშვილი უდგას გვერდით ალნაანთ ქალს, რომელიც ბარე ხუთი წელია ამსტერდამში ცხოვრობს და ახლა გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება, კახეთში ბრუნდება. ჩავა, დაკეტილ სახლის კარს გააღებს, ქმრის ნამამაგარს მიხედავს, თანამეცხედრის საფლავს მოუვლის.

ორი პარასკევილა დამრჩა და მეხი არ დავაყარე ამათ ევროპასა. ფეხებს რო გავფშოკავ, მერე ხომ ჩამოვლენ და დამარხავენ, ისე არ მოდიან, რა ჩაფლეს ამ დასანველ ქალაქში. რა მომავიქრებდა, რო სიბერეს აქ გავატარებდი.

ჩასხდომა იწყება, ინგლისურ ენაზე გამყივანი ხმით აცხადებს ქალი.

თვალები ცრემლით ევსება ქეთოს. მარტო შვილიშვილი აცილებს, ოციოდე წლის გოგო. შვილები სამსახურში იყვნიან და დრო ველარ გამონახეს. რას იზამ, აქ სხვანაირად არის ყველაფერი.

მიდის ქეთო, კახეთში.

რა ქალი ვიყავ, იცი, მომაჩერდა ბებრული, მაგრამ ცეცხლშერჩენილი თვალებით, ცხენიან კაცს ნავაქცევდი, ჩემი ნილი ქვაცა მქონდა და კაკალიცა, მაგრამ რა ვქნა. ეგრეთი ყოფილა ცხოვრება. აფსუს ალნაანთ ქალო, აფსუს, ამონყდა ამათი ევროპა.

გასასვლელისაკენ მიდის ქეთო, მეც უკან მივდევ. ცოტა ხანში გაფრინდება თეთრი ხომალდი ჰოლანდიის დედაქალაქიდან თბილისისაკენ.

ლავილის ცრემლი

დაიძრა გემი და ცრემლი მოანვით გემბანზე შექუჩულებს. ზოგი მალავს კურცხალს, ზოგისთვის თითქო სულ ერთია. ოდნავ ღელავს ევქსინის პონტო. ნელნელა შორდება სანაპიროს ქვანახშირზე მომუშავე ვეება ხომალდი.

დავბრუნდებით! ცრემლნარევი, მაგრამ იმედიანი ხმით ყვირის ვილაც.

დავბრუნდებით და დედას ვუტირებთ, არ შევარჩენთ ჩვენი ბიჭების სისხლს.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, სამფეროვან დროშას აფრიალებს გემბანის კიროსთან ახალგაზრდა კაცი. მიდიან... ნინ ემიგრაციის დღეებია, მძიმე დღეები, ცრემლიანი, მონატრების სევდით გაუღენთილი, დათალხული. სამშობლო მხოლოდ სიზმრადღა შერჩებათ, სიზმრადღა ნახავენ. მონატრების სევდა ნაადრევად დააბერებთ.

ბავშვობაში ცხონებული გურამ შარაძის წიგნიდან ჩამრჩა მესხიერებაში ლევილის ქართველთა მამულის ფოტო. ვეება სახლი, სადაც ემიგრაციაში გახიზნული, სამშობლოდან გადახვენილი ქართველები ცხოვრობდნენ. მინისტრები, მათი ოჯახის წევრები... ვიცოდი, რომ იმ სახლის ეზოში აბალახებდა მარჩენალ თხას საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი, დიდი ექვთიმე თაყაიშვილი. ერთი მიმჭკნარი თხის რძე ჰყოფნი-

და ჩვენი ეროვნული საუნჯის დამცველ-გადამრჩენელს, გავადრო და ერთი უბირი ქართველი დაწერს წმინდანად შე-რაცხულ ერისკაცზე, ემიგრაციაში ყოფნის დროს ჩვენი ეროვნული ქონება ექვთიმემ გაანიავაო, დაწერს პროვინციულ გაზეთში და არც არავინ გამოეხმაურება, იქნება არც ღირდა. ასეთ ადამიანს მაინც უნდა აგრძნობინო ვისზე წერს და ვის სახელს სცხებს ჩირქს და ტალახს.

ერთი სიტყვით, ჩამრჩა ლევილის ფოტოსურათები მესხი-ერებაში. ჩამრჩა, არ მასვენებდა, ბოლშევიკთა მიერ განდევნილი ქართველების მამული და სასაფლაო მაინტერესებს.

„ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“. ქაქუცა ჩამოასვენებს, მაგრამ რალაცნაირად ლევილის ხსენებაზე ყოველთვის ორი მამულიშვილი ამოტივტივდებოდა ხოლმე: ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი.

უმალ დამიდგებოდა ორივე მათგანის განამებული სახე. ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებებს კანთიელად შემორჩენოდა მისი ამაყი, უტეხი სული. ბანკის გატანა შეეთავაზებინათ ქაქუცასთვის, ბარემ მივდივართ, მაინც ვტოვებთ სამშობლოს და ულუკმაპუროდ ხომ არ დავრჩებითო. როგორებიც ვართ ჩვენი ხალხის მესხიერებაში, ასეთებად უნდა დავრჩეთო. ბოლოს ცხენები გაყიდეს სტამბოლში და ევროპისაკენ დაიძრნენ. რა იცოდა ქაქუცამ, რომ მისი განამებული სული საფრანგეთში დატოვებდა სამშობლოსათვის ნაიარევ სხეულს და მის ძვლებს ლევილის მიწა მიიბარებდა. ბოლო კი აუხდა ნატვრა დიდ ქართველს, ჩოხოსნებმა გააცილეს სამშობლოში დაბრუნებული გმირის ნეშტი მამა დავითის სასაფლაოსკენ.

ექვთიმეს სახეც უმალ გაივლებს ლევილის ხსენებისას. გაჭირვებაში, შიმშილსა და უმძიმეს დეპრესიებშიც არ უღალატა ნერვებმა და ციცქნა ნივთიც არ დაჰკარგვია ქართულ საგანძურს.

ლევილის ხსენება, არა მარტო მათ, არამედ სხვა ქართველ მოღვაწეთა სახეებსაც ამოატივტივებს მესხიერების ფსკერიდან. თუმცა, ამაზე ბევრი არის დაწერილი. მათი ღვან-ლი, თავდადება და მამულიშვილური შემართება არაერთ მკვლევარს და მწერალს აქვს აღწერილი და გადმოცემული, ამიტომ აქ აღარ გავაგრძელებ სიტყვას.

— რადაც უნდა დამიჯდეს, ლევილში უნდა ჩავიდე, — ვუბნები საკუთარ თავს და რაუზან მექვაბიძეს, რომელიც თან მახლავს. დამთავრდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მოხსენებით გამოვედი ორივე (აქვე ვიტყვი, პარიზში გამართულ კონფერენციაზე, სადაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ წავიკითხე მოხსენება, მოსკოველებიც ესწრებოდნენ და როდესაც ორი ქვეყნის თანამედროვე ურთიერთობის მტკიცეულ საკითხებსაც შევეხე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სწავლულებს რუსეთის მიერ გორის დაბოვების და, საერთოდ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემზარავი კადრებიც ვაჩვენე, რაზეც ჩვენი რუსი კოლეგები აიმრიზნენ, მაგრამ ფაქტებს ვერავინ წაუვია).

პარიზით მოხიბლული ვარ. ევროპის ცენტრის ცქერით გავაძლე თვალიც და გულიც. პარიზის ქუჩებში ხეტიალმა რადაც ისეთი ძალა მომცა, წერა მომიწია. საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნებია. საარჩევნო პლაკატებით აუჭრელებიათ ევროპული კულტურის მექა. ნეტავ, საუკუნეთა წინ ნაგებ შენობებს, დახვეწილ ევროპულ არქიტექტურას, პარიზის ქუჩებში არსებულ ევროპულ სულს, რომელსაც ყველა ფეხის ნაბიჯზე გრძნობ, ერთგვარად ჩრდილს აყენებს დაბინძურებული ქუჩები. როგორც სასტუმროს რეგისტრატორმა გვითხრა, ქუჩებს ძირითადად ჩამოსული მოსახლეობა ანაგვიანებს, არ უფრთხილდებიან ევროპის სილამაზეს. ალაგ-ალაგ მონიტორებიც გამოუკიდათ, სადაც წინასწარჩევნო პროგრამით გამოსული პრეზიდენტობის კანდიდატები მიმართავენ ამომრჩევლებს. გავა რამდენიმე დღე, ჩატარდება არჩევნები. დამარცხებული მიულოცავს გამარჯვებულს და ისევ ჩვეული რიტმით გააგრძელებს ცხოვრებას მათი ქვეყანა, ნეტავ ამათ! ჩვენ

კიდევ... არჩევნები არ მთავრდება, ყოველი არჩევნები რევოლუციას ჰგავს, რომელმაც, ჭაბუხას არ იყოს, გველემპივით იცის კუდის მოქნევა და კოჭლი ცხვრები ექცევიან ფარის სათავეში. დადექი და უმტკიცე მერე კოჭლი ხარო, გგონია დაიჯერებს? აქეთ სხვებს აქცევს კოჭლად, აქეთ დაახიბრებს. ერთი სიტყვით, მშურს ფრანგების. პარიზი, პარიზი საოცნებო ქალაქი. ევროპული სულის შეგრძნებით დამირწყულდა წყურვილი. ვცხოვრობთ ნოტრდამზე, მე მგონია არ მეშლება, ასე ერქვა იმ დასახლებას, სადაც მდებარეობდა ჩვენი სასტუმრო.

ორი დღე დარჩა საქართველოში გამომგზავრებამდე, არადა, პირობას ვერ გავტეხ, რომელიც საკუთარ თავთან მაქვს დადებული და იმ ემიგრანტი ქართველების სულეთანაც, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება ვერ ელირსათ. პარიზის რუკას ჩავკირკიტებთ მე და მექვაბიძე. ლევილი, ქართველებით დასახლებული დაბა, სულ რაღაც 30 კმ-ით არის დაშორებული საფრანგეთის დედაქალაქიდან, მაგრამ ამ რუკაზე რატომღაც არ ჩანს. ისევ ინტერნეტი ამოგვიდგა მხარში, ახალი ეპოქის საოცრება, თუ კაცობრიობის მთავარი არტერია, რა დავარქვავთ. ლევილი — ვეძებთ, ვეძებთ.

ფრანგულად ყოფილა ლევილ — სიუ-ორჟ. არიქა, ახლა სასტუმროს ადმინისტრატორს დაველაპა რაკები, იქნებ უფრო მეტად დაგვაკვალიანოს, ან ტაქსი გამოგვიძახოს-მეთქი.

შავ-შავი კაცი იყო ის ჩვენი ცოდვით სავსე, ფრანგს არაფერი უგავდა. თმახუჭუჭა, ორმოცს გადაცილებული, ერთი უცხვირპირო ვინმე.

— ლევილში გვინდა ჩასვლა და იქნებ დაგვეხმაროთ-მეთქი. მიყურებს ცარიელი მზერით, „ვერ არის ვილაცააო“, ფიქრობს შავი, მარტო საკუთარ ოჯახზე მოფიქრალი თვალებით.

— რა ლევილი, რის ლევილი, — მხრები აიჩეჩა, რა ატმის კურკაო, ისეთი სახე მიიღო.

— პარიზიდან 30 კმ-ით არის დაშორებული, ქართველების მამული იყო. XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ბოლშევიკებმა ჩვენი ქვეყნის, ანუ საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს, მაშინ ჩვენი მთავრობა საფრანგეთში გამოიხიზნა და ლევილში დასახლდა. ჩვენი წინაპრების საფლავები მიწა ვნახო-მეთქი.

— ნადი, თავი დამანებო, — მკვახედ მითხრა და ვილაც, ახალ შემოსულ შავკანიან კლიენტს მიუბრუნდა.

მაინც არ მოვეშვი.

— შე კაი კაცო, სტუმრები ვართ, შორეული საქართველოდან, შენ რომ ჩამოხვიდე ჩვენთან, ასე მოგექცევიან-მეთქი? ტაქსები საიდან გადიან, ან ავტობუსები, ეგ მაინც გვასწავლე, — ორი თითით გამოუწინე ყანყრატო.

პარიზის მეტროპოლიტენის რუკა გაშალა და ეტყობა ის ფიქარი უტრიალდება თავში, რომ როგორმე მოვემორებიანე თავიერი. ერთ-ერთი მეტრო-სადგური კალმით შემოხაზა:

— აი, აქ არის სოფლებში გამსვლელი ავტობუსებიო. სულ ეგ იყო მისი კონსულტაცია...

დავდივართ წინ და უკან. ხან ერთ ავტობუსთან მივალთ, ხან მეორესთან. ლევილ — სიუ-ორჟ... ვეკითხებით, ყველა თავს აქნევს უარის ნიშნად. ზოგმა ინგლისური არ იცის, ვინც იცის, საერთოდ ხმას არ გვცემს.

ყურებჩამოყრილები ვდგავართ პარიზის მეტროპოლიტენის ერთ-ერთ ბოლო სადგურთან. იმედი გადამენურა... ცოტაც და ალბათ ნამოვიდოდით. მეორე დღეს უკვე მოვემგზავრებოდით. იღბლად ერთმა შავტუხა არაბმა გაგვიჩერა მანქანა, ტაქსის ნიშანი ედგა, რას დაეძებთო.

ჩვენ ავუხსენით ლევილის ადგილმდებარეობა და როგორც იქნა ეს ახალგაზრდა არაბი (რომლის წინაპრებიც შეიძლება ჰაბიბ-იბნ მასლამასაც ახლდნენ ჩვენს ქვეყანაში), ლევილში წაყვანაზე დავგთანხმდა.

გზადაგზა დიალოგი შედგა. სასტუმროს ადმინისტრატორად უმუშავია ტაქსის მძღოლობამდე ამ კაცს და რამდენიმე ქართველი გაუცნია სასტუმროში. საქართველოს შესახებ რაღაცეები იცოდა და, ხომ წარმოგიდგენიათ, პარიზში მყოფ ქართველ კაცს ეს ამბავი როგორ გაახარებდა...

პარიზს კარგა ხანია გავცდით. უკან მოვიტოვეთ ეიფელის კოშკი და ფრანგი არისტოკრატები, უკან მოვიტოვეთ ლუვრი და ტრიუმფალური თაღი. უკან მოვიტოვეთ სენა, რომლის ტალღებსაც არ ასვენებენ აციმციმებული ღამის კრუიზები და ფრანგული ღვინით შეზარბოშებული პარიზელები. პარიზის ღვინისმშობლის ტაძარიც უკან მოგვრჩა.

— სორი, სორი, — დარცხვენით გვითხრა არაბმა მძღოლმა, მის სახეზე სინთლეს ვერ დავინახავდით, ცხადია, მაგრამ სინთლის მაგივრად ნერვიულად მოისრისა სახე.

ჩვენ რაღაც ცუდის მოლოდინი გავგვიჩნდა.

— შემეშალა, სხვა გზით წამოვედით, მაგრამ არა უშავს.

ტაქსის მრიცხველი უჩვენებს 25 ევროს.

მძღოლმა ელვის სისწრაფით მოატრიალა შავი „ტოიოტა“. მრიცხველის ლილაკს თითი დააჭირა და შემოგვხედა:

— თანხაზე არ იდარდოთ, ზედმეტს არ გადაგახდევინებთ.

სულ ოციოდე წუთი ვიარეთ გზაგატყევილზე, აქეთ-იქით აზურმუხტებული მინდვრები ჩანდა. დასახლება გამოჩნდა. სოფელი არ ეთქმოდა, უფრო დაბასავით იყო. შუაგულში მოატრიალა მძღოლმა მანქანა და გააჩერა.

— ლევილ — სიუ-ორჟ.

თანხა გადავიხადეთ. მადლობა შევწირეთ და გზა გავაგრძელეთ.

— ნამუსიანი მძღოლი ჩანდა, — ამბობს მექვაბიძე.

— ეტყობა, ქართველების პატივისცემა ახსოვს თავისი ნიწარების მიმართ, — მეცინება.

იტყვი არავინ ცხოვრობსო. დაცარიელებულია შუკები, ქუჩებს ფრანგული წარწერები აქვს. რაღაცეებს ვიგებთ, რაღაცეებს ვერა. ძე-ხორციელი არ ჭაჭანებს. სად არის ხალხი? — ვკითხულობთ გაკვირვებული.

ვიხელები აქეთ-იქით. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

ლევილია ვითომ? დაეჭვებული ვკითხულობ.

ისეთი წარმოდგენა მქონდა, რო ჩამოვიდოდი თუ არა, ქართული წარწერებით მოფენილი სოფელი დამხვდებოდა და ლევილში ემიგრანტთა შვილიშვილების ჟრიაშული გამაყრუებდა, ან დამოუკიდებლობისუამინდელ ძველ, სამფროვან დროშას მიინც ვნახავდი სადმე გადმოკიდებულს, მაგრამ სიცარიელე... ქართულ წარწერებს ვინ ჩივის, ადამიანები არ ჩანდნენ ლევილში.

უცხად მსუბუქი მანქანა გამოჩნდა. ხელი გავუქნიე, ვიფიქრე, გამიჩრებს და შევეკითხები, იქნებ ქართველების მამული მიმასწავლოსმეთქი... არც შეუნელებია.

ისევ გავაგრძელეთ გზა. სახლები თითქმის ყველა ერთნაირია, ღია, კოხტად მოწყობილი, მწვანე ეზოებით. ერთიორგან გავჩერდით.

მასპინძელო, თითქო საქართველოში რომელიმე სოფელში ვიყო, გულიანად ვყვირი. გამოვა ახლა ვინმე ქართველი დისახლისივით და დალოლი მგზავრს წყალს მოგვთავაზებს, ან შინ შეგვიპატიჟებს დასაპურებლად.

ერთი-ორგან შევნიშნეთ ლევილი მანდილოსნები, მაგრამ ზოგმა კითხვაზე პასუხი არ გავცა, ზოგმა კი საერთოდ არაფერი იცოდა. ის კი არა, ამ კითხვა-კითხვაში ერთ-ერთი ეზოდან დაუპატიჟებელი სტუმრების დანახვაზე ვეება ნაგაზი გამოხტა და ღამის ორივე გადაგვსანსლა, რომ არა მისი მეპატრონე ქალის დამტყუქავი ყვირილი. რა სახელი დაუძახა, ვეღარ ვიხსენებ, ან ვის რაში აინტერესებს. წკმუტუნ-წკმუტუნით მიბრუნდა უკან ჩვენს დანახვაზე გამგელბული ძალღი და კუდის ქიცინით შევარდა ეზოში.



მიხაკო წერეთლისა და გრიგოლ რობაქიძის საფლავებთან

სულ ცოტაც და წამოსვლას ვაპირებთ, ჩაგვეფარცხა გეგმა. ლევილში კი ჩამოვედი, მაგრამ რისთვის? მთავარი რაც არის, ის ვერ ვნახეთ. არადა, როგორ იტყვი, ან სად იტყვი, ლევილში ჩავედი და ქართველების მამული ვერ ვნახეთ. დაბის მუნიციპალიტეტის შენობასთანაც მივედით, ისიც დაკეტილი დაგვხვდა. მოკლედ, რაღაც ძალა მბორკავდა, თუ მეჩვენებოდა. ყველა ჭიშკარი დამანული, ყველა სახლი გამოკეტილი.

თუ არ დავებრუნდით, ძალიან დაგვაგვიანდება, გასამზადებლები ვართ, მეუბნება მექვაბიძე.

განზილებული კაცის სახით შეგხედე. უცხად სკოლის მოსწავლეები დავლანდე. გავაჩერე, საბედნიეროდ ინგლისურად საუბრობდნენ. ვკითხე ქართველების მამული ხომ არ იცით, სად არის-მეთქი. თავი გამიქნიეს უარის ნიშნად.

ჰო, დამავინცდა, კათოლიკურ ეკლესიასაც მივაკითხეთ დაბის შუაგულში, რომელიც იქნება ორი-სამი საუკუნისა. ვიფიქრე, იქნებ კათოლიკე მოძღვარი იყოს და მან დაგვაკვლიანოს-მეთქი. პირფერის წერით შევედით ეკლესიაში, მაგრამ აქაც სიჩუმე, სიცარიელე, არავინ დაგვხვდა. ისევ გამოვგმანეთ ტაძრის კარი და ჯვარზე გაკრული მაცხოვრის ქანდაკება დავტოვეთ კათოლიკურ საყდარში.

მერე სკოლას მივაშურეთ. სკოლა იყო ორსართულიანი, თეთრად შეღებილი კედლებით და ვეება ეზოთი. „აქაც თუ არავინ დაგვხვდა, მერე წავიდე“, ჩავიბუტბუტე და სკოლის ეზოში შევაბიჯე. ეზოში მამაკაცი შევნიშნე. შორიდანვე მოვუხადე ზოლიძე.

აქ მუშაობთ?

დიახ, სკოლის მწე გახლავართ.

ჩვენ საქართველოდან ვართ და ქართველების მამულს ვეძებთ. ქართველები აქ XX საუკუნის 20-იან წლებში დასახლდნენ. მთავრობის წევრები... (როგორც ვახერხებ).

დაფიქრდა და თავი დამიქნია.

კი, ვიცო, აი, იქ არის ქართველების მამული, თითი გაიშვირა სამხრეთაღმოსავლეთით. პირდაპირ ნახვალთ, აქედან პატარა ბილიკა, სკოლის ეზოდანვე გახვალთ. აი, ხომ ხედავთ, ბილიკზე მიგვანიშნა. თან შემომხედა, და ალბათ ისეთი დაღლა და განზილება ამოკითხა ჩემს თვალბში, მეგზურობას დაგვთანხმდა და წინ გაგვიძღვა.

წინ შავი მარმარილოს დაფაა და მე თვალბში სისველეს ვგრძნობ. ლევილი კაცი ქართველთა მამულის კარიბჭემდე მიგვყვდა და ისე დაგვმორდა, ხეირიანი მადლობის თქმაც კი ვერ მოვასწარი. „რუსეთის მიერ 1921 წლის 25 თებერვლის

ანექსიის შემდეგ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აქ დაიდო ბინა“. ვიდეო-კამერა ჩავრთე და ლევილის ქართველთა მამულში შესვლის წამებს ვიღებ. თან ცრემლები მომდის. არ ვიცი, ქართულმა წარწერამ ამიჩუყა გული, დამოუკიდებელი საქართველოს დასამარებამ, თუ იმ განცდამ დიდ წინაპართა ნაკვალევზე ფეხის დადგმის საშუალება რომ მომცა უფალმა. ალბათ ამ ცრემლში ყველაფერი ერთად იყო თავმოყრილი და ერთად გამახატა სათქმელი კურცხალმა.

პატარა საქართველო... სიმწვანე, ზურმუხტი ელვარებს ირგვლივ. აპრილი მიყურებს ღობეებიდან. ღობეში დგას ჩიტები დახტიან ბუჩქებზე. ნეტავ ამ ჩიტების თვალელებში ჩამახედდა და მათი ენა მომასმენინა, იმ ჩიტებში ხომ არ გარდაისახენ ლევილის ქართველი გმირები.

ის ვეება სახლიც აისვენება, ვუახლოვდება. სიჩუმე მიმაცილებს. ემიგრანტთა კუთვნილი ნაგებობა ისეთი სახით მხვდება, როგორც ფოტოებზე მაქვს ნანახი, ცოტა უფრო შეღებულ, ალაგალაგ კედლებდახეთქილი, ფანჯრებშემკალი, დაშავებული. დრო ხრავს ქართველთა საცხოვრებელს და შესცქერიან საცოდავი თვალებით დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა აჩრდილები. იქნებ მოხედოს ვიღაცამ, იქნებ უპატრონოს ვინმემ. აქ დარჩა 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს სული, ერთ მცირე დარბაზში, სადაც ყველაფერს ერთად მოუყრია თავი. მერე იქაც შევაბიჯებთ.

ფალავა, ამირჯიბი... ფოსტის ყუთებზე ვკითხულობ ქართველთა გვარებს. ლევილის ქართველთა სახლის კარის გაღებას ვცდილობ. დაკეტილია. ნაღდგომევი დაემთხვა ჩვენს ჩამოსვლას და ვილაცას ქართულად მოუწერია ქალაქზე, რომ წირვას ჩაატარებდა კვირა დღეს. კარი დაკეტილია. ქართველთა მამულში მიუყვებით გზას. „პატარა-პატარა საცხოვრებლებია, ერთსართულიანი, აგარაკებივით, წესით აქ უნდა იყვნენ ქართველები“, ვფიქრობ ჩემთვის, თან ფოტოებს ვიღებ. ერთი საცხოვრებლის კარი ღიაა. ვილაც მოხუცებული ქალი ზის მომცრო აივანზე, რვა-საფეხურიანი კიბე რომ აკავშირებს მიწასთან. აპრილის მნათობს ეფიცება მოხუცი ბანოვანი და თამბაქოს ეწევა. სახლის კედელზე წმინდა გიორგის ხატი და ჯვარია. შორიდან დავაკვირდი გამხდარ, დალაქავებულ სახეზე სიბერის ლუკმად ქცეულ ქალს და ჩვენკენ გამოქცეული მზერით მივხვდი, რომ ქართველი იყო.

გამარჯობათ, ქალბატონო. გაგიმარჯოთ, შემოგვხედა, თამბაქოს კვამლს გამოგლიჯა ფიქრები და ყურადღება და ნატანჯი ცხოვრების წლების გროვად გადაქცეული სხეული ძლივს წამოსწია. ქართველები ხართ? დამტკრეული ქართულით გვითხრა, მკვეთრი ფრანგული აქცენტით და კიბეზე დაეშვა. ეს იყო ცნობილი ემიგრანტი მწერლის და მწიგნობრის — გიორგი წერეთლის მეუღლე ეთერ ფალავა.

ცხონებული გურამ შარაძე ხშირად ჩამოდიოდა და ყურადღებას გვაქცევდა. ჩვენები... მოდიან ხოლმე, უფრო კვირაობით იკრიბებიან, ერთმანეთს ვუზიარებთ აზრებს, წარსულს ვიხსენებთ, ვსაუბრობთ, თუმცა ძალიან გვიჭირს ყველას, შემოსავალი მცირეა, მამულსაც უჭირს, როგორც ნახეთ მოუვლელია.

თავის სევდას და სატიკივარს გვიმხელს ემიგრანტი ქალბატონი.

უმეტესობა პარიზში ცხოვრობს. იქაც იკრიბებიან, ჩვენ ქართული ეკლესიაც გვაქვს, წმინდა ნინოს ეკლესია. მამა არჩილიც გვყავს.

სახლისაკენ გაგვიძღვა, გზადაგზა გასაღები მოიმარჯვა. ამ დროს მანქანის ხმა გაისმა ქართველთა მამულის ეზოში და მდოგვისფერი „პეჟო“ გამოჩნდა, რომელსაც მოხუცებული ქალი მართავდა.

გაგიმართლათ, გაელიმა ქალბატონ ეთერს, ჩვენები ჩამოვიდნენ.

ვინ თქვენები? შევეკითხე.

დღეს კვირა დღეა და კვირაობით მოდიან ხოლმე. აგერ, ქალბატონი ნათელა მოვიდა.

მანქანა სახლთან ახლოს გაჩერდა და იქიდან რამდენიმე მანდილოსანი გადმოვიდა, მათ შორის ერთი, ყველაზე ხანდაზმული, თვალელებში რომ მოჰუტუტოდა წუთისოფლის მზეოთხმოცდაათს გადაცილებული იქნებოდა, სწორედ ის მართავდა მანქანას. ჰო, ჩემ წინ ნოე ჟორდანიას ქალიშვილი — ნათელა ჟორდანიას იდგა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მეთაურის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავკაცის გამოხედვა (რა თქმა უნდა, ფოტოებზე ნანახი) დავიჭირე მისი ქალიშვილის მზერაში, ამაყიც, სევდიანიც, ღრმად ქართული მზერით და აღნაგობით. სამშობლოდან გადახვეწილი ქართველები „პატარა საქართველოს“ ეფერებიან, ლევილის მამულია მათთვის სამშობლო და ვფიქრობ, უფრო სწორად ისეთი შეგრძნება მიჩნდება, რომ საქართველოში მათთვის ისევე 1918 წელი დგას. მათთვის ისევე ისეთი ქვეყანა არსებობს, სამფეროვანი დროში და თეთრი გიორგის გერბით. ლევილის სახლში ერთად გადავიღეთ ფოტო და ამ ფოტოსურათზე ალბეჭდილი წამები მარადიულად იცოცხლებს ჩემს მესხიერებაში, ვიდრე ეს მესხიერებაც წუთისოფლის ლუკმად არ იქცევა. უკმაყოფილონი არიან, მეტ ყურადღებას ითხოვენ... მათ ხომ ჯოჯოხეთი გაიარეს. უცხო ქვეყანაში, უცხო მიწაზე თავი გადაირჩინეს, ქართული სული აქამდე მოიტანეს. უკანასკნელ ლუკმას იკლებდნენ და ქართულ მამულს ისე უფრთხილდებოდნენ. სხვა რა არის ქართველობა. ის, რომ შეპერანგებულმა მარტო ყანნი ატრიალო სუფრაზე და გულზე მჯილი იცე? ჩვენი, დასამარებული დამოუკიდებლობის, ჩექმით გათვლილი თავისუფალი ქვეყნის ჭირისუფლები ლევილში რომ ცხოვრობენ და, უცხო მიწაზე განვლილი გოლგოთის გზის მიუხედავად, ქართულად საუბრობენ ეს საამაყოა. მერე მოძღვარიც გამოჩნდა, ორმოცს გადაცილებული ქართველი მოძღვარი, რომელიც ერთი ხანობა ფრანგი მეგონა, კარგა ხანს საუბრობდა მობილურ ტელეფონზე ფრანგულად, თუმცა...

მერე გავიცანი ქართველი მღვდელი. პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირი მამა არჩილ დავრიშაშვილი. ჩვენებური ყოფილა, აქაური ფესვებიდან ამოყლორტილ-დაჯრობილი ქართველი, გარეჯვერელი დავრიშაშაძის შთამომავალი. მისი დიდი პაპა გორის პრისტავი ყოფილა, სტალინთან ნაცნობობაც აკავშირებდა, მერე უცხოეთში გახიზნულა და დავრიშაშაძის გენმა მამა არჩილი შვა.

ვაკვირდებოდი მის საოცრად ქართულ თვალებს, ღიმილიანს, მადლით სასესეს, იდუმალს.

ლევილის მამულში, ქართველთა საცხოვრებელში შევაბიჯეთ. პირველი, რაც თავში მომივიდა, ეს იყო „დაკეტილი საქართველო“.

თითქო ვილაცამ ჩაგმანა 1918-1921 წლებში თავისუფალი, ახლად დაბადებული სახელმწიფო და ამ პატარა დარბაზში მოაქცია. დამოუკიდებლობის აქტს შეჰყინვოდა, დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების დროს შეგროვილი ქართველების შეძახილები და იმ მოღვაწეთა ალტყინება, სიხარულით ცრემლებმორეული ხელის კანკალით რომ ტოვებდნენ ხელმწიფრას ამ ისტორიულ დოკუმენტზე. წარმოგვინაც არ ჰქონდათ, რომ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ქვეყნის დამოუკიდებლობის ეს მთავარი დოკუმენტი ლევილში დაიდებდა ბინას. ფიალები, ყანნები, ჭინჭილები, დოქები, პორტრეტები — ყველაფერი ქართული. ვიღვე ფოტოებს და ცრემლს ველარ ვიკავებ. მესმის ხმაური. ქართველი ემიგრანტები ერთ ამბავში არიან.

არის აზრთა სხვადასხვაობა. როგორ დაგვემონ, როგორ გამოიხსნან რუსული ჩექმის ქვეშ მოქცეული ქვეყანა... ყაყანებენ, ხანდახან ლამის არის ჩხუბში გადაუვიდეთ კამათი... ასეთი ყოფილა მათი ბედისწერა უცხოეთის ცის ქვეშ, როგორც ამას დანერს შემდეგ დიდი გურამ შარაძე. ფოტოებად დამჩრება მოგონებები ლევილზე.

...მწვანე მოლზე ბავშვის ეტლი დგას, ეტლში ჩვილია, რომელიც აპრილის ღურღურა მნათობისთვის მიუფიცხებია დედას. ახალგაზრდა ქალი იქვეა ჩამუხლული და სისხლიერს ეაღერებს...

ეს ქალბატონი არჩილ დავრიშაშვილის და გახლდათ. ეს ჩვილი, წმინდა ნინოს ტაძრის წინამძღვრის დისწული.

„ჩვენი წინაპრები გარეჯვარში ცხოვრობდნენ, ახლა არ ვიცო, შემორჩა თუ არა რაიმე კვალი ჩვენი საგვარეულოს იქ არსებობის“.

ვეცდები, მოვძებნო, თუ რაიმეს ნავაწყდი, ფოტოებს გადავიღებ და გამოგიგზავნი.

ღულუნებს ჩვილი. დედაშვილს ეფერება აპრილის მზე. ვემშვიდობები ლევილის სახლის წინ შეკრებილ ჩვენებს. კიდევ ჩამოვალ? კიდევ ვნახავ? მივდივარ და უკან მრჩება პატარა საქართველო.

ფოტოებზე ნანახი სასაფლაო მიცოცხლდება. აქ არის უცხოეთში თვალუბრებამდებულ ქართველთა საძვალე. ლევილის მიწა ქვეყანა: დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, მათი მეუღლეები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. აქ განისვენებს ნოე ჟორდანიას. მისაკო წერეთელი და გრიგოლ რობაქიძე გვერდიგვერდ წვანან ფრანგულ მიწაში. ქაქუცას საფლავიც არის, თუმცა უკვე სიმბოლურად. ქაქუცა უკვე გადაასვენეს და მთაწმინდის მიწას მიაბარეს თავისუფალი საქართველოს დაუმორჩილებელი მხედარი. მოვიღო, დაკრიალებულ საფლავებს ვათვალიერებთ, მოიღუბა ცა, ჩამობნელდა, ოღონდ ამას დასასრულისთვის არ ვწერ. მართლა დაბნელდა. ნაადრევად შემონაზვნდა დღე ლევილში და ის იყო გავცდით სასაფლაოს, კოკისპირულმა წვიმამ დაასხა. იტყვი, იკავა თავი ცამ, იკავა, ჯერ ერთი-ორი კურცხალი ჩამოუფარდა, ცივი, ყინულივით კურცხალი, მერე კი ერთიანად აზღუქუნდა და მოხსნა საცრემლე გუდას პირი. კოკისპირულ წვიმას სეტყვაც მოჰყვა. ჯერ ხოშკაკალათი მოიფინა იქაურობა, მერე ცერის სიმსხო ყინულები წამოვიდა. თხემით ტერფამდე გალორთხილები გავცქეროდით სივრცეს. თითქო წარღვნა იწყებოდა. ეს იყო, ალბათ, ლევილის ადგილის დედის ცრემლი, ადგილის დედის, რომელიც საქართველოდან გამოხიზნულ ქართველებს თან წამოჰყვით უცხოეთში...

პროტესტანტი

მიშველადის ერთი ნოველა გამახსენა ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ ნანახმა „სურათმა“...

იმ ნოველაზე ადრეც დავწერე. ჩემს ერთ-ერთ წერილში, რომელიც რეზო მიშველადის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხებოდა. ნოველაში ძალზე ლაკონიურად და მარტივად არის აღწერილი სურათი. ქოფაკი ვეება ზღვას უღრენს, ებრძვის, ერთ ამბავშია. მივარდება, შეჰყეფს, მერე ტალღები გამოედევნებიან, ისევ გამოვარდება, როგორც კი ზღვა უკან იხევს, ისევ ყეფა-ღრენით გაექანება და არის ასე გაუთავებლად.

ნოველის დასასრულს იმ ქოფაკის მოთმინებას და გამბედაობას ნატრობს მწერალი.

რალაცნაირად, რეზო მიშველადის ნოველა გამახსენა თეთრი სახლის წინ გაშლილმა კარავმა. კარავზე უამრავი ფოტო იყო მიწებებული, სადაც ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უმცროსის) დამახინჯებული სახე იყო აღბეჭდილი, ამ ერთადერთი მომიტინგის მიერ გაფორმებული. ზოგიერთ ფოტოზე ბენ ლადენის წვერი ჰქონდა ამერიკის საჭეთმპყრობელს, ზოგან ადოლფ ჰიტლერის უღვაში.

„ეს პოლიტიკა დაღუპავს მსოფლიოს, ეს პოლიტიკა განადგურებს კაცობრიობას, სოდომ-გომორის ადგილზე მკვდარი ზღვაა, არ იცით ეს თქვენ. თქვენ ხართ მასონები, უღმერთოები, უზნეოები. ვერ გიშველით ეს თეთრი სახლი,



მამა არჩილთან (დავრიშაშვილი) ერთად

ვერსად დავმალებით იმას, ლაჩრები ხართ. გამოდით და დაე-ლაპარაკეთ ხალხს. ყელში ამოვიდა თქვენი სიყალბე. ყალბი ქვეყანა შექმენით და ამ სიყალბეში გინდათ აცხოვროთ თქვენი ხალხიც და მთელი სამყაროც, ვერ ელირსებით ამას, დაანგბეთ ხალხებს თავი. უთქვენოდაც მიხედავენ თავს. ვინ მოგცათ ერებზე ექსპერიმენტების ჩატარების უფლება. ძირს სიყალბე და ყალბი ხელისუფლება“.

აქაც ყოფილან მომიტინგენი, მეუბნება ღიმილით ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ოღონდ მიტინგიც ასეთი უნდა, ერთი კაცი ითხოვს ხელისუფლების გადადგომას. დღეს ცოტა დაგვიანებულია და აი, ხვალ დილით ნამდვილად დაწერს ბუმი განცხადებას.

ვუყურებ კარვის წინ გაფენილ ლეიბზე წამომჯდარ კაცს, რომელსაც ხელთ მეგაფონი უჭირია და ყელზე ძარღვებდაბერილი მთელი ძალით უყვირის თეთრი სახლის ადმინისტრაციას.

რა წერვები, რა თავდაჯერება და იმედი უნდა გქონდეს კაცს, რეზო მიშველადის ნოველის გმირივით უყეფდე ზღვას, უყეფდე და ბრძოლას უცხადებდე.

ადამიანები და ადამიანები

იცო, რა მაგარია ბარსელონა? თან ღამით. ესპანურ წყვილადს როცა ებრძვის ქალაქიდან ატყორცნილი სინათლე.

ოცნებად მაქვს, წასვლა და თამაშზე დასწრება, „ბარსელონა“-„რეალის“ თამაშზე.

მაგ დროს ხომ საერთოდ ვერ გაივლი ქუჩაში. მთვრალი ბრბოები გადაგთელავენ, ან შუშის ნამტკრევი მოგხვდება: ორი საუბრობს ჩემ უკან.

მადრიდში ერთხელ ცემით კინალამ მომკლეს. ციოდა, ვიფიქრე სავაჭრო ცენტრის კაფეში შევალ და ცოტას შევჭამ, მოვსულიერდები-მეთქი, წასახმსებელი ავიღე, ჯერ კაფეს გამყიდველმა ხომ ძლივს მომაქცია ყურადღება, თან შემწვარ კარტოფილს მიღებდა, თან მონიტორს შესცქეროდა, სადაც „რეალი“-„ბარსელონას“ რკენა მიდიოდა მწვანე მინდორზე.

ჭამას შევუდექი, მაგრამ ვინ დამაცადა. უცბად ატყდა ვაიშველებელი. მართლა, გამომრჩა მეთქვა, იმ ღია კაფეში, სავაჭრო ცენტრში რომ იყო, ბარე ხუთი მონიტორი ეკიდა და კაფეში შესროვილი გავემებული გულშემატკივრების თვალები მიშტერებოდა ცეცხლოვანი მზერით ოცდაორ ესპანელს და ერთ ბურთს.

ის-ის იყო ბარსელონელებმა გადამწყვეტ მომენტში გაუტანეს მადრიდელებს, ატყდა ჩემ მიერ წელან ნახსენები ვაი-უშველებელი და ბოლოს თვალი რომ გაგახილეთ, მაგიდის ქვეშ ვეგდე კარგად ნაბეგვი, ტუჩიდან სისხლი მომდოდა და ზედ ჩემი შეუქმელი შემწვარი კარტოფილი მეყარა.

მაგარია ბარსელონა, ულამაზესი ქალაქია. ვუსმენ. მეტროს ვაგონში ჩემ წინ სხედან ბიჭები და მუსაიფობენ.

დიდი ხანი იყა?

ოთხი წელი, რა მომარბენინებდა, ამ ჩემ ცოლს რო ჭკუა არა აქვს. ვერ ძლებდა ეს ჩემისა, ესა და წამომიყვანა. მშვენივრად ვიყავი აწყობილი, ტაქსი მყავდა, სასტუმროს ვემსახურებოდი...

ჩემი ყოფნა გამახსენდა ბარსელონაში. მეც ღამით მქონდა ნანახი... ოღონდ არა წინასწარი მოფიქრებით, დაუგეგმავად. ეს იყო ქრისტიანობისთვის 13-ში, უამინდობა დამემთხვა. ბარე შვიდი საათი ვიყურეუტე სტამბოლის აეროპორტში. ვეება შენობაში ბოლთას ვცემდი და დროდადრო სარკმლიდან გახვდავდი ნამქერში გახვეულ თვითმფრინავებს, შეცივებული, მოზუხული გადებივით რომ გამოიყურებოდნენ. ვფიქრობდი იმ ქართველებზე, 1921 წლის 15 თებერვლის უბედურების შემდეგ ემიგრაციაში წასვლამდე რომ სტამბოლში ცხოვრობდნენ. უცბად ამოტივტივდა ნიკოლო მინიშვილის თხზულებიდან სტამბოლში მყოფ ქართველთა ცხოვრების ეპიზოდები. ჩაიხანაში შეყუყუული ქართველები, გაუთავებელი აყალ-მაყალი, ნარდის კოჭების ჩხაკაჩხუკი და აზარტში შესული მოთამაშეების მიერ გაგორებული კამათლების წკრიალი. ერთი იგებს, მეორე აგებს. ჩაის ფულზე თამაშობენ ქართველები. მერე ამაზრუნენ სურათიც აქვს დახატული მინიშვილს, რომელიც საფრანგეთში გამგზავრებამდე რამდენიმე წელიწადი მიტოვებულ გემზე ცხოვრობდა. მიტოვებულ ძველ ხომალდზე ათენალამებდა ქართველი მწერალი და დაპყრობილ სამშობლოს დასტიროდა. მე კი... თოვლიანი ამინდის გამო რეისი დაგვიანებით სრულდება და ამას განვიცდი. ვაითუ, ვაითუ დიდხანს მომიწიოს ლოდინმა. რა გაჩერდება ამდენი ხანი აეროპორტში. საფრენ ბილიკებს გამალებით წმენდენ და ასუფთავებენ აეროპორტის მეზოვენი, ჩამომდგარ თვითმფრინავებს ფრთებს უსუფთავებენ, წყალს ჭავლით უშვებენ. თოვს. ვაკვირდები, მაგრამ აეროფრთით ვერ ვხვდები, საიდან მოდის ფანტელები. ქარი უბერავს და ყველა მხარეს ატრიალებს ფიფქებს. ბობოქრობს ზამთარი...

* * *

ახალი შემონაზვნებულია ესპანური დღე. ერთი დამთქნარება, უსიცოცხლო დღე, რომელსაც საათები და წუთები წაართვა ზამთარმა. აქ თბილი ზამთარია, ენკენისთვის ამინდი გეგონება. ოდნავ მოიზლაქნება ესპანური ღამე, რომელსაც ბარსელონაში შევგეგვით. მცირე ხანს გაგჩერდებით და მერე ანდალუზიაში გადავინაცვლებთ — სევილიელი დალაქის სამშობლოში. ისევ მოვიწახვლებ ძველ, ესპანურ ქალაქს, სადაც ორიოდ წლის წინ ვიყავი და ისეთი მოხიბლული ჩამოვედი, ის ორი წელი არ გამნელებია სევილიური შთაბეჭდილებები...

გეგმებს ვალაგებთ. ზამთრის ღამეში, დედაბრის კალათში დატრიალებული თითისტარით ვართავთ ფიქრებს, მაგრამ ქართული ანდაზა „კაცის ბჭობისა და ღმერთის სიცილის შესახებ“ ესპანეთშიც აგვიხანს. დავვიანებული რეისის გამო, ბილეთები გაუქმებულია, გვითხარა აეროპორტის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელმა. მანამდე „იქნა“ გავიცანით, ვიდრე ბილეთების ქონა-არქონის სიტუაციის გასარკვევად ვიყავით. ჯერ არ მეგონა, თუ ქართველი იყო, საშუალო ტანის, ორმოცდაათს გადაცილებული, თმებშევერცხლილი, ოდნავ წითური სახის, ბლანჟეთიანი მამაკაცი ისე სხარტად საუბრობდა ესპანურად, მეგონა, რომ აქ ცხოვრობდა. თურქეთიდან ერთად ვიმგზავრეთ.

როგორც კი სააეროპორტო კონტროლი გავიარეთ, ტელეფონზე ქართულად დაიწყო საუბარი ჩვენმა ბლანჟეთანმა და

ისე უქცევდა იქნა, აქნათი, სადაც შუაგულ იმერეთში მეგონა თავი.

ქართველი ხარ? ვკითხე, როდესაც საუბარს მორჩა ტელეფონზე.

კი, ქართველი ვარ, უემოციოდ მითხრა.

მე მაინც სხვა მოლოდინი მქონდა, უფრო თბილი გამოპასუხების.

კარგად საუბრობთ ესპანურად, სხვა ველარაფერი მოვიფიქრე, ვერც კი მიხვდება კაცი, თუ ქართველი ხართ.

შემომხედა ეჭვიანი მზერით, სამგლეთში მყოფი კაცის თვალებით, რომელიც მხოლოდ ფულის შოვნასა და თავის გადარჩენაზე ფიქრობს და ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალთ უყურებს. კარგი, მისალმებაც კი აეჭვებს, გულწრფელი გალიმებაც კი აფიქრებს. „რატომ მესალმება, რატომ მიღმის“, ყველაფერში რალაც ხაფანგი ელანდება.

არადა, გულწრფელად, ქართულად, ჯიგრიანად მიწოდდა, რომ ჩემს თანამემამულეს გამოვლაპარაკებოდი.

მე აქანა ოცდაათი წელი ვცხოვრობ და ენაც იმიტომ ვიცი ასე კარგად. სიამაყით თქვა, თან ისევ მაკვირდებოდა. უცხოეთში მყოფ ქართველებში არსებულ გაუტანლობაზე მოარული ამბები მენიშნა.

აქ ცხოვრობთ?

კი, მოკლედ მითხრა, თან ტელეფონს ჩაჰკირკიტება, ოქროსფერ ჩარჩოიანი „ფელის“ ფირმის მობილური ეპყრა.

სხვა ქართველებიც არიან? მე მაინც ჩემსას ვაგრძელებდი.

„დაკითხვას ხომ არ მიწყობს ეს უპატრონო“, გაიფიქრა (რა თქმა უნდა, თვალეში ეტყობოდა).

არ ვიცი, მე მათთან კავშირი არა მაქვს. გამიგია, რომ არიან ბარსელონაში, ვინ არიან და რამდენნი ეგ არ ვიცი. მე ჩემი საქმეები მაქვს.

ბარგი იგვიანებდა. ვენერვიულობდით.

ბოლთას ვცემდი ვეება დარბაზში. მერე ჩანთებიც გამოჩინდა და თავის ბარხანასთან ერთად გაუჩინარდა ეს ჩვენი ბარსელონელი ქართველი.

მერე დაიწყო ჩვენი გაუთავებელი დავა გაუქმებულ ბილეთებზე. აქეთ ჩვენ, იქით ისინი. ჯერ ფულის დამატება მოგვთხოვეს. გვაყურეუტეს, თან ერთმანეთში ჯაჯლანებდნენ. თანხის დამატებას აღარ ვჩიოდით, თანახმა ვიყავით, მაგრამ მერე უარი გვითხრეს და ახალი ბილეთების ყიდვის აუცილებლობის დასაბუთებას შეუდგნენ. ახალი ბილეთების ფული არც ერთს არ გვაქვს არც მე, არც მექვაბიძეს.

„მოგვიწვევს ღამის გათენება აეროპორტში“ ვფიქრობ მგზავრობისგან მისავათებული. მერე მოვიფიქრეთ მატარებელი. მატარებლით რამდენი საათი დავგჭირდება სევილიამდე, ვთვლი, ვანგარიშობ, დაახლოებით ექვსი, შვიდი. თვითმფრინავს საათნახევარი უნდა, მატარებელი სავარაუდოდ ექვსშვიდ საათში ჩავა.

რკინიგზის სადგურზე უკვე კარგად შემოგვალამდა. მოლარე ქალმა, რომელმაც რამდენიმე ინგლისური სიტყვა იცოდა, როგორც იქნა გავგაგებინა, რომ სევილიაში მატარებელი დილის ცხრის ნახევარზე გადიოდა.

გადავწყვიტეთ, რომ ის ღამე ბარსელონაში გავკეთენებია. მივდივართ ქვაფენილიან ქუჩაზე და რაკარუკით მივავორებთ ბორბლიან ჩანთებს. რამდენიმე სასტუმროში მივედით. ყველა დაკავებულია. ისევ გავაგრძელებთ გზა. ჩანთებიც ჩვენთან ერთად დაილაღნენ.

შევნიშნე, რო ვილაც აგვედევნა, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია.

ორიოდე წუთში ახალგაზრდა, ოცდახუთიოდე წლის ტანბრგე ბიჭმა, ჩქარი ნაბიჯით გავგასწრო და...

ქალბატონო, პალტო დასვრილი გაქვთ, მექვაბიძეს მიმართა. ბიჭი ახლოს მოვიდა, ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო და მექვაბიძეს პალტოს განმენდაში ეხმარება. მცირე ხანში, ისევ ჩქარი ნაბიჯით დავგვმორდა.

დიდი მადლობა, დიდი მადლობა, მივაღწევეთ ორივემ ერთდროულად.

სხვა კულტურა აქვთ აქა. როგორი ხალხია ევროპელები. თვითონ მომეხმარა პალტოს განმენდაში. ამას ჩვენში ვინ გააკეთებს, ვართ იმ უცნობი ლამის მგზავრის ქებაში.

მცირე ხანში ფერი დაკარგა რუიზან მექვაბიძემ, გაფითრებული დგას და ხმის ამოღებას ვერ ახერხებს.

რა მოხდა?

სახეგამტკნარებული ისევ ჩუმად არის.

რა მოხდა, რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხართ?

ჩემი ხელჩანთა წაიღო იმ ბიჭმა, ძლივს ამოთქვა.

რა ხელჩანთა?

კომპიუტერი, საფულე, ლულულებს და თან დაბნეული აქეთ-იქით იყურება.

იქნებ სასტუმროსთან დაგვრჩა, ტაქსის მძღოლს რომ ვესაუბრებოდით.

ალარ დავლოდებოვარ პასუხს, იმ სასტუმროსკენ გავიქეცი, სადაც ოციოდე წუთის წინ ვიყავით.

გაჩანჩახებული სასტუმროს წინ ტაქსები დგას. ტაქსების წინ ვათვალიერებ ადგილს, სიცარიელეა.

მივდივართ, ძლივს მივაგორებთ ჩანთებს. ციციკნა ბორბლების ხმაური არღვევს ქუჩის მყუდროებას. ძალიან გვიანი არ არის, თუმცა კაციშვილი ალარ ჭაჭანებს. ნელ-ნელა ახსენდება ჩანთაში არსებული ნივთები. დარდი მძაფრდება.

რატომ არ გაგვიკვირდა უცხო ადამიანის თავაზიანობა, რატომ არ გაგვიკვირდა უცხო ადამიანის ასეთი ყურადღება... კითხვა რატომ არ გაგვიჩნდა?

ჩვენ (ქართველებს ვგულისხმობდი) ხომ ყველას ვენდობით. სხვა ქვეყანაში მცხოვრები იმ ბლანჟეანი ქართველის ეჭვი რომ გვქონდა, არ მოგტყუებდოდით.

ევროპელი ასე ადვილად არ ტყუვდება იმიტომ, რომ გულწრფელ სალამსა თუ ლიმილზეც კი კითხვა უჩნდებათ.

ჩვენ... გულთმისანი ხომ არ იყოს ის შობელძალი, რა იცოდა რომ ქართველები ვიყავით.

იმან ის იცოდა, რომ ადამიანებში ჯერ ისევ დარჩა ცოტა, მაგრამ მაინც ნდობის და სიყვარულის მარცვალი და იფიქრა იქნებ ასეთი კატეგორიის ადამიანები არიანო.

თავს ვიქებთ?

ვიქებთ თუ არა, ამას ალარ აქვს მნიშვნელობა, ფაქტია, რომ მარტივი ფანდით მოგვატყუა და ხელცარიელები დაგვტოვა. აი, ბლანჟეან ქართველს, ერთად რომ ვიმგზავრეთ, ვერ მოატყუებდა...



დარბაზი, სადაც ქართველი ემიგრანტები იკრიბებოდნენ

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი

თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით, ლიტერატურული ჟურნალი „ანული“ აცხადებს რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ ლიტერატურულ კონკურსს.

საკონკურსო პირობები:

კონკურსის მიზანია: ქართულ ლიტერატურულ სივრცეში საუკეთესო ნაწარმოებებისა და ავტორების გამოვლენა, ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედების წარმოჩენა - პოპულარიზაცია და ლიტერატურულ პროცესებში წვლილის შეტანა.

კონკურსზე ნაწარმოების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერი ასაკის პირს. კონკურსზე არ დაიშვება გარდაცვლილ ავტორთა ნაწარმოებები.

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნაწარმოები — მოცულობით არაუმეტეს 5 (ხუთი) პირობითი ნაბეჭდი გვერდისა. ნაწარმოები უნდა პასუხობდეს რევაზ ინანიშვილის შემოქმედების ესთეტიკას.

საპრემიო ფონდი:

- პირველი პრემია — 500 ლარი;
- მეორე პრემია — 300 ლარი;
- მესამე პრემია — 200 ლარი;

კონკურსის მონაწილეები 1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე საკონკურსოდ გამოყოფილ ელექტრონულ ფოსტაზე აგზავნიან გამოუქვეყნებელ (შესაძლოა იყოს გამოქვეყნებულიც, ოღონდ არა უახლოესი ორი წლის განმავლობაში) საკონკურსო ნაწარმოებს. ფსევდონიმით გაგზავნილი ნაწარმოები არ განიხილება. ნაწარმოები არ უნდა იყოს პრემირებული.

ნაწარმოები მიიღება ელექტრონული სახით.

თითოეული მონაწილისგან მიიღება ერთი ნაწარმოები, რომლის თემატიკაც არ არის შეზღუდული. ნაწარმოების მიღების დადასტურება ავტორს გაეგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე.

განსახილველად დაიშვება ნოველა ან მოთხრობა, რომელიც აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს.

საკონკურსო ნაწარმოები (ერთი მოთხრობა) 2014 წლის 15 ნოემბრამდე უნდა გაიგზავნოს ლიტერატურულ ჟურნალ „ანული“-ს რედაქციის ელექტრონულ ფოსტაზე: anuli@mail.ru (ტელ: 551 005058).

საკონკურსოდ უნდა გადაიგზავნოს ორი ფაილი. ერთი ფაილით — ნაწარმოების დევიზი და ნაწარმოები, მეორე ფაილით კი — დევიზი, ავტორის მოკლე ბიოგრაფია, ფოტოსურათი, მისამართი და ტელეფონი.

ლუბა ელიაშვილი

„თავისუფლება პასუხისმგებლობა“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა ასეთია: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— აღორძინების ეპოქაში, იტალიაში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა, აღიარება და სიყვარული.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— აქილევსი, ჰორაციო, ტილ ულენშპიგელი, დონკიხოტი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ექვთიმე თაყაიშვილი და ილია ჭავჭავაძე.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ამადეო მოდილიანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ფერენც ლისტი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ღირსებას და რაინდობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ღირსებას და სათნოებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— თავმდაბლობა და მოყვასის სიყვარული.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— კითხვა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მე.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— შეუპოვარი ოპტიმიზმი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სიყვარულს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— მსუნავობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ჩემი და ჩემთვის ახლობელი ადამიანების ჯანმრთელი და ღირსეული ცხოვრება მშვიდობიან და სამართლიან ქვეყანაში. ჩემი ნამუშაკარის დადებითად შეფასება, აღიარება და სიყვარული.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— გაფიქრებაც კი მზარავს, — საყვარელი ადამიანების ცუდად ყოფნა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ნიჭიერი, ლურჯთვალეა, მაღალი და ლამაზი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— იასამნისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ტიტა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— კოლიბრი.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა მწერლები: ასტრიდ ლინდგრენი, რედარდ კიპლინგი, ანტუან დე სენტ ეგზიუპერი, ედგარ პო, კონან დოილი, არჩილ სულაკაური, რობერტ ლუის სტივენსონი, ჰერმან მელვილი, ჯეკ ლონდონი, ბრედ შარტი, ხულიო კორტასარი, ჯოან როულინგი, ჯონ რონალდ რუელ ტოლკინი, ალექსანდრე დიუმა, შარლ დე კოსტერი, ტრუმენ კეპოტი, უილიამ ფოლკნერი, რეი ბრედბერი, ხორხე ლუის ბორხესი, ლევან გოთუა, დავით კლდიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჭილაძე, ოთარ ჩხეიძე, ნოდარ დუმბაძე, გოგლა ლეონიძე, კოტე ჯანდიერი, მიხომოსულიშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, გუსტავ ფლობერი, ჯერომ სელინჯერი, ერნესტ ჰემინგუეი, მიმელ უელბეკი...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონ ტაბიძე, მარინა ცვეტაევა, არსენი ტარკოვსკი, ოსიპ მანდელშტამი, ოთარ ჭილაძე, ვლადიმერ ვისოცკი, რედარდ კიპლინგი, უილიამ შექსპირი, ედგარ პო, ჯორჯ ბაირონი, გიორგი საჯავა, ჯიმ მორისონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— პეპი გრძელი ნინდა, მარგარიტა, ჯულიეტა, ჰერმიონა გრეინჯერი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ექვთიმე თაყაიშვილი. იაკობ გეგაშვილი, მალალა იუსაფზაი, დედა

ტერეზა და ჩემი ლიტერატურის მასწავლებელი თამარ შარვაშიძე, ჩემი ბებო პელაგია ალექსიძე.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან დედოფალი.

— საყვარელი სახელები?

— გიორგი, ნიკოლოზი, ანასტასია, მარიამი, ელენე.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიბრძოლე და ცბიერებას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ვლადიმერ ლენინი ულიანოვი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— სიკვდილით დასჯის გაუქმება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— ბარდული მუსიკის შექმნა, სიმღერა.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— შეყვარებული.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— „და ისევ მზად ვარ უარეს დღისთვის, თუმცა უკეთეს დღეებზე ვფიქრობ“.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— დროებითი სულმოკლეობა, სიცრუე თავდაცვის მიზნით, უყაირათობა.

— თქვენი დევიზი?

— თავისუფლება პასუხისმგებლობაა.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ვისურვებდი ეთქვა, რა არის ჩემი დანიშნულება ამ ქვეყანაზე.



ზაალ სამადაშვილი

კალამს მიღევენებით დანერილები

სიმაგლო

გვჭირდებოდა სიმბოლო ჩვენითვის და ჩვენი შეხედულებებისთვის და ასეთად ნამდვილად ვერ გამოდგებოდა შუახანს მიტანებული ან ამ ასაკს გადაცილებული პიროვნება მკერდზე ლენინის ან სოციალისტური შრომის გმირის ორდენით. ჩვენი გმირი არც ქცევით, არც ჩაცმულობით, არც ნაწერებით არ უნდა ყოფილიყო „საბჭოთა ადამიანის“ მსგავსი, მითუმეტეს — ბობოლა საბჭოელისა. მას არ უნდა ჰქონოდა შესრულებული ხელისუფლების არცერთი შეკვეთა; არ უნდა ყოფილიყო ისეთი ლიტერატურული ტექსტების ავტორი, რომლებშიც ან ხოტბა ალევინებოდა, ან თუნდაც შემრიგებლური დამოკიდებულება იკვეთებოდა კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ. ის ამოვარდნილი უნდა ყოფილიყო საბჭოური ყოფის დამთრგუნველი ერთფეროვნებიდან; მისი წარმოჩენით და ფარზე აზიდვით უნდა გაღიზიანებულიყვნენ ორდენოსანი მწერლები და არამარტო ისინი...


გურამ რჩეულიშვილზე საუბრის დანეყბა ახალგაზრდა მწერალთა მცირე ჯგუფის ერთ რომელიმე შეხვედრაზე არ დაგეგმილა; მეტიც, აზრად არავის მოსვლია მისი სიმბოლოდ ქცევა მაშინ, როცა ვინმეს უყვებოდა ან ვინმესგან ისმენდა ოცდაექვსი წლის ასაკში დაღუპული მწერლის რომელიმე ფათერაკიან თავგადასავალს, ან იმას, თუ რა განცდებს აღძრავს „ბათარეკა ჭინჭარაულის“ და „უსახელო უფლისციხელის“ კითხვა. სპონტანურად, მისხალ-მისხალ იკრიბებოდა დროსა და სივრცეში გაფანტული, სტუდენტებისა და არტისტების საყვარელ კაფეებსა და ლუდხანებში გახმანებული ამბები, რათა ერთ მშვენიერ დღეს სახელს — გურამ რჩეულიშვილი — ახლობლებისა და მეგობრების მეხსიერებიდან გამოეღწია და დაეწყო სვლა მკითხველებისკენ... უპირველეს ყოვლისა, იმათკენ, ვინც თავად წერდა და ძალიან, მეტი რომ არ შეიძლება, ისე ძალიან არ მოსწონდა იმ პერსონების ცხოვრების წესი, ვისაც მწერლებად მოიხსენიებდა იმდროინდელი ოფიციალიზი...

თაობის გმირი გასული საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში იძერწებოდა და მისმა პოპულარობამ დროის ამ მონაკვეთის მიწურულს მიაღწია ზენიტს. მრავალი ადამიანის მონანიღობით შექმნილმა სურათხატმა ბობოქარ, რევოლუციებითა და ომებით აღსავსე ოთხმოცდაათიანებში დაიწყო გაფერმკრთალება. რომანტიკული, მეამბოხე სულის მქონე ახალგაზრდა კაცი, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო იყო ე. წ. „უძრობის ხანაში“, ისე შთამბეჭდავად ვეღარ გამოიყურებოდა იმ დროს, როცა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი ყინულოვან კლდეებსა და ბობოქარ ტალღებზე კი არა, სასტიკ, სისხლიან დაპირისპირებაზე გადაიოდა, როცა ოცი-ოცდახუთი წლის ბიჭები კბილებამდე შეიარაღებულ მომხვედურებს ეომებოდნენ და, უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულები, გმირულად იღუპებოდნენ...

თუმცა ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ეს მეომრები გურამ რჩეულიშვილის სულიერი შთამომავლები იყვნენ...

ორსაჭიან ველოსიპედთან...

ვარდების მოედანზე, უზარმაზარ, ორსაჭიან ველოსიპედთან მუსიკოსები იკრიბებიან. სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე ინსტრუმენტების ფლერადობას და ხმის გამაძლიერებლის გამართულობას ამონებენ; საპროტესტო კონცერტი აქვთ დაგეგმილი — ოცზე მეტი ჯგუფი და ვოკალისტი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას გამოხს. დაბინდებისთანავე მჭახე ხმებითა და ბგერებით ივსება მოედანი და მისი შემოგარენი; მომცრო პროუქტორებით განათებულ ფიცარნაგზე როკის შემსრულებლები ენაცვლებიან ერთმანეთს — ეს ბუნებრივია და ასეც უნდა იყოს; ისინი ეჩხუბებიან, ისინი ეწინააღმდეგებიან, ისინი



ნი აჯანჯლარებენ, ისინი მოუწოდებენ საზოგადოებას; ისინი ჯაჯლანებენ, ისინი იხეთქავენ ფილტვებს, ისინი ამხელენ სულმოკეობას, სიმხდალეს, სინარბეს და ათას სხვა მანკიერებას. გიტარის სიმებზე ამოძრავებული მათი ნერვიული თითები, მათი გრძელი, მხრებზე ჩამოშლილი თმა, მათი გახეხილი და მუხლებზე გადაგლეჯილი ჯინსები, მაისურები წარწერებით და ნახატებით, უცნაურზე უცნაური, ხშირად ბაბუებისა და მათი მამების სკივრებიდან ამოღებული ქუდები ქმნიან სამყაროს, სადაც ნებისმიერი ასაკისა და ეროვნების ადამიანი, ვისაც თავისუფლება რამედ უღირს, თავს ისე გრძნობს, როგორც მშობლიურ სახლში; თუ დავაზუსტებთ, ბავშვობისდროინდელ, საკუთარ ჭკუაზე მოწყობილ ოთახში, რომლის კედლებზეც ჭიკარტებით არის გაკრული გიტარაზე დახრილი ჯიმი ჰენდრიქსის, თვალბმელუღული ჯენის ჯოპლინის, წელსზევით შიშველი ჯიმი პეიჯისა და სქელულვამა ფრენკ ზაპას მოზრდილი, შავ-თეთრი პლაკატები...

„სამართლიანი“ ნითლავი

საბჭოთა ადამიანებს უყვარდათ ლეგენდების მოყოლა მაღალი რანგის პარტიულ მუშაკებზე, რომლებიც „ჩვეულებრივი“ მოქალაქეებით იქცეოდნენ; დროდადრო ფეხით დადიოდნენ ქუჩებში, შედიოდნენ მაღაზიებში, ეცვათ სადად და ა. შ. ლეგენდების უმეტესობა მთავრდებოდა ამ პატივცემული გვამების მიერ სადმე უსამართლობის აღმოჩენით და მისი ჩამდენის უმკაცრესად დასჯით. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივნის შესახებაც ჰყვებოდნენ ლეგენდას, რომლის თანახმადაც ეს კაცი ციმბირის, ანუ კატორლის გზას უყენებდა გასტრონომის გამ-

ყიდველს — აუცილებლად მსუქან, კოტიტათივებიან კაცს ან ქალს — რომელიც წონაში ატყუებდა, სამასის ნაცვლად ორას ოთხმოც გრამს უწონიდა პატიოსან მოქალაქეს. მეტი დამაჯერებლობისთვის მთხრობელი ასახელებდა გასტრონომს, სადაც ამ ამბავს ან თვითონ, ან მისი ახლობელი შეესწრო და დეტალურად აღწერდა ცეკას მდივნის ტანსაცმელს — ტილოს უბრალო ფეხსაცმელით დაწყებული ტილოსავე გრძელ შარვალზე გადმოშვებული, დიდჯიბებიანი ხალათით დამთავრებული. აღნიშნავდა იმასაც, რომ ოცი გრამი კარაქის ანაჰენა ხორციელდებოდა მუყაოსავით სქელი ქაღალდის მეშვეობით, რომელსაც სასწორზე დებდნენ პროდუქტთან ერთად. შესახვევი ქაღალდის მერკანტილური მიზნით გამოყენების შესახებ მაშხილებელ სტატიებს ბეჭდავდნენ ისეთ ავტორიტეტულ და მრისხანე გამოცემებში, როგორც ოთხგვერდიანი გაზეთი „კომუნისტი“ და მისი სატირული ფილიალი „ნიანგი“ გახლდათ.

ორი ინტელექტუალი

ორი ინტელექტუალი საჯაროდ საუბრობს თბილისთან ახლომდებარე ფერდობებზე შეფენილ, პატარა სოფელზე, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კომუნისტური რეჟიმის დროს დაწინაურებული ადამიანების კეთილდღეობის ერთგვარი სიმბოლო გახლდათ. ეს თემა ჩვენი არცთუ შორეული წარსულის გახსენებისა და განსჯის საშუალებას იძლევა. ოღონდ, როგორც ყოველთვის ისტორიაზე მსჯელობისას, ამ შემთხვევაშიც კარგი მეხსიერება და სიზუსტე საჭირო. საუბრის მონაწილეები ერთსაც ამჟღავნებენ და მეორესაც; ჰყვებიან, როგორ ამკვიდრებდნენ “ნითელი არისტოკრატები” ცრუ სიმბოლოებს, ყალბ ფასეულობებს და როგორ უფასდებოდათ ეს გარჯა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, თუნდაც მინის ნაკვეთებისა და სააგარაკო სახლების ჩუქებით ამ პატარა სოფელში. თუმცა ცოტა ხნის შემდეგ დიალოგს ჩემთვის მოულოდნელი მიმართულებით წარმართავენ და ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლაში დიდი წვლილი სწორედ ამ კასტის, გნებავთ, სოციალური ფენის წარმომადგენელთა შთამომავლებმა, ბობოლა ნითლების შვილებმა და შვილობილებმა შეიტანეს. ეს მოსაზრება მართებულად რომ მივიჩნიოთ, მაშასადამე, ყველას, ვისაც უდიდესი შვება მოუტანა ხალხთა საპრობილის, ბოროტების იმპერიის ნგრევამ, მადლობა აქვს სათქმელი ტყავისქურთუკიანი კომისრებისა და ორდენოსანი ინტელიგენციისათვის; რა უნდა ვიფიქროთ — ოჯახის უმცროს წევრებს თავისუფლების იდეას უწერგავდნენ და პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდნენ ადამიანები, რომლებიც სადღესასწაულო სუფრებს შლიდნენ 7 ნოემბერს და 1 მაისს? გიმნასტიურიანი ბაბუებისა და შრომის ნითელი დროშის ორდენის კავალერი მამების მუხლებზე დასკუპებული ბავშვები ქაქუცა ჩოლოყაშვილის ამბებსა და მიხა ხელაშვილის ლექსებს ისმენდნენ მათგან? ამ ხალხის საბჭოურად მდიდრულ ბინებში არსებული ატმოსფერო რომ არა, კომუნისტურ რეჟიმთან ბრძოლა გაძნელებოდა? ვისაც ვეკამათები, სავარაუდოდ, მიპასუხებენ, რომ ისინი ყველას არ გულისხმობენ და დამისახელებენ მემამბოხეებს, რომლებიც ასეთი ოჯახებიდან გამოვიდნენ. მინდა, მოგახსენოთ, რომ ჩამონათვალი ვრცელი არ იქნება და სიის წევრთა ნონკონფორმისმი და “სხვაგვარად აზროვნება” სულაც არ გახლავთ მამებისა და პაპების დამსახურება, მათი ცხოვრების წესისა და კეთილი შეგონებების შედეგი. ამასთანავე, ისიც უნდა გავიხსენოთ და ვთქვა, რომ გაცილებით ხშირად „საბჭოთა არისტოკრატის“ შთამომავლები თავს გვამახსოვრებდნენ ყავლგასული, დრომოჭმული, საბჭოურ-ფეოდალური ურთიერთობების დაცვით და ამ ურთიერთობების მოშლის შემთხვევაში — რაც ერთხელ ოთხმოციანი წლების მიწურულს, ხოლო მეორედ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში განხორციელდა — მათი რესტავრაციისთვის ნებისმიერი სახის კონფორმაციავზე წასვლით...

საბჭოთა მკითხველი

მგონი, დიდად არ შევცდები, თუკი ვიტყვი, რომ საბჭოთა მწერლებთან ერთად იბადებოდნენ, მათ გვერდით ვითარდებოდნენ და ყალიბდებოდნენ საბჭოთა მკითხველები, რომლებიც გაცილებით გამძლენი და სიცოცხლისუნარიანები აღმოჩნდნენ, ვიდრე თავად მწერლები. მათ მემკვიდრეობითობა შექმნეს, რაზეც მეტყველებს ის, რომ მკითხველთა ამ სახეობის სიმრავლე მხოლოდ ორმოც და ორმოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანებისგან არ შედგება და მასში ახალგაზრდებიც არიან. სწორედ მათგან არის მძიმე მოსასმენი ალფრთოვანებული საუბრები ავტორებზე, რომლებიც მათი ასაკის ნორმალური გემოვნების მქონე მკითხველს არათუ არ უნდა ხიბლავდეს, არამედ საერთოდ არ უნდა აინტერესებდეს, შევეცადოთ, ნაწილობრივ მაინც განვმარტოთ, რას ნიშნავს ტერმინი — “საბჭოთა მკითხველი”. უპირველეს ყოვლისა, ალბათ კლიშეების ერთგულებას, ტრაფარეტულობას, შეფასებისას ზედაპირულობას, ერთ რამეზე ხანგრძლივად დაფიქრების უუნარობას და ცრუპეტულობას, რაც ნაუკითხავ, მაგრამ ყურმოკრულ ნიგნებსა და ავტორებზე რიხიანად, ყელისმოღერებით ლაპარაკში გამოიხატება. ამ ტიპის მკითხველებთან ნაცნობობის არცთუ ხანმოკლე გამოცდილება უფლებას მძლევს, განვაცხადო, რომ მათ ნიგნებთან ურთიერთობის ილუზიის შექმნა უფრო აინტერესებთ, ვიდრე ყველაზე მიმზიდველ, ყველაზე ჩამთრევე ისტორიაში ჩაყურყუმელება. სიტყვა “ნიმტაცია” უნდა ვახსენოთ, რადგან მასზე უკეთ ცოტა რამ ახასიათებს, ცოტა რამ გვიქმნის წარმოდგენას “დიად საბჭოეთზე”. სახელმწიფოში, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა თითქმის ოთხ თაობას მოუწია ცხოვრება, ლამის ყველაფერი იმიტირებული იყო; მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი რამ პიროვნებისთვის, როგორც ინტელექტური შრომა... რაც პირდაპირ კავშირშია განათლებასთან, ცოდნის მიღებასთან, კითხვასთან; თავის მოჩვენება, რეალური ვითარების გამოგონილით ჩანაცვლება, ცრუ წარმოდგენების შექმნა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში გახლდათ აყვანილი; ამას კი, შეუძლებელი იყო, დალი არ დაესვა არათუ ანწყობე, არამედ მომავალზე. ისიც უნდა დავადგინოთ, რას გულისხმობს საბჭოთა მკითხველი, როცა ამბობს, — ესა და ეს ნიგნი ნაკითხული მაქვსო. დიდი ალბათობით იმას, რომ თვალი ყველა გვერდისთვის აქვს გადავლებული, შეუძლია მოკლე შინაარსის მოყოლა, დამახსოვრებული აქვს რამდენიმე ეპიზოდი და თავის გამოჩენის მიზნით ნამდაუნუმ ახსენებს მათ. ამ ადამიანების აზრით, კითხვა აუცილებელია იმისათვის, რომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინო საზოგადოებაზე, ათქმევიწიო მას, — რა ნაკითხი ვინმეაო. დიდი ან მცირე განსაცდელის ჟამს, როცა ნებისმიერი სახის თანადგომა ხდება საჭირო, ამგვარად “ნაკითხ” პერსონას არათუ ეპიზოდი, ერთი კინკლა სტრიქონიც არ ახსენდება გადაბულბულებული ნიგნებიდან და, შესაბამისად, ვერც მხარდაჭერას გრძნობს ლიტერატურისგან...

საბჭოთა მკითხველების რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ იმ ხალხს, ვისაც ნიგნები სერიულბმა ჩაუნაცვლა, ანუ მათ, ვინც ოცი, ოცდაათი, ორმოცი წლის წინათ კითხულობდა და ახლა აღარ კითხულობს. იმ სახეობის მკითხველთაგან განსხვავებით, ვის დახასიათებასაც აქამდე ვცდილობდით, ეს ადამიანები გულწრფელობით, არჩეული ლიტერატურის მიმართ ალალი დამოკიდებულებით გამოირჩევიან. წარსულ დროში იმიტომ არ ვსაუბრობ, რომ დარწმუნებული ვარ, ქალს ან კაცს, რომელიც იასალაშვილისა და დგებუაძის დეტექტიურ რომანებზე ათენებდა ლამებს და ახლა “გაბზარულ გულებსა” და “დამსხვრეულ ოცნებებზეა” გადართული, თუ ჰკითხავ, როგორი ნიგნი იყო “მგლის ბილიკი” ან “განთიადის ვარსკვლავი”, ალმაცერად არ შემოგხედავთ, ტუჩს არ აიბზუებს, ეს რა მაკადრეთ მუზილისა და პრუსტის მოყვარულსო; ტკბილი მოგონებები მოეძალება, გაგიღიმებთ და გიპასუხებთ — ძა-

ლიან კარგით. ასეთი მკითხველი “ჭეშმარიტი” საბჭოთა მკითხველისგან განსხვავებით, ყველა ქვეყანაშია. თავზე ნაცარი არ უნდა წავიყაროთ და არც ეს პატიოსანი ხალხი განვსაჯოთ ძალიან მკაცრად — მდარე ხარისხის ნიგნებით და ასეთივე სერიოზული ტკბობის გამო; უნდა ვიცოდეთ, რომ საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ზუსტად ასე ირჯება ხორბე ლუის ბორხესის, უმბერტო ეკოს და ჟან-კლოდ კარიერის სამშობლოში...

MAMA ROMA

ასაკი და გამოცდილება სხვაგვარად წარმოგვიჩენს სამყაროს და ხდება ისეც, რომ რაიმეს განმეორებით ნაკითხვის ან ნახვის შემდეგ გეუფლება განცდა, თითქოს პირველად ეხები ნიგნის ფურცლებსა, ან კინოფირზე აღბეჭდილ ცხოვრებას. „Mama Roma“ რამდენიმე ათეული წლის წინათ ვნახე კინოს სახლში, ამჯერად კი ფილმს ანა მანიანის მონაწილეობით რომელიც ტელეარხზე ვუყურე. თუმცა იმას, რაც ეკრანზე ხდება ამ მსახიობის გამოჩენისას, უხერხულია მონაწილეობა უწოდო. ის, რეჟისორის მიერ კონსტრუირებულ გარემოში მოქმედებისას, გარდაუვალი ხიფათის განცდას აღვიძრავს და გიბიძგებს მთელი არსებით თანაუგრძნო და უგულშემატკივრო დედას, კინოვარსკვალავთა შორის ყველაზე ღრმა და ტრაგიზმით აღსავსე ქალს, რომელიც ყველაფერს აკეთებს, ყველაფერზე მიდის იმისათვის, რომ გადაარჩინოს და შეინარჩუნოს შვილი — მასავით მარტოობასა და უბადრუკობაში გაზრდილი ბიჭი. ეტორე მალალია და როგორც ყველა მალალი ბიჭი, ცოტა ზანტად, მოთენთილივით მოძრაობს. დაახლოებით ასეთი პლასტიკა ჰქონდა გოგა ფიფიას, ცნობილი ექიმების შთამომავალს და თავადაც ექიმს, რომელსაც ეტორე გაროფოლოსგან განსხვავებით, ნაკლებად გაუმართლა რეჟისორებში. ფილმის ნახვისა და ცხელ გულზე ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ, თაროდან პაზოლინის საკმაოდ სქელტანიანი ნიგნი — “თეორემა” გადმოვიღე და სარჩევში ის თავი მოვძებნე, სადაც „Mama Roma“-ზე საუბრობენ რეჟისორი და მსახიობი. ჩვევა მაქვს ასეთი — ფილმი რომ მომეწონება, რაც კი რამ დაწერილა მის შესახებ — ყველაფერს ვკითხულობ. პაზოლინის და მანიანის დიალოგი რომ წავიკითხე, სადაც საუბარია ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში მსახიობის თამაშზე, კერძოდ, მის გაცინებაზე რეჟისორის მიერ განსაზღვრულ მომენტში, დავრწმუნდი, რომ ყველაფერი, რაც ამ დრამაში მომეწონა, მხოლოდ და მხოლოდ ანა მანიანის შეუპოვრობისა და სიმტკიცის დამსახურებაა. ის ბოლომდე იცავს თავის პოზიციას, რომელსაც შეკითხვით გამოხატავს — რატომ უნდა დავემორჩილო რეჟისორის დრექტივას და რატომ არ უნდა მივყვე გმირის ხასიათს, რომელიც საფუძვლიანად მაქვს გააზრებული და შესისხლხორცებული. მის მიერ განსახიერებულმა როლმა, ჩემი აზრით, დაჩრდილა რეჟისორის თხრობისა და ხატვის სტილი, დამყარებული ნიჭიერი სტატისტიკებით მანიპულირებასა და საგნების ეფექტურად განლაგებაზე ჩაკეტილ თუ ღია სივრცეში...

რეზო ადამიანს გახსენება

რეზო ადამიანსთან არის დაკავშირებული ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა — მთაში წასვლა პირველად. 1974 წელია და ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი. მოგზაურობის მარშრუტი ასეთია: თბილისი — ბარისახო (ავტობუსით); ბარისახო — შატილი (საბარგო მანქანით), შატილიდან კი ანუნთის უღელტეხილის გადალახვით მთათუშეთში ჩასვლა (ფეხით) და გზის გაგრძელება ომალომდე, საიდანაც ჰელიკოპტერები დაფრინ-

ნავენ თელავისკენ. ოთხნი ვართ, რეზო ყველაზე უფროსია, თუმცა მხოლოდ ასაკი არ განაპირობებს მის ლიდერად ცნობას. გარდა იმისა, რომ მთაში სიარულის გამოცდილება აქვს, გონიერებით, თავდაჯერებულობით და ზომიერი სიმკაცრით იმსახურებს უპირატესის როლს. ცოტათი სამხედროსაც ჰგავს, მხარილივ ტყავის ჩანთა აქვს გადაკიდებული გრძელი ლევით და მაჯაზე დიდი, ლამის კომპასისხელა საათი უკეთია; ჩვეულებრივი კი არა, ისეთი, დარტყმასა და წყალში ჩაძირვას რომ უძლებს. ცოტა ხანში დავრწმუნდებით, რომ დროის დასადგენად საათის გარეშეც იოლად გადავს; მთავარია, მზე იყოს ცაზე — მოჭუტავს თვალებს, გახედავს და გეტყვის, რა დროა, ნუთების სიზუსტით. ბარგს თანაბრად გვინანილებს, თითოეულს ოცდაათი კილოგრამის სიმძიმისას; თვითონ უფრო მძიმე ზურგჩანთას იკიდებს. სანამ ქანცი არ გაგვწყდება მტკავლის სიგანე ბილიკებზე ბლოტიალითა და სხვადასხვა სიღრმის წყალში ტოპვით — არ გვასვენებს. დასვენების დროს კი ზურგჩანთების მოხსნას გვაიძულებს, რისი გაკეთებაც ძალიან გვეზარება, რადგან ერთი სული გვაქვს, ნებისმიერ მოსახერხებელ ადგილას მივეგდეთ და გულადმა გადავწვეთ. ჭამის დროს ზომიერებისკენ მოგვიწოდებს და გვიკრძალავს თევზის კონსერვის გადასანსვლის შემდეგ შედედებული რძით სავსე ქილის მოყუდებას. გვთხოვს, რომ სიგარეტიც მასავით მოვნიოთ — სალამოს, იმის მერე, რაც ადგილს შევარჩევთ, კარავს გავშლით და კოცონს დავანთებთ. ბელადად კოცონის ირგვლივ “კრუშკებით” ხელში მსხდომნი მოვისხენიებთ პირველად. ეს სახელი მოგზაურობის მერეც, წლების მანძილზე, მთელი ცხოვრება მიჰყვება რეზოს... ადამიანს, ვისაც არამარტო ჩვენნიარი ლანირაკების დაკაცებისთვის ხელის შეწყობა არგუნა ბედმა, არამედ ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანი რამ — საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანაში მონაწილეობა...

ვერ ვამთავრებ წერას, იმ მოგზაურობის ერთი ეპიზოდი მახსენებს თავს...

არდოტის თავზე რომ დავბანაკდით და საძილე ტომარაში ჩავძვერით, მოულოდნელად შემემცინა და კანკალმა ამიტანა, კბილს კბილზე ისე ვაცემინებდი, რომ ყბების კაპუნმა ბიჭები გააღვიძა. რეზომ შუბლზე ხელი დამადო, თერმომეტრი მოძებნა და გამომიწოდა. მაღალი სიცხე აღმომაჩნდა, ოცდაცხრამეტ გრადუსამდე. ან წყალმა დასცადა, ან ჰაერმაო, თქვა რეზომ და ეგრევე ორი ტაბლეტი ანალგინი გადამაყლაპა. ცოტა ხანში ჟრიალმა გამიარა, ოფლმა დამასხა და ჩამეძინა. დილაადრიან გამეღვიძა, კარავში სამნი ვინეკით, რეზოს საძილე ტომარა ცარიელი იყო. მოვიკითხე და ბიჭებმა მითხრეს, ქვევით, არდოტში ჩავიდა რძის ამოსატანადო. არდოტში ერთი ოჯახი სახლობდა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შევილებით, ორი პატარა ბიჭუნათი. წინა დღეს ვიყავი მათთან, სიპი ქვევით ნაშენ, მიწის იატაკიან სახლში, სადაც შუაეცხელი ენთო და ხის დაბალ ტიხარს მიღმა ძროხა იცოხნებოდა ახალმოთიბულ ბალახს. რძე რად გვინდა-მეთქი, გავიკვირე. ჩვენ არ გვინდა, შენთვის ამოაქვსო, მიპასუხეს. ადგენენ, საძილე ტომრები დააგორგოლავეს; შენ ინეკით, მითხრეს და კარვის კალთები გადასწიეს — მზე შემოახედეს. ცოტა ხანში რეზოც ამოვიდა და მწვანე ლიტრიანით რძე ამოიტანა. სპირტურა აანთო, ქვაბუნა შემოღდა და რძე ააღულა. არ გაცივდეს, არ გაცივდესო, და ლამის ქაფქაფა დამალევიდა. არც მახველებდა და არც არაფერი, რძით რატომ უნდა დამეთუთქა გულ-მუცელი, ვერ ვხვდებოდი. მერე მივხვდი... ხველება-არდახველება არაფერი შუაში იყო, მთავარი ზრუნვა ვახლდათ; ერთი ბიჭისა მეორეზე, როცა ის ერთი პასუხისმგებლობას გრძნობდა მეორის მიმართ, რომელიც გარდა იმისა, რომ სიცხიანი იყო, სამი-ოთხი წლით უმცროსი გახლდათ მასზე. მოგეხსენებათ, რომ სამი-ოთხი წელი დიდ ასაკობრივ სხვაობად ითვლება პირტიტველა ბიჭებს შორის...

ოთარ ჭულუხაძე

მოხუცი მწერალი

კარზე ზარია. ქალბატონი ნანა ნელი, არისტოკრატიული ნაბიჯით ალებს კარს და ეკითხება:

- რომელი ბრძანდებით?
- აი, „ხელოვნება და განათლებიდან“ ვარ, ჟურნალიდან, ბატონ სოსოსთან.
- მობრძანდით, — მოხდენილი მოძრაობით კარი გააღო ქალბატონმა ნანამ.
- ბატონი სოსო სახლშია?
- დიახ, კაბინეტშია. შემობრძანდით.
- კაბინეტი საით არის? — დაიწყო პროფესიული მოვალეობის შესრულება ჟურნალისტმა.
- ქურთუკი გაიხადეთ და პირდაპირ მიბრძანდით.

ბატონი სოსო მრავალმხრივი ხელოვანი გახლდათ: პოეტი, პროზაიკოსი, მხატვარი მოქანდაკე. ერთი ვიოლინო არ სჭერია ხელში, თორემ ხელოვნების თითქმის ყველა დარგში დიდი სახელი ჰქონდა დაგდებული. პრემიებს ნუ იტყვიოთ: ვისაც ოდესმე უწერია, უხატია და ხალხმა მისი სახელობის ჯილდო დაანება, ყველა მიღებული ჰქონდა. ცხოვრებაც მწარე გამოველო: ისეთი, ნიგვნი ნასაკითხად რომაა საინტერესო და რომლისთვისაც თავისი შვილი არავის ემეტება. ათასგვარი თავგადასავალი გადახდენოდა, ათასი სატკივარი, ათასი ჭირი და ათასი ვარამი. ასაკთან ერთად ცოტა ისყრუე და მოთენთილობა შეჰპარვოდა, უეცრად ჩაეძინებოდა ხოლმე. თუმცა ოსტატობის, გამოცდილების, ჩვევის თუ კიდევ ვინ იცის, რისი გამოისობით, ოთხმოცდახუთი წლისაც აგრძელებდა მუშაობას. ახლა წერდა ნიგვს სახელწოდებით: „ფერთა იდუმალი ხმები“.

ამ ნიგვის თაობაზე მოსულიყო თეზი, ოცდასამი წლის ჟურნალისტი, — „ხელოვნება და განათლებაში“ ორი თვის წინათ მიღებული. საპასუხისმგებლო ინტერვიუ ხვდა წილად: ახლა გამოჩნდებოდა, რას წარმოადგენდა. თეზი კალმოსნობას იჩემებდა და ფერთა იდუმალებაზე მეტად მწერლური ხრიკები აინტერესებდა. ვის ნახავდა უკეთესს — ათასგვარი პრემიის ლაურეატს, სიბერისგან ცოტა გამოყრუებულ, მაგრამ მაინც სასურველ რესპონდენტს — სოსო ფილიპას.

— საყვედური უნდა გითხრათ პუნქტუალობის გამო. ოთხ საათზე შევთანხმდით, ახლა კი ხუთის ოცი წუთია, მაგრამ არაუშავს, მოიდგით სკამი და დაბრძანდით, — სიმკაცრე და ლმობიერება ერთდროულად აგრძნობინა ახალგაზრდას.

— დიახ, მართალი ხართ. უბრალოდ... ავტობუსმა დაიგვიანა. — ნახად დაიკნავლა ჟურნალისტმა.

— მაშ, რაზე უნდა ვისაუბროთ?
— თქვენს ნიგვზე და ზოგადად თქვენს შემოქმედებაზე! გვინდა რომ თქვენაირი მნიშვნელოვანი ხელოვანი ჩვენი გაზეთის მნიშვნელოვან ფურცლებზე აისახოს, — ჟურნალისტმა ცნვილად შეაფრქვია სიმკაცრე და ლმობიერება. ოღონდ, გამოუცდელობით, მეტად მოუქნელად კი მოუვიდა. სოსო ფილიპას რას გამოაპარებდი, თუმცა მოხუცები მიმტყველებელი ხალხია. ერთი კია, ახალგაზრდებს სადაც გამოიჭერენ, წარსულის მოგონებებით აავსებენ ხოლმე... ჟურნალისტსაც მეტი რა უნდოდა.

— ყველაფერს თავისი დასაწყისი აქვს და როგორ დაიწყო თქვენი მოღვაწეობა და რომელია თქვენი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები?

სოსო ფილიპა გაცდა. ბევრი ჟურნალისტისთვის მოეყოლა თავისი ცხოვრების შესახებ, მაგრამ ასეთი რამ არავის უკითხავს: რომელია თქვენი ნაწარმოებო. გაიფიქრა: „შე მაცხოვნებულო, რომელიმე გაზეთში ან ჟურნალში წაგეკითხა, რედაქტორისთვის გეკითხა, ბოლო-ბოლო „ინტერნატი“ თუ რაღაც ოხრობაა, იმაში მაინც ჩაგხედა.“ თუმცა წლებმა გაოცება სახემდე არ მიუშვა და მრავალგზის ლაურეატმა დაიწყო:



— ახალგაზრდობიდანვე მიტაცებდა ნიგვების კითხვა და ხატვა. მომწონდა ფიროსმანი, გუდიაშვილი, მონე, მანე... თუმცა ჩემმა მშობლებმა, რატომღაც სპორტულ სკოლაში მიმაბარეს. სწავლით დიდად არ გამოვირჩეოდი, ხშირად ვაცდენდი გაკვეთილებს და ქუჩის მხატვრებს ვაკვირდებოდი. შემდეგ...

თეზი პირდაღებული უყურებდა. ათასგვარი აზრი უტრიალებდა თავში: „რა გენიალურია, რა ამაღლებელია შემოქმედის გზა! ო, ნამდვილი მანქანა! მეც ასეთივე გზას ვავიცილი. ჩემთანაც მოვლენ ახალგაზრდა ჟურნალისტები, მეც ჩემს ამბებს მოვუყვები“. მონაყოლის შინაარსს დიდად არ უგდებდა ყურს. მთავარია, მოხუცი ხელოვანი თავისი ცხოვრების შესახებ ჰყვებოდა, — თეზისთვის ესეც საკმარისი იყო მომავლის ჩიტების ასაფრენად. ბატონ სოსოს რომ ეთქვა, ოცდაოთხი საათი შინ ვიჯექი და ვქსოვდიო, ახალგაზრდა ჟურნალისტის ჩიტებს ეს მაინც ვერ დააფრთხობდა.

— ...აი, ასე დავიწყე! — ხომ იცით, ამ ასაკში მოგონებებით ვცოცხლობთ და ამიტომაც მოგიყვით ამდენი.

— კარგი და სანამ კონკრეტიზაციაზე გადავერთვებით, გვითხარით, რა არის თქვენი ჰობი?

...მეარღნეობა და მეთულუხჩეობა... რა ჰობი, თეზი? პროზაიკოსს, პოეტს, მხატვარს, მოქანდაკეს კიდევ ჰობი უნდა?

— ჩემი რა? — ახლოს მიინია ჩამწერთან, თითქოს მიკროფონი ყოფილიყო და არა დიქტოფონი.

— ჰობი, თქვენი ჰობი?

— იცით, ხელოვნება არის ჩემი ცხოვრებაც, სამსახურიც და ჰობიც.

ჯერ სად ხართ, ბატონო სოსო...

— ახალგაზრდობაში ვინ იყო თქვენი კუმირი-მხატვარი ან კუმირი-მწერალი?

— მხიბლავდა ფიროსმანი, დეგა, მონე, მანე. ჩემს შემოქმედებაზე მათ დიდი გავლენა მოახდინეს. მწერლებიდან კი კავკას, ბაირონსა და გალაკტიონს დავასახელებდი.

— და მათი გავლენა თუ ეტყობა თქვენს შემოქმედებას?

— შეიძლება ასეც ითქვას.

— და რატომ მათ და არა სხვებმა მოახდინეს გავლენა თქვენს შემოქმედებაზე?

— მათთან მეტი სულიერი კავშირის გამო. ხომ იცით, ხელოვანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გავლენებს. თუმცა ინდივიდუალობა არ უნდა დაგვარგოთ.

— ერთი გავლენიდან მეორეში შესვლა როგორ ხდება, როგორც მანქანა შედის ერთი „გარაჟიდან“ მეორეში? — იკითხა საკუთარი შედარებით აღფრთოვანებულმა ჟურნალისტმა.

— რთული სათქმელია. ეს არის კიდევ ხელოვანის იდუმალება.

— ახლა ვის გავლენას განიცდით?

...ცხოვრებისას, თეზი, ცხოვრების გავლენას.

— იცით...

ბედზე ქალბატონი ნანა შემოვიდა და ჩაი მიართვა მოსაუბრეებს.

— დიდი მადლობა, ქალბატონო, — მოატრიალა თავი თეზიმ და ეცადა ბატონი სოსოს სამუშაო ოთახის სხვა ადგილებზე შეეთავლიერებინა. ორ სურათს მოჰკრა თვალი. ერთზე დიდი, დევივით ქალი იყო გამოხატული, მეორეზე კი სომბეროიანი მოხუცი. ექსპრომტად კითხვა მოაფიქრდა და გაუხარდა, რომ ბლოკნოტში, წინასწარ ჩანერილის გარდა რამეს შეეკითხებოდა. ამასობაში ქალბატონმა ნანამ „მადონას“ სერვისის წყვილი ფინჯანი და ლამაზი დიდსულოვნად დადგა მაგიდაზე და ქმარი სატანჯველად დაუტოვა ჟურნალისტს.

— შემასხენეთ, ინტერვიუს ბოლოს ჩემი წიგნი რომ გაჩუქოთ.

— აუცილებლად... ბატონი სოსო, თქვენ გამოცდილი მხატვარი და მწერალი ბრძანდებით და მხატვრობას და მწერლობას შორის რამდენად დიდი განსხვავებაა?

— განსხვავება ბევრია. მწერლობაში უფრო მეტი მუშაობა გინევს. შეიძლება ერთმა არასწორად გამოყენებულმა სიტყვამ მთელი რომანი გაგიფუჭოს. მწერლობა უფრო მრავალფეროვანია, შეიძლება ბევრი თემატიკა გადმოსცე. აი, მხატვრობა კი უფრო ნამიერ, მთლიანობით შთაბეჭდილებაზეა აგებული.

— და თქვენ რომელი გიადვილდებათ?

— რომელი რა? — გულზე ხელი მოიკიდა ბატონმა სოსომ და დიქტოფონისკენ დაიხარა.

— რომელი გიადვილდებათ?

— ასე ვერ ვიტყვი. ახალგაზრდობაში უფრო ხშირად ვხატავდი. შემდეგ დავინწყე წერა, — ძლივს ამოისუნთქა მოხუცმა მწერალმა.

— რა არის ის იდუმალი ძალა, რაც გიბიძგებთ, რომ ნიმუშები შექმნათ?

— ყველა ჭეშმარიტი ხელოვანი იდუმალ აუცილებლობას ატარებს. არაფერს ძალუძს მისგან ხელოვანის განთავისუფლება. იცით, ტოლსტოიმ რა უთხრა ერთ ახალგაზრდა მწერალს? თუ ყოყმანობ, დანერო თუ არა, მაშინ საერთოდ ნუ დანერო (...ისე, ამის თქმისას ტოლსტოის საკუთარი ახალგაზრდობა თუ ახსოვდა, საინტერესოა). ხელოვანს სხვანაირად არ ძალუძს, მისთვის ხელოვნება არის თავისუფლება. თავისუფლება კი, ჰეგელის სიტყვებით, არის შეცნობილი აუცილებლობა. მართალი ყოფილა ჰეგელი: ახლაც, ამ ასაკშიც, ვგრძნობ იდუმალ აუცილებლობას.

— ჰეგელი, მწერალი ხომ? — ბატონი სოსოს სენტიმენტები ნაგავში გადაყარა ჟურნალისტმა.

— ჰეგელი გერმანელი ფილოსოფოსი გახლდათ, — ოდნავ მკაცრად მიუგო მოხუცმა მწერალმა.

— უი ხო, ტოლსტოიც ხომ მწერალი იყო და ვიფიქრე... — თავი იმართლა დაბნეულმა და ბლოკნოტში ჰეგელის გვარი ჩაიწინა.

მოხუცმა სევდიანად გაიღიმა და ღრმად ამოისუნთქა.

— დღევანდელ ქართულ მწერლობაზე რას იტყვით?

— სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოში ერთი მთავარი რამ ავინყდებათ: წიგნი ადამიანებისთვის იწერება და არა ერთი ადამიანისთვის.

თეზის ესაიამოვნა ეს ნათქვამი, თუმცა შინაარსში წვდომა სამომავლოდ გადადო.

— მოდით ახლა თქვენს წიგნზე ვისაუბროთ... ამ ასაკში როგორ პოულობთ მუშაობისთვის ძალას?

— ჩემი წიგნი ფერებზეა. ის გოეთეს ფერთა თეორიის ერთგვარი გამოძახილია. ასეა, სიბერეში თეორეტიკოსობაც დავინწყე.


„ოოოო... გოეთესია ფერთა თეორია? ეს კი უნდა მცოდნოდა.“ — გაიფიქრა ჟურნალისტმა და ბლოკნოტში „ფერთა თეორიას“ „ჰეგელის“ გვერდით მიუჩინა ადგილი.

კიდევ დიდხანს აწვალა ახალგაზრდამ მოხუცი, კუთხეში მიყენებული მოკრივესავით. ხან მარჯვნიდან მიუდგა, ხან მარცხნიდან: „თქვენი საყვარელი მწერალი?“ „ისტორიული გმირი?“ „რომელი ფერი მოგწონთ და რატომ?“ „რა ფერის კალმით წერთ?“ „ლექსიკონებს ხშირად იყენებთ?“ „შედარებებს წინასწარ ინიშნავთ თუ შემოქმედებითი წვისას მოგდით აზრად?“ „ყოველდღე წერთ?“...

— ...კონკრეტულად რომელ სამწერლო მეთოდებს იყენებთ?

— იცით... — დაღლილმა, გაჯავრებულმა ბატონმა სოსომ ველარ მითმინა, — გეცოდინებათ, წიგნი ადამიანის მეგობარია. გყავთ მეგობრები? რა მნიშვნელობა აქვს, როგორ არიან შექმნილი? მთავარია, რომ ისინი არსებობენ და ცხოვრების მეგზურობას გვინევენ!

— რა თქმა უნდა, — ოდნავაც არ დაიბნა ჟურნალისტი, — მაგრამ უცხოურ სიტყვებს ხშირად იყენებთ რომანში?



მხატვარი გევა პაქსაშვილი

— კარგი, რადგან არ მეშვებთ... აი, მაგალითად გუშინ ადილურ ენაზე „მადლობა“ ჩავინიშნე, — ფურცლის ნაგლეჯი უჩვენა, სადაც მიჯღაბნილი იყო — „თხაუეგეხეუ“... — ეს უკვე ბოლო დარტყმა იყო. მოხუცმა ხელოვანმა თეთრი პირსახოცი გადმოფინა, — კარგი, ამით დავასრულოთ.

დაასრულეს. თეზის ჩიტებმა სხვა ხმაზე დაიწყეს ჟღეროვნა: თურმე მთავარია ჰეგელი გქონდეს ნაკითხული, ერთი-ორი ჩანიშვნა გააკეთო და მწერალი ხარ უკვე. ოღონდ თეზი ამ გამოყრუებული ფილიპისავით კი არ დაეხტება ქუჩა-ქუჩა, ის უკვე ჟურნალისტი და სერიოზულადაც საქმიანობს. ადრე თუ გვიან მასთანაც მივლენ ახალგაზრდები და ხელებს დაუოცნიან. „ოჰ, მასტრო, თეზი!“ — რა შესანიშნავად ჟღერს! ნუ მანამდე უნდა მოითმინოს, მაგრამ ეს დროის ამბავია! ჟურნალისტს „ნამდვილი მანქანოსთვის“ წიგნის გამორთმევაც დაავინყდა.

თეზი დაემშვიდობა ბატონ სოსოს, მის მეუღლეს, და აღფრთოვანებული გაეშურა სტატიის გასამზადებლად.

....

მეორე დღეს ახალგაზრდა ჟურნალისტი რედაქციაში სახეგაბრწყინებული გამოცხადდა.

— როგორ ჩაიარა ინტერვიუმ, თენგიზ? — კითხა საქმეში გართულმა რედაქტორმა.

— კარგად. მშვენივრად. აი, ინებეთ. — ისეთი სიფრთხილით გაუნოდა ნაბეჭდი, თითქოს სტატია კი არა, ბროლის ვაზა ყოფილიყო.

რედაქტორი პროფესიული აუზღვრევლობით შეუდგა კითხვას. სახე თანდათან ეჭმუხნებოდა. წითელი პასტა არ ჩერდებოდა: აქეთ — შინაარსი და მორფოლოგია, იქით — სინტაქსი და პუნქტუაცია.

— ამდენი „მოხუცი“ რა ამბავია, თენგიზ? — შეეკითხა რედაქტორი — „მოხუცი მწერალი საუბრობს ხელოვნებაზე“, „სოსო ფილიპია თავის ასაკში კვლავ ინარჩუნებს სიმხვევს“.

— აქ ის უნდა გამომეკვიათა, რომ... — ობოლი ლეკვივით დაინკმუტუნა გუშინ ბატონი სოსოს ნოკაუტში ჩამგდებმა.

— არ ვარგა, თენგიზ! ნომერს მიფუტებ, ნომერს მიფუტებ. დღეს სალამოს სტამბაში მაქვს ჩასაბარებელი.

— კი, მაგრამ... —

— რა „მაგრამ“? — უკან არ დაიხია გაცხარებულმა რედაქტორმა, — ეს რალამ დაგანერინა: „სოსო ფილიპია შემოქმედების მწვერვალებს სიბერეში იპყრობს!“ ან ეს: „ინტერვიუ ბატონი სოსოს მეუღლის შემოტანილმა ჩაიმ შეგვანყვეტინა!“ რაში აინტერესებს მკითხველს, ჩაი დალიე თუ ყავა?

— ასე ხომ მეტი სიუჟეტურობა ჩანს, — ძლივს ამოიკნავლა თენგიზმა.

— არა, რა! ნომერს მიფუტებ, ნომერს მიფუტებ... თეზი განბილბული და თავჩაქინდრული უსმენდა რედაქტორს. მომავლის ჩიტები ანმყოს საფანტმა დააფრთხო. უფრნალისტი შეუმჩნევლად დაემშვიდობა ყველას და ოთახიდან გაიძუნა...

რედაქტორმა ის ორი გვერდი მაინც შეავსო:

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მწუხარებით იტყობინება, რომ გუშინ სალამოს რვა საათზე გულის შეტევით გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი მხატვარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოსო ფილიპია. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული ხელოვნების წინაშე. მის კალამს ეკუთვნის...“

გაბრიელ ჯაბუშანურის ამ წერილს, რომელიც პირველად ქვეყნდება, სამწუხაროდ შედეგი არ მოჰყოლია - „რჩეული“ არ დაბეჭდილა! უკვე მძიმე სენით დაავადებულ, ხელმოკლედ მცხოვრებ და უბინაო პოეტისთვის ძლიერსა ამა ქვეყნისათა არ ეცალა!

მეტიც, მოგვიანებით, 1987 წელს გამოცემულ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ (მთავარი რედაქტორი ირ. აბაშიძე) მე-11 ტომში დაბა ურეკის სანერგე საბჭოთა მეურნეობის დირექტორ ვასილ ჯაბუასა და შორეულ ტანზანიაში, კლიმანჯაროს მთის კალთებზე მცხოვრებ ხალხთა ტომ „ჯაგას“ შორის გაბრიელ ჯაბუშანურისთვის ადგილი ვერ მოიძებნა.

გაბუა ალუაშირი

ბარათი ირაკლი აბაშიძეს

30 მაისი 1963 წელი. თბილისი

ჩემო ძვირფასო ირაკლი!

მაპატიე, რომ შინ განუხებ! ნუ გადაადგებ ამ წერილს და ბოლომდე ჩაიკითხე. გუშინ ჯერ დევისთან და მერე შენთან ვიყავი: ჩემი რჩეული ლექსების გამოცემის საქმე წინ ოდნავადაც არ წანულა... დევი მწერალთა კავშირზე და გამომცემლობაზე მითითებს, თქვენ დევიზე და ამრიგად, - ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისათვის, - ჩემს გარშემო თითქოს მოჯადოებული წრე იკვრება. მთელი ეს ღამე ვფიქრობდი და თვალი არ მომიხუჭავს. ახლა, გარიჟრაჟის წინ, ავდექი და შენთან ამ წერილის წერა დავიწყე. უყურადღებობას, რა თქმა უნდა, ვერ დაგაყვედრი, ბოლოს და ბოლოს რამდენი მოდის შენთან ჩემდაგვარი თხოვნით, მაგრამ მე მაინც მინდა ჩემი საქმე უფრო ნათელი გახდეს, როგორც შენთვის, ასევე ჩემთვისაც.

დღეს დევი ცივად და გაკვირვებულად შემხვდა. მისი ქცევა და მზერა თითქოს ამბობდა: ვინ ხარ, რა ხარ, რა გინდა ჩემგან? მას წინდანიწვე მოხსენდა, რა საქმეზედაც ვიყავი მისული და ამიტომ საუბარიც პირდაპირ წიგნის თაობაზე დაიწყო. ცივი შეხვედრით წყალგადასხმულს, აღარც მე მიმიცია მისთვის ჩემი განცხადება, სადაც ჩემი ამბავი ეწერა. ავდექი და წამოვედი. ანდა რა უნდა ეთქვა დევის? ის, ალბათ, არც ერთ ჩემს წიგნს არ იცნობს, მან არც ჩემი ცხოვრებისეული გზა იცის და მაშ, ვინა ხარ შენ, რომ მოდიხარ და რჩეული ლექსების გამოცემას თხოულობ? მით უმეტეს, რომ არც მწერალთა კავშირისგან გაქვს რაიმე საბუთი, რომ შენ ღირსი ხარ გამოგიცენ ზემოდასახელებული სახის წიგნი! ძვირფასო ირაკლი, მე მგონია, რომ ძალღის თავი სწორედ აქ არის დამარხული: რალა ცეკა და მე ასე მგონია, არც მწერალთა კავშირის სამდივნოს, პრეზიდიუმის თუ გამგეობის წევრები იცნობენ სათანადოდ ჩემს შემოქმედებას. მიზეზი ცხადია: ჩემი მთავი განდგომა და აქედან გამომდინარე შედეგები. მეც სწორედ ამიტომ მინდა ამ წყეული რჩეული ლექსების მოზრდილი წიგნის გამოცემა, რათა ქართველ მკითხველს წარვუდგე ქართულ ლექსზე ჩემი ოცდაათი

წლის მუშაობის ანგარიშით. მაგრამ აქ კვლავ დგება დაბრკოლება: ყველა მწერალს ხომ არ ენიჭება უფლება მოითხოვოს მისი რჩეულის გამოცემა! ზოგი მწერალი ამის ღირსი არ არის და აი აქ, ძვირფასო ირაკლი, მე მგონია, რომ ჩემი შემოქმედებით მე ამის ღირსი ვარ! არა, ეს არ არის, - რუსები რომ იტყვიან, — **самомнение**, — ეს არის გარე ლიტერატურულ ატმოსფეროზე დაკვირვების შემდეგ მიღებული განსჯის შედეგი. მართალია, ეს 23 წელიწადი მე ხევსურეთში ვავატარე, მაგრამ ცოდნისადმი ყოველთვის დახარბებული ვიყავი და ბევრს ვმუშაობდი და ვმუშაობ საკუთარ თავზე. ამდენად, ასე თუ ისე, ლიტერატურულ საქმეებში ორიენტირება შემიძლია და ჩემს თავს ამ საკითხში კომპეტენტურად ვთვლი. ამიტომ, ძვირფასო ირაკლი, მე ჩემს თავს უფლებას ვაძლევ განვაცხადო, ჩემი რჩეული ლექსების წიგნი არაფრით არ იქნება ნაკლები იმ რჩეულებზე თუ ერთტომეულებზე, რაც ჩემი და მომდევნო თაობის პოეტებმა გამოსცეს. მაგრამ ეს ხომ ლიტონი სიტყვააო - იტყვი შენ. მართალია, ეს ჯერჯერობით ასეა. ალბათ ამიტომაცაა, რომ შენ, ძვირფასო ირაკლი, ჩემი რჩეულის გამოცემას არცთუ გულმხურვალედ ეკიდები, თორემ შენ რომ მოინდომო, ყველაფერს გააკეთებ, ხოლო ეს მონდომებაც კი, ცხადია, მყარ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. და აი, მე გადავწყვიტე ვცადო, რათა შენ საფუძველი გქონდეს ჩემზე თავისი გაგლენიანი სიტყვა თამამად ეთქვა, სადაც კი საჭირო იქნება. თუ ამ ცდამ შედეგი არ გამოიღო, მეც მოვისვენებ და შენც და ამით გათავდები. ასეთი რამე მწადია: მე შევადგენ ჩემი რჩეული ლექსების წიგნს 10000 სტრიქონის მოცულობით, გადავაბეჭდინებ მანქანაზე და წარმოგიდგენ. ნუ გეშინია, - შენ არ წავაკითხებ. სამდივნომ გამომიყოს ორი, თუნდაც სამი ჭკვიანი, სანდო და ობიექტური კაცი, რომელიც ჩემს ხელნაწერს წაიკითხავს და თავის პირუთვნელ მსჯავრს ასევე პირუთვნელად და პირდაპირ იტყვის. მეც მეტი არაფერი მინდა.

გამიკეთე, ჩემო ირაკლი ეს საქმე! სამშაბათს გნახავ და შევთანხმდეთ. სანამ ეს არ გაკეთდება, დევისთან თქვენი შუამდგომლობით წასვლა, მე მგონია, არაფერ შედეგს არ მოიტანს. დამეხმარე, ირაკლი!

ერთხელ კიდევ ვიხდი ბოდიშს, რომ შინ განუხებ. წერილის გამოგ ზავნა მეჩქარება და ამიტომ ვეღარც მეორედ გადავწერ ახლა მას. გარიჟრაჟა. დავილაღე.

ღრმა პატივისცემით

გაბრიელ ჯაბუშანური

ელგუჯა თავბერიძე თბილისური ცივზამთარი

(კიდევ ერთხელ
ანდრეი ბაკატოვის
სამოგზაურო ნარკვევაზე)

რუსუდან ქუთათელაძესა და მზია ჯაფარიძეს („ჩვენი მწერლობა“ — 22 აგვისტო, 2014 წელი) კარგად ნაუკითხავთ ანდრეი ბეკეტოვის დამოკიდებულება, მსჯავრიც სათანადო გამოუტანიათ — საქართველოში საუკუნენახევარზე მეტი ხნის წინათ ნამსახურ რუს ჩინოვიკს, არც მეტი, არც ნაკლები საქართველო უქართველებოდ, უფრო მეტიც, რუსებით დასახლებულ ტერიტორიად უნდოდა ქცეულიყო.

ხომ არ ვაჭარბებთ? სამოგზაურო ხასიათის ნარკვევში „თბილისი და მისი შემოგარენი“ („ჩვენი მწერლობა“ 13 ივნისი, 2014 წელი) რომ ჰქვია, რა უნდა ეთქვა მაშინდელი თბილისის გიმნაზიის მასწავლებლებს ისეთი, ამგვარი შთაბეჭდილება რომ დაგვრჩენოდა?! რაც თქვა, ჩინებულად გამოხატა ორმა ქალბატონმა, რომელთაც სავესებით ვეთანხმებით. მათივე მოსაზრებათა გასამტკიცებლად ბეკეტოვის ტექსტის რამდენიმე მონაკვეთსაც შევასხენებ მკითხველს.

თავიდანვე დამაბნია ანდრეი ბეკეტოვის განცხადებამ, აი, რას წერს: „ამიერკავკასიაში მოგზაურობა კერძო პირისთვის არც ისე იოლია. უვარგისი გზები, საკმაოდ დიდი, აუცილებელი ხარჯები, თან ბევრი ისეთი რამ, რაც უსათუოდ გჭირდება და აქ ფულით ვერ იშოვი. გარდა ამისა, უსათუოდ ბადრაგიც უნდა გყავდეს.“

ჯერ ერთი, არა მგონია, ამიერკავკასიაში მოგზაურობა რუსეთში მოგზაურობაზე ძვირი ყოფილიყო, და მეორეც, რას გულისხმობს იმ ფრაზაში: რაც უსათუოდ გჭირდება და აქ ფულით ვერ იშოვი? — უბადრაგოდ ვერ იმოგზაურებო, — წერს და ერთხელაც არსად ახსენებს, ტყეში, ღრეში, დღისით, ღამით ბადრაგი რომ ახლდა. თბილისში „საკმაოდ ცივი ზამთარი იცისო“, ამბობს. რა, რუსულზე ცივია ჩვენებური ზამთარი? ამას წერს ჩრდილოეთიდან ჩამოხეტებული, უმკაცრესი კლიმატური პირობების ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი კაცი. ბეკეტოვს, ალბათ, მკათათვის პაპანება უნდოდა იანვარში და ამიტომ ერგებოდა თბილისური ზამთარი ცივად, თორემ მშობლიურისთვის რომ მიედარებინა, ასე არ იტყოდა. რატომ თქვა? ცუდი უნდოდა ეთქვა და შანსი ხელიდან არ გაუშვა.

„თუ გინდათ თავი პირდაპირ ჯურღმულში არ ამოყოთ, გირჩევთ, მოერიდოთ ღამით ამ ქუჩებში სიარულსო.“ თბილისურ ქუჩებზეა საუბარი. ვინ ეხვეწებოდა ღამით იარეო. და მთავარი, — ქართველებს ყველაფერი ნაართვეს, დაიპყრეს, დაიმონეს და მამაცხონებულებს ქუჩა მინც მოენცრიგებინათ ძალით ნაგლევილ ქვეყანაში. კონსტანტინე ოლდენბურგი იმას შეეწუხებინა, რა ქალაქია ეს ქუთაისი, დღეში ათასი მანეთის დახარჯვა არ შეიძლებაო, ბეკეტოვი კიდევ იმას ჩიოდა: ამიერკავკასიაში მოგზაურობა ხარჯიანიაო. ვინ შეემუდარა — ჩამოდიო, ან მას, ან მისნაირებს?!

ეს მონაკვეთიც ვნახოთ:

„ხშირად ჩრდილოეთის ან ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი უბერავს, მტვრის კორიანტელს აყენებს და მინას ფიტავს. განსაკუთრებით მშრალი და სულის შემხუთავი სამხრეთ-

აღმოსავლეთის ქარია. სამხრეთის და დასავლეთის ქარებს წვიმა მოსდევს, სამხრეთ-დასავლეთისას ჭექა-ქუხილი და თავსება, რის შემდეგაც ქალაქში ჭუჭყიანი წყლის ნიაღვრები მიედინება“.

ყველანაირი ქარი ჩამოთვალა, ყველას რალაც უბედურება მოჰქონდა თურმე, მოკლედ, ქარო, დადექ და დაგვიანდიო, უნდა ეძახათ თბილისელებს, თორემ ბეკეტოვის სასურველი ტაროსი არ იქნებოდა მათ ქალაქში.

ტექსტის ნებისმიერი ფრაზა შეიძლება გააანალიზო, დაკვირვებისთანავე ჩანვდე ავტორის დამოკიდებულებას, არც ქართველები, არც საქართველო უყვარს. რუსუდან ქუთათელაძემ და მზია ჯაფარიძემ დამაჯერებლად ნათელყვეს „ბოტანიკის მამისა“ და ერთ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის, დედის მხრიდან ბლოკის ბაბუის პოზიცია, რომლის ბაგეებს ხანდახან სიმართლევც დაცდებოდა ხოლმე, რაც, ბუნებრივია, საერთო განწყობილებას ვერ გააქარწყლებს:

„ცხელი, ჩახუთული ზაფხულისა და ხშირად უსიამოვნო ზამთრის მიუხედავად, თბილისი მაინც ლამაზი და თვალწარმტაცია თავისი ადგილმდებარეობითა თუ შენობა-ნაგებობების მრავალფეროვნებით. მუდამ ხმაურიანი მტკვარი, უსწორმასწორო, დაშრეებული ფლატეები, თალრად გამოკვეთული ვაზის ფართო ფანჩატურები, ჯორისა და აქლემის ქარავნები, ჭრელი, მოზუბუნე ბაზარი და ხალხის ხალისიანი ლაპარაკი...“

ეს ციტატა იმისათვისაც მოვიხმეთ, თარგმანის ჩინებულობა რომ გვეჩვენებინა. გამომხაურების ავტორებიც წერენ, ლილი მჭედლიშვილს დედანთან მაქსიმალურად დაახლოებული ტექსტი რომ შეუქმნია. იმასაც ვიტყვით, ასეთი ნაწარმოებები ხშირად უნდა ითარგმნოს, დღევანდელმა (რუსული თითქმის რომ არ იცის) და მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რას წერდნენ, როგორი სულისკვეთებით უდგებოდა დამპყრობელი ქვეყნის ერთი გამოჩენილი ინტელიგენტი აქაოსას.

ფიქრობ, ემზარ კვიტაიშვილმაც ამიტომ ნაუმიძლვარა რამდენიმე სიტყვა თარგმანს, სადაც გვითხრა ვინ იყო ავტორი, რა დაწერა, სად დაიბეჭდა, თხრობის არაჩვეულებრივი ნიჭი რომ გააჩნდა და მისთანანი.

ბეკეტოვს მანგლისისა და თეთრწყაროს ჰავაზე უმეტეს ის ხიბლავდა, იქ რუსი ჯარისკაცები რომ სახლობდნენ.

„მანგლისიც და თეთრწყაროც დაბაა, ერთმანეთის მიყოლებით, ლამაზად ჩამწკრივებული პატარა, თეთრი, ქათქათა სახლებით, სადაც ჯარისკაცები თავისი ოჯახებით ცხოვრობენ, აქვთ დიდი ბაღები და ჰყავთ მრავალრიცხოვანი საქონელი“.

ეს სახლები ლამაზი და ქათქათა თეთრი იმიტომაცა, მათში რუსი ჯარისკაცები რომ სახლობენ.

რუსია ბეკეტოვი, იმპერიული აზროვნებით გამსჭვალული რუსი, რომელსაც უნდა არცერთი ხელი არ ჰქონდეს (ალბათ ამიტომ იხსენებს ვინმე ჩ-სთვის, რომელიც მკვდარი ეგონათ ლეკებს, ორივე მაჯის მოჭრის ამბავს) ქართველს, თორემ ისიც მშვენივრად უწყის, დადგება ჟამი და ცალხელაც გადარეკავს დაუპატიჟებლად მისულ მომხდურებს კავკასიონს გადაღმა.

ნარკვევის ბოლო სტრიქონები ჩემთვის ძალიან ბუნებრივია და მისაღები: კაცი სამშობლოში მიდის, მიდის და მიუხარია. „რაც უფრო წინ მიდიხარ, სტეპი უფრო გამლილი და უკიდევანოა, მთები თანდათან ფერმკრთალდება. ღრუბლის უფორმო, ნაცრისფერ მასად ქცეული შორს სივრცეში ინთქმება, ყაზბეგს უკანასკნელად ემშვიდობები და უკან აღარ იყურები — უკან ყაზბეგის ლანდი აღარ ჩანს“

ის, ანდრეი ბეკეტოვი ვეღარ მოიხედავს, მაგრამ მისი შთამომავალნიც ნუ მოახედოს გამჩენმა ნულარასდროს.



დალილა ბედიანიძე

ერთგულება და უდრტივინელობა. აი, ის თვისებები, რითაც გამოირჩევა დალილა ბედიანიძე, როგორც პოეტი, ლიტერატორი და მოქალაქე.

ერთგულება ტრადიციისადმი და უდრტივინელობა შეჭირვებათა მიმართ.

მის ლექსებში ერთმანეთს ერწყმის სუბიექტური მრწამსი და კოლექტიური ნააზრევი, დიფუზიურ ერთიანობას ჰქმნის ლიტერატურა და ფოლკლორი, ნაკითხული და გაგონილი, სიტყვა კაზმული და სიტყვა წარმოთქმული. ალბათ ეს არის წონასწორობის ერთგვარი წესი, სტილისტური ფორმულა, ინდივიდუალობის ნიშანი.

დალილა ბედიანიძე შესანიშნავად ფლობს სალექსო ტექნიკას, თავისუფლად ახერხებს შინაარსის შესაბამისი ფორმის მოძებნას. შინაგანად წრფელი და უშუალოა, გარეგნულად — დამაჯერებელი, სანდოობის მაღალი ხარისხით.

მისი გამოცდილების მქონე პოეტს უფლება აქვს იყოს თამამი სამყაროსთან მიმართებით და ბუნებასა და მის წრებრუნვაში თავი ისე იგრძნოს, როგორც მშობლიურ სახლში, როგორც სიცოცხლის კანონიკურ რკალში, სადაც განდობილის გულწრფელობით იტყვის: „სულგანაბული ვაყურადებ, როგორ შემოდის ჩემში გაზაფხული, როგორ სკდება სულის რტოებზე კვირტები, როგორ დგება ვაზში წვენი...“

რაც შეეხება სათქმელს, არც ამ მხრივ აქვს გასაჭირი. თემების ძებნა და გამოგონება არ სჭირდება. ცხოვრების ყველა წვრილმანში პოეზიის საგანს ხედავს. ყველა მოვლენაში განზოგადების მიზეზს პოულობს. სათქმელი არ ელევა, რადგან სიცოცხლეს მრავალი ფერით, მრავალგვარობით შეიგრძნობს, შთაგონებითა და წარმოსახვით მთლიანად არის ჩართული ცხოვრების მდინარეებაში.

მართალია, მის ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ არის, როგორც სურს ან როგორც იმსახურებს, მაგრამ ძლიერია მასში სიცოცხლის დვრიტა, არ ელევა სულიერი საფანელი, რომელიც პოეტური ენერგიიდან აქვს გამოსწორული.

ლექსი, როგორც სიცოცხლის წყურვილი, ლექსი, როგორც გადარჩენა.

* * *

ასეა, ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზი ის არის. ღრუბელი წვიმას მიუყვანს მზეს, დაკოდილი ისარით.

რას გამოვრჩებით სიძულვილს! მთავარი სიყვარულია ქველის და ძმად შეფიცულის, სულ სიკეთე რომ სწყურია.

აქვე ვახსენოთ ტრფიალიც, ამურის ისრის საქმენი, ლელვა და გულისფრიალი სახეზე გამოწაფენი.

ო, ღმერთო, ნუ დამამორებ ვინც მიყვარს, ვისაც ვუყვარვარ. რა ახლოა და რა სწორე მიზეზი ჩემთა გულყრათა.

ვისაც ვინ უყვარს, თქმულია, ის არის მისი ლამაზი. განა ქვა არის, გულია დაჭრილი ისრით სამასით.

* * *

ჩემი პოეტი ძმები... ჩემი პოეტი დები... სალექსოდ აღვიძვრებით, ლექსში ერთმანეთს ვხვდებით.

სხვას არვის ესმის ჩვენი, ჩვენ გვესმის ერთმანეთის და ერთმანეთი გვშვენის მაღლით, წყალობით ღმერთის.

ერთურთი გვიხარია, გვეამაყება, გვიყვარს. ჩვენთვის სულ მზის ხანია, მზეს ვამსახურებთ სიტყვას.

მხარში ვუდგავართ ერთურთს და ერთმანეთი გაგვაქვს. ყვავილია, ან ხე — თუ, ანდა — საერთო ცა გვაქვს.

ვიფრინოთ, ვილაღობოთ, მტერს დავუყენოთ თვალი. ჩვენი ბალები ვლობოთ, რომ ყვავის უფლის ძალით.

ყველა ვართ მუზის მრევლი, ერთიმეორის მჯობი, არ გვემინია წყევლის და არც — დევების ჯოგის.

ჩემი პოეტი ძმები... ჩემი პოეტი დები... შეკრული, როგორც ძნები ერთმანეთს ლექსში ვხვდებით.

* * *

რამდენი რამ მაქვს სათქმელი, ვდუმვარ კი, როგორც თევზი და ჩემი სანთელ-საკმეველით უფლისკენა მაქვს გეზი.

რამდენი ვინმე მიყვარდა, მაგრამ სულ მარტო დავრჩი. მახსოვს, გზა უფალს მიყავდა ცისაკენ ღრუბლის ფარჩით.

ერთხელ მეც ვიყავ ლამაზი, ოდესღაც ბევრში ვჩანდი. როგორც მუსულმანს — ნამაზი, მე მიყვარს ჟღერა ჩანგის.

ზოგჯერ გამოდის საქმენი, ზოგჯერ კი ვაღწევ ვერრას. რამდენი რამ მაქვს სათქმელი და გულში ვიკლავ ჯერაც.

ღმერთო, ამიხსენ ბაგენი, რომ ვკრა ბედაურს დეზი და სიჩუმით გულნატკენი არ ვდუმდე, როგორც თევზი!

* * *

სუნდუკიანის ქუჩა — ჩემი ბავშვობის ბინა. ბავშვობის მოგონებებს ამ მისამართზე სძინავთ.

ბუდიდან აფრენილი ბარტყი ვარ პანანინა. სუნდუკიანის ქუჩა — ჩემი ბავშვობის ბინა.

და ჩვენი ეზო მცირე კვლავ ძველებურად ბრწყინავს სუნდუკიანის ქუჩა — ჩემი ბავშვობის ბინა.

მე ყველაფერი მახსოვს რა როგორ იყო წინათ. სუნდუკიანის ქუჩა — ჩემი ბავშვობის ბინა.

მომენატრება ბევრჯერ აქ ბინადრობდა ვინაც, სუნდუკიანის ქუჩა — ჩემი ბავშვობის ბინა.

ახლა სულ სხვაგან ვცხოვრობ, მაგრამ აქ მომეწყინა... სუნდუკიანის ქუჩა — ჩემი ბავშვობის ბინა.

და რამდენჯერაც ვნახავ, ბავშვობა მიბრუნდება. ო, მოგონებავ, რა ხარ! დე, იყოს შენი ნება!

ბედმა მატარა ბევრი,
ბოლოს დავბრუნდი შინა...
სუნდუკიანის ქუჩა —
ჩემი ბავშვობის ბინა.

* * *

დრო მქონდა, ნამდვილად მქონდა,
აქ მქონდა — ახალი კაბის ჯიბეში
თეატრში შესასვლელი ბილეთით მედო,
მაგრამ ვერ გავიგე, სად დამეკარგა,
რას ამოვაყოლე, რას გადავაყოლე.
ბავშვი ნაზანს გადავაყოლესო, ნათქვამია.
ო, როგორ მტკივა დაკარგული დრო, მხარში რომ მედგა,
რომელიც მომტყდა, როგორც მხარი,
რადგან დარდის კიბეზე ჩამოვგორდი
და ბოლო საფეხურამდე სული ძლივს მიმყვა.
რა მდიდარი ვყოფილვარ, როცა დრო მქონდა.
იანცა და გამეპარა.
საცაა სპექტაკლი დაიწყება,
მე კი თეატრის შესასვლელთან ვწრიალებ.
უბილეთობის გამო —
იქნებ, მოკეთე გამომიჩნდეს,
რომელსაც ჩემთვის თავისი დრო არ დაენანება
და მიწილადებს — ადგილს გამიყოფს დროს რომ მიუჩინა.
სად წავიდა ჩემი დრო, სად დაიკარგა?
დროს უკან ვინ დამიბრუნებს,
როგორც გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი
ბრუნდება?

დრო მქონდა. ერთი დრო ჩემი იყო — კაბაც ახალი იყო.
და ნეტავ იმას, ვინც ჩემს დაკარგულ დროს იპოვის
და გააგრძელებს!
რა მდიდარი იქნება!
მე ვარ ლატაკი — არავითარი დრო აღარ გამაჩნია!

* * *

ლმერთო, მომეცი იმ წვეთის ძალა,
ქვას რომ გახვრეტს და გააცოცხლებს!
ლმერთო, მომეცი ძალა, რათა
ზღვა კოვზით დავლიო და წყურვილი მოვიკლა!
ლმერთო, მომეცი ძალა, რათა
ტკივილებს სიტყვით გაფუმკლავდე და
ავადმყოფები სიტყვით განვკურნო,
რამეთუ სიტყვა ის განძია,
რომელსაც ყველა ვერ მოიპოვებს
და თუ დაკარგე მოპოვებული,
უკან აღარ დაგიბრუნდება.
ქათამი წყალს რომ დალევს,
შენ ამოგხედავს, ლმერთო!
მეც — ასე, ლექსს რომ დავწერ,
მზერას შენკენ გამოვაპარებ.
თამამად ვერ გიყურებ მოკრძალებისგან.
ლმერთო, ჩემს წილ სიტყვებს ძალას ნუ გამოუღე
და მიზანში მომარტყმევინე ყველა სიტყვა,
არ მინდა, ამაოდ გავისარჯო.
სიტყვებით დატვირთული დავიარები
და ტვირთქვეშ ვცეკვავ,
რადგან ეს ტვირთი ნანატრია და მოპოვებული
და არ მეშინია, რომ სიტყვები გამსრესენ —
შენი იმედი მაქვს, უფალო,
რომ დამამერალმა ის გზა გავაგრძელო,
რომელიც ჩემს იქით მიდის.

დაბადება

როცა მეორედ დავიბადე,
პირველი დაბადება აღარ მახსოვდა.
როცა მესამედ დავიბადე,
მეორე დაბადება აღარ მახსოვდა.
როცა მეოთხედ დავიბადე,
მივხვდი, რომ დავვოსტატდი დაბადებაში...
ვინ იცის, ღმერთმა რამდენჯერ შემქმნა
და რამდენჯერ ქალს დამამსგავსა,
მე კი ქალი არ ვარ,
იასამანი ვარ,
რომელსაც ყვავილების გამყიდველები
დაუნდობლად ამტვრევენ ტოტებს
და ცდილობენ, ეს ტოტები ფულად აქციონ,
რადგან ყვავილები ყველას ვერ უკლავს შიმშილს,
ფულს კი სუნი არა აქვს და შიმშილსაც აოკებს.
ასე რომ, მე ვარ იასამანი,
ვიბადები და ვიბადები
და ყვავილებით ვდღესასწაულობ ამ დაბადებას
და მეშინია, რადგან ამდენჯერ დაბადებულს
ერთი ისეთი სიკვდილიც მახსოვს,
რომლის შემდეგაც დაბადებას ველარ შევძლებ.

* * *

სხვების ლექსების კითხვა
სისხლის გადასხმაა ჩემთვის,
რათა ანემია არ მომერიოს
და სისხლსავსედ ვწერო.
სხვების ლექსების კითხვა
მეორე სუნთქვის გახსნაა ჩემთვის,
რათა დაუნდობელ ზღვაში არ ჩავიძირო
და მეორე ნაპირზე გავიტიანო ჩემი ლექსი.
სხვების ლექსების კითხვა
მეგობრული ხელის შეშველებაა ჩემთვის,
როცა დედამინის ბზრიალით თავბრუდახვეული
შევბარბაცდები და ლექსი დამივარდება,
რომელსაც დავეყრდნობი.
სხვების ლექსების კითხვა
ჰგავს სიბნელეში ანთებულ ფარანს
და ნასესხები სინათლის ძალით
გზას მივიკვლევ ლაბირინთში,
რათა ურჩხული მოვკლა.
სხვების ლექსების კითხვა ნიშნავს
ათვისებას და არა მითვისებას
და რაც უფრო მეტს ვკითხულობ,
მით უფრო ნაკლებად ვემსგავსები სხვებს,
როგორც თაფლი არა ჰგავს ფუტკარს
და როცა სარკეში ჩავიხედავ,
თავს ვერ ვცნობ, რაღაც განახლებული,
რაღაც უცხო ვარ.

* * *

გალაკტიონს ვკითხულობდი და
ლექსი გადამედო
და ახლა მეც ლექსით ვარ ავად,
მაგრამ ცუდად კი არა ვარ,
ძალიან კარგად ვგრძნობ თავს
და მეტი რაღა გამოვჯანმრთელდე,
როცა ჯანმრთელი ლექსი მომრევია

და იძვრის ჩემში.
 ვიცი გადამდები სიცილი,
 ვიცი გადამდები ტირილი,
 ვიცი გადამდები ვირუსი,
 მაგრამ ისინი გადამდებ ლექსთან მონაგონია.
 გალაკტიონს ვკითხულობდი და
 მოულოდნელად ისეთი ძალით ავივსე,
 როგორც ანთუოსი — დედამინას როცა შეეხო.
 გადამდებია ბედნიერებაც,
 ლექსით მოგვრილი სიხარულიც გადამდებია
 და მე არ ვიცი, ჩემგან ლექსი ვის გადაედება
 და ვინ იქნება უჯანმრთელესი ავადმყოფი
 კარგადმყოფობით.

* * *

ვამბობ ერთსა და იმავეს —
 ბრძენი მეგობრებს კრებს.
 ჭკვიანი მოძმეთ იმრავლებს,
 ხოლო უჭკუო — მტრებს.

ღორებს ნუ უფენ მარგალიტს,
 ნუ მოკლავ ერთგულ ძალს!
 აგროვე სიტყვა კაკალი
 და გზა მიეცი ლალს!

სიცოცხლე მშვენიერია
 მშვენიერთათვის სულ.
 თუ ავი გამოურია,
 უფალი იხსნის სულს.

ლამაზ სხეულში ლამაზი
 სული ხარობს და დგას,
 მტკიცე, ვითარცა არმაზი
 წლები უვლიან გარს.

მადლი ქენი და ქვას დადე,
 დაგვხვდება მალე წინ,
 შვილი მოყვრულად გაზარდე —
 გიყვარდეს, გყვარობს ვინც!

ჭკვიანი მოძმეთ იმრავლებს,
 ხოლო უჭკუო — მტრებს.
 სიმართლევ, ვერ დაიმალე,
 თუმცა ზოგჯერ ცოდნა გვენებს.

* * *

ცეცხლის წვიმაში ვდგავარ და ვინვი
 და წინ მიმიძღვის ტალღა უგემი.
 ათასი ფიქრი, ათასი იჭვი
 და არსაიდან არ ჩანს ნუგემი.

სადღაც სამოთხე არსებობს ალბათ,
 თუკი არსებობს ეს ჯოჯოხეთი,
 თუ ცეცხლის წვიმით აქ მინა დალბა,
 ალბათ ოდესმე ბედსაც მწევს ღმერთი.

ჩემი სიცოცხლის მღვრიე მდინარე
 მოედინება ცეცხლოვან მთიდან.
 ვერ დავინმინდე, ვერ გავიხარე,
 თუმცა ძალიან ვცდილობ და მინდა.

აგერ, შორს, სადღაც იფეთქა მეხმა,
 ჭექა-ქუხილი მე არ მაკლია,
 მაგრამ მაკლია ძალა და მე ხმა,
 ლექსიც ამაო ლაპარაკია.

მე ცეცხლის ტყვე ვარ და ველარ ვიცდი
 და მახვევია ირგვლივ ალები.
 ოდესმე ცეცხლიც ჩაქრება, ვიცი
 და ფერფლში უხმოდ ჩავიმალები.

მე ახლა ცეცხლის სიმღერა მესმის,
 ცეცხლი ქალივით ლამაზი არის.
 ცეცხლის რტოები პოეტთა წესით
 მოვტეხე და ლექსს შევუღე კარი.


* * *

გაზაფხული არის ნაწყვეტი
 უფლის სადღესასწაულო სიმღერიდან.
 სულგანაბული ვაყურადებ,
 როგორ შემოდის ჩემში გაზაფხული,
 როგორ სკდებიან სულის რტოებზე კვირტები,
 როგორ დგება ვაზში წვენი,
 რომელიც შემოდგომაზე
 სულის ქვევრში დაღვინდება, როგორც მაჭარი
 სიმღერად ქცეული.
 გაზაფხული არის უფლის კეთილი ღიმილი,
 რომელიც დედამინის სახეზე ელავს,
 როგორც ნიშანი იმისა, რომ
 კიდევ ერთი ყვავილოვანი წელი დაიწყო.
 მე ვცოცხლობ ასე —
 გაზაფხულიდან გაზაფხულამდე
 და ზამთარს ვუძლებ გაზაფხულის მოლოდინით
 და იმედით, რომ უფალი გამომაზამთრებს მშვიდობით და
 გაზაფხულამდე გამაძლებინებს,
 როცა სული კბილით მიჭირავს
 და ვჩურჩულებ: „ქრისტე აღსდგა!“



ციხე სოფელ ახიელში (არხოტის თემი)
 გვიანი შუა საუკუნეები

ბაბუა ალუდაურის ფოტო



„რატომ?!“

ჯერ მხოლოდ ეს კითხვა და სხვა არაფერი.

რომ იტყვიან, ლეგიტიმური კითხვაა, ვერაფერს იზამ.

მართლაც, რატომ? რა საჭიროა 48-მარცვლიანი სტრიქონი, როცა შეიძლება 12-12 მარცვლიანებად დაგვეწყო. ეს ხომ ისედაც ალექსანდრიული ლექსია, 12-მარცვლიანი, მამაპაპური, ნაცნობი, შეჩვეული. რატომ ვართულებთ? რას იძლევა ოთხი პნკარის ერთ სტრიქონად გაერთიანება? რას ნიშნავს ეს ოთხფა ალექსანდრიული?

ექსპერიმენტი. 44 წლის წინათ დაწყებული და დღეს გამომზეურებული ცდა, რომელიც ან გაამართლებს ან არა, მაგრამ მოდი, ახლა თარიღს დავაკვირდეთ: 1970 წლის 1-3 იანვარი. ახალ წელს არის დანერგილი, იმ დროს, როდესაც ადამიანი ყველაზე მძაფრად და საგნობრივად განიცდის დრო-ჟამის სვლასა თუ მონაცვლეობას. ლექსში თითქმის იმდენივე კითხვის ნიშანია, რამდენიც სტრიქონი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან შალვა საბაშვილი პროფესიით ასტრონომია და ვინ უნდა დასვას ყოფიერების კარდინალური კითხვები, თუ არა ვარსკვლავთმრიცხველმა.

კითხვები, კითხვები, კითხვები... პასუხები არ ჩანს.

მაგრამ ვინ თქვა, რომ სწორად დასმული შეკითხვა პასუხს არ სჯობია?

რატომ? ალბათ ამიტომ.

შალვა საბაშვილი

სამყარო ღამის სხივებში

ზეცის შუაგულში მხოლოდ მე შემოვრჩი; ირგვლივ სიზმარულ შუქთა ფერებია; ფართოდ გადაფენილ მინდვრებს მოსდებია მარად უპასუხო ფიქრთა ასეული; სივრცეს შთაგონება გაუოცებია, მანძილს აზროვნება გაუჩერებია; ბრწყინავს ჯადოქრული ზეცის უძირობა... შუქი ველებს ჭფარავს — უხვად დასეული... მინის რუხი სფერო, ფიქრში ჩაძირული, მიჰქრის კოსმიური ჯურღმულებისაკენ, მაგრამ ზედაპირი ყვავილთ დაუფარავს, ყველგან კორდი არის, ყველგან ზვინებია, სადღაც მზე ჩავიდა, მისი მონითალო შუქი აღარ აღწევს დიდი მთების აქეთ... დუმილს არე-მარე ახლა ღრმად მოუცავს, ხევი ჩათვლემილა, ბორცვს მისძინებია. შეწყდა ატეხილი სტვენა ფრინველების, სახლი, ეზოები უკვე ჩაიკეტა, თბილი დედამინის ერთი ნახევარი წელა გაითიშა ურიცხვ ნაწილებად, ბნელმა შეაშფოთა ფიქრი ყვავილების, როცა დაჟინებით მათში ჩაიხედა... მთვარე გამობრწყინდა, შუქით გადიბარდნა და მზის საკადრისიც იყო გაცილებია; ტყენი გაირინდენ; ჯერ არ მოსდებიან ღამის მყუდროებას მხეცნი გარეულნი; უკვე ალუესიათ მძინარ ქვენარმავლებს ყველა სოროები, ყველა ხვეულები; კორდებს და ვენახებს ჯერ არ დასევია ბნელი შუალამის სიო მთვარეული... მხოლოდ შუქები და დახეტიალობენ — მდუმარ სახლებიდან გამოქცეულები. ვხედავ, გადაშლილა თეთრად დასავლეთი, მძლავრად თვალს უსწორებს იგი აღმოსავლეთს... პოლუსს დაჰკარგვია თითქოს ორეული და შორს, სამხრეთისკენ ახლა მას კვლავ ეძებს, გრძელი ჩაფიქრება აზრებს ყოველნაირთ ურიცხვ დუმილების ტევრში ამოავლებს და ჩაიყოლიებს თავის წრებრუნვაში ზეცის აურაცხელ თანავარსკვლავედებს... და მე მაინცდება ახლა დედამინა, იგი მიმობნეულ წლებში იკარგება; რაღაც გაფიქრება ჩემს სულს იმორჩილებს, — უფრო ბევრისმცველი, უფრო შორეული, ჩემი აზროვნების ფარულ ტილოებზე სულ სხვა შინაარსი ამოიქარგება და ვრცელ სამყაროთა მდუმარ შესასვლელთან ნამით შევჩერდები მე შიმშორეული. რა მსურს ნეტავ ამ დროს? საით მიიქარის მრავალეჭვგანცდილი ჩემი აღმაფრენა? რა შეკითხვებია, მე რომ მანვალებენ? რა სახეებია, მე რომ მომყვებიან? უცხო ზმანებები, ფიქრნი, გულგებანი პასუხგაუცემნი ჰქრიან მრავალფენად... ბევრს, ბევრს სურვებია მათი დაურევება, მაგრამ დღემდე ვერვის დაუოკებია. ამ დროს დედამინა ხან შორს იკარგება, როგორც უმნიშვნელო სახე და ჩვენება, მე მას ავცილდები ხოლმე უსაზომოდ, რომ კვლავ დავიტივროთ ფიქრთა ძლიერებით, ხან კი კვლავ ჩნდებიან ძველი სურათები ფიქრის მოსახიბლად და დასამშვენებლად, და იმ მინიერი ყოფნის არეალი ბრწყინავს სხვანაირი განსახიერებით. ზღვების ტალღებივით ირგვლივ იფანტება მძაფრი მოზღვავება სულის ძალებისა, თვალი შეეცდება სივრცის გადანვდენას, ჩემში გაბრწყინდება შორი სილამაზე ყველა შემოდგომის აშრილებსა; უკან ჩაივლიან ათასწლეულები, რომ დრო ფენა-ფენად დასკდეს, დაითალოს, თვალწინ კვლავ ჩაივლის, რაც მე მინახია, სმენას მოაწყდება ტალღა ბგერებისა; ფიქრი ჩაუყვება ჩემს მესხიერებას, რომ იქ მოიძიოს განძნი — საბადონი, ხოლო შთაგონებას ისევ მოსწყურდება ხილვა საბოლოო მშვენიერებისა, და ამ მიულწველ სურვილთ აძლიერებს ირგვლივ მოვლებული ზეცის კაბადონი.

რა ვარ? რა მწყურია? ვინ, ვინ შემოჰკრიბა ჩემად დასახატად ირგვლივ ატომები? რომელ ათასწლეულს უნდა მივაკუთვნო ჩემი წარმოშობა, ჩემი მოვლინება?

ზოგჯერ თავს რაღა ვგრძნობ ასე უსუსურად, ხან კი რატომ ვარ ღმერთთან ნატოლები? რატომ იქცეოდნენ ჩემი სურვილები მუდამ უსასრულო ზეცის ლტოლვილებად?

რაა საფუძველი ჩემი ბუნებისა? რისგან შეიკრიბნენ სულის ნაწილები? ან ვინც ყოველივეს ერთად აგროვებდა, რატომ მოქმედებდა, რისკენ ისწრაფვოდა?

რატომ მეჩვენება, რომ ამ გარემოში მოველ გასაოცრად დროგადაცილებით? ან სხვა უამრავი სულდგმულ-არსებების სულს რა იზიდავდა და ან ფიქრს რა ჰვლობდა?

ვიცი, ხანი გადის, მაგრამ უცხო ხმანი როდი ილევინ — უფრო ასდებიან; ჩემთვის ამოუხსნელ კითხვებს ემატება უცნობ კანონების წყება დაუთვლელი, რამდენ გამოქვაბულს ხანგრძლივ მდუმარებით მრავალ საუკუნის მტვერი დასდებია, მე კი ამ ღუმლის ზოგჯერ აღარც მჯერა, რადგან სიჩუმეშიც წლების ხმაურთ ველი.

ვიცი, დღეს რომ მუდამ ღამე ენაცვლება, და რომ დედამინა ბრუნავს განუწყვეტლად, მაგრამ ისიც ვიცი, მინის ამგვარ ბრუნვას არ წარმოუშვია დროის მდინარება, ვიცი, მნათობები შუქს რომ გვიგზავნიან, მაგრამ ის სინათლე სულს ვერ ნაუძღვება, თუმცა მიყვარს ხოლმე თავდავინწყებისთვის ზოგჯერ იმ სხივებში გაუჩინარება.

ნეტავ ბალახები რატომ ამოდინან? რატომ მიილტვიან ზღვისკენ მდინარენი? რომელ შეუცნობელ ძალით აღიძვრება სწრაფვა ყველაფრისა გაუჩერებელი?

რატომ გაამწარებს ხოლმე არსებობას ზოგჯერ უმიზეზო სევდის მინარევი? რატომ გვეჩვენება ბედნიერებანი ხშირად უკმარი ან დაუჯერებელი?

რას გრძნობს გარინდული მუხა ფესვმაგარი, ბუჩქებს რომ იფარავს რტოთა ძლიერებით? რატომ დაასკდება ხოლმე დაუნდობლად ცაში განაბული მეხის მრისხანება?

რა ხმა მიიტაცებს წიფელს ზეცისაკენ? მინის სურათების გამშვენერებით ვისი აზრი აგებს ძეგლებს მოულოდნელს, როცა სილამაზეს წონის მისხალებად?

იქნებ უთვალავჯერ დღემდე ვიარსებე? იქნებ ფერთა წყების განმეორებები სულ არ წარმოადგენს ყოფის გამონაკლისს? ყოფნა უვადოა, გზები წრიულია?

იქნებ არსებობის ვრცელი ოკეანე გადასერილია ხშირი მორევებით? იქნებ წამი არის ფიქრის გამოკრთომა? ანდა იქნებ იგი მარადიულია?

იქნებ ყველა აზრის ურიცხვ კორიანტელს მხოლოდ ილუზიის ფენა ეფარება? იქნებ დასაწყისი არის ბუნდოვანი, როგორც ზღაპრის ცის ქვეშ ორთქლის მეუფება, და ძველ მოლანდებათ რიგი უსასრულო ახალ მოლანდებებს გადაებარება? – სივრცის პირქუში და უტყვი გარესახე ახლა არ მპასუხობს, არას მეუბნება.

ჩემს წინ ატომების გახსნეს სიღრმეები, ჩემს წინ ელექტრონიც სხივად დაიშლება; მისწვდა მძაფრი მზერა ადამიანისა ფარულ კარიბჭეებს გენის — საოცრების, ფიქრი პირველადი ყველა ნაწილაკის განთავისუფლების ქარად აიშვება; მალე თაობანი ველარც იპოვიან ძალას აღტაცების, უნარს გაცეების, გულეებს გადანერგილთ გრძნობაც შერჩენიათ და არც უმთავრესი არსი შებურვიათ... აზრის ქარტეხილმა თავი დააღწია მინის უძლეველი მარნუხებისაგან; მაგრამ ჩემი ფიქრი სხვაგან მიისწრაფვის: ახლო სამანები დავიწყებულია და სურს გაგონება სულის სიღრმეებში აღმოცენებული შორი ხმებისაღა.

მამცნონ: სად თავდება დროის სიღრმეები? ძალმიძს შევამცირო წამი მილიარდჯერ და კვლავ გაავარძელო ასე უსასრულოდ? და რა გამაჩერებს, გარდა სინამდვილის?

ან ვინ მომატარებს სივრცის ურიცხვ შრეებს? ჩემივე ატომების უზღვავე მირიადებს იქნებ ერთმანეთთან არცრა აკავშირებთ, თუ მათ უთვალავჯერ დაეყოფთ სიადვილით, და თუ დავინახავთ მათში სამყაროებს? იქნებ სულის სევდა ამის გამოცაა? ან ვინ დამაჯერებს, რომ ეს ვერდამახვავა ჩვენი უმწეობით როდი აიხსნება?

დროის მცირე ზღვრებში იქნებ გამარტივდეს ის, რაც გადაშლილა ირგვლივ გამოცანად? ეგებ უსასარულო ჩაღრმავების მერე ბევრი საიდუმლო მსწრაფლ გარდაიხსნება?

ვინ, ვინ განმიმარტავს მე არსს სიცოცხლისას, თუკი საჭიროა ბიძგი გარეგანი ყველა მოძრაობის წარმოშობისათვის, და თუ თვით სიცოცხლაც მოძრაობა არი?

ეს ხომ აშკარაა, რომ არ კავშირდება წიგნის შინაარსთან მისი გარეკანი? იქნებ სამყაროთა თვალუწვდენლობაშიც უთვლელ-უსასრულო კანონთ წყება არი, და მათ ერთმანეთთან არც კი ესაქმებათ, დამოუკიდებელთ, დაუკავშირებელთ? იქნებ გარემოში მრავლად ჩაკარგულა ნივთი თავისთავად, არსი თავისათვის?


და ხომ შეგხვედრიათ არსთა ჩალაგება იმგვარ მიმდევრობით, სულს რომ აშინებენ? აქ ვინ გაიბრძოლოს გასაბატონებლად, დავა ვინ დაიწყოს სიუკვდავისათვის?

ჰქრიან ვარსკვლავები. მათი გზა-ბილიკნი ურიცხვ მდგენელების სახით აიგება, მაგრამ ბოლოს იგი მაინც არ არსებობს... ფიქრი ყრუ მისტიკით გადაწაფარია, სივრცის, მატერიის ხშირი კავშირები მხოლოდ დასაწყისში ოდნავ გაიგება, ხოლო სამყაროთა ბედი დანარჩენი ჩვენთვის უცნობია და დროს აბარია.

ასე რატომ ხდება? იქნებ საშინელი უთანაზომობით, რაც აქ ნათელია, ჩვენი ძიებების შესაძლებლობებსა და თვით ძიებათა ნამდვილ საგნებს შორის?

მაინც გადალლილი სუსტი მიმღებები კვლავ უიდუმალეს ფერთ და ხმათ ელიან, ხოლო სივრცეების დაუძლეველობა აზრებს
 თავზე ესხმის, როგორც აგრესორი.
 და მე კვლავაც მიკვირს: აზრი უძალდონო, რაც არ მიიღწევა, იმას რად ეხება, და იმ ჰორიზონტში, სადაც უძლეველობა მისი
 მზაქმნილია, იგი რად არ რჩება?
 ყველა გაბრძოლებას მოსდევს მარტოოდენ სულის გადაქცევა ურიცხვ ნატყებებად; ყველა შეჯახების შემდეგ საჭიროა უკან
 დახვევა და მსხვერპლთა გადარჩევა,
 ხოლო ნაპირები შორი სამყაროსი ამგვარ ანთებებით უფრო გვმორდებიან, უფრო ღრმავდებიან შავი უფსკრულები,
 უფრო მცირე ნაშთი რჩება რწმენისაგან,
 მაგრამ მოგანგაშე სულის გადანვანი მაინც უთვალავჯერ განმეორდებიან; და ან რისი გვწამდეს, თუ არ მოულოდნელ,
 უცბად ამოხეთქილ აღმაფრენისაღა?
 ხოლო აღმაფრენა — რისგან წარმოდგება? რა შინაარსია მასში ჩადებული? რაა სინანული? რაა მწუხარება,
 ჩვენთვის ნაცნობი და თითქოს გასაგები?
 ის, რაც გარშემოა, ის, რაც ჩვენში არის, ურიცხვ სიმბოლოთი გვაქვს გაცხადებული, ხოლო დანარჩენი სამყაროებისთვის
 შეუცნობადია მათი ასაკები.
 ან კი რად მიიჩნევს ახლა ანდრომედეს დიდი გალაქტიკის მთელი მატერია გრძნობათ რთულ კომპლექსებს,
 რაც დახლართულად მართავს დედამიწის საზოგადოებას?
 და ან გვირილები როგორ შეაღწევენ, სადაც უმაღლესთა ფიქრთა კრატერია? რატომ ტყებთ ხოლმე ერთი პოეზიით,
 სხვებს კი ეჩვენებათ იგი ჯადოებად?
 ალბათ რამდენია ქვეყნად მსოფლიონი, სხვა მსოფლიოებს რომ არ ესაუბრება (სიღრმე წერტილებს; კუმშვა უსასრულო;
 ჩუმი სასაფლაო ინფორმაციისა);
 ერთი არსისათვის მიუწვდომელია სხვისი ოცნების და სუნთქვის დაუფლება; ალბათ გარეშემო მუდამ ნავარდობენ ხშირი
 ნაკადები უცხო გრაციისა,
 ხოლო მასშტაბების ყველა საფეხურზე სუფევს სიცოცხლენი სხვადასხვაგვარები, მაგრამ არასოდეს, ჰოი არასოდეს მათ არ
 უწერიან არსად თანახება,
 და ზეგალაქტიკის ძალუმ მგრძნობელობას ვერას აგრძნობინებს ჩემი ნაკვალევი, და არც ჩვენთა აზრთა მკრთალი
 საუფლონი მოეჩვენებოდათ დიად სანახებად.
 ასე დაიღლება აზრთა ქარიშხალი, როცა შეეცდება სივრცის გააზრებას; ძალზე უვალია, ძალზე ვრცელი არის ფიქრის
 სარბიელი, მზერის კიდეები,
 ღამის სიცივეში, ცის მარტოობაში გრძნობას უცაბედად ფესვი დააზრება; სივრცის წნევა გასრესს ფიქრებს ჩაკარგულებს,
 როცა მოიხსნება ფრთხილი რიდეები,
 მერე გაბრუვდება ჩემი შეგრძნებები, ველთა მწვანე ხედი უცებ აჭრელდება, უკვე არას ნიშნავს, რომ გზის დასაწყისში
 გული იმედების ნექტრით გზნებულია,
 ხოლო საშინელი ყველა დამარცხება სადღაც ინახება წრიულ ნაჭდევებად, ხოლო გარდასული წელი მილიარდი
 ვარსკვლავთ შუქის გასწვრივ ჩარიგებულია...
 ირგვლივ ღამე არის, ხოლო სივრცეებში აღარც ღამეა და აღარც შუქებია, მხოლოდ მომწუსხავი მარადიულობა ირგვლივ
 მიმოფანტავს ფერთა შარავანდედს,
 განცდის სამუდამო დაუსრულებლობას სულში ფერადები ჩაუმუქებია... სადღაც დავინყების ტალღა მელოდება...
 ფიქრი ვერ გადავა თავის გაღვანზე...
 ისევ შემოვდივარ ჩვეულ გარემოში, მძიმე ტვირთს მოვიხსნი და შორს მივატოვებ... სული უცაბედად გათავისუფლდება და
 ამ სიმცირეში აღარ დაღონდება,
 წამით არსებანი შემეგებებიან ნაცნობ კუთხეების... ქრება სიმარტოვე... რაღაც ნეტარ განცდის, ადამიანური ხილვის
 თბილი შუქი ჩემთან ჩაკონდება.
 სდუმან სანახები. ბრწყინავს ყოველივე... ახლა მე ლექსების კითხვას გადავყვები... შორი ვარსკვლავები გარიჟრაჟის პირას
 დასავლეთისაკენ გადაეშვებიან,
 ჩუმად ბობოქარობს სულის ოკეანე, მხოლოდ ქალღია ფიქრთა გადამღები, და რომ იშვიათად გაიხმინებენ,
 ეს დაგროვებული აზრის თქმებია;
 წყნარი ღამე არის. ნათობს მოლოდინი... ტბიდან უცაბედი შხეფი იფანტება... შემორკალულია ირგვლივ ჰორიზონტი.
 ჩაბნელებულია გზათა ხვეულები;
 სიოს დუმილში და შტოთა ოცნებაში უცხო, უჩვეულო სუნთქვა იბადება, შორს კი სინათლენი დახეტიალობენ, მდუმარ
 სახლებიდან გამოქცეულები...

1-3. I. 1970 წ.



მხატვარი ლადო გრიგოლია

ტომას სტელანდრი

ორჰან ფამუქი — გულწრფელი და სენტიმენტალური მწერალი

ორჰან ფამუქი პირველი თურქი მწერალია, რომელმაც ლიტერატურაში მიიღო ნობელის პრემია. დაახლოებით ორმოცდაათ ენაზე ნათარგმნი მისი ნიგნების წარმოსახვითი ფერები ეკუთვნის მსოფლიო მემკვიდრეობას. როგორ შეიქმნა ასეთი შთამბეჭდავი ნამუშევარი? ალბათ განმარტოებით. 2012 წლიდან, სტამბოლში, ჩუქურჯუმას უბანში, წითლად შეღებილ სახლში განთავსებულია უმანკოების მუზეუმი, და ამავე სახელწოდებით ხორცშესხმულ რომანი. ვიტრინებში განთავსებული ნივთები, გასაღებები, საჩუქები, თავსაფრები რომანშიაც ისეთივე ფარულია, როგორც სახლში. მკითხველისა და დამთვალეირებლის წინაშე თვალნათლივ იშლება ქემალის ფეტიშისტური სიყვარული ფუსუნასადმი და 1970-იანი წლების თურქეთი. ანთროპოლოგიური და მითოლოგიური ინტიმური, თავიდანვე ნათლად გვიხატავს მთხრობელის სახეს, რომლის რომანტიკული სტილი არ ტოვებს ისტორიული რეალობის ცნობიერებასაც: ეს სიყვარულისა და ოცნების ზღაპრული ამბები გვიხატავენ მის ყოველდღიურ ცხოვრებას.

იგი არ გაექცა თავის პოლიტიკურ ვალდებულებებს და 2005 წელს განაცხადა „ერთი მილიონი სომეხი და 30 000 ქურთი დახოცეს ამ მიწაზე, მაგრამ ჩემს გარდა ვერაზინ ბედავს ამის აღიარებას.“ ამ აღიარების გამო, როგორც „თურქი ერის შეურაცხყოფელს“, ემუქრებოდა სამი წელი თავისუფლების აღკვეთა. მაგრამ მიიღო საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა და გახდა თავისუფალი სიტყვის გამომხატვის სიმბოლო საღმრთო რეჟიმის წინაშე.

2007 წელს ჟურნალ „Magazine Litteraire“-სთან ინტერვიუში ფამუქი ამბობდა, რომ პრესტიჟული ჯილდოების მერე იწყება სხვა ცხოვრება: „ვიმეორებ ამ გაცვეთილ გამოთქმას: ნობელის შემდეგ კარგს აღარაფერს წერენ!“ თუ არ ჩავთვლით კონფერენციებს, სენტიმენტალური ავტორისთვის გასამხნეველად საკმარისია ლიტერატურაში საინტერესო შესავალი. ასე რომ სიტყვები არ იკარგება: 2012 წლის 6 ივნისს თურქულ ჟურნალ „Hurriyet“-ში, „The New Yorker“-სა და „Le Monde“-ში გამოქვეყნებულ სტატიებში იგი საუბრობს ამბოხებაზე ისლამურ-კონსერვატიული პრემიერის რეჟიმის ტაიფ ერდოღანის რეჟიმის წინააღმდეგ. სტამბოლიდან გამოქვეყნებული, ამ ქალაქზე შექმნილ მოგონებებში, საუბრობს 50 წლის წაბლის ხეზე, რომელიც დგას იმ სახლის წინ, სადაც გაიზარდა. მერიის ბრძანებით, 1957 წელს ხე უნდა მოეჭრათ. მაგრამ იმ დღეს მისი ბიძა, მამა და ნათესავები დღე და ღამე მორიგეობით ათენებდნენ ქუჩაში ხის დასაცავად. „ჩვენ მოვახერხეთ ხის გადარჩენა და ამით შევქმენით საერთო მოგონება, რაც გვაახლოებს და კვლავაც ემოციებს ინვესტს ჩვენში.“ დღეს თავისი მოედანი არის სტამბოლელი წაბლის ხე და მნიშვნელოვანია, რომ არსებობს. ტექსტის დასასრულს, იგი მოუწოდებს სტამბოლელებს, დაიცვან თავიანთი უფლებანი მანიფესტაციისა და მოგონებებისა, რასაც თვითონ ყოველთვის აკეთებს.

„შეიძლება მე ვარ მწერალი, რომელიც ისწავის გლობალიზაციისკენ“

(მანუელ კარკასონს ესაუბრაბა ორჰან ფამუქი)

„სტამბოლი, მოგონებანი ქალაქზე“, აღმოსავლური ქალაქის აღწერა, ნოსტალგიური წიგნია. მოხეტიალეს მცდელობა, დაწეროს ქალაქზე, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა. მოგონებანი ქალაქზე მრავალმხრივია. რა იყო თქვენი თავდაპირველი იდეა?

— თავიდან ვფიქრობდი სტატიების კრებულს, მაგრამ თანდათანობით შემიპარა ცდუნება ამ ნიგნისთვის მიმენიჭებინა ორიგინალური ფორმა. ჩემი ნიგნებიდან ყველაზე სწრაფად ეს დავწერე, აგზნებულმა და მძვინვარემ ექვს თვეში დავამთავრე. თემები ერთმანეთს ბადებდნენ, ასე გაიზარდა, შეიცვალა ფორმა, ფურცლებმა და საარქივო მასალამ მოიცვა ჩემი ოთახი. მაგალითად, რა უნდა მექნა ათასობით ციტატისთვის? მათი დალაგებისა და მონოტონურად მოყოლის ნაცვლად დავტოვე არეულ-დარეული, რამაც პოეტური ღირებულებანი და ელფერი მიიღო. ვოლტერ ბენჟამინმა თქვა, რომ ქალაქზე არსებობს ორი სახის ნიგნი: პირველი, რომლებიც დანერეს უცხოელებმა, ეგზოტიკური, და მეორე — მისმა მაცხოვრებლებმა, რომლებიც აუცილებლად მოგონებებია. მე ვარ სტამბოლელი, ასე რომ, ესეც იქნება ჩემი ავტობიოგრაფია, მაგრამ ყურადღებით! არანაირი ეგზოტიკა. არც ცისფერი მეჩეთი და არც ბაზარი. ჩემი ცხოვრება ირევა შავ თეთრ მელანქოლიაში, ეს პოეტური მარტოსულობა, რაც ქალაქს ახლდა, ბავშვობაშიც ვამჩნევდი.

— არის ეს ცდა დამწყები მწერლის, იდეალურ პირობებში გახდეს მწერალი? თქვენ ამბობთ: „ამ სეკუნდამ, საბოლოოდ ჩაფლულმა ქალაქის სიღრმეში, მაგრძნობინა, რომ აუცილებელია საკუთარი წარმოსახვა“.

— როგორც იტყვიან, ვიყავი „სახლის ბავშვი“, ოჯახურ კერაში გამომწყვდევული, მძიმე ფარდებითა და სქელი ხალიჩებით შეწყობილი. მაგრამ ბედნიერი — ჩემი ოცნებებით, საშინელებებზე ფიქრით, ლაქლაქით, ჩემს ოთახში დაუღალავი ხატვით და სტამბოლის უსწორმასწორო ქუჩებში უაზროდ ხეტიალით. თუ დღეში ერთ გვერდს ვწერ, ბედნიერი ვარ და ვაღიარებ, მერე მაკეთებინებენ იმას, რაც სურთ. ახალგაზრდა მწერლები არ იცნობენ ამ სტამბოლს, იმ გრძნობას, რომელიც გულზე მანევს და ინვესტს სიღრმის, განადგურებისა და წარსულის დაკარგვის ტიკვილს. ისინი მეუბნებიან: აბა, სად არის ჩვენი მჩქეფარე და ფერადოვანი ქალაქი?

— თუმცა წინა თაობა ფიქრობს, რომ ეს გახუნებული და ნისლიანი ფერები, დაიფარა „გემების ბურუსში“, რომლებიც ბოსფორს გადადიან. სტამბოლი თოვლით იფარებოდა ჩემს ახალგაზრდაობაში. დღეს კი ქალაქი შეიცვალა მოფუთფუთე მეტასტაზებით.

— დედა გირჩევდათ, რომ წასულიყავით შინიდან, დაგეტოვებინათ ოჯახური კერა, დაუჯერეთ მას?

— ბევრი ვიმოგზაურე. ვცხოვრობდი ნიუ იორკში, მაგრამ დავრჩი გულით სტამბოლელი. როგორც ყველა, მეც დაკავშირებული ვარ ჩემს ფესვებსა და ადგილთან, სადაც დავიბადე.

— ნაგვითხავთ ედუარდ საიდის „ორიენტალიზმი“? რამდენჯერმე ახსენეთ დასავლური სახე, როგორც სტრუქტურული აზრი ქალაქზე: „ძალა მოვიკრიფე, რომ დასავლელი მოგზაურებისთვის წამეკითხა ჩემი შეხედულება ქალაქის განსხვავებულზე.“

— ნამდვილად, მან ეს ჩემზე ადრე დაწერა. მისთვის მე ვარ იმ სამყაროს ნაწილი, რომელსაც თვითონ ეკუთვნის. მას შეეხვედნენ ნიუ იორკში სუზან სონტაგსა და პოლ ოსტერთან ერთად. არის კრიტიკაც და ქება-დიდებაც ქალაქის გავერობელებზე. მაგრამ ამოდ ნუ დაუპირისპირდებით აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ისლამსა და ქრისტიანობას! პრობლემა ეს არ არის, არამედ ოპოზიცია, რომელიც თამაშობს გლობალიზაციის, ტრადიციების, კულტურისა და წარსულის დაცვას. იცით, რომ ბევრს ვმოგზაურობ, და, მაგალითად, ჩინელები თურქეთს აფასებენ „თოვლით“. ცუდი კომპანიაა, მოცულებული მისი ბოროტი სულებითა და ოცნებებით. ვისაუბრე სხვა სპეციფიკურ პრობლემებზეც: თანამედროვეობასა და ტრადიციებზე, ქალაქელებსა და გლეხებზე, სიმდიდრესა და სიღარიბეზე.



ორმან ფაშუქი

— ამასთან რომანი „თოვლი“ ძალიან პოლიტიზირებულია. ერთ-ერთი ქურთი პერსონაჟი ამბობს: „ჩვენ არ ვართ იდიოტები, ჩვენ ღარიბები ვართ“.

— ნამდვილად. შეიძლება მე ვარ მწერალი, რომელიც ისწრაფის გლობალიზაციისკენ. როგორც დემოკრატი მოქალაქე, ისეთი სეკულარული სახელმწიფოსი, როგორც ვოცნებობ, ყველა ჩემი სურვილი დაკავშირებულია, თურქეთში დასავლური ცხოვრების ყაიდის დაწერვასთან. „მე ნითელი მქვია“ რომანია ფერების გლობალიზაციაზე. რა მოხდებოდა, რენესანსს რომ არ შეეცვალა ჩვენი ხედვა საგნებისადმი? როგორც მწერალი, ორაზროვანი ვარ. იცით ტანისაჟის აზრი? მას სურდა უძველესი იაპონური ნესების შენარჩუნება, მაგრამ თვითონაც უპირატესობას ანიჭებდა კომფორტულ ბინას. მომწონს ძველი ნივთების ხიბლი, სიძველის პატივს, მისი პრუსტიესული ნოსტალგია. მჯერა დროებითი უწყვეტობის, ადამიანური დაფასება ისტორიული დეტალების შენარჩუნებისა, მაგრამ ასევე კეთილგანწყობილი ვარ თანამედროვეობისადმი. ჩემს წიგნებში „მე ნითელი მქვია“, „ახალი ცხოვრება“ და „თოვლი“ ასახულია ეს ნინააღმდეგობები.

— 2005 წელს გელოდათ ექვს თვიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ნობელის პრემიით ყველაფერი წარსულს ჩაბარდა თუ პირიქით, საჭიროა სიფხიზლის გაორკეცება?

— არა მყავს პირადი დაცვა და არ ვარ დაცული არც ბიუროკრატიული სასამართლოს სისტემისა და არც ცალკეული უგუნურის ქმედებისგან. მაგრამ უფრო ბედნიერი ვარ: ჩემი წიგნები ითარგმნა ოცდაათობმეტ ენაზე, თურქეთში გაიყვანა 200 000 ეგზემპლარი, და კიდევ — „თოვლი“ ბესტსელერია ჩინეთში.

— არანაირი პოლიტიკური მიმართვა არ იმალება თქვენს საუბარში?

— იყო ამბიციური მწერალი, არ ნიშნავს გაპოლიტიკოსებას, მაგრამ პოლიტიკურ თემებს ვეხები ფიქციის გზით. ჩემი სურვილია გავაგრძელო ჩემი ძველი გზა. ადრე ნელა ვწერდი, დღეში ერთ გვერდს, შემდეგ ვკითხულობდი და ბევრს ვასწორებდი. „მე ნითელი მქვია“-ში დასაწყისი არაფერს იძლეოდა, „თეთრ ციხე-სიმაგრეში“ უეცრად მივხვდი, რომ ამბავი იქცა აღმოსავლეთის ანთროპოლოგიად. თუ ეს ისაა, რასაც მეკითხებით, მე არ ვემსახურები არცერთ საქმეს. არა ვარ რეალისტი მწერალი. მომწონს, რომ ვარ მეოც-

ნებე, უამრავი სიხარული არსებობს საოცარ სამყაროში. არსებობს მწერალთა ტრადიცია — ჰომეროსიდან შატობრიანამდე, ნაბოკოვიდან პრუსტამდე, თუ როგორ ხედავენ და ხსნიან სამყაროს სიტყვებით. ნობელის მიღების შემდეგ გულწრფელად ვთქვი ჩემთვის: „რომ ეს არაფერს შეცვლიდა ჩემს ცხოვრებაში“, მაგრამ რა თქმა უნდა ეს სიცრუეა. ახლა უფრო ხალისით და სწრაფად ვწერ. მინდოდა ამ მოძველებული ფრაზის უგულვებლყოფა: ნობელის მიღების შემდეგ კარგს აღარაფერს წერენ!

— როგორი იყო თურქული რეაქცია?

— ცუდი, ერთი-ორმა პოპულარულმა ჟურნალმა შემომიტირა, მათ არ მოეწონდა ჩემი ადრინდელი პოლიტიკური შეხედულებების გამო. მილოცავდნენ მოხუცები და იმ დროის წარმომადგენლები, როცა დაპატიმრების მოლოდინის მიუხედავად, მაინც გვქონდა გამბედაობა აზრის გამოთქმისა და თავისუფლად წერის. ტაქსისტები მილოცავდნენ ჩემი „ოსკარისთვის“.

— თურქეთში რა აზრი აქვთ თქვენზე? ხართ ადვილად წასაკითხი მწერალი?

— სწობები მეუბნებიან, თითქოს თურქები ვერ კითხულობენ ჩემს წიგნებს. ვალიარებ, თემა და სტილი „მე ნითელი მქვია“ და „თოვლის“ არაა ნათელი. მაგრამ ამის წასაკითხად დიდი განათლება არაა საჭირო. თოვლის ნაკითხვისას თურქული რეაქცია იყო ამბივანეტური, მაგრამ ასევე ცოტა თბილიც; ქემალისტები და ისლამისტები უკმაყოფილონი იყვნენ, ქალთა საზოგადოება კი ყოყმანობდა პოლიტიკურ ფიქციაში მონაწილეობას. თუმცა როგორც კი დავასრულე წიგნი, საერთაშორისო გამომხაურება შესანიშნავი გახლდათ.

— თქვენ დაწერეთ, „ჩემთვის, რელიგიის მთავარი აზრი დამნაშავეობაო“. რას გულისხმობთ?

— ვფიქრობ, თან მეშინია ცოდვის ჩადენის, თან ვერ ვხედავ და ვერ ვგრძნობ იმ ხალხს, ვისაც ღმერთის სწამთ. მე გავიხარე ბურჟუაზიულ, სეკულარულ ოჯახში და ყველაფერ ამას ეჭვის თვალით უყურებდნენ.

— რაც შეეხებათ თქვენს, სოციალური თვალსაზრისით დეკლასირებული იყავით?

— რა თქმა უნდა, თავს უხერხულად ვგრძნობდი სტამბოლის უსარგებლო და მდიდარ ბურჟუაზიასთან, განსაკუთრებით, თუ გაუნათლებელი იყო. ჩვენი ოჯახის ბედისწერა შაგრენის ტყავივით იყო.

გავბრაზდი, დიახ, სიბრაზე დამეუფლა და იბატონა ჩემზე.

— მაგრამ სიბრაზე არ იგრძნობა თქვენს წიგნში, უფრო მელანქოლიურია.

— ეს ის არის, რაც მინდოდა. ეს წიგნი ხალისით დავწერე, რომელიც ბავშვობიდან მომყვება. გაბრაზება წარსულში დარჩა. არ მაქვს ნოსტალგია, არ მინდა წარსულში დაბრუნება. არ ვდარდობ წარსულის მშვენიერების დაკარგვას.

„მე ნითელი მქვია“-ში, ვსაუბრობ მინიატურული მხატვრობის ესთეტიკის დაკარგვაზე, მაგრამ ნოსტალგია საჭირო არაა. მე დღეს ბედნიერი ვარ.

ფრანგულიდან თარგმნა
ნა ჯაჰანსიამ

ნინო მჭედლიშვილი

პორტუგალიელი ჯომეროსი: კაცი-ლიტერატურა

ჩვენში ბევრი არ იცნობს მე-16 საუკუნის „პორტუგალიელი ხალხის პოეტს“, „ხალხის სიმბოლოს“, როგორც მას უწოდებენ, ლუის დე კამოენსს და მის შესანიშნავ პოემას, საგმირო პოეზიის ნიმუშს „ლუსიადები“, რომელიც ეროვნულ-ისტორიულ ეპოსს განეკუთვნება და ძველი დიდებული ეპოპეის მიბაძვას წარმოადგენს. ავტორი თავის ნაწარმოებს ბოიარდოსა და არისტოს პოემებს უპირისპირებს.

მთარგმნელმა ჯემალ ინჯიამ დიდი ხნის წინათ გადაწყვიტა მიეცა თანამემამულეთათვის საშუალება, გაცნობოდნენ ამ დიდებულ პოემას, რომელშიც აღწერილი მოვლენები, მამაცური ქმედებანი, ადამიანური ურთიერთობანი და ა. შ. დიდად წაგავს ქართულს. იგი ორმაგი სიახლეა ქართულ ლიტერატურაში, როგორც პორტუგალიური ლიტერატურის ნიმუში (როგორც უკვე ვთქვით, ბევრი არ იცნობს პორტუგალიურ ლიტერატურას) და, როგორც თარგმანი. ბნმა ჯემალმა ფასეული საქმე გააკეთა, შემატა რა კიდევ ერთი, კარგად შესრულებული პოეტური თარგმანი ქართულ ლიტერატურას, არ შეუშინდა რა ლექსის სიგრძესა და განს. და თუკი „სიგრძესა და განზე“ ვისაუბრებთ, დანაშაული იქნებოდა არ აღგვენიშნა, შენიშვნა-განმარტებათა დიდი დასტა, რომელიც ნაწარმოებს ერთვის.

ვერცერთი მკითხველი ვერ აუვლის გვერდს იმ თვალშისაცემ ფრაზას, რომელიც პირველსავე გვერდს ამშვენებს. დიდად დასაფასებელია, რომ მთარგმნელმა ჯემალ ინჯიამ საკუთარი ნამუშევარი თავისი მასწავლებლის, ოთარ ჩხეიძის, ხსოვნას მიუძღვნა. ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, ეს დიდად ამაღლებელი ფაქტია, ყველასათვის საუკეთესო მაგალითია პედაგოგიური მოღვაწეობის დაფასებისა, მასწავლებლის მიმართ დიდი სიყვარულისა და ამ პროფესიისადმი მისი დამოკიდებულებისა ზოგადად. ამით გამოხატულია კაცთმოყვარეობა, ადამიანური სიკეთე და მაღლიერების უდიდესი გრძნობა. ასეთი რამ მხოლოდ ჭეშმარიტ პიროვნებებს ახასიათებთ, რაც დღეს იშვიათობას წარმოადგენს.

როგორც ვთქვით, „ლუსიადები“ პორტუგალიელი ავტორის ლუის დე კამოენსის კალამს ეკუთვნის. ეს ჰიმნია პორტუგალიელი ხალხისადმი მიძღვნილი. შედგება 10 ქება-ხოტბისგან, 1102 ოქტავისაგან, ან 8816 პოეტური სტრიქონისაგან (პოემა გამოსცა „ჩვენმა მწერლობა“ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ეგიდით, რედაქტორი როსტომ ჩხეიძე).

ამბობენ, ლუის დე კამოენსმა გმირულად გაიტანა მსოფლიოში „სამშობლოს ამაყი სახელი“, ხოლო მე ვიტყვოდი, ჯემალ ინჯიამ გმირულად შემოიტანა მამაცი ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს „სამშობლოს ამაყი სახელი“.

კითხვის პროცესისათვის დამახასიათებელია აზარტი, მძაფრი ინტერესი მოვლენათა განვითარების მიმართ, რაც ავტორისეული თხრობისა და მთარგმნელისეული ოსტატობის დიდი დამსახურებაა. თხრობა, მოვლენათა ზედმიწევნით დეტალური (ზოგჯერ კი გადაჭარბებულად დეტალურიც) აღწერა მიმდინარეობს შესაძრწევი დინამიურობით, წყვეტის გარეშე, თითქო ეს ამხელა ლექსი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი და იმავე წესითაც უნდა წაიკითხო. შესვენების საშუალება არა გაქვს და არც ილღები, მიჰყვები დინამიკას... საოცარია.

ნაწარმოების პირველივე სტრიქონები ეძღვნება მეფეთა ქებას და რაინდთა ხოტბას, რადგან, უნდა აღინიშნოს, რომ პორტუგალიელები, რაღა თქმა უნდა, ავტორის ჩათვლით, დიდ პატივს სცემენ წინაპრებს, სამშობლოს, მეომრებს, გმირებს, მამაც ვაჟკაცებს და უბრალო ხალხს, იმ ადამიანებს, რომელთაც შვეს ლუის დე კამოენსი და მანაც დიდი სიყვარუ-

ლით მათ უძღვნა პოემა. როგორც უკვე ვთქვით, პოეტმა გმირულად გაიტანა მსოფლიოში თავისი საყვარელი სამშობლოს — პორტუგალიის ამაყი სახელი. იგი ამბობს:

მე დავანაფებ დიდი ხალხის თავგადასავალს მსოფლიოს, რათა ისტორია გაიცნოს ჩვენი.

ვინ იცის მერამდენიმე, ჯემალ ინჯიამაც შეუხსრულა სურვილი ლუის დე კამოენსს. სიყვარულისა და გამბედაობის უდიდესი მუხტი იგრძნობა მასში, რადგან ეს მუხტი თვით ავტორისა და მთარგმნელის სულშია, იგი ლამაზად და ფაქიზადაა გადატანილი თარგმანში. ფართო მკითხველი აუცილებლად უნდა ეზიაროს „ლუსიადების“ ქართულ თარგმანს ჯერ მართო იმიტომ, რომ გაცნოს პორტუგალიელთა ისეთ მოჭარბებულ ადამიანურ გრძნობებსა და თვისებებს, სიმამაცეს, შემართებას, ტემპერამენტს, როგორც ქართველთაც ახასიათებთ. ქება 1 ოქტავებში 6-7 ლუსიადების შესახებ (ლუისის შვილები, ლუისის ტომი, ლუისის შთამომავლები) ნათქვამია „მამაცთა ჯიშში...“ „შვილი ქრისტე ღმერთისა...“, ავტორი აქვე წინაპრებს, სამშობლოსა და მამულს უმღერის. საინტერესოა სტრიქონი: „უნდა ადიდო წინაპარი, რომ მან მიგიღოს“ (მახსენდება თემურ ჩალაბაშვილის ლექსის სტრიქონი: „მინას გული არ მოუვიდეს... მკვდრებს არ მიგვიღებს“). ეს წარსულის დაფასებაა, ქვეყნის ისტორიის უდიდესი პატივისცემა.

როგორც აღვნიშნეთ, „ლუსიადები“ კამოენსმა თავის ხალხს მიუძღვნა. ამით ნაწარმოებს დიდი ფასი დაეღო. ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ბრძოლის წინ მეფე მიმართავს მებრძოლებს: „რომ ხალხს ვახაროთ...“ ჩანს, მეფე ბედნიერი იქნება, თუკი ხალხს სიხარულს მიანიჭებს, გააბედნიერებს, იგი მათ წინა პლანზე აყენებს, მუდამ მათზე ფიქრობს, მათი კეთილდღეობისთვის იბრძვის.

ისიც უნდა ითქვას, როგორ არ ასვენებს მეფეს წინაპართა ნაანდერძევი, ქვეყნის საზღვრების უეჭველი გაფართოება (ქება 4; ოქტავა 64). სათანადო სიმალღებუა აყვანილი გმირების მოხსენიება (ქება 3; ოქტავა 19), სამშობლოს დაცვა (ქება 3; ოქტავა 22), ლისაბონის ქება (ქება 3; ოქტავა 57) და მრავალი სხვა. ერთ-ერთ ოქტავაში (ქება 4; ოქტავა 4) თამამად და პირდაპირ გამოხატულია აზრია:

მძლავრი სახალხო მრისხანება ისე აზვირთდა, რომ ყველას თავზე დაუნდობლად დაატყდა უროდ, ვინც მთელი ქვეყნის ბარაქა და სარჩო გაზიდა, ვინც გარყვნილების ბილნ ჭაოში ცურავდა კუროდ...

ავტორი ძალიან ხშირად სარწმუნოებრივ თემასაც ეხება:

ეთიოპიაც ინახულეს, ერთი ხანობა, კუთხე, წმინდად რომ ინახავდა ქრისტიანობას.

და კიდევ:

ალამს მხოლოდ თქვენ, უშიშარნო, არასდროს არ ხრით, რომელზეც ქრისტეს ჭეშმარიტი წერია რწმენა.

მეტად მნიშვნელოვნად მეჩვენება ჭარმაგი ბერიკაცის მიმართვა ხალხისადმი (ქება 4; ოქტავა 95,96,97,98):

ამაოების უაზრობავ, ყალბი დიდების, მომხვეჭელობავ, განდიდების ფუჭო მანიავ, შენკენ ყველა გზით გულმოდგინედ, არ მორიდებით მოისწრაფიან მოკვდავები დიდი ხანია.

ავტორისეული ეს შესანიშნავი სიტყვები მსოფლიოს წინასწარჭყრეტაა, დღევანდელობას მიესადაგება და ღრმად დამაფიქრებელია. მაგ.: ქება 3; ოქტავა 91, ქება 3; ოქტავა 138; ქება 3; ოქტავა 29; და ა. შ. და კიდევ ქება 10; ოქტავა 152:

არ დაინახოს ფეხის ბიჭი ჩვენში ევროპამ...

ან:

სამშობლოს ჩვენსას ათასგვარი ჭირი აწუხებს, მომხვეჭელობის ვერ იშორებს იგი მარწუხებს.

და კიდევ:

მისთვის ქვეყანა სათლელ დუმას წარმოადგენდა.

პოეტი ომების წინააღმდეგაც გამოდის — ქება4; ოქტავა 44. პოემაში ნახსენებია ოქროს საწმისი და ქართველები. ე. ი. ლუის დე კამონენსი კარგად იცნობდა კოლხეთსა და ქართველებს. ქება 3; ოქტავა 72;

ფიქრობ, მკითხველს უთუოდ ხიბლავს და მრავალჯერ კიდევ მოხიბლავს ზღვის ღელვის, ეგზოტიკური პეიზაჟების დეტალური აღწერა, მითოლოგიური სურათების მეტაფორული გადმოცემა, გეგონება თვალწინ ნახატი გიდგას, ისე თვალნათელია წარმოსახვა. და საერთოდ, მითოლოგიური სამყარო ისე ოსტატურადაა ჩადგმულ-შერწყმული პოემაში, რომ განცალკევებით, დამოუკიდებლად მდგომიცაა, რადგან შინაარსის გაგებას ხელს არ უშლის (მითოლოგიური ტერმინოლოგიის განმარტებების გარეშე) და, ამავდროულად, პოემაში შეთვისებულ ლამაზ ბმულ ხაზსაც წარმოადგენს. პორტუგალიის მინაზე ღვთის სიუხვე ჩანს, ქალღმერთთა დამოკიდებულება ლუზელების მიმართ ნაზია, სიყვარულით სავსე, მუდამ იცავენ მათ ბოროტისა და ავისაგან.

მინდოდა ორიოდ სიტყვა ავტორისეული თუ მთარგმნელისეული ენის შესახებაც მეთქვა. თარგმანი გაჯერებულია მსუყე ლექსიკით და მკითხველიც სამუდამოდ სასიამოვნოდ ნაყრდება. მკითხველს, კითხვაში გართულს, შეიძლება ჯეშალ იჩვიდეს არა მთარგმნელი, არამედ ავტორი ეგონოს. ეს მთარგმნელის დიდი ქართული სულის ბრალია, რომელიც ჭარბად და დაუნანებლად ჩააქსოვა თარგმანში. პოემაში გამოყენებულია სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი ლექსიკა და გამოთქმები, რომლებიც არცთუ ურიგოდ ჟღერს. მაგ.: ხვანცალი, გნისა-ქასქასი, გასავათება, აგრემც იმას შემოვევლები, ყავლი გაუვიდა, იჩიბინჩს ვერ გააგებინებ, ელეთმელეთი მოჰგვარა, ყისმათი, ცქნაფი და ა. შ. ხოლო ჟარგონი და უხეში ლექსიკა, ჩემი აზრით, მცირედად, მაგრამ მაინც ჩამოფასების ტოლფასია. მაგ.: ჩალიჩი, ის ჩემისანი — ქება 3; ოქტავა 115; ლიტერატურული ხერხების მეტაფორის, ეპითეტი-სა და შედარების მაგალითებიც ბლომად მოიპოვება. „მეეტლე მინა“ (ქება 4; ოქტავა 104), „გაუხედავი მდინარეები“ (ქება 4; ოქტავა 71), „ბრონეულებს დაუკრეჭიათ ლალის კბილები“ ქება 9; ოქტავა 59; ქება 3; ოქტავა 106 მთლიანად წარმოადგენს შედარების შესანიშნავ ნიმუშს და ა. შ. რამდენიმე ალაგას გამოყენებული ძველი ქართული სიტყვა „აჯა“: „აჯას გეტყვიო“ — ამბობს მთარგმნელი ე. ი. „გაეაზები“, შეგთხოვ, გეხვეწები.

აღსანიშნავია, რომ პოემა იწყება და მთავრდება მეფეთა ქებით, სადაც ხაზგასმულია მათი დიდი თავმდაბლობა:

**მე ჩემი ფეხით ვეახლები
არმადას თქვენსას.**

დასასრულ, უკანასკნელ ოქტავებში პოეტი გვთავაზობს საკუთარ გამოცდილებას სამშობლოს სიყვარულისა, ერთ-

გულებისა, ადამიანობისა და შეუპოვრობისა, ჭეშმარიტი პოეტური სიტყვის გამოცდილებას, და ნაღვლობს, რომ...:

**გამოცდილებას გთავაზობთ მე, მშობლიურ ჭერქვეშ
ხშირად არც ისე ნიჭიერი მუხები სჭექენ.**

საინტერესოა, კრიტიკოსთა დამოკიდებულება პოეტისა და მისი პოემის მიმართ. ლუის დე კამონენსს სხვადასხვაგვარი შეფასებანი ერგო. ზოგიერთი კრიტიკოსი მასში ხედავდა „იმპერიულ და კოლონიურ პათოსს“. მართალია ეს იყო „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა“ — სახელმძღვანელოებში მორიდებით ნახსენები, მაგრამ იყო ტოტალური კოლონიზაციის პერიოდიც...

ლუის დე კამონენსის შეფასება იცვლებოდა ეპოქის ცვლასთან ერთად. იგი ხან კლასიკოსი იყო, ხან პოეტი-პატრიოტი, ხან მოქალაქე, რომელმაც სამშობლოს თავისი აზრი და გონება უძღვნა, ხანაც მოვლენა პორტუგალიის ლიტერატურის ისტორიისა. 1762 წელს ერთ-ერთ სტატიამ ეწერა: „...დიდებული პოეტი იყო კამონენსი ან პორტუგალიელი ჰომეროსი.“

ავგუსტ ვილჰელმ შლეგელის სიტყვით: „იგი იყო არა პოეტი, არამედ მთელი ლიტერატურა“, ხოლო ალექსანდრე ჰუმბოლტმა უწოდა: „ცოცხალი ენების ჰომეროსი.“ ამ შეფასებათა გვერდით იყო მწვავე კრიტიკაც. აკრიტიკებდნენ ელინურ ღმერთთა უაზრო შერწყმისთვის ქრისტიანულ კანონებთან. ვოლტერი წერდა: „კამონენსს ბლომად აქვს ის, რასაც უწოდებენ ჭეშმარიტ აზრს, და ისიც, რასაც უწოდებენ ცრუ ცნებებს. მე ვთვლი მის პოემას შესრულებულს სიმშვენიერით და სისაძაგლით, რომელიც შერეულია, არ არის გამოყოფილი.“ ვოლტერი, როგორც ტასო, კამონენსს მიიჩნევდა „გაუგებრად.“

დაბოლოს, 10 ივნისს აღინიშნება პორტუგალიის დღე და, შესაბამისად, ლუის დე კამონენსის დღე. 1880 წელს პორტუგალიაში მისი დღე პირველად აღნიშნეს, ხოლო 1989 წელს დაიწყო პრესტიჟული „კამონენსის ლიტერატურული პრემიის“ მინიჭება.

მინდა დასასრულ გამოვთქვა აზრი იმის შესახებ, რომ პოემაში „ლუზიადები“ ლუის დე კამონენსის მიერ გახშირებული შეხედულება, ნამოჭრილი ზოგიერთი საკითხი ან პოეტის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ვერ იქნება განხილული, ვერ იქნება პოემის ანალიზში ნახსენებიც კი რადგან... დაუშვებელია. ქება 7; ოქტავა 10-13; და ქება 9; ოქტავა 7; 9; ქება 3; ოქტავა 12;

მადლობელი ვარ, რომ მომეცა საშუალება, შემომეთავაზებინა ჩემი მოკრძალებული ნააზრვეი ამ შესანიშნავი, მე ვიტყვოდი, თანამედროვე, დღემსათვის საჭირო პოემის შესახებ. მაგრამ მივცე თავს უფლებას და არ დავეთანხმები ბ-ნ გურამ გოგიაშვილს იმაში, რომ „პორტუგალიელი კამონენსი რუსთაველს ამოუდგა გვერდით“, რუსთაველის გვერდით რთულია დადგომა, თუმცა ჯეშალ იჩვიამ ნამდვილად ჩაიდინა „პოეტური გმირობა“. ბ-ნ გურამს ჰქონია მცდელობა შედგომოდა პოემის თარგმნას, მაგრამ ამოად. იგი მეგობრულად ბ-ნი ჯემალისთვის გადაულოცია. საინტერესო იქნებოდა გურამ გოგიაშვილისეული თარგმანიც. დაბოლოს, იგი ამბობს, „ბოლო სიტყვა მკითხველზეაო“ და აი, მკითხველიც და მისი წერილობითი შეფასება ნაწარმოებისა.

ჩემი სურვილია, ქართველებმა გულდასმით ნაიკითხონ, და არამხოლოდ გაცნონ, პოემას „ლუზიადები“, გაითავისონ და შეისისხლბორცონ, რადგან მისგან მხოლოდ სიკეთეს მიიღებენ.



არ არის დასავინყებელი დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილი

(მარინა გიგაშვილს ესაუბრაბა იოსებ ალიშარაშვილი)

— ჩვენთვის ცნობილია, რომ მუშაობთ მონოგრაფიაზე დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. გვითხარით ორივე სიტყვა ამ მოღვაწეზე.

— არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეში გავლენითა და საზოგადოების პატივისცემით სარგებლობენ, მაგრამ ჟამთა სვლა თავისას შერება და მათი სახელიც ნელ-ნელა ფერმკრთალდება. თუმცა დგება დრო, როდესაც მათი მოღვაწეობა კვლავ საზოგადოების ინტერესებში ექცევა და ხელახალი განხილვის საგანი ხდება. სწორედ მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილიც.

მისი დამსახურებაა ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის — მარი ბროსეს მიერ შედგენილი ქართული ეკლესია-მონასტრების წარწერებისა და კომენტარებისათვის (ე. წ. „რაპორტების“) მასალის მიწოდება, რადგან ამ წარწერათა დიდი ნაწილი დიმიტრის მიერაა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოძიებული, გადმოღებული და პეტერბურგში გაგზავნილი, რომელსაც ფრანგი მეცნიერი ამუშავებდა, თარგმნიდა და აქვეყნებდა.

დიმიტრის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მოღვაწეებთან: პლატონ იოსელიანთან, კონსტანტინე მამაცაშვილთან, გიორგი ერისთავთან, აკაკი წერეთელთან. ოჯახით ახლობლობდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, იოსებ მამაცაშვილთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, დავით კარიჭაშვილთან. არქეოლოგიურ კვლევებს აწარმოებდა ზეიდეციკისტან, კარგანოვთან, გრაფინია უვაროვასთან, გრაფ სელივანოვთან და სხვებთან ერთად.

მასვე დიდი წვლილი მიუძღვის ქართული თეატრის დაარსებისა და დრამატურგიის განვითარების საქმეში.

2015 წელს სრულდება დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილის დაბადებიდან 200 წლისთავი. ვფიქრობთ, ეს პიროვნება იმსახურებს საიუბილეო თარიღის სათანადო აღნიშვნას.

— როგორ მოაღწია თქვენამდე მისმა მემკვიდრეობამ?

— დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილის ჩვენამდე მოღწეული მემკვიდრეობის უმრავლესობა ინახება თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ფონდში, შიფრით — 986 და მოიცავს 56 საქმეს (წერილები, პროზაული ნაწარმოებები, ლექსები, ჩანაწერები, დღიურები, ოფიციალური საბუთები და სხვ.), რომელიც ჩვენ მიერ მთლიანად იქნა შესწავლილი, ისევე, როგორც მელვინეთსუცესიშვილის მიმონერა დიმიტრი ბაქრაძესთან, მარი ბროსესთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან.

თუმცა ეს ფონდი დიმიტრის ნამოღვაწარს სრულად არ ასახავს და მისი სამეცნიერო, ლიტერატურული და ეპისტოლური მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე დაცულია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში შიფრით — 47, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ, ანდერძის თანახმად, ინსტიტუტისათვის 1884 წელს შეუწირავს მარი ბროსეს ვაჟს ლაურენტ ბროსეს. ბროსეს უზარმაზარი მემკვიდრეობიდან დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილთან ურთიერთობა — 78 ფონდშია თავმოყრილი და შედგება 280 ფურცლისაგან, რომლის საერთო სათაურიცაა „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“.

დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილის პეტერბურგში დაცული მემკვიდრეობის ნაწილი, კერძოდ, მარი ბროსესთან მიმონერა (18 წერილი) 1952 წელს გამოსცა შოთა ხანთაძემ, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილს პირველად ვაქვეყნებთ.

თბილისსა და პეტერბურგში დაცულ მასალებს შორის ის განსხვავებაა, რომ თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერები შესრულებულია რეველებში, ცალკეულ ფურცლებზე, ოფიციალურ ბლანკებსა და ა. შ., ხოლო, პეტერბურგში დაცული ხელნაწერები თაბახის ჭვირნიშნით ფურცლებზეა ნაწერი.

ჩვენ დავუკავშირდით ხსენებული ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და გავაფორმეთ მემორანდუმი დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილის პეტერბურგში დაცული მემკვიდრეობის ელექტრო ვერსიის შექმნისა და შესყიდვის შესახებ. მოლაპარაკება შედგა, გაფორმდა ხელშეკრულება ინსტიტუტის დირექტორს — ირინა პოპოვასა და ჩვენს შორის, რომლის მიხედვითაც, დამზადდა და გადმოგვეგზავნა დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილის სამეცნიერო მასალების ციფრული ასლები.

ზემოხსენებული ფონდი საინტერესო მასალას შეიცავს არამარტო საქართველოს ისტორიის, არამედ ქართული ლიტერატურისა და დრამატურგიის მკვლევართათვის, მით უფრო, რომ მის მიერ XIX ს-ის 40-50-იან წლებში აღწერილი და ჩახატული თავდაცვითი ნაგებობების, ეკლესია-მონასტრებისა და იქ არსებული ლაპიდარულ წარწერათა, სახარებებისა თუ სხვა ნივთების ნაწილი დღეისათვის განადგურებული, ნაშლილი ან დაკარგულია.

— ცნობილია, რომ დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილმა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფ. ხიდისთავში გაატარა და იქვე დასაფლავებული. თუ არის მელვინეთსუცესიშვილების მემკვიდრეობის კვალი დღეისათვის შემორჩენილი ამ სოფელში და რა ფორმით?

— მართლაც, დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილმა ცხოვრების დიდი ნაწილი ქართლში, მშობლიურ სოფელ ხიდისთავში გაატარა და იქვე დასაფლავებული. მელვინეთსუცესიშვილებს ხიდისთავთან სულ ცოტა ორსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებთ, ჯერ კიდევ ერეკლე II-დან მოყოლებული დიდი გავლენით სარგებლობდნენ და 50 დღიურ მინას ფლობდნენ. ეს გავლენა მათ XIX საუკუნეშიც შეინარჩუნეს.

დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილს ცოლ-შვილი არ ჰყოლია, გარდაცვალების წინ მთელი თავისი მემკვიდრეობა და მიწები დისშვილს (დიმიტრი ბაქრაძის მეუღლეს — ანას, იგივე ანეტას) დაუტოვა, რომელმაც ისინი ვერ შეინარჩუნა და იძულებული გახდა ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლომდე გაეყიდა ბანკის ვალებში.

სამწუხაროდ, ზემოთქმულმა მიზეზებმა დღეისათვის ის რეალობა შექმნა, რომ მისი მემკვიდრეობა მშობლიურ ხიდისთავში მთლიანად გამქრალია და მის ნაფუძარზე სხვები ცხოვრობენ, რომელთა დიდმა ნაწილმა არც იცის, თუ ვინ იყო დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილი, ხოლო მისი საფლავი ზედაველაზე — მიტოვებული. მიუხედავად გარკვეულ წრეებთან ჩვენი არაერთგზისი მცდელობისა, მისი საფლავის თუნდაც შემოღობვის მიზნით, დღემდე ეს ვერ მოხერხდა და თქვენი ჟურნალის მემკვიდრეობით კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საზოგადოებას და იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ პრობლემას მოეცლება, მით უფრო, რომ იგი დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული. გარდა ამისა, დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილი იყო ის კაცი, რომელმაც მეცნიერული კუთხით და საკუთარი ხარჯით პირველმა გათხარა უფლისციხე. დღეს უფლისციხეს ქართველი თუ არაქართველი სტუმარი არ აკლია. დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილის საფლავი ზედაველას სასაფლაოზეა, გორიდან გამოსულმა ტურისტებმა სულ ცოტა ორჯერ უნდა ჩაიარონ და აიარონ ამ საფლა-

ვის სიახლოვეს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შესაბამის ადგილას გაკეთდეს სათანადო წარწერა, თუ ვინ იყო ეს პიროვნება.

საბედნიეროდ, მივაკვლიეთ ასევე ცნობილი მოღვაწის, დიმიტრის ბიძაშვილის, ხალხოხანისა და გორის სცენისმოყვარეთა წრის აქტიური წევრის — ვასილ გიორგის ძე მეღვინეთუხუცესიშვილის ნამოსახლარს. იგი, დიმიტრისთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული სოფლის სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხის გადაწყვეტაში. სწორედ მასთან სტუმრობდა 1882 წელს ვაჟა-ფშაველა და მის საპატივსაცემოდ ვასილ მეღვინეთუხუცესიშვილს სადილიც გაუმართავს. მოგვიანებით, ვასილის მუსიკალური ტრადიციები წარმატებით გააგრძელა მისმა ვაჟმა, თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა კონსტანტინე მეღვინეთუხუცესმა (1891-1972), რომელმაც სიყმაწვილის წლები ხიდისთავში გაატარა.

XIX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ვასილ მეღვინეთუხუცესიშვილს თავისი მიწის (თუ სახლის) ნაწილი მიუყიდა ხიდისთავში დროებით მაცხოვრებელ — ალექსი გაბრიელის ძე ჩხიტიურისათვის. ეს ადგილი მოგვიანებით კიდევ რამდენჯერმე გაიყიდა და დღეს ტლაშაძეების საკუთრებაშია. საბედნიეროდ, ბატონ ვალერი ტლაშაძეს ახალი სახლის მშენებლობისას ხელუხლებლად დაუტოვია მეღვინეთუხუცესიშვილისეულ კერაზე აშენებული ძველი ბუხარი.

— რაში გამოიხატა უნივერსიტეტის მხარდაჭერა დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის საქმეში?

— საბედნიეროდ, უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი გიორგი სოსიაშვილი ყოველ ასეთ ნამოწყებას არათუ მხარს უჭერს, პრაქტიკულადაც ეხმარება და ხშირად ინიციატორიცაა.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის შესახებ მონოგრაფიის შექმნისა და პეტერბურგში დაცული მისი მემკვიდრეობის ელვერსიის მომზადებისა და შესყიდვის იდეა მონონებული და მხარდაჭერილი იქნა ჰუმანიტარული ფაკულტეტის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებზე. ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის უნივერსიტეტში იგეგმება პრეზენტაცია დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის პეტერბურგში დაცული და ჩვენ მიერ ჩამოტანილი სამეცნიერო მემკვიდრეობის სტუდენტებისა და დაინტერესებული საზოგადოების გაცნობის მიზნით.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ასევე მხარი დაუჭირა მომავალ წელს დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის ჩატარების იდეას, სადაც მოვიწვევთ მისი ცხოვრება-მოღვაწეობით დაინტერესებულ მეცნიერებს, საზოგადოების წარმომადგენლებსა და უმაღლეს დანესებულებებს.



იოსებ ალიმბარაშვილი და მარინე გიგაშვილი

— რა მასალა შევა დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ თქვენს ნაშრომში?

— ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში დიმიტრის მამა-პაპისა და პაპის-ძმის — კონსტანტინე, თომა და პაატა მეღვინეთუხუცესიშვილთა — ცხოვრება-საქმიანობის დეტალებია გადმოცემული, ხოლო მეორე ნაწილი უშუალოდ დიმიტრის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს.

გარდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და თბილისის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული მასალებისა, მკითხველი ასევე იხილავს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საისტორიო არქივში მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის პირად არქივებში დაცულ, გამოქვეყნებულ და მეტწილად გამოუქვეყნებელ მასალებს, XIX ს-ის ქართულ და რუსულ პრესაში დაბეჭდილ კორესპონდენციებს მეღვინეთუხუცესიშვილისა და ცნობილ მოღვაწეთა შორის ურთიერთობის შესახებ. დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის აღწერებს შიდა, ქვემო და დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის შესახებ. გაეცნობა დიმიტრის დრამატურგიულ და პოეტურ მემკვიდრეობას, მის ღვაწლს მშობლიური სოფლის ასაღორძინებლად და სხვა.

**ქრისტიანული პოეზიის
IV ფესტივალი
„წმინდა ნინოს ჯვარი“**

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალს „წმინდა ნინოს ჯვარი“ უმასპინძლა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი).

გაიმართა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ რიგით IV კრებულის წარდგინება. დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინეს ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის ფარგლებში გამომცემული ქართული ქრისტიანული პოეზიის ანთოლოგიის I და II ტომები: „ეკლესია-მონასტრები ქართულ პოეზიაში“ და „ანგელოზი ქართულ პოეზიაში“.

ფესტივალის ჟიურიმ: მამა ილია ჩიკვაძე, ზაალ ბოტკოველი, ანა ერისთავი, მალხაზ მაჭავარიანი, გივი ჩიღვი

ნაძე – ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა:

შოთა ზოიძე, ედუარდ უგულავა, ზოია ვაშაკიძე, თამარ ფარჩუკიძე,

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ დააჯილდოვა:

ვასილ ბოსტაშვილი, მამუკა დემეტრაშვილი, ყუყუნა ხაჯიშვილი, ელდარ ჭიჭიაშვილი, ამირან სურგულაძე, თეიმურაზ ქორიძე, შოთა ტოგონიძე.

ფესტივალის პრიზით – „ენდალმა“ დააჯილდოვა: **დავით გაბუნია, მიხეილ ჩხეიძე, შავლეგო არაგველი, დონა კოლხი-ნარმანია, მაგდა ბებიაშვილი, ნიკა ფუტყარაძე.**

ფესტივალის მხარდამჭერები:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, გამომცემლობა პალიტრა-, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდი, საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

ბონდო არველაძე

ახალი სომხური „აღმოჩენები“

„აღმოჩენა“ პირველი მისრობ-მაშტოცი და მინდალეკი

ერევის გაზეთში „შარავილ“ (რადიუსი) 2014 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა სტატია — „სომხური ენის მისტიკური ანბანი“. ავტორის გვარი არ ანერია. მასში ვკითხულობთ: „ანბანი არის სომეხი ხალხის სიამაყე. იგი შექმნა დიდმა სწავლულმა და განმანათლებელმა მესროპ-მაშტოცმა (405), რომელიც ითვლება სომეხთა სიმბოლოდ და აბსოლუტურ ავტორიტეტად. სომეხი ხალხი თავის ანბანს საუკუნეების მანძილზე სიყვარულით იცავდა და განუზომლად აფასებდა. მაგრამ ფიქრადაც არ მოსდოდა მასში ჩადებული რომ იყო ზეკაცობრიული იდეა და ზებუნებრივი სასწაული...“

ცნობილი იყო ადრეულ ხანაშივე და გაცემასაც ინვევდა ის ფაქტი, რომ ნივთიერებას თავის სახელწოდება ჰქონდა ძველ სომხურში, სომხურ ასოთა ნომრების რიცხვების ჯამი ემთხვევა (ტოლია) მენდელეევის სისტემის ცხრილის რიგით ნომრებს!!!

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით — ყოველ ასოს რიგითი ნომერი აქვს ანბანში. ვთქვათ „ა“ — 1, „ს“ — 29 და ა.შ. თუ ავიღებთ ძველ სომხურად ნივთიერების სახელწოდებას და შევჯამებთ ასოთა რიგითობას, როგორც სომხურ ანბანშია, მივიღებთ მენდელეევის სისტემის ცხრილში არსებულ ამ ნივთიერებათა ნომერს.

მაგალითად — ოქრო სომხურად არის ვოსკი. სომხურ ანბანში ასო „ვო“ 24-ეა, „ს“ — 29, „კ“ — 15, „ი“ — 11. მათი შეჯამებით მივიღებთ — ვო+ს+კ+ი= 24+29+15+11=79-ს.

79 — ეს არის ოქროს რიგითი რიცხვი მენდელეევის სისტემის ცხრილში — უ (79). ამ კანონს ემორჩილება ყველა ერთკომპონენტური ნივთიერება, რომელიც ცნობილი იყო ძველ დროში. მაგალითად — წყალი შედგება წყალბადისა (H) და ჟანგბადისგან (O).

კრისტალურად ნათელი და შემონმებული ფანტასტიკური ფაქტია!!! სომხური ანბანი შეიქმნა 1464 წლით ადრე, ვიდრე მენდელეევი თავის ცხრილს აღმოაჩინდა. ერთკომპონენტური ნივთიერება ჯერ კიდევ ადრე იყო ცნობილი. რალაც სასწაულით არის დაკავშირებული ეს ორი უდიდესი გენია: მესროპ-მაშტოცი და მენდელეევი.

მენდელეევის ცხრილში რიგითი ნომერი შეესაბამება ატომური მუხტის, ბირთვისას. რა თქმა უნდა, მესროპ-მაშტოცს არ შეეძლო ცოდნოდა ატომური ბირთვის შესახებ და არც კვლევა-ძიება ჩაუტარებია, რომ აღნიშნული პრინციპით განელაგებინა ანბანი. მაგრამ ქიმიის და ფიზიკის გაკვეთილებიდან გავიხსენოთ, მენდელეევიც არ იცოდა ატომური ბირთვის არსებობა და თავისი სისტემის — ცხრილის ელემენტთა რიგითობის — შესახებ კვლევა-ძიება არ ჩაუტარებია (ფიქრობენ, მენდელეევიც ეს ცხრილი სიზმარში ნახა).

მიუხედავად იმისა, რომ მენდელეევის მიერ 15 ათასი წლით გვიან იქნა აღმოჩენილი ეს ცხრილი, მესროპ-მაშტოცის მიერ სომხურ ანბანში ჩადებულ ზესაოცრებაზე არანაკლები სასწაულია.

უფრო მეტიც, დიდი ხანია ცნობილია, რომ მრავალი სომხური ასო ან მისი პროტოტიპი მაშტოცამდე არსებობდა.

მაშტოცის გენიალობა ისაა, რომ მან დაამუშავა, დაამატა, შეკრიბა და განალაგა ერთ ცხრილში ეს ანბანი. რაც შეეხება ნივთიერებებს, მათი მნიშვნელობა ცნობილი იყო. ამ სწავლულმა შეკრიბა ისინი ერთ სისტემაში (ცხრილში). საოცარია — მაშტოცმა როგორ გამოიცილა — ვთქვათ „კ“ უნდა იყოს 15 ანდა მენდელეევიც როგორ განსაზღვრა, რომ ურანი უნდა ყოფილიყო 92-ე.

ამრიგად, მტკიცედ, უყოყმანოდ შეიძლება ვთქვათ, ამ სწავლულთა თავში შემოქმედებითი მუშაობის დროს მოხდა რალაც არაბუნებრივი სასწაული...“

ჩვენი კომენტარი:

როგორც ავტორი წერს — აღნიშნულ კანონებს 7 ლითონის რიგითობა ექვემდებარება. კი მაგრამ, სომხური ანბანი 36 ასონიშნისგან შედგება. დანარჩენ 28-ს რა ვუყოთ? რა, ისინი ვერ იხილა მაშტოცმა? ეს იმას მოწმობს, რომ ეს არის შემთხვევითი, რადგან 28 ასო-ნიშანი არ დასტურდება.

სომხური ანბანის მენდელეევის ცხრილთან დაკავშირება ფანტაზიის ნაყოფია!

იმედია, ჩვენი ანბანოლოგები დაინტერესდებიან აღნიშნული „აღმოჩენით“ და იტყვიან თავიანთ სიტყვას.

„აღმოჩენა“ მეორე „ფანტოს დისკო“

ერევის ჟურნალში „არაპეტ“ (ბილიკი) 2014 წლის №2-ში გამოქვეყნდა სტატია „ფესტოს დისკო“ (გვ. 32-33). მასში გადმოცემულია ტექნიკური მეცნიერებათა კანდიდატის არტაშეს არნრუნის მეცნიერული „აღმოჩენები“. არ ვიცი თავის სპეციალობაში რა ხვითაა, მაგრამ ისტორიასა და ენათმეცნიერებაში — რბილად რომ ვთქვათ — მეზღაპრეა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს 1988 წელს გამოქვეყნებული ვრცელი მოცულობის წიგნი — „სომხეთის მთიანეთი და ცივილიზაცია“. სომხეთის მთიანეთი გეოლოგ აბიხის მოგონილი, ხელოვნური ტოპონიმაა. ამას გაუძღვება ადამიანი, მაგრამ „ეს სომხური გენიის საკაცობრიო გამონათება“ მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად სომხეთის მთიანეთს რომ აცხადებს (სწორედ რომ აცხადებს), ამას რა ეწოდება, უკვე აღარ ვიცი!..

ა. არნრუნის მოგვიანებით გამოუცია მეორე წიგნიც — „სლავიანური კულტურა და სომხური განმანათლებლობა“ (2004). მასში დაუმტკიცებია: „სომხური ანბანი აგებული ყოფილა რამდენიმე ქრისტიანულ სიმბოლოზე — ჯვარი, წრე, სამკუთხედი, თევზი, გველი და სხვ.“ ამავე დროს ამოუხსნია სომხური ანბანის პირველი ასონიშნის — ა-ალფას საიდუმლო. ანალოგიური „აღმოჩენის“ ავტორი ყოფილა ა. არნრუნი რუსული ანბანის კვლევის საქმეშიც.

მას დაუმტკიცებია: „კირილ და მეთოდეს რუსული ანბანი — „კირილიცა“ არ შეუქმნიათ. ეს ანბანი შექმნილი ყოფილა კირილესა და მეთოდეს გარდაცვალებიდან 130 წლის შემდეგ“. კირილე კი არც მეტი და არც ნაკლები „სომეხი ფილოსოფოსი — კონსტანტინე“ ყოფილა!.. ანბანის შექმნის ღვთიური კანონი მარტო მაშტოცს კი არა, მის „თანამემამულეს“ კონსტანტინესაც ცოდნია!

გამოიღეს, მესროპ-მაშტოცი ღმერთი ყოფილა: მაშტოცმა მენდელეევიც გაცილებით ადრე აღმოაჩინა მისი პერიოდული სისტემა (ცხრილი)!.. რუსებს მიუღიათ სომეხი ფილოსოფოსის — კონსტანტინეს — წყალობით ანბანი...

აბა, ამის შემდეგ საცოდავ ქართველებს მაშტოცმა მოწყალეობა რომ გაიღო და ანბანი შეგვიქმნა, განა გასაკვირია?

ახლა „ფესტოს დისკოს“ შესახებ: 1908 წელს კუნძულ კრეტაზე სასახლის ნანგრევებში იპოვეს თიხის მრგვალი დისკო. არწრუნს დაუმტკიცებია უძველესი ტომის, ჰიკსოსების და სომეხთა იდენტობა. ამას მონიშნავს თურმე ფესტოს კალენდარი. სტატია გვაუწყებს: „მეცნიერებმა არაერთი საეჭვო თეორია წამოაყენეს, მაგრამ არცერთმა არ ჩაატარა ფესტოს დისკოს მოზაიკურ-ბუდობრივი ანალიზი. ეს საქმე გაუკეთებია აკადემიკოს არწრუნს (აკადემიკოსიც გამხდარა — ბ.ა.). პირველად მას გაუშიფრია ფესტოს დისკო და მისი საიდუმლოება ამოუხსნია. აკად. არწრუნს ფესტოს დისკოს მოზაიკური სტრუქტურა გაუთავისუფლებია სურათებისგან და ამით ნათელი გამხდარა ის, რომ მისი ნაწილები შედგება ორი შემადგენელი ელემენტისგან — სპირალური შუაგული და მრგვალი რკალი: შუაგულის სპირალურ შუაგულში რიცხვი — 18 ყოფილა, ხოლო მრგვალ რკალში კი — 12!!!“

სტატიის ავტორი სიამაყით დასკვნის: „აკად. არწრუნმა პირველმა გაშიფრა და დაამტკიცა, რომ ფესტოს დისკო სომხეთიდან მოდის“.

ამას გარდა სომეხმა სწავლულმა დაამტკიცა, რომ სიტყვა კალენდარი ლოგიკურად (რა ლოგიკას გულისხმობს გაუგებარია — ბ.ა.) მოდის სომხური ენიდან. თუ მას დავეშლით, გამოიყოფა სომხური ზმნა კალ — სიარული, სელა, ხოლო მეორე ნახევარი — დარ — სომხურად ნიშნავს საუკუნეს. მათი შეერთებით მივიღებთ „საუკუნის სვლას“ ე.ი. „სომხურ კალენდარს“.

ეს ე.წ. ეტიმოლოგია დილექტანტური უფიცობის ერთ-ერთი ნიმუშია აკად. არწრუნის „ლინგვისტური კვლევებიდან“. საქმე ის არის, რომ კალე — რომაული კალენდრით, ყოველი თვის პირველ 5 ან 7 დღეს ეწოდება. „კალო+ლუნა+ნოველა-დია“. ამ სიტყვებს იძახდა კაპიტოლიუმიდან უმაღლესი ქურუმი და აუწყებდა ხალხს ახალი თვის დადგომას. აქედან მოდის სიტყვა კალენდარი. (გიორგი ბაბინიოტი — ახალი ბერძნული ენის ლექსიკონი, ათენში, 1997).


ამგვარი „ენათმეცნიერული ძიებით“ აქვს ახსნილი და გასომხურებული უამრავი უცხო ტოპონიმი, სიტყვა და სახელი.

რაც შეეხება ფესტოს დისკოს, აკად. არწრუნის მიერ „გაშიფრვას“ და მის სომხურ წარმომავლობას, ეს ფესტოს დისკო ქართველ მკვლევართა საქმეა. ალბათ დაინტერესდებიან და დაადგენენ, რამდენად შეეფერება სიმართლეს.

„აღმოჩენა“ მისამი ვედური კულტურის ძირები (დოლმენები და მეგალითები)

ერევნის ჟურნალში „სომხური ბილიკებით დედაგზისკენ (მაგისტრალისაკენ)“ 2014 წლის აპრილის თვის №1-ში გამოქვეყნდა მოსკოვის ლიტერატურის აკადემიის ნამდვილი წევრის ა.ს. ხაჩატრიანის სტატია „ვედური კულტურის ძირები (დოლმენები და მეგალითები)“ (გვ. 52-54). მასში გადმოცემულია ვედური კულტურის საწყისები და მისი გავრცელების არეალი. ჩამოთვლილი აქვს ქვეყნები, სადაც გვხვდება ვედური კულტურის ძეგლები. ამ ჩამონათვალში რატომღაც „გამორჩენია“ საქართველო. არადა, ჯავახეთში ამ ტიპის ძეგლები საკმაო მრავალრიცხოვანი რაოდენობითაა (იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი — „მეგალითური კულტურა საქართველოში“, 1938).

აკად. ხაჩატრიანი ვედური კულტურის და მოძღვრების შესახებ ახალს არაფერს ამბობს და იმეორებს მეცნიერებაში არაერთგზის გამოთქმულ მოსაზრებებს. ვედური მოძღვრების შესახებ მოკლედ შეიძლება ითქვას: უძველესი ვედური



ტექსტები ჩანერილია სანსკრიტულ ენაზე, რომელსაც მზის ენას უწოდებდნენ. ეს ჩანერა დაახლოებით მომხდარა ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის ბოლოდან I ათასწლეულის I ნახევრამდე. იგი ინდური მწერლობის უძველესი ძეგლია და წარმოადგენს რელიგიური ჰიმნების ოთხ კრებულს: რიგვედა, სამავედა, იაჯურვედა და არავედა. მოგვიანებით ვედაში შევიდა თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურაც: ბრაჰმა (ახსნა), არანიკა (ტყის წიგნები), უპანიშადები (კომენტო და საუტრა). ეს არის ძალიან მოკლედ ვედური მოძღვრების ისტორია.

მაგრამ აკად. ხაჩატრიანის მიზანი დოლმენებსა და მეგალითებთან ვედური კულტურის დაკავშირება და მისი ფილოსოფიური ინტერპრეტაცია კი არ არის, ეს მხოლოდ წინაპირობაა, აი, ეს რომ განაცხადოს: „ვედური მოძღვრება გავრცელებული იყო სომხეთში. „ცოდნის ცეცხლის“ წინარე სამშობლო მარტო მესოპოტამიაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ სომხეთშიაც არის საძიებელი“. შემდეგ განაგრძობს: „ვედური მოძღვრება გავრცელებული იყო სომხეთში, სადაც თავყვანს სცემდნენ მზეს და ადიდებდნენ მზის ღმერთს — რა-ს“.

აქვე ვიტყვი — ვედ არის სანსკრიტული სიტყვა და ნიშნავს ცოდნას.

აკად. ა. ხაჩატრიანი იძლევა ამ სიტყვის ეტიმოლოგიას და წერს: „პირველად ყველა ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირად. შემდეგ გაჩნდა იეროგლიფები და ანბანი და დაფიქსირებული იქნა დამწერლობის მქონე ხალხის მიერ. თუ გვინდა ვიპოვოთ რეგიონი, სადაც პირველად განვითარდა ვედური მოძღვრება, მიზანშეწონილად მიგვჩნია მივმართოთ ამ სიტყვის (ვედ) ეტიმოლოგიას. ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვა: სომხური ენა ითვლება ყველაზე უძველეს ენად. ამიტომ დავიწყებ სწორედ ამ ენიტ. სიტყვა — „ვედ“ სომხურ თარგმანში ნიშნავს „ეს მოძღვრება უმაღლესია (არის)“.

ამრიგად, „ვეპ“ ან „ვერ“ სომხურად არის „უმაღლესი“, ხოლო ნაწილაკი „და“ ან „ტა“ ნიშნავს „მიცემას“.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სად არის აქ სანსკრიტული „ვედ“ (ცოდნა). სომხურ თარგმანში „უმაღლესი“ არის, მაგრამ „ცოდნა“ არ ჩანს. „უმაღლესი“ არის ზედსართავი სახელი და ნებისმიერი სიტყვა შეიძლება განსაზღვროს. მაგალითად, უმაღლესი მწვერვალი, უმაღლესი ქურუმი და ა.შ. მარ-

ტო „უმალესი“ თავისთავად ფუნქციამოკლებულია, თუ ის რაიმე სიტყვას არ განსაზღვრავს, ამდენად, აკად. ა. ხაჩატრიანისეული ამ სიტყვის — „ვედ“ ეტიმოლოგია, თუ მას შეიძლება ენოდოს ეტიმოლოგია, საოცრად დილექტანტურია. მასში ჩანს აკად. ა. ხაჩატრიანის მგზნებარე სურვილი, რადაც უნდა დაუჯდეს, ვედური მოძღვრება ან მისი ნიშნები მაინც აღმოაჩინოს სომხურში. მას ვერ უშველის ზოგადი განცხადება „შუმერების, არატეტების, სომხურის და კავკასიის ხალხთა საერთო ფუძეზე წერდნენ გამოჩენილი მეცნიერი — ნ. მარი, ბ. ოტტენი, ნ. ხრისტიანი, ბ. ტილიაკი, ა. არნრუნი, ს. აივაზიანი და სხვ.“

ეს მეცნიერები მართლაც იკვლევდნენ აღნიშნულ ხალხთა საერთო ფუძეს, მაგრამ ისინი ცდილობდნენ არგუმენტირებულად დაესაბუთებინათ თავიანთი მოსაზრებანი. თუმცა ამას ვერ ვიტყვი ა. არნრუნის და ს. აივაზიანის შესახებ. ა. არნრუნი როგორი „მეცნიერიცაა“ ვნახეთ. რაც შეეხება ს. აივაზიანს — ეს ის „მეცნიერია“, რომელმაც მესროპამდელი სომხური ანბანი აღმოაჩინა. სინამდვილეში — მენამორში არსებული XVI საუკუნის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი არაბული წარწერა მარცხნიდან მარჯვნივ წაიკითხა და ქვეყანა შეაჯერა: არიქა, მესროპამდელი სომხური წარწერა აღმოვაჩინეო. ის ფალსიფიკაცია საქვეყნოდ ამხილა აკად. ბ. პიოტროვსკიმ. ისიც ვთქვათ: ს. აივაზიანმა ქართველთა „გენიალური“ ეტიმოლოგია მოგვცა: **ГРУЗИН ГРУЗЧИК**-ებიდან?.. „განთიადი“ სომეხმა პოეტმა დაწერა. აკ. ნერეთელმა თარგმნა ქართულად. სომხური დედანი დაიკარგა, ქართული თარგმანი კი დარჩაო?!. ამ მეცნიერული მარგალიტების ავტორი „დიდ მეცნიერად“ ჰყავს დასახელებული აკად. ა. ხაჩატრიანს?!

მეგალითური კულტურის და ვედურ მოძღვრებასთან მისი შესაძლო კავშირის კვლევა-ძიების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ უნდა მოხდეს შეხედულებების, ფაქტების, კრიტიკული შეჯერებისა და აკადემიური ანალიზის საფუძველზე და არა ზღაპრულ-დილექტანტური კვლევის დონეზე.

ნაძალადეგია და ხელოვნური პრომეთეს სახელის გასომხურება, იმ „ენათმეცნიერული ძიების“ მიხედვით, რომელსაც აკად. ა. ხაჩატრიანი გვთავაზობს: „პრომეთეს სახელი ბერძნულად ნიშნავს „გამჭრიახს“, სომხურ ენაზე კი არის „კეთილი ღმერთი“.

ახლა ვნახოთ რა მანიპულაციების გზით ცდილობს აკად. ხაჩატრიანი მიიღოს პრომეთესგან სომხური „კეთილი ღმერთი“, „პრომეთეს სახელის დასაწყისი — „პრო“ ასოცირდება სომხურ „ბრა“ ან „პრა“ — რაც სომხურად ნიშნავს — კეთილს, ხოლო „ტერ“ — უფალს. დასავლეთის სომხები მჟღერ თანხმონებს წარმოსთქვამენ რბილად ან პირიქით“.

პრომეთეს „პრო“: „ბრა“ ან „პრა“-სთან კი არ ასოცირდება, არამედ სომხური თავადური გვარის — პრო-შიანის პირველი ნაწილია. მაგრამ ავტორს ეს ხელს არ აძლევს, მას სურს — პრომეთე იყო სომეხი!..

აკად. ა. ხაჩატრიანმა ამგვარი „ეტიმოლოგიური ძიებებით“ და „აღმოჩენებით“ გადააჭარბა თავის თანამემამულე „მეცნიერებს“ არნრუნებს, აივაზიანებს, ასლანიანებს და მათ მსგავს მეზღაპრეებს.

ეკატერინე ტუკვაძე

პარდის ფურცლოვის ჟამი... პატრისია კაასის კონცერტზე

მიმდინარე წლის 31 მაისს თბილისს სახელოვანი ფრანგი მომღერალი პატრისია კაასი სტუმრობდა. მან ქართველი მაცურებლისათვის კონცერტი თბილისის საკონცერტო დარბაზში გამართა. „კაასი მღერის პიაფს“ („Kaas Chante Piaf“) — ასე ეწოდებოდა პროექტს, რომელსაც ის თითქმის ორი საათის განმავლობაში ასრულებდა. პროექტის წარმომდგენი იყო კომპანია „კასტელ ჯორჯია“, გენერალური სპონსორი — „შვეფსი“, ორგანიზატორი კი — თბილისის საკონცერტო დარბაზი. მომღერალი საქართველოს კომპანია „ისტერნ პრომოუშენის“ მონვევით ესტუმრა. „Kaas Chante Piaf“ მომღერლის 2012 წლის ცოცხალი ჩანაწერია. მომღერალმა მისთვის ედიტ პიაფის საუკეთესო ჰიტები შეარჩია. ალბომში სულ 21 კომპოზიცია შევიდა, მათ შორის: Mon Dieu, Padam Padam, Avec Ce Soleil, La Belle Histoire D'amour, Les Amants Merveilleux, T'es Beau Sais, C'est Un Cars, Lafoule, Mon Manage A Moi, La Vie En Rose, Non, Je Ne Regrette Rien, Je T'ai Dans La Peau და სხვები. წარმოდგენილ შოუს მომღერალმა საკუთარი რეპერტუარიდან 6 სიმღერა დაუმატა. პროექტი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ პატრისია კაასმა მისი პოპულარიზაციისათვის მსოფლიო ტურნე წამოიწყო. საქართველოში ჩამოსვლამდე მან კონცერტები ნიუ იორკის „კარნეგი ჰოლში“, ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“, პარიზის „ოლიმპიაში“, მოსკოვის ოპერის თეატრსა და მსოფლიოს სხვა უდიდეს დარბაზებში გამართა. ალბომში შესული კომპოზიციების არანჟირება ახალგაზრდა პოლონელ კომპოზიტორ აბელ კოჟენოვსკის ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ ეს კომპოზიტორი ტომ ფორდის „მარტოხელა მამაკაცის“ მუსიკისათვის „ოქროს გლობუსზე“ გახლდათ ნომინირებული. მას ასევე ეკუთვნის მუსიკა მადონას ფილმისათვის — „W.E.“.

თბილისში ჩამოსულმა მომღერალმა კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართა. იგი მოკრძალებით გამოვიტყდა, რომ ქართულ სცენაზე გამოსვლამდე, ცოტა არ იყოს, ღელავდა. თუმცა პირობა დადო, რომ მაცურებლისათვის სიამოვნების მინიჭებას მაქსიმალურად შეეცდებოდა.

მომღერლის თქმით, პროექტის იდეა მის მეგობრებსა და გარემოცვას ეკუთვნის. ის ფრანგული საესტრადო მუსიკის ლეგენდის — ედიტ პიაფის — გარდაცვალების 50 წლისთავს მიეძღვნა, რომელიც 2013 წელს აღინიშნა.

„ჩემი მეგობრები მიიჩნევდნენ, რომ განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე, მზად ვიქნებოდი ედიტ პიაფის რეპერტუარი შემესრულებინა, რადგან ამას სწორედ გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება სჭირდება. ჩემს თავში დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ასეთი გადწყვეტილება მიმელო. მეგობრებს რომ არ შევევლიანებინე, ალბათ არც ეს პროექტი განხორციელდებოდა. ნამდვილად არ მინდოდა, რომ მისი სიმღერები მხოლოდ მისი შესრულების თარგზე მემღერა. მსურდა ეს ჩემივე ვერსია ყოფილიყო — ჩემი ცხოვრების როგორც სასიამოვნო, ისე უარყოფითი ეპიზოდებით გაჯერებული — და ამით ედიტ პიაფისთვის მეცა პატივი. ისეთი შოუს დადგმის სურვილი მქონდა, რომელიც 21-ე საუკუნის და არა ედიტ პიაფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანის გამეორება იქნებოდა“, — აღნიშნა პატრისია კაასმა.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა ტერმინი „ედიტ პიაფის გაცოცხლება“ ახსენეს, რასაც მომღერალი თავმდაბლურად არ დაეთანხმა.

„ედიტ პიაფი ისეთი დიდი და ცნობილი ადამიანი იყო, რომ გასაცოცხლებლად მე არა ვჭირდები. ეს პროექტი ჩემივე ვერსიაა. ვე-

ცადე, მასში ჩემი ემოციები ჩამექსოვა. ტურნეს ორი წელია ვმართავ და საკმაოდ დაღლილი ვარ. თუმცა ვეცდები კონცერტში ჩემი შესაძლებლობანი მაქსიმალურად წარმოვაჩინო”, — აღნიშნა პატრისია კაასმა.

მომღერალმა ჟურნალისტებს ისიც გაუმხილა, რომ ედიტ პიიფის სიმღერათა შესრულების გადაწყვეტილება ერთგვარად სარისკოც კი იყო.

„ჩემი ნაბიჯის რეალური გამოწვევა და საშიშროება ის გახლდათ, რომ ხალხს მხოლოდ მისი ან სხვა მომღერლების ვერსიები ჰქონდა მოსმენილი, რომლებიც ცდილობდნენ, მას დამსგავსებოდნენ. საინტერესო ის იყო, რომ მსმენელს ჩემივე ვერსია შევთავაზებ. ძალიან ვლელავდი, მაგრამ პუბლიკა ჩემდამი კეთილად განწყობდა და ეს მისთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. ისიც ვიცოდი, ადრე თუ გვიან მე და ედიტ პიიფს ერთმანეთს შეგვადარებდნენ — არა, ესა სჯობს, არა, ისო — მაგრამ ყოველმხრივ ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა და ჩემი საქმე მეკეთებინა”, — აღნიშნა პატრისია კაასმა.

ქართველი ჟურნალისტები იმითაც დაინტერესდნენ, თუ რა დეტალები იცის მომღერალმა ედიტ პიიფის ცხოვრებიდან. პატრისია კაასის თქმით, ედიტს ცხოვრებაში დადებითი მომენტებიც უხვად ჰქონდა და ემოციებიც, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყო. პრესა კი მხოლოდ უარყოფით დეტალებს აშუქებდა.

„მომღერლობა ის საქმეა, რომელსაც დადებითი ემოციები ახლავს. პროფესიული საქმიანობისას იმ ადამიანთა გაცნობის საშუალებაც მომეცა, რომლებსაც მასთან ჰქონდათ ურთიერთობა, მათ შორის იყო შარლ აზნავური. ამ უკანასკნელმა მითხრა, რომ ედიტი კეთილი, იუმორით აღსავსე და ძალიან ძლიერი პიროვნება იყო. ასეთი რომ არ ყოფილიყო, ვერც იმ ცხოვრებას გაუძლებდა, როგორც ჰქონდა. მის ბიოგრაფიასაც კარგად ვაგვიცანი. დამიჩნა შთაბეჭდილება, რომ ეს გახლდათ ადამიანი, რომელსაც სითბო და სიყვარული უსაზღვროდ სჭირდებოდა. როგორც კი სიყვარულს პოულობდა და ურთიერთობის გარკვეულ ეტაპამდე მიდიოდა, ამ ურთიერთობის შესანყვეტად ყველაფერს აკეთებდა. სწორედ ეს ტიპი ვიცი ასაზრდოვებელი მის სიმღერებს, რომელიც მასში იმ დროს იზადებოდა”, — აღნიშნა მომღერალმა და კვლავაც ძველებურად მოციმციმე, მშვენიერი ლურჯი თვალები აუწყლიანდა.

გამოგიტყდებით, ბევრისაგან განსხვავებით, ადამიანის იდეალური სილამაზის უმთავრეს შტრიხად მაინცდამაინც ცისფერ ან მწვანე თვალებს არასდროს მივიჩნევდი და ვფიქრობდი, რომ სილამაზე უპირველესად სახის სხვადასხვა ნაკვთის ჰარმონიული შერწყმამა, მაგრამ პატრისია კაასის ის გამონაკლისი გახლდათ, რომლის თვალების საოცრად წმინდა, შეუმღვრეველი ლურჯი ფერიც ბავშვობიდან განსაკუთრებულად აღმაფრთოვანებდა. მისი სიმღერების მშვენიერებაც ჩემს სულში თითქოს ამ სილაფვარდეს შემოჰქონდა. პრესკონფერენციაზე მყოფს წამით ისიც კი მომეჩვენა, რომ მის მზერაში ჩემი ბავშვობის უტყუარი მოგონებანი აკაფდა.

ქართველი ჟურნალისტები პროფესიასთან მომღერლის დამოკიდებულებითაც დაინტერესდნენ.

— რა არის თქვენს პროფესიაში ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი? — ჰკითხეს მომღერალს.

მან ამ კითხვასაც ემოციურად, გულწრფელად უპასუხა:

„რაც ჩემი საქმის შესრულებისას ყველაზე მეტად მსიამოვნებს, ესაა: როცა სცენაზე ვდგავარ, შეიძლება დარბაზში თვალი მოვკრა ადამიანს, რომელიც ჩემს სიმღერებზე ტირის. მის გვერდით მჯდომი კი ბედნიერებისაგან ილიმოდეს. ჩემი პროფესია ამითაა მრავალფეროვანი და მეც ძალიან ბედნიერი ვარ”.

და კიდევ, როგორი სიმღერის მოსმენას ამჯობინებს მომღერალი დასვენებისას, მსოფლიო ტურნეს დასრულებისას. პატრისია კაასი გამოტყდა, რომ მას სიჩუმის ჰანგები დაამშვიდებს.

„ერთადერთი მუსიკა, რომელსაც მოვუსმენ, სიჩუმის მუსიკა იქნება. მიმაჩნია, რომ სინყნარეში სხვადასხვანაირი მუსიკის ჰანგები გაისმის — ქარის ქროლვა იქნება თუ წვიმის ხმაური”, — ასეთი რომანტიკული აღმოჩნდა მისი პასუხი.



პატრისია კაასი, ეკატერინე ტუკვაძე, მზეხა მახარაძე ფოტო ანა შაქარაშვილისა

როგორც კომპანია „ისტერნ პრომოუშენის“ გენერალურმა დირექტორმა მიხეილ გიორგაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, პატრისია კაასმა თავისი მსოფლიო ტურნე თბილისში დაასრულა.

„ეს მისი მსოფლიო ტურნეს ფარგლებში 145-ე კონცერტია. აღნიშნული შოუ-პროგრამა სხვადასხვა ქვეყანაში 400 000-ზე მეტმა ადამიანმა ნახა. პროექტი ყველგან წარმატებული აღმოჩნდა”, — აღნიშნა მან.

გაზაფხულის ბოლო თბილისური საღამო კი პატრისია კაასმა თბილისის საკონცერტო დარბაზში დაუწყო კონცერტი დაასრულა. ვისმენდი ამ საოცრად ელეგანტური და მომხიბლავი ქალბატონის განუმეორებელ ხმას და ვგრძობდი, როგორ მიმაქანებდა ეს ჰანგები ბავშვობაში. ჩემმა პატარაობამ ხომ სწორედ პატრისია კაასისა და მისი თაობის მომღერალთა შემოქმედების ფონზე ჩაიარა. თუმცა მაშინ ალბათ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუკი მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავი ცისფერი ეკრანიდან ოდესმე ჩემი მშობლიური ქალაქის რომელიმე საკონცერტო დარბაზში გადმოინაცვლებდა და ვარდობისთვის უკანასკნელ დაისს სწორედ თავისი სტუმრობით დაგვამახსოვრებდა.

ფრანგული შოუს დასრულებისას მომღერალმა სცენაზე ერთ-ერთი მაყურებლისაგან მირთმეული ვარდების ფურცლები მიმოვანტა. დარბაზის მტვერი მათი უნაზესი სურნელით გაიჟლინა. მაყურებელი რიტმებს უკვე ფეხზე ამდგარი აჰყოლოდა. ისიც შევნიშნე, რამდენიმე იმ ვარდის ფურცლები მუჭებში რუდუნებით როგორ მოაქცია — ვინ იცის, იქნებ სურვილიც ჩაუთქვეს ყვავილს — ფრანგ მომღერალთან კიდევ ერთხელ შეხვედრის სურვილი.

თეიმურაზ დოიაშვილი

დრამა პინაში

ანუ
ფსევდოლეგენდის წინააღმდეგ

სტალინსა და ბერიას რომ არ დაეხვრი-
ტათ ოლია ოკუჯავა, გალაკტიონი არავი-
თარ შემთხვევაში არ მოიკლავდა თავს.

ვახტანგ ჯავახიძე

გალაკტიონ ტაბიძის ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუ-
შაობისას ჩემი ყურადღება მიიქცია ვრცელმა ლექსმა „დრა-
მა ერთი ბინისა“, რომელიც პირველად 1928 წელს დაიბეჭდა,
როგორც შემადგენელი ნაწილი პოემისა „ეპოქა“, დამოუკი-
დებელი სათაური კი მოგვიანებით მიიღო, როდესაც ავტორ-
მა ეს პოემა ლექსებად დაშალა და ციკლის სახით გამოაქვეყ-
ნა თბილისში (1935).

„დრამა ერთი ბინისა“ განსაკუთრებული მხატვრული
ღირსებით არ გამოირჩევა, პირიქით, ალბათ ფორმისეული
ხარვეზების კვალი ამჩნევია. ლექსი საინტერესო ჩანს „და-
შიფრული“ შინაარსით, რომლის ამოხსნას ქვემოთ შევეც-
დები.

ნაწარმოები დაწერილია რვატაქსიანი სტროფით და მოკ-
ლე, შვიდმარცვლიანი მეტრით, რომელიც თეთრი ლექსის
სივრცეში ფუნქციონირებს. პირველი ორი სტროფი გვიქმ-
ნის შთაბეჭდილებას, რომ პოეტი რითმიანი ლექსის დაწერას
აპირებდა, მაგრამ შემდეგ განზრახვაზე ხელი აიღო, თით-
ქოს გარითმვის უარყოფით სურდა, რაც შეიძლება სწრაფად
ამოეთქვა მძიმე სათქმელი. საბოლოოდ, ლირო-ეპიკური ჩა-
ნაფიქრისათვის მოიძებნა ადეკვატური ფორმა, რომელიც
ემოციურ სანყის და საზომის ექსპრესიულობას ამბის თავ-
შეკავებულ თხრობას უთავსებდა.

მაინც რა ხდება დრამაში, რომელსაც ორი მოქმედი პირი
ჰყავს: მამაკაცი — მიმართვის უშუალო ობიექტი („შენ“) და
ქალი („იგი“/„ის“), თხრობას კი ავტორი, კაცი-პერსონაჟის
ალტერ ეგო, წარმართავს, როგორც „ამბის“ გარემოებათა
მცოდნე და ვითარების შემფასებელი.

ლექსი იწყება დრამის მონაწილეთა მძიმე სულიერი გან-
წყობილების გადმოცემით, რომლის გამომწვევი მიზეზი
წარსულშია საგულვეტელი. კაცის არსებას „მწველი სასო-
ნაკვეთა“ და „დიდი წამება“ დაუფლებია, ქალს კი „მწუხარე-
ბის გველი“ ღრღინს:

**დღემდე შენ თუმცა გქონდა
სასწარმე მწველი,
მას მწუხარების გველი
ტკივილებისგან ღრღინდა.
მაგრამ წამება დიდი,
დაგუბებული გულში,
საშუალებას გგვრიდა
გამწარების და წყევლის.**

დრომ, როგორც ირკვევა, ვერ გაანელა მწარე წარსუ-
ლის ხსოვნა („ის მწუხარება დარჩა“). დახშული, ჩლუნგი
და ცივი მწუხარება, ვითარცა აკლდამა, ისე გადაჰფარე-
ბია ოჯახის ანემოს. იგი „გაუშუქებელ ღამით“ ავსებს მო-
მავალსაც, აძაბუნებს პერსონაჟთა ნებელობას, ბოჭავს
მათ მოქმედებას.

სულიერი მდგომარეობის გადმოცემას თხრობაში შე-
მოდგომის სურათი ცვლის — განწყობილების შესაბამისად
დახატული პეიზაჟური ჩანართი, არსებითად კი მინიშნების
ენაზე დაშიფრული დამატებითი ინფორმაცია დრამის პერ-
სონაჟებზე:

**თან შემოდგომა დადგა,
თან წამოვიდა წვიმა,
ქარმა დაჰბერა უცებ,
ბალიც გაშიშვლდა უცებ,
გულდარდიანი ისმის
ახმაურება ხეთა.
ღამეებია ბნელი,
ღამეებია ვრცელი.**

„თან შემოდგომა დადგა“ და „ბალიც გაშიშვლდა“ აქ, ჩემი
აზრით, მოქმედ პირთა ასაკსა და გრძობის ტენოზაზე მი-
ნიშნებაა, ქარწვიმიანი ამინდი, ბნელი და ვრცელი ღამეები
კი — უნდობარი დროისა და უაზროდ განელილი, ცივი და
ძნელი თანაცხოვრების მეტაფორული გარდათქმა.

რა არის ის ართქმული, დაფარული, რამაც მამაკაცსა და
ქალს ასეთი ტანჯვა არგუნა, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ჯო-
ჯოხეთად უქცია? მომდევნო სტროფში წარსულს თითქოს
ფარდა ეხდება, თუმცა მკითხველი მხოლოდ „ამბის“ ბუნდო-
ვან, ვუაღირობებულ კონტურებს ხედავს:

**უცებ დაბრუნდა შენთან,
გადაკარგული სადღაც,
ეხლა გამხდარი, ჩუმი
და ავადმყოფი — იგი...
ვერ გადაურჩა ყინვას,
ვერ გადაურჩა სირცხვილს,
„აი დავბრუნდი“ — ამბობს,
„დარჩი“ — პასუხი შენი.**

ირკვევა, რომ სადღაც გადაკარგული ქალი, „გამხდარი,
ჩუმი და ავადმყოფი“, მოულოდნელად დაბრუნდა მამაკაც-
თან და თან მოიტანა **სირცხვილის დალი** („ვერ გადაურჩა
სირცხვილს“). დრამის ეს შეკუმშული „ფაბულა“ ლექსის
კონკრეტული შინაარსის ამოხსნის საშუალებას იძლევა.

პოეტური ტექსტი პირდაპირ ასოციაციას იწვევს გალაკ-
ტიონ ტაბიძის დღიურის 1921 წლის 25 მაისის ჩანაწერთან,
სადაც პოეტისა და რუსეთიდან დაბრუნებული ოლია ოკუ-
ჯავას პირველი შეხვედრა და განცდებია აღწერილი. აქვე
ჩნდება ვარაუდი, რომ ლექსი-დრამის პერსონაჟთა პროტო-
ტიპები თავად გალაკტიონი და ოლია არიან.

გალაკტიონმა, როგორც გვამცნობენ, მოულოდნელად,
სხვებისგან გაიგო ოლიას ჩრდილოეთიდან დაბრუნების შესა-
ხებ. პირველი, რაც დიდი ხნის განშორების შემდეგ შეამჩნია
მამაკაცმა, იყო ის, „თუ რანაირად გამოცვლილია ოლია. იგი
ლაპარაკობდა ძლიერ სუსტად“. გალაკტიონი აშკარად ხედავს,
რომ ქალის ავადმყოფობა სერიოზულია და დღიურში თანაგრ-
ძნობის ფრაზა ჩნდება: „ო, როგორ წარუშლელი დალი დაუმწ-
ნევიამ ამ ავადმყოფობას... ფაქტია, ჩემს წინაშე ეხლა სულ სხვა
ადამიანი დგას. მე ძლივსძლივობით ვცნობილობ მას“.*

ჩანაწერის ყველა ეს დეტალი ლექსში ზუსტად გადადის:
„უცებ დაბრუნდა შენთან,/ გადაკარგული სადღაც,/ ეხლა
გამხდარი, ჩუმი/ და ავადმყოფი — იგი“.

მთავარი კოლიზია იდუმალი ამბისა ამ სტრიქონებშია
შეფარული:

* ციტატები მომაქვს ნ. ტაბიძის წიგნიდან „გალაკტიონი“ (თბ.,
2000).

**ვერ გადაურჩა ყინვას,
ვერ გადაურჩა სირცხვილს.**

ზოგადი მინიშნების შემდეგ («გადაკარგული სადღაც») „ყინვის“ ხსენება აზუსტებს ადგილს, საიდანაც ქალი დაბრუნდა — „ყინვა“ მეტონიმიური სახეა ჩრდილოეთის და, მაშასადამე, ალუზიაც რუსეთზე. სწორედ ყინვიან ჩრდილოეთს უკავშირდება ბუნდოვანი და ყრუდ ნათქვამი სტრიქონი „ვერ გადაურჩა სირცხვილს“.

განვავრძობთ შედარებითი ანალიზი. ოლიასთან შესხვედრის სანყის მომენტს გალაკტიონი დღიურში ასე გადმოგვცემს: „მე მას ვაკოცე. იგი არ მოელოდა და დაიბნა“.

რატომ უნდა ყოფილიყო ოლიასათვის მოულოდნელი და დამაბნეველი ქმრის კოცნა — სრულიად ბუნებრივი რამ ხანგრძლივი განშორების შემდეგ? ჩაგხედოთ დღიურს და ამჯერად ოლიას მოეუხსინით:

— არ გეზიზღები? მე გადამდეგი სენით ვარ ავად...

ეს „არ გეზიზღები?“ და „გადამდეგი სენი“, რომელსაც გალაკტიონი სხვაგან „ცუდ სენად“ მოიხსენიებს, რამდენჯერმე მეორდება ოლიას მონოლოგში.

გალაკტიონის პასუხი ქალის კითხვაზე პოეტის შემბრალებს და მგრძობიარე ბუნებაზე მეტყველებს:

— საშინლად ავადმყოფიც რომ იყო, ჩემთვის მაინც ძვირფასი ხარ, ოლია!

ატირებული ოლია კვლავ ეკითხება:

— მამ არ გეზიზღები... მამ ვიცხოვრებთ ერთად?

— ვიცხოვრებთ!.. — უპასუხებს გალაკტიონი.

დღიურის ეს ინფორმაციულად და ფსიქოლოგიურად უკიდურესად დატვირთული მონაკვეთი, მოსაუბრეთა ემოციურად დაძაბული, მღელვარე დიალოგი ლექსში გადატანილია მოკლე შესიტყვებებით, რომლის მიღმა სიტუაციის მთელი დრამატიზმია გადამალული:

**„აი დავბრუნდი“ — ამბობს.
„დარჩი“ — პასუხი შენი.**

აქ, ფაქტობრივად, დღიურის ფინალია გამეორებული („მამ ვიცხოვრებთ ერთად? — ვიცხოვრებთ!“), შინაარსობრივად ჩანანერის ეკვივალენტური, მხოლოდ სხვა სიტყვებით გადმოცემული.

„სირცხვილის“ კონკრეტულ შინაარსში საბოლოოდ გასარკვევად დღიურს მივუბრუნდეთ, გავყვეთ გალაკტიონის ფიქრებს ოლიას ჩრდილოურ ცხოვრებაზე.

„ვინ იცის, რანაირი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი? ეს ჩემთვის სამუდამოდ გამოუცნობ გამოცანად დარჩება...“ — წერს პოეტი და განავრცობს: — „მლაღატობენ მეგობრები, მლაღატობენ ნათესავები, მლაღატობს, საზოგადოდ, ბედი: მიღატობა ოლიამაც და მთელს ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე უფრო უსასტიკესი ღალატი!.. რად, რად ჩაიდინა ასეთი რამ ოლიამ?“

ლიტონი სიტყვა „დარჩი“, რასაც ლექსში მამაკაცი წარმოთქვამს, გალაკტიონის რეალურ გრძობათა ქარტეხილს ფარავს. განვავრძობთ დღიურის კითხვა:



მხატვარი კარლო ფაჩულია

„გრცხვენოდეს, ოლია. შენ მეტად ავად ხარ იმისთვის, რომ როდისმე გაგაგებინო. მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი! არასდროს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი და შეიძლება, ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იქნეს შენთვის? მე ვიზრუნებ შენთვის, რომელიც ასეთი შებრალებით მიყვარხარ. შენ კი, თუ გსურს, კიდევ მიღატობ, მიღატობ, როგორც მიღატობს ყველა: გალაკტიონ ტაბიძე თავის თავს არ უღალატებს! შენ არ გიღალატია! ვერავინ, ვერავინ ვერ გაიგებს ამ ცნობას. ეს, თითქო, არც მე ვიცი... ხა, ხა, ხა“.

დღიურში ნათლად ჩანს, როგორ იბრძვის პიროვნებაში შეურაცხყოფის ტკივილი და მიტევების სურვილი. პირადული უკან იხევს — ბრალდების დრო არ არის, რადგან ოლია ავადაა.

არა, გალაკტიონი თავს არ იტყუებს („მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი!“) — მისი რეაქცია კვლავაც პოეტის შემბრალებს და გულს ამოძახილია, განმტკიცებული მოვალეობის გრძობით („მე ვიზრუნებ შენთვის, რომელიც ასე შებრალებით მიყვარხარ“).

ბედისწერის შემოტევას, ღალატს გალაკტიონი ადამიანობის, შენდობის პოზიციიდან უპასუხებს, საკუთარი თავისადმი კი, შინაგანი ჭიდილის შემდეგ, მკაცრი განჩინება გამოაქვს: დუმილი! არც ერთი სიტყვა ოლიას, არც ერთი სიტყვა — სხვებთან! („არასდროს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი... ვერავინ, ვერავინ ვერ გაიგებს ამ ცნობას...“).

ლექსში ჩანს, რომ დღიურიდან მოქმედების სტრატეგიამ ცხოვრებაში გადაინაცვლა. პოეტურ ტექსტში ზუსტად ვითარდება დღიურის „სცენარი“:

**მხოლოდ ეს იყო თქვენში.
არც ერთი სიტყვა მეტი.
არც ერთი სიტყვა წარსულს.
არც ერთი სიტყვა მყობადს.**

ლექსის მიხედვით, დრამის მონაწილეთა შორის გადაულახავი დუმილი ისადგურებს და მკითხველი გრძობს, რომ „საბედისწერო დღიდან“ ერთ ჭერქვეშ მიტევებით აღდგენილი ერთობა კი არ ზეიმობს, არამედ მწარე უკონტაქტობა, რეალური გაუცხოება:

**ერთიმეორის თვალწინ
საბედისწერო დღიდან
თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ
და რაღაცაზე ფიქრობთ.**

სინამდვილე, ცხოვრება, სამწუხაროდ, უფრო დაუნდობელი და ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე პოეტის ზნეობრივი თვითშეგონება: შეურაცხყოფილი სულის კეთილშობილური განაზრახვი არაცნობიერის სიღრმეიდან „ამომხტარი“ არპატიების შემოტყვევებით დაემხო. ცნობიერებიდან განდევნილი დასჯის ნადილი, უნებლიეთ, დღიურში ამოტივივდა: „არასდროს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი და შეიძლება, ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იყოს შენთვის“, — წერს გალაკტიონი.

თურმე უთქმელობასა და დუმილში მიტევებასთან ერთად საპირისპირო აზრიც იკითხება: დასჯის სურვილი... ამიტომ, რომ დღიურში, პატიების მოტივის პარალელურად, მძაფრ თვითირონიასთან შერწყმული არპატიების დემონის საჩუქარული ხარხარიც ისმის. გავიხსენოთ: „ვერავინ ვერ გაიგებს ამ ცნობას. ეს, თითქო, არც მე ვიცი... ხა, ხა, ხა!“

„ამბის“ დაკონკრეტების შემდეგ ლექსში რამდენადმე თვალსაჩინოვდება უძრავ დუმილში დანთქმული ადამიანების თანაცხოვრების შინაგანი დრამატიზმი. აი, ისინი სხედან ერთმანეთის პირისპირ, უმზერენ ერთმანეთს და თავთავის საფიქრალს ფიქრობენ. რის იმედი უნდა ჰქონდეს ორ ურთიერთგაუცხოებულ არსებას? ამის პასუხად ავტორი-მთხრობელი ყოვლისმცოდნის სამზერიდან მიგვანიშნებს რეალურ ვითარებაზე: პატიება არ შედგა, დრო მკურნალი ვერ აღმოჩნდა! სასწაულის მოლოდინიც ამაოა — ალტაცების ხანა ჩავლილია, გული კი გრძნობით ველარ გათბება:

**თქვენ შეიძლება უცდით
სასწაულების მოსვლას,
როცა გათბება გული
პატიებით და გრძნობით?
ან ალტაცებას უცდით?
მაგრამ ამაო ცდაა.
თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ
და რაღაცაზე ჰფიქრობთ.**

ამ სტროფში დრამის მონაწილეთა და, შესაბამისად, მათი პროტოტიპების გაუცხოებული თანაცხოვრების გამოცდილება ჩადებული — 1921-ის შემდგომი მრავალი წლის მწარე გამოცდილება. შეგახსენებთ: ლექსი 1928 წელს გამოქვეყნდა როგორც შემადგენელი ნაწილი პოემისა „ეპოქა“, 1935 წელს კი, **დამოუკიდებელი სათაურით**, ავტორის სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად დაიბეჭდა. ოლიას ბოლო გადასახლებაზე მცირე ხნით ადრე **გალაკტიონმა თავისი ე.წ. ოჯახური ცხოვრება განსაზღვრა როგორც დრამა**.

პოეტურ ტექსტში გამეორების ხერხით ორგზისაა აქცენტირებული მამაკაცისა და ქალის ერთად ცხოვრების არსებითი ნიშნები — დუმილი და ფიქრი რაღაცაზე. ფინალურ, კულმინაციურ სტროფში გახსნილია ის „რაღაც“, რასაც ფიქრით გასრესილი ადამიანები დუმილის სიღრმეში მალავენ. რეალური ურთიერთდამოკიდებულება ზედაპირზე ამოდის, მანამდე ართქმული სიტყვიერ გარსში ექცევა:

**შენ: ხომ დაამხე ჩემი,
ცივო ტიკინა, ბედი?
ის: ხომ გასრისე, გველო,
ახალგაზრდობა ჩემი?**

მსგავსი ბრალდება ოლიას მხრიდან გალაკტიონის ჩანაწერშიც იკითხება: „მოდის ჩემთან ოლია, ამბობს საყვედურებს, რომ მე იგი დავლუპე“...

ლექსის დასასრულისკენ დაუნდობლად შიშვლდება ვერ-შემდგარი მიტევების სავალალო შედეგი: ბედისწერას ერთ

სივრცეში ჩაუკეტავს კაცის ბედის დამამხობელი „ცივი ტიკინა“ და ქალის ახალგაზრდობის შემუმუსკრელი „გველი“!

დრამატულ ამბავს ბოლოში მიწებებული აქვს სოცრეალისტური მორალიზებული განსჯა და ოპტიმისტური მონოდება — ახალ დროს გაუსწორონ თვალი:

**თქვენში რომელი სტყუის?
ან რომელია წმინდა?
გამოიღვიძეთ. კმარა!
ყოფნას გაჰხედეთ ახალს.
გაიფანტება ჩრდილი
გარდამავალი დროის.
საქართველოში, გრძნობდეს,
ყოველი ჩუმი სახლი.**

როგორც დასაწყისშივე ითქვა, „დრამა ერთი ბინისა“ ახალი ეპოქის ამსახველი პოემის ნაწილი იყო, ამდენად, ბოლო, რუდიმენტული სტროფიც იქიდან გადმოჰყვა, თუმცა, შესაძლოა, მისი დატოვება ტექსტში დიდი პიროვნული დრამის ვუაღირობასაც ემსახურებოდა. ავტორი-მთხრობელიც ხომ, ასე ვთქვათ, საკუთარს კი არა, სხვის ამბავს გვიყვება...

ლექსისა და დღიურის, პოეტური და დოკუმენტური ტექსტების პარალელური ანალიზი, ვფიქრობ, ექვს არ ტოვებს, რომ „დრამის“ პერსონაჟთა პროტოტიპები, როგორც ვვარაუდობდი, თავად გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა არიან.

მინანარი:

არ დავმალავ, წერილის დასრულების შემდეგ გამიჩნდა კითხვა იმ კოლეგების მიმართ, რომლებიც წლების მანძილზე მონდომებით ძერწავდნენ, ამდიდრებდნენ და ხვეწდნენ ლეგენდას ოლია ოკუჯავასა და გალაკტიონის გაუხუნარ, უჭკნობ სიყვარულზე —

**დავიღალე მე ამ ამბით...
თქვენ, მკვლევარო, თქვენც, მგოსნებო,
დაგრჩათ კიდევ ქალში რამე
სანეტარო, საოცნებო?!**

(ბოდიშს ვუხედავ გალაკტიონს სტროფში შეტანილი მცირე ცვლილების გამო).

ოლია ოკუჯავა განათლებული, ნიჭიერი პიროვნება იყო, რომელმაც, უდავოდ, პოზიტიური როლიც შეასრულა გალაკტიონის ცხოვრებაში, მაგრამ ნურც იმას დავივინყებთ, რომ იგი არაქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, თავისებური ფიზიოლოგიური და ფსიქიკური წყობის ქალბატონი გახლდათ, ურაკომუნისტური შეხედულებების მქონე ოჯახსა და სქესის პრობლემებზე.

შემორჩენილი დოკუმენტური მასალა — ასეთი კი საკმაოზე მეტია! — მოწმობს, რომ ოლიასა და გალაკტიონის ურთიერთობას ბევრი რამ აშორებს დანტე—ბეატრიჩესა და პეტრარკა—ლაურას მოდელისაგან. პარალელებისა და ანალოგიების მოყვარულთ მე უფრო ალექსანდრ ბლოკისა და ლიუბოვ მენდელეევის დაულაგებელ, ერთგულების ნორმით შეუზღუდავ „ოჯახს“ შევახსენებდი, თუმცა მწარე სინამდვილეს არც ბლოკისთვის შეუშლია ხელი, შეექმნა „ლექსები მშვენიერ ბანოვანზე“ და არც გალაკტიონისათვის — დაენერა ე.წ. „შორეული ქალის“ ციკლი.

ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში დღემდე არავის უცდია ბლოკის მეუღლის ზნეობრიობის ეტალონად წარმოჩენა. იქნებ, ჩვენც შეგვეკავებინა თავი მძიმე ხვედრის ქალბატონის — ოლია ოკუჯავას გადაჭარბებული იდეალიზაციისაგან, ფსევდოლეგენდის ტირაჟირებისაგან, გამოგონილი, არარსებული შუქით რომ „ანათებს“ გენიოსის უმთენარო ღამეს.

როსტომ ჩხეიძე

მამაჩემის ღმერთი

უილიამ ფოლკნერი რომ გარდაიცვლებოდა, შვილები ითხოვდნენ, რაც შეიძლება იქით გადაწეულიყო მისი დაკრძალვის დღე და ცოტა მეტხანს ყოფილიყო ნეშტი დასვენებული შინ.

ეს „ცოტა“ მაინც რას ნიშნავდა მათთვის? ერთი დღით მეტხანს. და რამდენიმე საათით მეტხანსაც. და თუნდ... ერთი საათითაც. და თუნდ... რამდენიმე წუთითაც. რასაც გამოგლეჯდნენ დრო-ჟამს მამის ცხედარს, ყველაფრად უღირდათ. კი მაგრამ, ასე ძალიან რას ეკონინებოდნენ თუ ებლაუჭებოდნენ?!

საფლავთან რამდენ ხანსაც ენებათ, მსხდარიყვენ და ეგლოვით... მიეკითხათ ხშირად და კიდევ უფრო ხშირად, ვინ დაუშლიდათ.

არც არავინ, მაგრამ... დაკრძალული ნეშტი უილიამ ფოლკნერისა უკვე ყველას საკუთრება ხდებოდა — ამერიკის შეერთებული შტატებისაც და ადამიანთა მთელი მოდგმისაც, თანამდევ სულადაც გამოჰყვებოდა საკაცობრიო მდინარეებს, მაგრამ ამერიკიდან ველარასოდეს იქნებოდა მათი მამა.

არადა, ისინი მამას მისტიროდნენ, მამას გლოვობდნენ და არა ლიტერატურის კლასიკოსს, უამრავი ადამიანი თავთავის ნილს რომ მოითხოვდა უილიამ ფოლკნერის მხატვრული მემკვიდრეობიდან — და რა, განა სრული უფლება არა ჰქონდათ?! მამ რატომ უყვარდათ ასე ძალიან, რატომ ჩაძირულიყვნენ მის იოკნაპატოფას საგაში, თუკი თავის კუთვნილ ფოლკნერთან არ განმარტოვდებოდნენ და არ ეგონებოდათ, რომ ეს რჩეული მწერალი მათი და მხოლოდ მათი კუთვნილება გახლდათ?!

შვილებს იქ უკვე რაღა ხელი ჰქონდათ. და ამიტომაც ებლაუჭებოდნენ ყოველ დღეს, ყოველ საათს, ყოველ წუთს... თვით წუთსაც, რათა რაც შეიძლება მეტხანს დაენარჩუნებინათ მამა.

ნეტა მამის სულის ამოხდომამდე რომელიმეს წინასწარმეტყველური სიზმარი თუ მოვლენოდა?

აი, თამარ რაზიკაშვილივით, იმხანად ერნოში რომ იმყოფებოდა, სოფელ მარგანეთს, ქმრის ოჯახში, და მამის ჯანმრთელობისა არაფერი უწყობდა.

სიზმარს უნდა მიეხვედრებინა რაღაც ავისმომასწავებელი.

აჰა, ესენი, ოჯახი, შინ იმყოფებიან, ჩარგალში, და აი თამარი შეჰყურებს თუ როგორ მოემართება სახლისაკენ მომავალ გზაზე თავის ცხენზე გადამჯდარი, ნიკორზე. ამას უხარია მამის დანახვა და წინ ეგებება. ის მოახლოებით კი მოუახლოვდება, მაგრამ... ხმას არა სცემს და გზის გაგრძელებას აპირებს. ეს ნიკორს ყელზე ეხვევა, მაგრამ მამამ თავი უნდა შეაბრუნოს და ჩაილაპარაკოს:

— ეჰ, რაღა დროსია!

გამოიღვიძებდა დაღონებული და შეშინებული და, როგორც კი ინათებდა, სასწრაფოდ გაეშურებოდა მახლობელ სოფელში — ბერაანთას. იმათ მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ტფილისში და გაზეთებსაც ღებულობდნენ.

თამარი რომ გადმოაბიჯებდა მათი სახლის ზღურბლს, მასპინძლები ძალზე მოწყენილნი დახვდებოდნენ, მიკიბავდ-

ნენ, მოკიბავდნენ, მაგრამ როდემდე დაუმაღავდნენ?! და გამოუტყდებოდნენ:

— მამა მოგკვდომია, შე სანყალო, და რატომ არ მიდიხარ, რას აკეთებ?..

ჯერ კიდევ მამა?

თუ... უკვე აღარც?

ტირილით გამოივლიდა მთელ გზას შინამდე, მაშინვე შეკაზმავდა ცხენს, ამხედრდებოდა და იმავე დღეს ნაძალადევაში ჩამოაღწევდა.

იქ აცნობდნენ, რომ ვაჟა-ფშაველას ცხედარი ქაშვეთის ეკლესიაში ყოფილიყო დასვენებული.

მიადგებოდა ქაშვეთს და... იქ დუნდგო დახვდებოდა?! ამდენი ხალხი არასოდეს ენახა, და ამოდ მოინდომებდა მათ გარღვევასა და ტაძარში შესვლას. მიახლოებითაც ვერ მიუახლოვდებოდა. ხალხი კი შედიოდა და გამოდიოდა დაუსრულებლად, ტაძრიდან გამოსულნი შინ წასვლას არა ჩქარობდნენ და კვლავაც იქ ირეოდნენ.

თამარი აქეთ მიანყდებოდა, იქით მოანყდებოდა.

მის წინაშე თითქოს კედელი აღმართულიყო, ჯადოსნური კოშკი, თუნდაც ცამცუმისა, და ქალს სად შეეძლო ამირანული ძალ-ღონე გამოეჩინა, მგლის მუხლი დაეკრა და უეცრივ მზის სხივი რომ ამოვარდებოდა, კიდევ შეებიჯებინა გარღვეულ კედელში.

ან ეგებ ვინმე ნაცნობი მოვლენოდა მშველელად, თამარს შემთხვევით რომ იცნობდა და ხალხს შეუყვირებდა: ვაჟას ქალიშვილია და, ინამეთ ღმერთი, აგლოვით მამა, მიუშვით სასახლემდე.

„არავინა ხართ ღვთისნიერი?!. ქრისტიანი არავინა ხართ, თქვე კაი ხალხო?!.“

ჰოი, რას კივის თამარი, რას მოთქვამს და ვალალებს. ჰგონია, ზეცასაც კი უნდა მიწვედეს ჩემი ვარამიო, მაგრამ ისეთი გნისია, ყურთასმენის წამლები, და ალბათ ამიტომაც არავის ესმის მისი მოთქმა... თუმც რომელი გნისია, გამტკნარებულან ერთპირიანად, გასუდრულან და მდუმარედ შედი-გამოდიან. მამ რატომღა არ ესმით ქალის მოთქმა?... გულში კივის და იმიტომაც, გულში იცემს თავპირზე ხელებს და გულშივე იღვრება ცრემლად.

„არავინა ხართ ღვთისნიერი?!. ქრისტიანი არავინა ხართ, თქვე კაი ხალხო?!.“

მაგრამ კედელი შეუვალია, უტყვი და გულცივი.

ვაჟა-ფშაველას ამქვეყნიური ბიოგრაფია კი ივსება ამ ეპიზოდითაც, ქაშვეთის ეკლესიაში რომ დაუსვენებიათ და აქედან უნდა გაუძღვენ მის ნეშტს დიდუბის პანთეონისაკენ, მისი სამუდამო ძვალშესალაგი რომ ჰგონიათ.

ამ ბიოგრაფიაში რამდენი რამ მოხვედრილა და მათ შორის ხელთუბანიც, როგორც ადგილი მისი ხშირი სტუმრობისა, ძმას რომ ჩააკითხავდა ხოლმე და თედოც მაშინვე შეჰყრიდა იქაურობაში ჭკუისსაკითხავ ადამიანებს, რათა ვაჟას ღირსეულად დახვედროდა.

— ბიოგრაფოსებიც ვერ გაიხსენებენ ისე ადვილად იწყეულ სოფელსა, ბიოგრაფოსები თედო რაზიკაშვილისა, არც ყველაფერს გაიხსენებენ, უბრალოდ ჩასწერენ, გარდაიცვალაო. ცხოვრობდა და გარდაიცვალაო, ხელთუბანში გარდაიცვალაო!.. — ამას ოთარ ჩხეიძე თუ იტყობა, როდესაც თედო რაზიკაშვილის აჩრდილი გაიელვებდა მისი რომანის — „ბორიყა“ — დასაწყისშივე და კიდევ აჰყვებოდა აქედანვე მკითხველს ავი წინათგრძნობა, რომანში დატრიალებული ტრაგედიის გარდუვალობას თვალნათლივ რომ მიანიშნებდა.

რაო, წყეულიო?

რატომ გაემეტებინა მწერალს ასე ეს სოფელი?

თუმც მწერალს კი არა, ხელთუბანს თვითონვე გაემეტებინა ასე უღმერთოდ საკუთარი თავი, თორემ გარდაცვალებაც თქმულიყო და გარდაცვალებაც, უთანასწორო ბრძოლაც თქმულიყო, ოღონდ ეს რაღა იყო:

* ეპილოგი ბიოგრაფიული რომანისა „დევების სტუმარი (ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკა)“

— ათნი რო დაეხსნენ ერთსა, ათმა რო დასცა ერთი, ათმა რო დასცა და რო დასერა ათი ხანჯლითა, დასერა, დაღარა ყა-შაყაშადა და ჩაყარა ნასერებში მარილი ათ-ათ მუჭადა.

სათქმელად ძნელი გახლდათ, როგორც შემზარაობისა და ველურობის გამჟღავნება, როგორც ნიმუში კაცთა სიავისა და სიმშაგისა და... ამიტომაც მორიდებოდნენ ბიოგრაფოსები?

მაგრამ უთქმელობაც რომ დანაშაული ყოფილა იმთავით-დან ამთავამდე?!

რას ერჩოდნენ?

ეს შეკითხვა რომ მოწყდებოდათ გაოგნებულ ადამიანთა ბაგეებს, იმ ადამიანებისა, რომელთაც თედო რაზიკაშვილი უდრტივინველად გარდაცვლილი ეგონათ და, აი, უეცრად უნ-და გადანყდომოდნენ „ბორიასის“ კითხვისას ამ შემადრწუნე-ბელ ამბავს, ერთად ვიკითხოთო, ეტყოდათ რომანისტი და ორიოდ სტრიქონში ჩანურავდა ამ პიროვნების ხასიათსა და ცხოვრების წესს: მართლაც რას ერჩოდნენ ფუტკარივით კაცს, სწორედაც რომ ფუტკარივით, სოფლის მასწავლებელს, ხალხური საგანძურის შემგროვებელსა და მკვლევარს, მწე-რალს, საუკეთესო და სანიმუშო მეურნეს, სოფლის ქომავს, სუსტთა და დაჩაგრულთა ქომავსა?!

და პასუხიც აქ უნდა ამოჩენილიყო, დაჩაგრულთა ქომავ-გობაც რომ ედო თავს ისედაც მუხლჩაუხრელ მოღვაწეს.

— აქა ყველაფერი, აქ იყრის თავსა სიავე კაცთა; ქომავი იყო და გამოექომავა თავის მეზობლებსა, ფალელაშვილები რო ავიწროებდნენ, — თავხედნი, კადნიერნი, ქურდნი, მტაცე-ბელნი, ძალაც რომ მოსდევდათ და ბარაქა მაინც არა, დოვლა-თი დოვლათად რომ ვერ დაეღოთ...

თედო არ შეეპუებოდათ?

არ აპატიებდნენ და მიზღვით მიუზღავდნენ სამაგიეროს — ვაზს აუჩხებდნენ, აუჩხებდნენ ბალს, ფუტკარს დაუნელებდ-ნენ, ოღონდ ამ ყოველივეს ღამით, მალულად და ქურდულად, დღისით ვერ შეებდათ, თუმც ერთი გახლდათ რაზიკაშვილი და ბევრნი იყვნენ ფალელაშვილინი.

თედოც იქნებოდა, დაეთმო!..

სიჭაბუკისას ისიც მისტანებოდა გოგოთურის ლოდს თავისი ძმებივით, აწყდებოდა, ზედ იჩხებოდა, მაგრამ არა და არ ეშვებოდა. თუ თავზევით ვერ შემართავდა და შეათამაშებ-და, ქარი მაინც როგორ ვერ უნდა გაეტარებინა?!

თვით ლუკაც ამოდ შეწყდომოდა ამ ლოდის ანეგას?

თანაც... ნაწილიანი ლუკა?

თედოს თავისი ანგარიში ჰქონდა ლოდთან, თავისას ეხლე-ბოდა და თავისას იმედოვნებდა. ეგებ თვითონაც ნაწილიანი გახლდათ და... აღარავის ახსოვდა მისი უჩვეულო ნიშანი, და-ბადებითვე რომ დაჰყოლოდა? აგერ გამოჩნდებოდა, თუკი ოდესმე ეარსება ასეთ ნიშანს... და მერე რარიც გამოიდებდა თავს ძმებშიც, მოკეთებშიც, თვისტომებშიც... და ამაყად გა-ხედავდა გოგოთურის აჩრდილებს — ყოფჩის მცხოვრებისაც და ვაჟას პოემის პერსონაჟისაც...

მიეტანებოდა და... ზედ გადაიჩხებოდა.

მიეტანებოდა და... ამოდ აწყვეტდა ძალ-ლონეს.

ეგ კი არის, ის მჩქეფარება და დაუთმობლობა კვლავაც მოსდევდა და არ დაგიდევდა, უთანასწორო ჭიდილი კაცთა სიავესთან როდის რა ფათერაკს გადაჰყრიდა.

კომბლიანს კომბლით გაეკიდებოდა, ხანჯლიანს ხანჯლით გადაუდგებოდა გოგოთურის კუთხიდან მოსული, დაქცე-ულს ისევ გაახარებდა, დაჩაგრულს ისევ დაიფარავდა, ვიდრე დაესხმოდნენ ათნი ერთადა, ვიდრე დასერავდნენ, ვიდრე ანა-მებდნენ...

პასუხსაც რომ არ აგებდნენ თავდამსხმელნი?

იქით უჩივლებდნენ უღმერთოდ გამეტებულს.

მკვდარსაც აღარ დაინდობდნენ.

და თხრობაში საჩივრის ეს ნაკუნიც ჩაერთვოდა: მტრულ პროპაგანდას ეწეოდა და აგროვებდა ახალგაზრდებს კასრ-აქსთან გასაგზავნად.

ცრუ მოწმეებსაც იშოვნიდნენ, დაბეჯითებით რომ დაუ-დასტურებდნენ: საშიში გახლდათ და მოსაშორებელი.

სასამართლოზე ადვილად დაამტკიცებდნენ თედო რაზი-კაშვილის წამება-მოკვლის აუცილებლობას.

ისეთი ჟამი დამდგარიყო, ეს არ გაუძნელდებოდათ.

ბიოგრაფოსები კი გვერდს რომ აუვლიდნენ ამ ყველა-ფერს: გარდაიცვალაო, — ამის თქმას კმარობდნენ.

გამჟღავნების უფლება წართმეოდათ და გაბედულება გჭირდებოდა და შეუპოვრობა, და კიდევ მოთმინება, და კი-დევე მარჯვე სტილური ხვეულები, რათა არც იმ ტრაგიკული ეპიზოდის აღწერას მორიდებოდი და არც ცენზურისათვის დაგენებებინა წასაშლელად.

ახალმონესეთა მიერ დამკვიდრებულ პოლიტიკურ რეა-ლობაში ტრაგიკულად აღარავინ იღუპებოდა — ეს ურყევად და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გვერწმუნა.

არამცთუ არავის ავიწროებდნენ და დევნიდნენ, არამცთუ არავის აპატიმრებდნენ სრულიად უსამართლოდ და არც სა-სიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ, ბრმა შემთხვევითობი-თაც აღარავინ ამთავრებდა სიცოცხლეს. ბრმა შემთხვევითო-ბაც უძლური გახლდათ ამ მიწიერი სამოთხის წინაშე, საქართ-ველო სადაც გახლართულიყო, სახელმწიფოებრიობანართმე-ული და ყოველგვარუფლებააყრილი, ადათ-ნესების შენარჩუ-ნებასლა რომ ლამობდა როგორმე, რათა საყრდენი სრულიად არ გამოსცლოდა და, ჰაერში გამოკიდებული და უნუგეშო ბედს შერიგებული, იმპერიის მორევში არ ჩანთქმულიყო, სუ-ლიანხორციანად შეთვისებული და შერწყმული იმ უცხო სამ-ყაროს, რომელსაც თანდათანობით და პირნიმინად უნდა ამოეძირკვა და გაექრო თვითმყოფადობის ყველა ის ნიშანი, რაც შენი მოდგმის შვილად გხდიდა და ღირსად მამა-პაპათა შენთან.

და ამ მიწიერი სამოთხის მსოფლმხედველობისა და მოთხოვნებისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდებოდა თედო რაზიკაშვილის ეს უღმერთო განწირვაც და მკვლელთა გამართლებაც სასამართლოს მიერ. ამიტომაც უნდა მიფარე-ბოდა თვალს მისი აღსასრულის გარემოებანი და „გარდაცვა-ლების“ გარდუვალობას გადაბრალებოდა.

რაღა დევნები ქორწილი და რაღა თედო რაზიკაშვილის სიცოცხლის ტრაგიკული ფინალი!..

თვალდათვალ ჩნდებიან საზარელი ლანდებიც და სამპი-რად დანთებულ ცეცხლზე სამი ქვაბი შხივის, სტუმრების წინ ხონჩაზე კი კაცის თავ-ფეხი დის, და მოისმის კვნესა უკვენას ყურებით: ძმის ხორცი როგორა ვსჭამოო?!

ვიღაც უსმელ-უჭმელი გამოიქცეოდა და ნანახიც კი ყელ-ში ამოუვიდოდა.

ვიღაც კი ძვლებს გალოპრავდა, გამონუნნიდა და მერე სულაც მუხლებზე გადაიმტვრედა.

— დევები მოვიდნენ, დედა! დევები! — ლოგინში წრია-ლებდნენ შიშისაგან დაზაფრული ბავშვები, ღამის წყვილიდი-დან საზარი გრუხუნი, გრიალი, ნივილი, კივილი, სტვენა, ბუ-ბუნი, მტვრევისა და მსხვრევის ხმა რომ მოესმოდათ.

და კიდევ უნდა გაეგონათ გვერდითა ოთახიდან თედოს ხმა:

— დაიძინეთ, დაიძინეთ! ბიძათქვენი ვაჟა აქ არ არის? სულ ყურებით მოათრევს მაგ დევებს და, ნახავთ, რა დღეს დააყრის!

ვაჟა გამოსხლტომოდა დევთა ღრეობას.

თედო — ვერა.

ეგაა, მისი სამარე მაინც გვეცოდინებოდა და ახლებურ ყა-იდაზე გადაკეთებული ბიოგრაფიაც, შესაფერისი დაბოლოე-ბით: გარდაიცვალაო.

ლევან რაზიკაშვილს ესეც არ ეღირსებოდა.

აღარსად სამარე მისი.

აღარსად მისი ბიოგრაფია — თუნდ გადაკეთებულ-გად-მოკეთებული და ახალმონესეთა მოდელს მორგებული.



მხატვარი ლადო გრიგოლია

ალარსად მისი სახება.

იმ ფოტოზეც კი, ვაჟა-ფშაველა მთელი თავისი ჯალაბით რომ გამოსახულა, არსადაა ლევანი. იმ წუთას იქ არ იმყოფებოდა და ამიტომ? მაგრამ კედელზე რაღაც უაზროდ რომ ჩამოკიდებულა ფარი? ბარის ქართველი ვერაფერს მიხვდებოდა, რაკილა ეგონებოდა, რომ ფშაველებსა თუ ხევსურებს სჩვეოდათ კედელზე ფარის სწორედაც ასე გამოკიდება, მაგრამ გაოგნდებოდა ამ ფოტოსურათის შემყურე მთის მკვიდრი: ვაჟა აქ ფარს არაფრისდიდებით არ გააკრავდა, როდის ყოფილა ფშაველებს ფარები ასე გამოეკრათო.

მამ რა მომხდარიყო?

სიცარიელე უნდა ამოევსო ფარს, იქ ფოტომონტაჟისას ჩადგომულ, სიცარიელე კი იმას გამოეწვია, რომ ამ ადგილას ლევანი იდგა მამასთან, დედინაცვალსა და და-ძმასთან ერთად... და მისი სახება აუცილებლად რომ უნდა ამოშლილიყო, ის ადგილი რაღაცას უნდა შეევსო, თორემ უამისოდ ძალზე თვალმისაცემი იქნებოდა ყველასათვის, ახლა მარტოდენ ბარის ქართველი რომ მოტყუებდებოდა და ისიც მაშინ, თუ მთაში ნაცნობ-მეგობრები არ ეყოლებოდა და იქაურობის მოვლა-დათვალეირება არ მოუხდებოდა ხოლმე დროდადრო.

აუცილებლად რომ უნდა ამოშლილიყო...

მადლობა ღმერთს, რომ ლექსებს არა წერს და სწორედ ამიტომაც კაი ბიჭობაში ბადალი არა ჰყავსო, — უხაროდა ვაჟას, ეგონა, დიდ სულიერ ტანჯვასა და ხიფათს გადაურჩება, თუკი ლექსის წერის ჟინს გაერიდებო.

მაგრამ... რომანტიკულ ბუნებას რას უზამდა ლევანი?!

და კიდევ ეს გადაექცეოდა საბედისწეროდ!..

ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მეგობრობას მისი გადარჩენისა და თუმცაში გაპარებისათვის ზრუნვა მოჰყვებოდა.

ამ ზრუნვას — ლევანის დატუსაღება და დახვრეტის განაჩენი.

დახვრეტას — მისი სახელის გაქრობაც და ფოტოსურათებიდან ამოშლაც, ვითომც ყოფილა და ვითომც არაო.

არ დამალულიყო ფარული შეხვედრა ქაქუცასთან, ის თუმცაში გადასასვლელ გზას რომ დაეძებდა, ლევანს მიენდობოდა და ეს ჩარგლის ტყეებამდე თვითონვე მიაცილებდა, იქ კი მისა ხელაშვილს გადააბარებდა, დიაკვანსა და პოეტს და იარაღით ჩამდგარს მემამბოხეთა შორის: ახლა შენ იცი და შენ-

მა ბიჭობამ, შენზე უკეთ ვის მოეხსენება, რომ დღეს ქაქუცაზე ჰკიდია საქართველოს გამოსხნის ბედო.

— ჩემზე კი არა! — ხელს აიქნევდა შეფიცულთა რაზმის მეთაური, ასეთი უთანასწორო ბრძოლის შუაგულში მოხვედრილი და სულაც მისი წინამძღოლი, ტყვიების წვიმაში შესვლა თამაშად და მღერად რომ მიაჩნდა და... ვაჟას „იას, ბნელს ხევში მოსულსა“ კი ცრემლებს რომ მოაწურვინებდა ხოლმე, სადმე მოისმენდა თუ გულში ჩამორეკავდა ეს სტრიქონები.

იქნებ ისედაც არ დამალულიყო ამ ფარული შეხვედრა-გაცილების ამბავი, საიდანაც და როგორაც მაინც გაეფონა, მაგრამ ძალიან შემოთთებოდა ვახტანგი, მისი უმცროსი ძმა, ლევანი თან რომ იახლებდა საიდუმლო თათბირზე, და შემოთთებული ბიჭი დედას რომ ჰკითხავდა რჩევას, ის დააფაცურებდა, ვიდრე შენც გახვეულხარ შარსა და ხიფათში, სჯობს შენივე პირით აღიარო მილიციაში და ეგ იარაღიც, ქაქუცას მიერ ნაჩუქარი, ნივთმტკიცებად ჩააბარო.

ჰოი, რას ღრეობდნენ დევები.

ცასა და მინას აყრუებდა მათი ქორწილის დგრიალ-ზრიალი.

ძმის ხორცი როგორა ვსჭამოო, — ყმა ვინმე გამოჰკიოდა საზარელ ბედში ჩავარდნილი.

ეჰ, ვინ როგორ...

და მოდიოდნენ დაძმარებული ალექსანდრე აბაშელი, შალვა დადიანი და პავლე ინგოროყვა სერგო ორჯონიკიძესთან აუდენციის შემდეგ, ვედრებით რომ შევედრებოდნენ ლევან რაზიკაშვილისათვის დახვრეტის არიდებას და, ფარად და ხსნის ძაფად ვაჟა-ფშაველას სახელს მობლაუჭებოდნენ...

ეგებ ეს სახელი მოვლენოდა ფარად ახალგაზრდა კაცს, ვინც შემოქმედებითი ნიჭით არ დამსგავსებოდა მამას, თორემ კაი ყმის თვისებებით ვაჟას ალიკვალი გახლდათ.

ეჰ, მიაშიტობა და ასეთი?!

და კვლავაც ყურში ედგათ წონასწორობდაკარგული კაცის მრისხანე სიტყვები:

— ცოცხალი რომ იყოს, ვაჟას პირველ რიგში დავხვრეტდი!..

წონასწორობა ჯერ ვაჟას სახელის ხსენებას დაეკარგვინებინა მისთვის და მერე იმ რეალობის გაცნობიერებას, რომ ხელი აღარ მიუწვდებოდა სიშმაგის დასაცხრობად.

არადა, რარიგ დაშვენდებოდა „რევოლუციის რაინდის“ ბიოგრაფიას ვაჟას სისხლის გადავლებაზე ხელზე, მიემატებოდა წინამურში შეხვრეპილ სისხლს.

გაესწრო ახალ მონესეთისთვის, თორემ დახვრეტას არც აკმარებდნენ და ნამებაც არ ასცდებოდა... აბა, გატეხით მისი გამტეხნი ესენი არ იყვენინ!..

სტუმრების წინა ხონჩებზე კაცის თავ-ფეხი დიოდაო...

„არავინა ხართ ღვთისნიერი?!. ქრისტიანი არავინა ხართ, თქვე კაი ხალხო?!.“

ცრემლებს ველარ შეიკავებდა, თუმც ტირილით სხვებიც ტიროდნენ და როგორ გინდა ამოგეცნო, რომ შვილს სურდა გამოთხოვებოდა მამის ცხედარს?..

ბედად ვილაც იცნობა.

და ქუდა რომ ააფრიალებდა ჰაერში, დუნგოს მჭექარე ხმით გადასძახებდა:

— ხალხო, ვაჟას ქალიშვილი მოდის და გზა დაუთმეთ!

ვაჟას პირველ რიგში დავხვრეტდიო...

ეს არა ყოფილა შემთხვევითი წამოცდენილი სიტყვები, ეს ახალმონესეთა პოლიტიკური მრწამსი გახლდათ, ამ წუთას სერგო ორჯონიკიძის პირით გამოთქმული, მოგვიანებით სულაც მიზანმიმართული კამპანია რომ დაიწყებოდა ვაჟა-ფშაველას სახელის დასამხობად და გასაცამტვერებლად, არამც-თუ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოყრილიყო მისი თხზულებანი, არამედ ლიტერატურის კლასიკოსის მანტიაც

შემოხეოდა და სულაც სამწერლო ცხოვრების მიღმა დარჩენილიყო.

ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდებოდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის 1951 წლის 10 იანვრის საანგარიშო გამოსვლა, რომლის რამდენიმე პასაჟი მწვავედ შეეხებოდნენ ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვასა და ენობრივ სტილს.

რა შუაში იყო პოლიტიკურ საანგარიშო მოხსენებასთან ვაჟას მხატვრულ-იდეურ მრწამსსა და ენობრივ თავისებურებაზე ყურადღების გამახვილება, თანაც ასეთი სიმკაცრით?..

გაოგნებული დარჩებოდა ხალხი ასეთი შემოტევით და... მოსალოდნელი პერსპექტივით ხომ — მითუმეტეს.

თავიდან თითქოს ისეთიც რა:

ვაჟა-ფშაველა განცალკევებით დგას მის უფროს თანამედროვეთა, პროგრესულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა პლეადაში.

ნეტა ეს „სხვათა“ რასა გულისხმობდა, ბარემ ერთი-ორი სახელი კიდევ მიემატებინა ჩამონათვალისათვის პირველ მდივანს.

და კიდევ — მთლად სახარბიელო არ არის, პროგრესულ მოღვაწეთაგან განცალკევებით რომ მიგიჩინენ ადგილს, მაგრამ ეგებ „განცალკევებით“ ძალიან შემაშფოთებელიც არ ყოფილიყო?

— იგი დაჯილდოებული იყო დიდი პოეტური ნიჭით და საკმაო განათლებაც ჰქონდა...

მეტი რაღა გვინდა, რაღას მოვიტხოვთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერისადგან? მართალია საერთოდ არ უნდა შეენუხებინა ვაჟას აჩრდილი, მაგრამ აგერ, არც დიდ პოეტურ ნიჭიერებას უკარგავენ და არც საკმაო განათლებას.

ეგაა „მაგრამ“ აქაც უნდა გამოიჩინოს — უშნოდ და მეტად სახიფათოდ, რადგანაც:

— მაინც ვერ შესძლო ამალღებულები თავისი დროის ამოცანების გაგებად.

მიზეზსაც ახსნიდა კანდიდ ჩარკვიანი დიდი პოეტური ნიჭის ამოდ გაქარწყლებისა: ფშავის ვინრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი თემატიკა მთიელ ქართველთა და მეზობელ მთიელ ტომთა სისხლისმღვრელი ომებითა და მითოლოგიური სიუჟეტებით. იგი სიყვარულით აგვიწერს მთიელებში გვაროვნული წყობის ნაშთებს.

გვაროვნული წყობის ნაშთების სიყვარულით აღწერა პოლიტიკური ერესი გახლდათ, სრულიად მიუღებელი ახალმონესეთა მარქსისტული იდეოლოგიისათვის, ისევე, როგორც მითოლოგიური სიუჟეტების გამოყენება, და ეს იმ პოლიტიკური დოქტრინის თვალთახედვით, სწორედაც პირველყოფილ საზოგადოებრივ წყობას რომ ემყარებოდა — აზროვნებითაც და მართვის მეთოდებითაც. მაგრამ ეროვნული თვითმყოფადობა და ადათ-წესები ყოველად მიუღებელი გახლდათ სოციალისტურ-კომუნისტური საზოგადოების კოსმოპოლიტური საფუძვლებისათვის და ამიტომაც მოჩანდა ვაჟა-ფშაველა ხელისშემშლელად ამ იდეოლოგიის დამკვიდრების გზაზე — კომუნისტური ალაჟღაჟებული მწვერვალებისაკენ მიმავალ ქართველობას ძალიან დააბნევედა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, პირველ ყოვლისა კი ის საგმირო ეპოსი, ჰომეროსული სულიც რომ დაჰყოლოდა და ქართული თვითშეგნებითა და სახელმწიფოებრივი სწრაფვითაც განმსჭვალულიყო, თორემ მართლა ფშავის ვინრო ხეობაში რომ ჩაკეტილიყო და თემატიკაც შეგნებულად შემოზღუდა ტომთაშორისი სისხლისმღვრელი ომებით, და განზოგადებისათვის ვერ მიეღწია, კარგა ხნის დავიწყებული იქნებოდა და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელიც, ცხადია, აღარ მოცდებოდა მის გასაცამტვერებლად.

ჩარკვიანული გადასახედიდან უილიამ ფოლკნერის მოთხრობები და რომანებიც მეტად ვინრო არეალში ჩაკეტილიყო, თანაც შეგნებულად შემოზღუდული თემატიკით, რაკილა მისი

იოკანპატოფას საგა გეოგრაფიულად ერთ დაბა-სოფელს ვერ გასცილებოდა.

და ჰენრიკ იბსენის პიესების პერსონაჟებიც ნორვეგიის ფიორდებში მომწყვდეულიყვნენ და იქ დაფავდნენ სულს — შეგნებულად შემოზღუდულ თემატიკაში.

იდეურ საფუძველს რომ აუგდებდა აბუჩად, ახლა მის ენობრივ სტილს გადაწვდებოდა, არასწორი პოზიცია ეკავა ლიტერატურული ენის საკითხშიო:

— იგი ცდილობდა პოეტურ მეტყველებად დაემკვიდრებინა ქართული ენის ფშავური კილო, რომელსაც ლიტერატურული განვითარება არ შეხებია და რომელიც თანამედროვეობას მრავალი საუკუნით ჩამორჩა. ეს ეწინააღმდეგებოდა საერთო ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრებას...

და კიდევ შემოიშველებდა აკაკი წერეთელს, თუმც დაუსახელებლად, მაგრამ ყველას თავისთავად წამოუტივტივებოდა გონებაში მისი ის ლექსიც და ის პირველი სტრიქონიც: ენას გინუნებ, ფშაველო!..

თუ დანუნებაა, დანუნება ყოფილიყო, აკაკის შეხედულებას საზოგადოებრივ მნიშვნელობას რომ მიანიჭებდა პარტიული ლიდერი:

— ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეებს არაერთხელ გამოუთქვამთ პოეტის წინაშე თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება მის ნაწარმოებთა ენისადმი...

ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეებსო... როდესაც აკაკი წერეთელთან ერთად ილია ჭავჭავაძესაც ახსენებდა: ვაჟა-ფშაველა მათგან განცალკევებით იდგაო, — მსმენელსა და მკითხველს ძალაუნებურად აფიქრებინებდა: აკაკის ის სიტყვები კი გვახსოვს, მაგრამ, ეტყობა, ილიასაც არ ექაშნიკებოდა ეს სტილურ-ენობრივი მანერა, როგორც ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ხელის შემშლელი და სადღაც კიდევ გამოუთქვამს ეს საყვედურიო.

ისე თუკი ვაჟა მართლა ცდილობდა პოეტურ მეტყველებად დაემკვიდრებინა ქართული ენის ფშავური კილო, ხომ ფუჭად ჩაველო ამ მცდელობას, სადღაც შორეთში ჩარჩენილიყო და... რესპუბლიკის ხელმძღვანელი ასე რაღას უნდა გაეგულისებინა და მეხთატეხა გაემართა პოეტის თავზე, განა საქმე გამოლეოდა, მაინცდამაინც ლიტერატურის ისტორიაში რომ არ შეჭრილიყო ხმალამოღებული?

თანაც აგერ ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეებს ჯერ კიდევ როდის გამოუთქვამთ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება მის ნაწარმოებთა ენისადმი და ამ ყველაფრის ამოქექვა რაღა აუცილებელი იყო, მითუმეტეს, ასეთი სიმკაცრითა და გაგულისებით, თითქოს ვაჟა-ფშაველაც დარბაზში მჯდარიყოს ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ხელის შემშლის პროცესში გართული და ქართველ კომუნისტთა წინამძღოლს ის-ისაა უნდა გამოეგლიჯა ენის ახლებურად მდინარების მოთავებობის სადავეები.

ავი ღრუბლები შეყრილიყო ვაჟა-ფშაველას თავზე. ჯერ კანდიდ ჩარკვიანს თავისითაც რომ მოენდომებინა ამ კლასიკოსის დამხობა, და მითუმეტეს — ყველა გათვითცნობიერებული ადამიანი ადვილად მიხვედრილიყო, რომ მის უკან ილანდებოდა საბჭოთა იმპერატორი.

ეს მას გადაენწყვიტა მკაცრი განაჩენის გამოტანა ვაჟა-ფშაველას სახელისა და ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის.

ეს მის დავალებას ასრულებდა კანდიდ ჩარკვიანი, და ამიტომაცაა, ავტობიოგრაფიულად რომ ჩაერთო ეს პასაჟები სრულიად სხვა შინაარსის მოხსენებაში.

და მოგვიანებით მისი მემუარისტული ჩანაწერები რომ გამოქვეყნდებოდა, მხოლოდ დოკუმენტურად დაადასტურებდა ამ მიხვედრას და ცალკეულ დეტალებსაც გვამცნობდა, ეგაა და ეგ.

1950 წლის ოქტომბერში ციფნყაროზე რომ შეხვედებოდა სტალინს, საუბრისას სიტყვა ჩამოვარდებოდა საქართველოს

ერთიანობასა და ერთიან ენაზე და ის თავის შეხედულებას გამოთქვამდა:

— ქართული არ არის ჩამოყალიბებული როგორც ერთი საერთო ეროვნული ენა. ქართულ ენას კიდევ ესაჭიროება გაერთიანება და საერთო ენის შექმნა მთელი ხალხისათვის.

ქართულ პოეზიაზეც ძალდაუტანებლად იტყოდა ორიოდ სიტყვას და... ახსენებდა ვაჟა-ფშაველასაც. და მის ზოგიერთ ლექსს ზეპირადაც დაიმონებდა.

ერთ ლექსს იტყოდა თუ არა, ამას გაეხარებოდა: ესეც ვაჟას თაყვანისმცემელი ყოფილაო, — რაკილა თვითონ დიდ პოეტად აღიარებდა. ასეც განუცხადებდა ნითელ იმპერატორს:

— უცნაურია, რომ გენიოსი, სადაც უნდა იყოს დაბადებული, მთასა თუ ბარში, მაინც გენიოსია, და ვაჟამ დაგვიტოვა დიდი განძი თავისი შემოქმედების სახით. იგი თავისებური, ორიგინალური, დიდი მოვლენაა არამარტო საქართველოს, არამედ საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაში.

ის არას მითვებდა, ამხელა ქვეყნის მფლობელი, და... თითქოს დაეთანხმებოდა კიდევ.

გამომშვიდობებისას თხოვდა:

— ხომ არ შეიძლება, რომ ვაჟას ნაწარმოებები გამომიგზავნო.

ეს თბილისში დაბრუნებისთანავე სასწრაფოდ მოიძიებდა იმ სამ თუ ოთხ ტომს, რაც იმჟამად უკვე იყო გამოცემული, და გაუგზავნიდა.

მას შემდეგ თვე თუ თვე-ნახევარი უნდა გასულიყო, ვიდრე სტალინი ტელეფონით შემოეხიანებოდა გაგრიდან 30 ნომერს:

— მივიღე ვაჟა-ფშაველას წიგნები, წავიკითხე და ამ დღეებში დაგიბრუნებთ. გული უნდა დაგწყვიტოთ. თქვენ ამბობდით, ვაჟა გენიოსიაო. იგი მართლაც დიდი ტალანტია, მაგრამ მსოფლმხედველობრივად ძალზე ჩამორჩენილი. ერთ დიდ პრობლემასაც კი ვერ აყენებს. ფშაველასა და ხევსურეთის ჩამორჩენილ რაიონებში ჩაიკეტა და ხევსურებს, ფშაველებსა და ქისტებს შორის შუღლისა და კინკლაობის მეტს ვერაფერს ხედავს და აღწერს. ვერ ამჩნევს საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებას. ეს საკითხები ვერ იმსახურებს მის ყურადღებას.

მარქსისტულ საცერში გატარებული მსოფლხედვა ვაჟასი ასე და მხოლოდ ასე თუ გამოჩნდებოდა საბჭოური გადმოსახედიდან.

ისე ნეტა ჰომეროსი თუ ხედავდა ბერძენთა და ტროელთა შუღლისა და კინკლაობის მეტს ან თუ ამჩნევდა საბერძენთის კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებას?!

იმპერატორი თავისას განაგრძობდა:

— ვაჟა-ფშაველას ენა პროვინციულია, ძველი, გაუგებარი. ნიშანდობლივია, რომ მის თვითულ ტომს ერთვის ვრცელი ლექსიკონი. სხვაგვარად თვითხველი ვერ გაიგებს მის ნაწარმოებებს. როდესაც ქართველი ხალხის დიდი შვილები — ილია, აკაკი, იაკობი — ქმნიდნენ ერთ საერთო ენას, ვაჟა, პირიქით, ყველა ქართულ კილოკავს ენად მიიჩნევდა. გარდა ამისა, როდესაც საქართველოში სოციალური გათავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ვაჟა განზე იდგა და არაფერში ერეოდა. საკვირველია, რომ აკაკი წერეთლის შეხედულება ჩვენს მეცნიერებს არ მიაჩნიათ სწორად და, ნაცვლად იმისა, აკაკის დაუჭირებს მხარი, ვაჟას ემხრობიან. ეს არ არის მართებული.

და კიდევ დაიმონებდა სტრიქონებს აკაკის ლექსიდან. ენას გინუნებ, ფშაველოო...

საიდან სად ამოეყო თავი ამ სტრიქონებს.

სტალინს კი უეცრად გერონტი ქიქოძე უნდა ესხენებინა:

— მარქსისტია თუ არა?

და კანდიდი გაიფიქრებდა: ოდესღაც ერთად რომ მუშაობდნენ არალეგალურ ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, ეტყობა, იქიდან ახსოვსო. და ვიდრე დაუზუსტებდა იმის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, იმპერატორი თავის გეზს გაჰყვებოდა:

— გერონტი ძველ წერილებში ვაჟას აკრიტიკებდა, ახლა კი ცაში აჰყავს, მის ყველა სუსტ მხარეს დადებით შეფასებას აძლევს.

როგორ ადევნებდა თვალს თურმე!..

გაგრიდან განმეორებითი ზარი რომ გაისმოდა, ამჯერად სტალინი დაინტერესდებოდა, თუ როგორ მიმდინარეობდა მზადება საქართველოს ოლქებად დაყოფისათვის. და უცებ:

— რა ჰქვინთ, ვაჟა-ფშაველას შეფასებას შეურიგდით?

— საერთოდ კი, ამხანაგო სტალინ, მაგრამ მისი ზოგიერთი მომენტი მაინც ძალიან მკაცრი მეჩვენება.

და ის პასუხად:

— ხომ გახსოვთ სიტყვები, რომლითაც მარქსი „გოთას პროგრამის კრიტიკას“ ამთავრებს? — „მე ვთქვი და ვიცხონე სული“, თქვენ კი, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით.

მის ხმაში... თითქოს წყენა მოისმოდა?

ოოო, ეს უკვე არაფრად ვარგოდა.

იმპერატორის დავალება ცხადი იყო და ურყევი გახლდათ, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თეზისები თუ ფორმულები, რაც უახლოეს ხანში უნდა გახშიანებულიყო ყველაზე მაღალი ტრიბუნადან.

სტალინის დავალების შეუსრულებლობა იმჟამად ვერავის წარმოედგინა.

ბრძანება წამსვე და უყოყმანოდ უნდა აღსრულებულიყო, იმ იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ გარემოში შეგეძლო მხოლოდ გულში გაგველო: ვაჟას პოეზიას რომ ენის სარჩული ჩამოვამოროთ, ძალიან ბევრს დაკარგავსო, — თორემ საანგარიშო მოხსენებაში პირდაპირ უნდა გადასულიყო სტალინური ფორმულები: მარქსისტულ საცერში გატარებული ვაჟას მხატვრული მემკვიდრეობის ახლებური შეფასება.

ამ ფორმულებში ერთადერთ ცვლილებად ის შევიდოდა, რომ სტალინური ტრიადიდან — ილია, აკაკი, იაკობი — ამოაკლდებოდა „დედა ენის“ შემოქმედი და სამწვერიანი სია ორამდე შეიკვეცებოდა.

— მოჰყვა თუ არა ამას სასკოლო პროგრამებში ვაჟას შემოქმედების შეკვეცა? — ეკითხებოდა კანდიდს შვილი, გელა ჩარკვიანი, ვინც ორიგინალური ყაიდის წიგნს მოამზადებდა მამასთან დიალოგის საფუძველზე.

— არავითარი სანქცია არ ყოფილა მიღებული ცენტრალური კომიტეტის მიერ. ვერც მოვასწრებდით, ეს იყო 1951 წლის დასაწყისში. არავითარი პროგრამების შეკვეცა არ მომხდარა...

აბა, მაშ?!

თურმე ხალხის ბრალი ყოფილა, თუკი რაიმეს გაიგებდა ზემოდან, თვითონვე ამძაფრებდა ხოლმე და... ახლაც ასე მომხდარაო.

კანდიდ ჩარკვიანი გამორიცხვით არ გამორიცხავდა, რომ სადმე შესაძლოა რაღაც ზომები ყოფილიყო მიღებული, მაგრამ... ხელისუფლების მიერ?! ო, ეს არავითარ შემთხვევაში.

— მე ამას ჩვეულებრივ კრიტიკად მივიჩნევდი, რის გამოც გარკვეულ სამეცნიერო შრომაში შეიძლება ცვლილებები შესულიყო, მეტი არაფერი. არავითარი მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ ვაჟა-ფშაველა, როგორც პოეტი, დაგვესამარებინა, არ ყოფილა.

შოი, რა მომხიბლავი გულბრყვილობით ირწმუნება საქართველოს რესპუბლიკის ოდინდელი მმართველი, არნახულად დიდხანს რომ განაგებდა ჩვენს ქვეყანას, ეს ჩვეულებრივი კრიტიკა გახლდათ და მეტი არაფერიო. და ქვეყანა ყოველად მიამიტებით დასახლებული რომ ჰგონია, ჭკუასუსტობამდე მისული მიამიტებით, რისი გამოისობითაც მკითხველი მთელი არსებით მიენდობა მემუარისტის გულბრყვილობის ხიბლს და დაიჯერებს, რომ ამხელა იმპერიის მბრძანებელსა, მსოფლიო ბატონობაზე რომ ოცნებობს და იქით და მხოლოდ იქით მიისწრაფის დაუოკებელი ჟინით, და საქართველოს

ხელმძღვანელს სხვა საქმე არაფერი აქვთ, გარდა იმისა, რომ რაღაც ჩვეულებრივი კრიტიკისათვის მოცდნენ და აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას შორის გამართული პოეტური პაექრობისას მტყუან-მართლის ვინაობა ეჭვშეუვალად გამოარკვიონ.

ცხადია, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანია საბჭოთა იმპერატორისათვის.

და შედეგად საბედისწერო უნდა იყოს იმ პიროვნებისათვის, ვინც სტალინს თვალში ამოუღია.

სწორედამაგ დასამარება მისი სახელისა და ღვაწლისა.

პროგრამების შექვეცა მეორე დღესვე კი არ უნდა მომხდარიყო, მაღევე განხორციელდებოდა, ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველა აკრძალულ მწერალთა სიაში მოხვდებოდა და მისი სახელი პირნიშნადად ამოიშლებოდა ყველა გამოცემიდან. მისი ხომ აღარაფერი გამოქვეყნდებოდა და არა.

ასე რომ არ ყოფილიყო, არც სიმონ ჩიქოვანის თანამდებობა შეენიშნებოდა ვაჟა-ფშაველას გამოქომაგებას, მართალია მოზომილად, დიპლომატიურად, რაკილა კანდიდ ჩარკვიანის მიერ გამოთქმული ამ მკაცრი კრიტიკის მიღმა საბჭოთა იმპერატორის მრისხანე ფიგურა აღმართულიყო, მაგრამ პროტესტი მაინც პროტესტი გახლდათ, დაცვა შერისხული ენობრივი სტილისა დიდ გაბედულებად, თავზეხელაღებულობადაც ითქმოდა, რადგანაც შესაძლოა მარტოდენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან მოხსნა არც ეკმარებინათ სიმონ ჩიქოვანისათვის...

ფრიად დაფასებული პიროვნებისათვის, სტალინური პრემია რომ ერგუნებინათ.

მასაც კი არ აპატიებდნენ.

რაო, რას გვიმტკიცებს კანდიდ ჩარკვიანი?

ამას ჩვეულებრივ კრიტიკად მივიჩნევდით...

მაშ რაღას ემართლებოდა სიმონ ჩიქოვანს, თუ „ჩვეულებრივ კრიტიკას“ არ დაეთანხმა და საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა, თანაც ფრთხილად?!

ეს ერთი გადანწყვეტილებაც კი, ხელისუფლების მწვერვალთან მომავალი, ძალდაუტანებლად მოწმობს, ვაჟა-ფშაველას სრული გაცამტვერება რომ ჩაფიქრებულიყო და ამ კამპანიისას ყოველგვარი დაბრკოლება იქვე უნდა მოსპობილიყო, რათა განზრახვა ტრიუმფით მისულიყო ბოლომდე — კანდიდ ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენების ამ პასაჟს აჰყოლოდნენ მედროვენი, დაბეჯითებით გაემეორებინათ, სულ უფრო გაეგრძელებინათ და ვაჟა-ფშაველას განადგურება დამსგავსებოდა საზოგადოებრივ მოთხოვნას, რასაც ხელისუფლება... იძულებით დაეთანხმებოდა — აბა, რა უფლება ჰქონდა, ხალხის ნებას შეწინააღმდეგებოდა.

„ხალხის მოთხოვნით“ უნდა გამოდევნილიყო ვაჟა-ფშაველა სასკოლო პროგრამიდან.

„ხალხის მოთხოვნითვე“ უნდა ჩაბარებოდა იმ დრომოჭმულ წარსულს, რომლისთვისაც ვერა და ვერ დაეღწია თავი... და ბარემ მასვე ნაჰყოლოდა...

თორემ როდემდე დარჩენილიყო ნიშნულად ენობრივი გადახვევისა და ერთიანი სალიტერატურო მეტყველების რღვევისა, მაცთუნებლად და სხვათა ამყოლიებლად?

სტილიც კლასობრივ მოვლენად შერაცხულიყო მარქსისტულ მოთხოვნილებათა თარგზე, და ამიტომ კიდევ უნდა მოსპობილიყო ყოველგვარი თავისებურება და საწყისივე ალკვეთილიყო მხატვრულ-ენობრივი ძიებანი.

ქართულ ენას კიდევ ესაჭიროება გაერთიანება და საერთო ენის შექმნა მთელი ხალხისათვისო...

ეს „საერთო ენა“ კი... აუცილებლად პრიმიტიული უნდა ყოფილიყო, წყალწყალა და მჭლე, ურთიერთგაგებინების ფარგალს რომ არ გასცილდებოდა და ადრე თუ გვიან იოლად შეელოდი, რაკილა გამოფიტული და მადლდაკარგული შენს გულსა და გონებას ველარაფერს ეტყოდა სანუგემოსა და მალამოდ მოსაცხებს.

სახელმწიფოებრივი ცენტრალიზება ამოეჭრა გულში საბჭოთა იმპერატორს და ასეც მოეწყო საბჭოთა კავშირი — ამ ფესვსა და მოდელებზე.

და ენობრივი ცენტრალიზებაც აუცილებელი გახლდათ ამ ყაიდის სახელმწიფოსათვის.

ცენტრალიზება რუსული ენისა, როგორც ერთადერთის, სხვა ენებს რომ შთანთქავდა და სამუდამოდაც აღზოცავდა პირისაგან მიწისა.

მანამდე კი თვითიული ეროვნული ენის ცენტრალიზება უნდა მომხდარიყო, ანუ მადლისაგან გამოწურვა, გამოფიტვა, დამჭლევება, განწყალწყალება.

და იმპერატორის ამ ნებასა და მოთხოვნას წინ გადაღობებოდა ენობრივ სტიქიაში შეჭრა, ღრმად დაფარული მადნის ამომზევება და სხვათა შეგულიანებაც სტილურ-ენობრივი თავისებურებებისაკენ.

მოულოდნელად კი გაისმოდა საქართველოს რესპუბლიკის თავკაცის ის გალაშქრება ვაჟა-ფშაველას მსოფლხედვისა და ენობრივი მრწამსის წინააღმდეგ და მიზეზთა ძიებას რომ შეუდგებოდნენ, სტალინის შურისგების სათავედ რაღაც პირად წყენას იგულისხმებდნენ, ის ეპიზოდიც უკვე საკმაოდ გახმაურებულიყო სამწერლო წრეებში, ვაჟას ამინოვი პანლურისცემით რომ გამოეგდო ოთახიდან და კიბეზეც დაეგორებინა, და კიდევ დატრიალდებოდა ის ხმა — ჩუმად, ფარულად, ჩურჩულით, მაგრამ მაინც: ნეტა ესეც ხომ არ დაუგორებია რედაქციის კიბეზეო?!

ხანი რომ გავიდოდა და სტალინიც ისტორიაში გადავიდოდა, ის ხმა კიდევ უფრო მომძლავრდებოდა, გამტკიცდებოდა და... რეალური ეპიზოდის სახესაც კი შეიძენდა საზოგადოებრივ შეგნებაში.

როგორ აპატიებდა, გულში ასე მწარედ რომ ჩარჩენოდაო...

მაგრამ... მაშინ როგორღა აპატიო, ვაჟას ნეშტს დიდუბიდან მთანმინდაზე რომ გადაასვენებდნენ?

მაინცდამაინც ჰიტლერული გერმანია უნდა ჰყოლოდა დამარცხებული ომში, ხელი რომ შეეშალა ვაჟას ასეთი ამაღლებისათვის?

ან ეგებ ვინმეს ჰგონია, რომ საბჭოთა იმპერატორის ნების გარეშე ასეთი რამ მოხდებოდა და ქართველი საზოგადოების მონადინებაზე ეკიდა მთანმინდის პანთეონის შევსება კიდევ ერთი ნევრით?

მაშინ დაუეწიყა და... ახლავა გაუხსენა?

ამიტომაც ფსიქოლოგიური მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს და პირად ურთიერთობას სულაც არ უნდა უკავშირდებოდეს, მიზეზი — სრული ცენტრალიზაციის წყურვილი და ხელის განვდენაზე ამოღანდული ახალი მსოფლიო, ახალი ზეცითა და ახალი მიწით, რადგანაც საყოველთაო კომუნიზმის დამყარებას წინ უკვე რაღა უნდა გადადგომოდა.

ნაცისტური გერმანია — დაჩოქილი და შუაზე გაყოფილი, თავს რომ ველარ წამოსწევდა.

აღმოსავლეთ ევროპა — გასოციალისტებული და საბჭოთა იმპერიის ლაჯებში მოქცეული.

აფრიკის ქვეყნებში ასეთი წარმატებით გადატანილი რევოლუციის ხანძარი.

ამერიკის შერთებული შტატებიდან მალულად გამოტყუებული ატომური ყუმბარის საიდუმლო.

უკვე შეგეძლო თურქეთსაც წასდავებოდი იმ მიწა-წყალს, ოდესლაც ქართულ მოდგმას რომ ეკუთვნოდა და ახლა რუსეთის იმპერიის საზღვრებში უნდა გადმოსულიყო, საქართველოსათვის ერთხანს დიდად სახიროდ და ოცნების ახდენადაც, ვიდრე ერთობლივად შეერწყმოდა რუსეთს ეს ჩვენი — საზღვარს აქეთ და საზღვარს იქით მყოფი — ტერიტორიები. და ერთობლივადვე დაგვარგავდით თვითმყოფადობის ყოველგვარ ნიშანწყალს.

ახალი ზეცითა და ახალი მიწითო...

ომის ქარცეცხლში იძულებული გამხდარიყო ბევრ რაიმეზე თვალი მოეხუჭა, ის კი არა, ხელიც შეეწყო იმ ყველაფრისათვის, რასაც მანამდე ცეცხლითა და მახვილით შანთავდა?!

ამოასუნთქებდა ეკლესიასაც.

მწერლობასაც ამოასუნთქებდა.

მაგრამ მისი ტრიუმფალური გამარჯვება ახალი განსაცდელის წინაშე დააყენებდა ერთსაც და მეორესაც.

სასულიერო პირნი კვლავ მოჰყვებოდნენ დევნა-შევიწროების ქვეშ.

და მწერალთაც — საერთოდ, ხელოვანთაც — თავს დაატყვებოდათ იმპერატორის რისხვა, ანდრეი უდანოვს რომ მოავლენდა სადამსჯელო ექსპედიციის მეთაურად და ბღღერის აადენდა ყველასა და ყველაფერს — და საქართველოს ისტორიაზე წერაც აიკრძალებოდა, თორემ თანადროული რეალობის წარმოსახვა ხომ ოდნავადაც აღარ უნდა გადასცდენოდა საბჭოურ ნორმებსა და თარგებს, ადამიანურ გრძობა-განცდათა გამოხატულებას ძველებურად რომ ამოედებოდა ლაგამი, თითქოს ომამდელი ხანა შემობრუნებულიყო.

და სტილური ძიებანიც მკაცრად უნდა დაგმოზილიყო, პოლიტიკური ერესის რანგში აყვანილი და ამიტომაც აუცილებლად აღსაკვეთი.

და სალიტერატურო ენა თავით ბოლომდე უნდა დამორჩილებოდა ცენტრალიზაციას, ალიკაპის მოხსნა რომ აღარავის მოფიქრებოდა, თორემ ცდით ხომ აღარ უნდა ეცადა და არა.

ჩეკისტური კრიტიკა მიხედავდა ამ ყველაფერს, თავ-ბედი რომ უნდა ეწყველინებინა „ერეტიკოსთათვის“.

და გავემდებოდა კიდევ სალიტერატურო კრიტიკის სახელით შეზღუდული სადამსჯელო რაზმი კონსტანტინე გამსახურდიას მიმართ, ამდენი წელია თავგანწირვით რომ იცავდა სტილურ-ენობრივ ძიებათა აუცილებლობას და თვითმყოფადი სტილის გამომუშავების რწმენას.

და კვალში ჩაუდგებოდა სამწერლო ასპარეზზე ახალგაზრდას ოთარ ჩხეიძეს, ვისაც ასევე ვერ წარმოედგინა მწერლობა სტილურ-ენობრივი ექსპრესიისა და ენობრივ სტიქიაში ღრმად შეჭრის გარეშე.

აი, ვაჟა-ფშაველას მიმართ არ იკმარებდა სადამსჯელო რაზმის გამოშვება ასპარეზზე. ლიტერატურის კლასიკოსისათვის ბოლოს მოღება აუცილებლად დაისაჭიროებდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის უშუალო ჩართვას ამ სასტიკ პროცესში, რათა იმპერატორის განზრახვა ოდნავადაც არ გაჭიანურებულიყო.

ხალხმა გაამძაფრაო...

მე ამას ჩვეულებრივ კრიტიკად მივიჩნევდიო...

თანდათან სხვებსაც აღარ დაინდობდნენ — ვაჟას ჩამოცილების შემდგომ.

ალექსანდრე ყაზბეგი კი გადაურჩებოდა საბჭოთა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრებას — განა როდემდე უშველიდა ის სიყვარული, რაც სტალინის სიყმანვილიდან მოჰყვებოდა მისი მოთხოვნებისა და რომანებისადმი, პარტიულ ფსევდონიმად კობა სწორედ ყაზბეგური ზეგავლენით რომ შეერჩია.

ან განა აკაკი წერეთელს არ უკრიფავდა მიზეზს და მის იმერიზმებს დანაშაულად არ მიუთვლიდა? ვაჟას წინააღმდეგ რომ დაესაჭიროებინა მისი ის სტრიქონები და ბაირადივით აეფრიალებინა, ახლა, „გველის-მჭამელის“ შემოქმედის დამახობის შემდგომ, უკვე ზედმეტი გახდებოდა ეს ბაირადიც და თვითონ აკაკიც, ცეცხლის შუაგულში ამჯერად მისი სახელი რომ მოჰყვებოდა.

ილია ჭავჭავაძის სახელის რეაბილიტაციას თავისი სიკეთე მოეტანა სტალინისათვის — ფილიპე მახარაძეს რომ დაზაფრავდა და გულსაც გაუხეთქავდა: მისი მკვლელობის გარემოებანი მზის სინათლეზე ამოვა და პასუხი თუ ვინმეს, ერთ უპირველესს შენ მოგეთხოვებო, — იდუმალი ხმა რომ ჩასჩურჩულებდა და... ამ ჩურჩულს ვერ გაუძლებდა. ერთხანს კი

მერეც შეინყნარებდა საბჭოთა იმპერატორი, ყოველმხრივ გაუვნებლებას რომ შეეცდებოდა მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობისაც და ბიოგრაფიისაც — შეკვეცას, გადაკეთება-გადმოკეთებას, გაყალბებას... მაგრამ მაინც ვერ თავსდებოდა ეს ნაღვანი საბჭოურ-მარქსისტულ ნორმებში, მითუმეტეს, რომ სახელი ილიასი, გინდა-არგინდა, მჭექარედ გაისმოდა, მუქარად და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რწმენად, შენს თარგს ვერაფრისდიდებით რომ ვერ მოარგებდი. და ამიტომაც უნდა შენყვეტილიყო მისი ზეგავლენა ქართულ საზოგადოებრივ აზრზე, მითუმეტეს, მისი ენობრივი სტილი, არსებითად განმსაზღვრელი ჩვენი სალიტერატურო მეტყველებისა, ისეთი მადლით აღვსილიყო, ისე ფეთქავდა და ჩქროლავდა, მოჩვენებითი სიიოლის მიღმა დიდი ენერჯიაც ტრიალებდა და შთაგონების უჩვეულო უნარსაც ინარჩუნებდა.

და ერთერთმანეთს რომ მიჰყვებოდნენ ეს კლასიკოსები უფსკრულისაკენ, ველარც იაკობ გოგებაშვილი შეინარჩუნებდა თავის ადგილს, „დედა ენაც“ ყავლგასულად რომ გამორჩნდებოდა და არაფრისმამჩნისად, ზედმეტ ბარგად სოციალისტური გლობალიზმის ზეობის ჟამს, და ვილას უნდა დასჭირებოდა ზედმეტი ბარგი კომუნისტური სამოთხის გარემოში?!

ყველას, ყველას მოეღებოდა ბოლო, ვინც ახალ ზეცასა და ახალ მიწას ვერ იგუებდა — ლუციფერულ ახალ ზეცასა და ახალ მიწას!..

ვაჟა-ფშაველათი იწყებოდა ეს საზარელი განზრახვა, მისი შერისხვითა და განაიდაგებით.

და იაკობ გოგებაშვილი შეჰკრავდა წრეს, შუაში კიდევ არაერთი სახელი რომ მოჰყვებოდა კევრქვეშ გასასრესად.

მე ამას ჩვეულებრივ კრიტიკად მივიჩნევდიო...

ის ყოველივე სულ ჩვეულებრივი კრიტიკა იქნებოდა!.. თავის ოცნებებს შესთამამებდა საბჭოთა იმპერატორი.

მაგრამ თავისი გადასაწყვეტი გადაწყვეტიტა ბედისწერასაც და... ხელდან ნასტაცებდა ვაჟა-ფშაველას სახელს, არ დაანებებდა დასამზობად, ამოსადიკვავდა, გასაქარწყლებლად. და ისტორიას შერჩებოდა ეს საზარელი განზრახვაც, ვაჟათი რომ უნდა დაწყებულიყო და...

მალე უნდა დამდგარიყო საბჭოთა იმპერატორის აღსასრულის ჟამი.

და კანდიდ ჩარკვიანს კი, პირველი მდივნობიდან გამოსტუმრების შემდგომ, გადასახლების სიმწვავეც უნდა გადაეტანა საკუთარ ტყავზე.

და კიდევ ჩამოეხსნებოდნენ ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა და ენობრივი სტილის დევნას.

ახლა სხვები გაუჩნდებოდათ მისახენდი, სხვების ენობრივი მანერა უნდა გაეგოთ ფეხქვეშ, რათა ქართული სალიტერატურა ენა რკინის არტახებში ჰყოლოდათ ჩამწყვედელი, ვიდრე... ვიდრე...

— ხალხო, ვაჟას ქალიშვილი მოდის და გზა დაუთმეთ! და ქუდიც აფრიადებოდა ჰაერში.

გადაიპობოდა დუნდგო.

და ნელ-ნელა გაუყვებოდა თამარი გზას ქაშვეთის ეკლესიის შუაგულში დასვენებული მამის ცხედრისაკენ.

იყო ჯერაც მისი?

თუ... უკვე აღარ... აღარ... აღარც...

გვაგლოვით მამაო, — ივედრებოდნენ უილიამ ფოლკნერის შვილები, ერთი დღის, ერთი საათის, ერთი წუთისაც კი მომლოდინენი, ხელიდან რომ ეცლებოდათ მამა — საყოველთაო საკუთრებად გადაქცეული, სამარადისოდ.

მამას მოკონინებოდა თამარი, მაგრამ განა როდემდე?! ხალხო, ვაჟას ქალიშვილი მოდის...

ბედისწერას რომ არ წარეტაცა იმ წამს ვაჟა-ფშაველას სახელი წითელი იმპერატორის ხელთაგან, იატაკქვეშ მაინც იტრიალებდა და ისულდგმულედა ნანატრი ჟამის მოლოდინში — ლაშარის გორზე ლუხუმის შადგომით გაბრწყინებულის, იმ

უსწავლელი ფშაველის ლანდიც რომ უნდა ამოჩინილიყო, ყელგადაგდებული, თითქოს შეკაზმულ ცხენსა სთხოვდა, ისე რომ ევედრებოდა: ვაჟავ, თუ ღმერთი გნამს, ნუ დამიმალავ, ხომ საქართველოს თავისუფლებას გულისხმობ „ბახტრიონის“ ბოლო სტრიქონებში.

იქნება ვგულისხმობდეო, — ერჩივნა ასე დაედასტურებინა, მოიარებით ნათქვამს ამ შემთხვევაში მეტი დამაჯერებლობა და ექსპრესია მიენიჭებოდა.

— ყველა ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებული ნეშტისა, რომ შენ მიერ აფორმებული დროშა არ დავსნიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძე იდეალებს — ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკლად, — ვაჟა-ფშაველა ილიას ნეშტის წინაშე რომ დადებდა ამ ფიცს, ახლა მისი ნეშტიც და სახელიც ასევე საფიცარი შექმნილიყო და მისი აჩრდილის წინაშე უნდა გამოგვეჩინა სიმტკიცე და შეუდრეკელობა, ახდითად იქნებოდა თუ ფარულად.

გამოგვეჩინა კი.
და არამარტო აქ მოვფრთხილებოდით მის სახელს, გვეზრუნა მის გასაღწევად დასავლეთში, რაკილა ეს სიბრძნე და სილამაზე ჩვენზე არანაკლებ მათაც ეკუთვნოდათ, მთავარია, მათ ორბიტაზე მოხვედრილიყო, მათ ცნობიერებაში შეეღწია.

— საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არა ჰყავთო, — არწმუნებდა არჩილ ჯორჯაძე, ევროპა რომ შემოევლო, იქაური ყოფა გაეთავისებინა და მათი მწერლობისთვისაც უკვე შეგინდნაც შეეხედა — თვითუფილი იმ ქვეყნის გულისგულიდან, და მისი შეხედულება წარმოგვიდგება არა წამიერ განწყობილებად თუ შთაბეჭდილებად, არამედ ღრმა შესწავლისა და გააზრების საფუძველზე ამოზრდილ დასკვნად.

გმირი დაკარგულიყო დასავლურ ლიტერატურაში, ყოველ შემთხვევაში ანტიგმირებს შთაენთქათ და სანთლით უნდა გეძებნა, სადმე რომ აღმოგეჩინა.

ვაჟა-ფშაველასთან კი საძებარი რა იყო — ჰეროიკული სულისკვეთება მსჭვალავდა მის ეპოსს, აქეთ გოეთესთან რომ გაედო ხიდი და იქით ჰომეროსთანაც ადამიანური სულისა და აზროვნების სიღრმეებში ჩაძირულს, თითქოს უხსოვარი უამიდან რომ მოჰყვებოდა კაცობრიობას.

თავის წვენი იხარშებოდა ვაჟა-ფშაველა.
თავის წვენში — უილიამ ბატლერ იეიტსიც და მთელი პლეადაც ირლანდიური ალორძინებისა, იდუმალ, მხოლოდ მათთვის გასაგებ ენაზე ასეც რომ შეიძლება შემოეთვალათ ქართველი თანამოაზრისათვის: იმავ ჭირით ვართ სნეულნი, რაც შენ გაჩნია წყლულადაო!..

და ერთ დღეს იეიტსი გარეთ რომ გამოვიდოდა, ერთი ყმანვილკაცი მიუახლოვებოდა, თავს გააცნობდა და ეტყოდა: პროზაული ესეებისა თუ ლექსების წიგნი დავწერეო, — და საერთო მეგობარზეც ჩამოუგდებდა სიტყვას, ჯორჯ უილიამ რასელზე, იეიტსს თავისზე უფრო თავზეხელაღებულ მემამბოხედ რომ მიაჩნდა და ნისლიან გარიჟრაჟამდე არა ბეზრდებოდა მასთან ფილოსოფიაზე მსჯელობა.

ეს ყმანვილკაცი ჯეიმზ ჯოისი უნდა აღმოჩენილიყო, მათი ამ შეხვედრა-საუბრის შინაარსი კი იეიტსს შემოენახა, მაშინ, გაცნობისას, რომ მოისმენდა დამწყები მწერლის ლამაზ, თუმც მოუმნიფებელ და ექსცენტრიული ჰარმონიის მქონე პროზაულ ესკიზებსა და მედიტაციებს, სადაც მეტრული ფორმა იმიტომ უკუეგდო, რათა ისეთი თავისუფალი ფორმის მოძებნა შეძლებოდა, მისი სულის გამოძახილი რომ იქნებოდა.

ეს ქებას არ დაიშურებდა.
ის კი:

— სინამდვილეში სულაც არ მენალვლება, მოგწონთ თუ არა, რას ვაკეთებ და რას არა. ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, არც კი ვიცი, ამ ყოველივეს რატომ გიკითხავთ.

ქედმაღლობა და ასეთი?!

სითამამის საზღვრებს სცილდებოდა ყმანვილკაცის საქციელი, თავდაჯერებით რომ დაუწყებდა ახსნას სახელოვან მწერალს, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა მისი პირველი ლიტერატურული ცდები იმ ყველაფერს, რაც იეიტსს შეექმნა.

ეკითხებოდა, რატომ ხართ დაინტერესებული პოლიტიკით, ფილოსოფიით, მოვლენათა ისტორიული განვითარებით და მისთანებით, მეტიც — რატომ წერთ იდეების შესახებ და რატომ ხართ შემწყნარებელი განზოგადებათა მიმართო? ეს ყოველივე ხომ ჯოისს გაეწვარებოდა რკინის გაციებას, შთაგონების ჭკნობას მოაგონებდა.

განსაკუთრებით მაინც არ მოსწონდა ის მცირე პიესები, რომელთაც იეიტსი ირლანდიური თეატრისათვის წერდა და ემოციებსა და ფოლკლორზე ამყარებდა. იმის თქმასაც კი არ მოერიდებოდა: ამით ყველაფერს აფუჭებთო. და როდესაც შეიტყობდა, ეს პიესები ადვილად ინერებაო, მიუგებდა: ეს ჩემთვის სავსებით ნათელიაო, — და დასძენდა:

— ჩემი პატარა წიგნი მხოლოდ ჩემი გონებითაა დავალეზული და ღმერთთან უფრო ახლოა, ვიდრე ფოლკლორთან.

იეიტსი პასუხად გადაშლიდა ყმანვილკაცის წიგნს, მიუთითებდა მის ერთ-ერთ მოსაზრებაზე და ეტყოდა:

— ეს თქვენ რომელიღაც მწერლისგან გაქვთ აღებული, ვინც ფოლკლორი გამოიყენა.

გალიზიანებას ვერ დაიოკებდა, ფიქრებიც მოეძალებოდა, ბოლთის ცემას მოჰყვებოდა და თან აუხსნიდა:

— ყოველი ღირებული ხელოვნება ხალხურ ტრადიციაზეა დამყარებული.

მიაჩნდა, რომ ხელოვანი თუ დიდხანს ცხოვრობდა, მხოლოდ საკუთარი გონებითა და იმ ხელოვანთა მიზაძევით, რომელთაც მასავით ჰქონდათ აწონილ-დაწონილი ყველაფერი, წმინდა და მარტივ იდეათა სამყაროში ექცეოდა, უკიდურესად ინდივიდუალური ხდებოდა და ბოლოს — სრულყოფილების მძაფრი ძიებისას — სრულიად გასტერილურდებოდა კიდეც.

მეორე მხრივ კი ხალხური წარმოსახვა უსასრულო ხატებს ქმნიდა, სადაც იდეები არ არსებობდნენ. ხალხურ წარმოსახვაზე დაყრდნობილი ამბები უგულვებელყოფდნენ მორალურ და ყველა სხვა კანონის მოქმედებას.

და ეს ამბები იმ ბავშვებს მოაგონებდა, რომელნიც ცეცხლში წარმოსახვით სურათთა მონაცვლეობას ხედავენ ხოლმე.

ასე აღმოაჩენდა და გამიჯნავდა ორი ყაიღის გამონაგონს: ერთს — ხელოვანთა, და მეორეს — ხალხურს.

ხელოვანთა გამონაგონი იმ ცივილიზაციის მონაპოვარი გახლდათ, ქალაქიდან რომ მომდინარეობდა, ხოლო ხალხურ გამონაგონს ადამიანი სოფლად თუ ჰპოვებდა.

ქალაქებში, განსაკუთრებით ლონდონის მსგავს დიდ ქალაქებში, ვერ ნახავდი, რასაც ძველი მწერლები ხალხს უწოდებდნენ. სამაგიეროდ, ნახავდი მცირე, უაღრესად ცივილიზებულ, უაღრესად სრულყოფილ, ინდივიდუალურ მაცხოვრებელთა და უმრავლესობას, რომელიც მას ბაძავდა და ყველაფერს აუფასურებდა.

შექმნის ათასნაირ დიდ უნარსაც რომ აღმოაჩენდი?

მაგრამ ეს გახლდათ ქმნადობის იმპულსი, თანდათან და უფრო და უფრო რომ სუსტდებოდა.

აი, მეორე მხრივ, სოფლად — თუნდ ირლანდიასა და მის მიდამოებში, სადაც ქალაქებს ფეხი ვერ მოეკიდებინათ — ნახავდი ინდივიდუალურ თვისებებს მოკლებულ ხალხს.

— ასეთი ხალხი იმავე მოვალეობებით (ცხოვრობს და ისევე ფიქრობს სიკვდილ-სიცოცხლეზე, როგორც მამები უამბობდნენ, მაგრამ სიტყვის თქმისას, ამბების მოყოლისას, ყველაფერ იმის დროს, რაც წარმოსახვით თამაშს უკავშირდება, უსაზღვრო სიუხვე ახასიათებთ.

უბეჯითებდა და უმტკიცებდა იეიტსი მწერლობის ჟინით შეპყრობილ ყმანვილკაცს, ვინც ინტერესით უგდებდა ყურს და ამას იმედი რომ გაუჩნდებოდა, მგონი ჩემსკენ გადმოვიბირეო, მეტი გზებით გააგრძელებდა მონოლოგს.

ბოლოსდაბოლოს ასობით ამბავი შეეგროვებინა და ასობითაც სხვებს მოეგროვებინათ მისი თხოვნით, და თუ ერთმანეთს შეუდარებდი, დარწმუნდებოდი, რომ არცერთი ეს ამბავი მეორეს არა ჰგავდა.

მთავარი და საგულისხმო ის გახლდათ, რომ მათთვის არაფერი იყო შეუძლებელი და, რადგან ვერაფრით გააკვირვებდით, ყველაზე გასაოცარ მოვლენათა წარმოდგენაც შეეძლოთ.

შოი, რა ეშში შევიდოდა, ჩემი გუნების მსმენელი ვიშოვნეო?

— ხალხური ცხოვრება, სოფლის ცხოვრება არის ბუნება მთელი თავისი სიუხვით, მაგრამ ბუნებასთან დაუკავშირებელი ცხოვრება, ქალაქური ცხოვრება სტერილური სულია. თანამედროვე სამყაროს მთელი სიმანხინჯე ქალაქების მომრავლებამ და მათი აზროვნების მიმართულებამ გამოიწვია. და თუ გვინდა სილამაზის დაბრუნება, სული და ბუნება უნდა შევუვლოთ. როცა იდეა, რომელიც ინდივიდის ცხოვრებიდან მოდის, ხალხის მიერ შობილ წარმოსახვასთან შეუღლებება, მაშინ დიად ხელოვნებას, ჰომეროსის ხელოვნებას, შექსპირის ხელოვნებასა და შარტრის საკათედრო ტაძრის ხელოვნებას მივიღებთ.

თითქოს ვაჟა-ფშაველა მსჯელობსო, ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება დაგვრჩეს, ეგ არის, დაპირისპირება: სოფელი და ქალაქი, ვაჟასთან ამ სიმბოლიკით წარმოდგებოდა: მთა და ბარი, და მისთვის სწორედ მთა განასახიერებდა ბუნებას მთელი თავისი სიუხვით.

რა კარგად გაუგებდნენ ერთმანეთს!..

და ჰომეროსისა და შექსპირის ხსენება ამასაც სიამედ ჩაეფინებოდა გულში, თავის მხრივ შოთა რუსთველის სახელს რომ შეაშველებდა, როგორც კიდე ერთ დადასტურებას სულისა და ბუნების ჰარმონიული შეუღლებისა.

იქ კი იეიტის აღფრთოვანებული რომ ჩამთავრებდა მონოლოგს, ეგაა და საბოლოოდ მოვინადირე ამ ახალგაზრდა კაცის გულიო, ის... მშრალად უპასუხებდა:

— განზოგადებანი პოეტებს არ შეუქმნიათ, ისინი სწავლულებმა შექმნეს და ყოვლად გამოუსადეგარნი არიან.

და წასასვლელად რომ გაემზადებოდა, გასვლისას ამ სიტყვას დააგებდა:

— მე ოცისა ვარ. თქვენ რამდენი წლისა ხართ?

ეს უპასუხებდა, მაგრამ მგონი... მგონი ერთ წელს დაიკლებდა. ის კი, ამოოხვრით:

— ასეც ვფიქრობდი, რომ ძალიან გვიან შეგხვდით. თქვენ ჩემთვის საკმაოდ ხნიერი ხართ.

და წავიდოდა და წავიდოდა.

ჯერ იეიტისაგან.

მერე სულაც ირლანდიიდან.

„ოდესმე ჩვენთან დაბრუნდები“ — მიაცილებდა იეიტის უტყვი მზერა.

„არასოდეს, არასოდეს, არასოდეს“ — ამ უტყვი მზერას ტოვებდა ჯოისი, ვისთვისაც მთავარი და უმთავრესი სწორედაც ის სული გამხდარიყო, რაც იეიტის თვალში სტერილურად გამოიყურებოდა, და არაფერი, სრულიად არაფერი აკავშირებდა იმ სოფლურ ყოფასთან, ბუნება მთელი თავისი სიუხვით რომ იჩენდა თავს.

განა მთელი ირლანდიაც ერთი დიდი სოფელი არ გახლდათ?

რომელიღაც მიკარგული მხარე ევროპისათვის, თუნდ ეგზოტიკური, ეგებ ნაკრძალადაც და სამუზეუმოდაც შემოსანახი, მაგრამ სრულიად არაფრის შემძენი ხელოვანისათვის, ვისაც მხოლოდ ვინრო ნაჭუჭში მოაქცევდა, სულს შეუხუთავდა, დაახრჩობდა და არ მისცემდა შემოქმედებითი უნარის სრულყოფილად გამჟღავნების საშუალებას.

მცირერიცხოვან ქვეყანას სწყუროდა დიდი ხელოვანი ჰყოლოდა, რათა ბედნიერად ეგრძნო თავი?

სამაგიეროდ, დიდ ხელოვანს გადაეცეოდა უბედურებად მცირერიცხოვან ქვეყანაში ჩარჩენა. ჯერ ის არა კმაროდა, მაინცდამაინც აქაურობის შვილად რომ დაბადებულიყო, და ახლა სულაც მას უნდა შესწირვოდა და გადაგებოდა? ერის მამის სახელი ეშოვნა, მაგრამ მწერლობას კი გამოთხოვებოდა.

აუცილებლად უნდა გამოსცლოდა ჯოისი ირლანდიას, გამოქცეოდა სამუდამოდ, თუკი სურდა ხელოვნებისათვის მიეძღვნა თავი და არა ამ პროვინციისათვის, რომელიც დედამდროის უპირებდა მასაც შთანთქმას, როგორც არაერთი თავგანწირული პატრიოტი ემსხვერპლა და თვით ჩარლზ პარნელიც არ დაენდო.

არა, ჯოისი არ შეეჭმევინებოდა.

დაე განირულიყო სამშობლო, ოღონდაც თვითონ ხელოვნების ასპარეზი ჰქონოდა დიდ სივრცეზე გადაშლილი — მთელი ევროპის მომცველი და არა მისი რომელიღაც კუნჭულისა. „ოდესმე ჩვენთან დაბრუნდები“.

„არასოდეს, არასოდეს, არასოდეს...“

ისტერიკაში გადადიოდა მზერაც კი, თორემ გული ხომ მთელი მგზნებარებით აწყდებოდა კედლებს.

ვის, პარნელის სისხლში გასვრილ ქვეყანას მინდობოდა?

იმას რა სიკეთე მოენია თავგანწირვის საზღაურად და ამას რილას იმედი უნდა ჰქონოდა.

და ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, ისეთი ანთებული გამოვარდებოდა ირლანდიიდან, თითქოს ევროპის კონტინენტზე თოკით ენეოდნენ, იქ კი, სამშობლოში ძაფიც არ აკავებდა, ერთი ქართული მოთხრობის პერსონაჟისა არ იყოს, იმ მოთხრობისა, რომლის ავტორიც უშურველად განიარავდა თავის მწერლურ ტალანტს გილიოტინაზე ასასვლელად.

ძაფი რა არის, ძაფიც კი!..

არაფერი ენანებოდა მისატოვებლად ჯოისს და ამიტომაც აღარ შეაბრუნებდა თავს გამომშვიდობების ნიშნადაც კი.

შინაგანად კარგა ხანია მოწყვეტილიყო ირლანდიას.

ახლა გარეგნულადაც უნდა გამოხატულიყო და დადასტურებულიყო მისი განდგომილება, გამოძევებულობა, მოკვეთა თვისტომთაგან. და მისი ერთადერთი პიესის სახელწოდებაც ქართულად სწორედ ასე უნდა ითარგმნის: „მოკვეთილი“.

ვაჟა-ფშაველას პიესის სათაურს რომ დაემგვანება უნებურად: „მოკვეთილი“.

არადა, ეს თემა თუ ვინმეს აღელვებდა, ერთ უპირველეს სწორედ ვაჟას, ვისი დაუმცხვრალი ფიქრიც და მხატვრული ძიებანიც ამ მიმართულებით ალუდა ქეთელაურის სახეში უნდა განივთებულიყო და გასიმბოლოებულიყო ყველაზე სრულყოფილად, ახალი რჯულის დამფუძნებლად რომ უნდა მოვლენოდა ტრადიციულ საზოგადოებას და ამის გამო ძალდაუტანებლად ამოვარდნილიყო საყმოს ერთიანი ჯაჭვიდან.

მას თვითონვე უნდა მოეკვეთა საკუთარი თავი თვისტომთაგან.

და ბერდიას მონოდებას — „გაგონილა... ასრე აგდება რჯულისა: საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა, მამსენე ქისტის სულისა. ხალხო, მინდარის გავიგო პასუხი თქვენი გულისა. დაჯარდით, ხევსურთ შვილებო, ყველანი — დიდნი, მცირენი, სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ ალუდას სახლის დირენი; ნუ დანინანებთ, ექმნენით ცოლ-შვილის ამბატირენი. მოკვეთილი იყოს, სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შენამზირენი. ნადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა სახლისა, ციხის კარები. ცეცხლი მიცით საძნოვარს, — ცასა სწვდებოდეს ალები, სათემოდ გამოირეკეთ ცხვარი, ძროხა და ხარები. შატილს ცოლ-შვილი უტირეთ, გუდანს — შინში და ქალები; ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი, არ არის შასაბრალეები“ — მხოლოდ უნდა დაედასტურებინა და კანონის ძალა მიენიჭებინა ალუდას სულიერი განდგომილებისათვის.

ველარ თავსდებოდა იმ ადათ-წესების წრეში, მამა-პაპათაგან რომ გადმოსცემოდა?

მამ სხვაგან ეძია თავისი სამყოფელი, ისედაც სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შენამზირებს.

თოვლს უნდა ეთოვა, ქარს ებობოქრა და მათა ყელები შეკრულიყო, კლდიდან ჩამონასხლეთ ზვავებს ხეები ამოეფსო, ყინულს ლურჯად გაეხა წყალთა უბე-კალთები და ერთიანად მიენამქრა გზათა ვინრო სავალი.

და ასეთ დროს ვის უნდა მოსწყენოდა სიცოცხლე, რომ გზას დასდგომოდა?

მაგრამ როდესაც მოკვეთილი ხარ!..

და წინ რომ უნდა დამდგარიყო მგზავრი თოვლის გამკვალავად, ხუთნი უკან გაჰყოლოდნენ და ყურთ ჩასმოდათ შიმილით შენუხებული მგლის ჯოგის ღმუილი.

— კარგს ნურას ნახავთ, ხევსურნო, — წყრომა უნდა დასცდენოდა ალუდას მიუღლეს, — ავაჰმე, ჩვენო სახლ-კარო, ქვა ქვაზე აღარ დადგება და ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე ახლა ყვავებოდა ჩამოსხდებოდა.

დედას კი უნდა შემოეტირა: ნელა იარე, თორემ ვერ გავძლებთ ვერც მე, ვერც შენი ცოლი და ვედარც აბოჟირებული ბალები, ხელ-ფეხი რომ დაგვზრომიანო.

ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ, ვაჰმე, როგორა ბნელაო! ნეტავ არ დასჭირდება ხევსურთა შენი შველაო?!

ჯერ ისედაც ვისი რა წყალ-ჭალა ისტუმრებდათ და... უბინათა და უსახლკაროთ განა სხვაგანაც დაწყევლა არ ელოდათ?

საკუთარი მინა-წყლის განირვა თურმე რა ძნელი ყოფილიყო!..

ქალი უკვე მომაკვდავს დამგვანებოდა, გონი გარეტებოდა, მუხლი აღარ მოსდევდა და გულში ბნელიდა ჩადგომოდა სვეტად.

და მოთქმა-გოდება ამ ამონაკენეს უნდა დაეგვირგინებინა, მწუხარებას უკიდურესი მიჯნისათვის რომ მიეღნია და უკვე სასონარკვეთილებამაც გადაზრდილიყო:

ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო, კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!

ამ საყვედურებსა და მოთქმას ძალიან უნდა გაეჯავრებინა ალუდა და ცოლისა და დედისათვის წყრომით შემოეძახა: დიაცნო, ნუ ხართ ყბედადო.

დაე გაჰყოლოდნენ მის კვალს და ევლოთ და ევლოთ, რაკილა ღმერთს ეს ერგუნებინა ბედად მათთვის, და მამ მორჩილად უნდა შეგებებოდნენ ამ განაჩენს:

ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეტადა!

ერთხელ მოუნდებოდა ალუდას ერთხელ მობრუნვა თავისა, რათა მზერა შეეველო და გამოთხოვებდა საჯიხვეებს და სახლ-კარსაც, იმას — თვალის გამახარელს, ამას კი — გულში ბრალის ამმლელს. და... რაც მთავარია... გამოთხოვებოდა... დიდ ბატონს — ყმათად მიმცემსა ძალისა.

ამ მზერას უნდა აღებეჭდა სამუდამოდ ალუდას გულსა და გონებაში მშობლიური ლანდშაფტიც და ტრადიციული საზოგადოებაც, დიდი ბატონის სახელში განივთებული.

სად უნდა ეპოვნა თავშესაფარი?

სად უნდა დაფუძნებულიყო და დაემკვიდრებინა მის მიერ მოპოვებული ჭეშმარიტება, რომელსაც ახალი რეჟისისათვის უნდა დაედო სათავე?

ეს ყოველივე ჯერჯერობით იდუმალებაში ინთქმეოდა — მთის წვერთა გასუღვრამი, ქარის ხივილში, თოვლისაგან გა-

დალესილ კვალსა და შორიდან მოღწეულ ქალის მწარე ქვითინში.

ჰოი, რარიგ გაძნელებოდა ალუდას მშობლიური გარემოს მიტოვება!..

კი მაგრამ, საამისოდ რატომ გაეხადა თავი?

აკი უთმენდნენ, თვალს არიდებდნენ მის — ამ გარემოსათვის შეუფერებელ — საქციელს, წყრომით ეგებ კიდევ განყრომოდნენ, მაგრამ ისეც არა, გამოსაძევებლად გაემეტებინათ. და ბოლო ნუთამდე შეეძლო უარი განეცხადებინა თავის ახალ მრწამსზე და კვლავიდებულად დაბრუნებოდა საყმოს ცნობიერებას, როგორც მისი განუყოფელი რგოლი.

მაგრამ... ეს რომ უკვე აღარ შეუძლია?

პიროვნული ღირსება ნებას არ მისცემს იფარისეველოს, ითვალთმაქცოს და მყიფე რგოლად ჩაეკეროს ტრადიციული საზოგადოების ჯაჭვს.

თანაც, მის მიერ ნაპოვნი ახალი სიმართლე არ დაანებებს, რომ ბოლომდე არ შეითვისოს და მის გზას არ გაჰყვეს.

მისთვის ახალი ზეცა და ახალი მინა გადაშლილა და აქ თუ იპოვებს არსებობის საყრდენსაც და სიცოცხლის აზრსაც.

ოღონდ მშობლიური გარემო დაუვიწყარი უნდა იყოს მისთვის და დროდადრო მძაფრდაც იჩინოს თავი და სულიც მოითქვას ხოლმე მისი გახსენებით.

მწერალი რომ ყოფილიყო ალუდა ქეთელაური, ამ მძაფრ, გახსენებას, მონატრების ამ წყურვილს რომანში გადმოშლიდა ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენილი შატლის მხატვრულ-დოკუმენტური სურათებით. იმით მიგზვდებოდა, ფოტოგრაფიული სიზუსტით აღდგენილი შატლის პეიზაჟებითა თუ ხედებით, რარიგ ჩაჭროდა გულში ის მიტოვებული სინამდვილე, იდუმალად და გაუნებლად რომ ჩხვლელდა და ანამებდა, თუმცე ეგებ თავს აღარც გამოტყდომოდა, რა ხრავდა ასე ძალიან, და აღარც ცოლ-შვილი დაემუნათებინა ჩვენს ბატონს არა აწყინოთ რა, თემის წყევა არც გაბედოთო.

აი, ჭეშმარიტი ნატურალისტი, აი, ჭეშმარიტი დოკუმენტალისტიო, — შეჭველად იმასვე იტყოდა მკითხველი, რასაც ამბობს „ულისეს“ ჩამთავრებისას, — ისეთი სიზუსტით არის აღწერილი დუბლინი, თუ კარგად დაიმახსოვრებენ, არ დაიკარგებინა უცხოელნიც, ირლანდიის დედაქალაქში როდესაც მოხვდებოდა.

ეს გარემოება არაერთხელ ალუნიშნავთ მკვლევარებს და ოთარ ჩხეიძეც საგანგებოდ ჩამოაგდებდა სიტყვას დუბლინის ნატურალისტურ-დოკუმენტალისტურ წარმოსახვაზე „ულისესში“, რათა დაერთო, რომ ტურისტებს „ულისეს“ გზამკვლევადაც გამოადგებოდათ, რომ წასულებს სამშობლოდან მოაგონებდათ სამშობლოს, ზედმიწევნით მოაგონებდათ და გაუცხოველებდათ სიყვარულს სამშობლოსი.

დააფიქრებდათ კიდევ, ააღლევებდათ და... იმავდროულად მწარედაც ატკენდათ გულს?

ესეც ეგულისხმა ჯეიმზ ჯოისს, ეს მწარე გულისტკენაც სამშობლოს გამძაფრებული სიყვარულის თანაზიარად. და ესეის ავტორს აქვე უნდა დაემონებინა ბერნარდ შოუს ალტაცებული შეძახილიც:

— ეს დუბლინია, ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი დუბლინი, დოკუმენტურად აღწერილი.

და მწვავე კრიტიკული შენიშვნაც:

— რაც შეხება კლინიკურ ინფანტილურ თავშეუკავებლობას ავტორისა, ამაში მიმზიდველი არაფერია.

უილიამ ფოლკნერი არ დაგიდევდა „ულისეს“ გზამკვლევობასა თუ დუბლინის ნატურალისტურ-დოკუმენტალისტურ სურათებს, ოღონდ სხვა მხრივ კი ძალიან მოხიბლულიყო, რაკილა ბიბლიის შემდგომ „ულისესზე“ უფრო წრფელი წიგნი ვერ დაეგულებინა მსოფლიო ლიტერატურაში, სადამდეც მზერა მიუწვდებოდა, და ამ თვალთ მიმოიხედავდა თავის შემოქმედებაში: ნეტა იოკნაპატოფას საგის რომელი რომანი ამჟღავნებს ამგვარ სინრფელესო.

ეცოდებოდა თავი ჯეიმზ ჯოისის პატარა ქვეყნის შვილად, მის არტახებში ჩამწყვედვეა მწერლური ხელოვნების შემბორკავად მიაჩნდა და დიდი ქვეყნის სამზერიდან შემაცქერალი თავისი ირლანდიის ტრადიციისა და უმწეობისა, ლამობდა გამოქცეოდა და ეს გამოქცევა საკუთარი თავისთვის კი არა, უბედური ირლანდიისათვის დაებრალებინა, და რომ იკბინებოდა ასე მწარედ:

— თითქოს შეერისხოს სამშობლოსა, თითქოს განედევნოს; სინამდვილეში თვითონ გაიქცა, თვითონ განიდევნა თავი, — „პორტრეტი“ რომ ამას მიუძღვნა, „მოკვეთილი“ მიუძღვნა ამასვე — თუ როგორ განიდევნა თავი; და მერე მაინც იძია შური, ასე უცნაურად იძია შური.

ინანებდა უირლანდიობას, უსამშობლოობას ინანებდა ოდესმე, თუნდ სასიკვდილი აგონიის წუთებში?

არ უნანია და კმაყოფილიც იყო თითქოსაო, — ოთარ ჩხეიძეს ეს შთაბეჭდილება დარჩენოდა, ჯოისის ბიოგრაფიასა და სამწერლო ნაღვანს რომ შეუთანადებდა ერთმანეთს.

კმაყოფილება იმისა გახლდათ:

— თავი რო დააღწია, რო ვერ შეთქვლიყა თუ ვერ გამოხრა ისიცა სამშობლომა...

მაგრამ...

— რამაც რო გამოხრა, სულერთი იყო.

საკუთარი რჯული დაეფუძნებინა ჯეიმზ ჯოისის უცხოობაში, ირლანდიიდან გამოქცეულს — მოკვეთილსა თუ თვითმოკვეთილს, გამოქცეულ-გამორიდებულს კი... და ეს „ახალი რჯული“ ლიტერატურაში უნდა დაეფუძნებულყო, ახალ მდინარეებს რომ დაუდებდა სათავეს და ისევე აიყოლიებდა ტალანტებს, როგორც ოდესღაც ლორდ ბაირონს აიყოლიებინა... და ეგებ არც ეს იყოს უნებლიე მსგავსება, ბევრი საერთო ნიშან-თვისება რომ შეინიშნება ამ ორ შემოქმედს შორის — პიროვნულ ხასიათშიც და მხატვრულ მრწამსსა და წარმოსახვებშიც, რა სიახლესაც პოეზიაში მიაგნებდა ლორდ ბაირონი, იმავეს პროზაში იპოვინდა ჯეიმზ ჯოისი, თუმცა... ამ გარემოებაზე დაფიქრება, თავისთავად უაღრესად საგულისხმოზე, ძალიან დაგვაშორებს მსჯელობისა თუ თხრობის გეზს, რომელიც უმთავრესად იმ კალაპოტს მიუყვება, რა საერთო და განსხვავება შეიძლება ვპოვოთ ალუდა ქეთელაურისა და ჯეიმზ ჯოისის ბიოგრაფიებსა და პიროვნულ თვისებებს შორის და... როგორ წარმართებოდა ალუდას ბედი, ახალი რჯულის მქადაგებელი კი არა ახალი ლიტერატურული „რჯულის“ მოთავე რომ ყოფილიყო.

შატილს აქცევდა დიდი ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად. გეოგრაფიულ პროვინციას — თვითონ როგორც წარმოუდგებოდა — ლიტერატურის შუაგულში მიუჩენდა ადგილს და ამით დაიმოძინებდა ნოსტალგიასაც და საკუთარ ვალსაც სამშობლოს წინაშე მოხდილად მიიჩნევდა.

მშვიდობით, ჩვენი ბატონო, ყმათად მიმცემო ძალისაო...

ეს ის ღმერთი გახლდათ, მამა-პაპათა მისთა, ახლა ამ რჯულის აგდება რომ ეკიჟინებინათ თვისტომთ: მამით არ მოდის ანდერძი, პაპითა-და პაპის-პაპითა, გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა; ეშმაკთ ნუ მისდევ... ეგ სიტყვა როგორ ამოგცდა ბაგითაო?! — და მამა-პაპათა საფლავებიც დაეკარგვიანებინათ და საცხოვრისიც, მისი ჭერხოს ბოძები ყვავთა საბუდრად რომ უნდა გადაქცეულიყო ან და სამარადისოდ.

რა არის მაინც ეს მძაფრი, დაუოკებელი ჟინი სამშობლოდან გამოქცეულთა თუ გამოძევებულთა, ნატურალისტურ-დოკუმენტალისტური სურათები დაგვიტოვონ თავიანთი მშობლიური ქალაქებისა, გზამკვლევა რომ გამოადგებათ მათი აღწერილობანი უცხოელებს, თვისტომთ კი მოაგონებთ თავიანთი ბავშვობისა თუ სიჭაბუკის ქალაქებს და აღტაცებულნი კიდევ გაუყვებიან წარსულის ბილიკებს იმ — ან უკვე წარმოსახვით — სინამდვილეში შთასანთქმელად.

თუნდ ორჰან ფამუქს რაც დაემართებოდა.

თავისით არ გამოერიდებოდა თურქეთსა თუ სტამბოლს — ჯოისივით, და სწორედაც გამოსაქცევად გაუხდებოდა საქმე, როდესაც თვისტომნი მოიკვეთდნენ და შინ დაბრუნებას სამუდამოდ აუკრძალავდნენ, გინდაც პირველს მოუპოვებინა ნობელის პრემია თურქთაგან და ეს ქვეყანაც შემოეყვანა დიდი ლიტერატურის წრეში.

ალუდა ქეთელაურივით დაემართებოდა და ეგაა!..

გარეგნულად უფრო იოლად აიხსნება ეს ყოველივე — დახარბდებოდა ფამუქი ნობელიანტის სახელს და იოლად აულედა ალლოს, რა გზით შეიძლება შეეღწია პოლიტიკურ კონიუნქტურას დამორჩილებულ პრემიების კომიტეტის თვალსაწიერში — უნდა დაეგმო თავისი სამშობლო, მიზეზი ეკრიფა და ნასდავებოდა და გამოეჭენებინა საქვეყნოდ... მიზეზად კი სომეხთა გენოციდს მოიძებდა, ათწლეულთა წინანდელს, და თვისტომებს მოსთხოვდა მოზოდიშებას იმ სასტიკი და სისხლიანი რბევისათვის.

არ აპატიებდნენ თურქები ასეთ მწვავე თავდასხმას და... კიდევ გამოასწრებდათ ფამუქი.

მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შანამზირებო...

სამაგიეროდ, ნობელის პრემია ელოდა ჯილდოდ და კიდევ არგუნებდნენ, სამშობლოს წინააღმდეგ გალაშქრებას დიდად რომ დაუფასებდნენ ლიბერალური გლობალიზმის აღზევებისა და მძვინვარების ხანაში.

ანგარება ანგარებად, მაგრამ მარტოდენ ეს რომ იყოს მიზეზი, სალაპარაკოდაც არ ეღირებოდა ორჰან ფამუქის ბედი, აღნიშვნით ეგებ სადმე კიდევ აღგვენიშნა, მაგრამ ვაჟა-ფშაველასა თუ ჯეიმზ ჯოისის აჩრდილებს არაფრისდიდებით არ შევანუხებდით.

მაგრამ ზედაპირის მიღმა ის გარემოებაც შესამჩნევია, ფამუქი ნობელის პრემიით დახარბების გარემეც რომ ვერ მოურიგდებოდა თავის სამშობლოს და ან მაინც გამოსაძევებლად გაუხდებოდა საქმე და ან თვითონვე მიატოვებდა სამუდამოდ იქაურობას.

მოკვეთილობა მისი გარდუვალი ბედისწერა შეიქნებოდა.

და მოკვეთილობასა და განდევნილობაში მასაც არ შეეძლო თან არ წაელო თავისი სტამბოლი, ნატურალისტურ-დოკუმენტალისტურად აღწერილი, ნასულეებს სამშობლოს რომ მოაგონებდათ, ზედმიწევნით მოაგონებდათ და გაუცხოველებდათ სამშობლოს სიყვარულს, უცხოელებს კი გზამკვლევადაც გამოადგებოდათ, ისეთი ფოტოგრაფიული სიზუსტით წარმოდგებოდა მის ნაწერებში მშობლიური ქალაქი, ისე ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოისახებოდა, უბნები გნებავდა, ქუჩები თუ მოედნები, არც ქუჩაბანდები დარჩენილიყო მწერლის ყურადღების მიღმა და არც მიყრუებული ადგილები, ყველას თავთავის ადგილი რომ ეპოვნა ორჰან ფამუქის ლიტერატურულ რუკაზე.

მის ნაწერებშიო...

ყველა რომანში თვალსაჩინოა ეს ნატურალისტურ-დოკუმენტალისტური აღწერანი, მაგრამ ვერა და ვერ შეაჯერებდა გულს მწერალი და მშობლიურ ქალაქს საკუთრივ მიუძღვნიდა ორიგინალური ყაიდის ნიგნს „სტამბოლი, მოგონებანი და ქალაქი“, მარად გახსენებებს მოხდენილად რომ შეურწყავდა ქალაქის ისტორიას იმ ჟინითა და განცდით, თითქოს ეს-ესაა მის ქუჩებში დაიარება, შენც თან დაყავხარ და აღტაცებული გელაპარაკება ყოველ შენობაზე, ის კი არა, ყოველ დეტალზეო. გამორბოდა და... უკან რჩებოდა მზერა.

და მითუფრო გაუმძაფრდებოდა დარდიც და ნოსტალგიაც, იქ დასაბრუნებელი გზა სამუდამოდ ამოქოლილი რომ ჩანდა და სახელის მოხვეჭა ვერაფერს უშველიდა. უშველიდა კი არა, სწორედაც სახელის მოხვეჭას არა პატიობდნენ — ამისათვის გამოიმეტე ასე უღმობლად შენი ქვეყანაო.

ოდესმე დაუბრუნდება თავის მინა-წყალს?

თვითონ ვერა, მაგრამ მისი ნიგნები კი შეაღწევენ მშობლიურ სივრცეში, როგორც ჯეიმზ ჯოისის „ულისე“ გადალახავ-

და ირლანდიის საზღვრებს და ბოლოსდაბოლოს ეღირსებოდა დაკარგულ წიაღში დაბრუნება.

სხვადასხვა განზომილებაში იმყოფებთან ჯოისი და ფამუქი თავთავისი მწერლური მიღწევებით?

ასეა, რასაკვირველია, რაკილა ფამუქს იმხელა ტალანტი არ აღმოაჩნდებოდა, დასავლეთის პროვინციად მიჩნეული თურქეთი ევროპის ლიტერატურული რუკის შუაგულში მოექცია და მის სისხლბორცველ ნაწილად ექცია, ჯოისისა და ირლანდიისაგან განსხვავებით, მაგრამ ბედისწერა კი ზუსტად გაუმეორდებოდა და გარეგნული მსგავსება ამიტომაც იჩენს თავს ასე მკვეთრად მათ ბიოგრაფიებსა და მხატვრულ ქმნილებებში.

და ისე მოხდებოდა, რომ წინამორბედ სამყაროსაც ორივე ერთნაირი მიზანსწრაფვით დაუპირისპირდებოდა, თუმცა ფამუქი გარეგნულად სიფრთხილეს იჩენს და ამ დაპირისპირებას ფუთავს და მალავს, მაგრამ მკითხველისათვის ძნელი ამოსაცნობი არ არის სტრიქონებს შორის გამომჭვირვალე ნამდვილი განცდა, რამაც კალამი ააღებინა იმ ესეის შესაქმნელად, ნობელის პრემიით დაჯილდოებისას რომ უნდა წაეკითხა, როგორც საპროგრამო სიტყვა, თავისი მხატვრული დეური მრწამსისა და პოზიციის დამადასტურებელი.

„მამაჩემის ჩემოდანი“ — ასეთ დასათაურებას ამჯობინებდა, თუმცა შესაძლოა ამგვარი სახელწოდებაც შეერჩია: „მამაჩემის ღმერთი“.

ისე განა სულერთი არ არის, რომელი სათაური ერქმევა რადგანაც „ჩემოდანი“ ამ კერძო შემთხვევაში სულ სხვა აზრი და შინაარსი მინიჭებია და სწორედაც მარჯვედ შეიძლება შეეცვალოს „ღმერთი“.

ეგაა, ის უფრო სწორხაზობრივი იქნებოდა, და ფამუქი ამჯობინებდა გამჭვირვალე მინიშნებას, ვიდრე პირდაპირ გაცხადებდას.

არადა, თითქოს ისეთიც რა:

გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე მამას მისთვის თავისი ნაწერებთა და რვეულებით სახე პატარა ჩემოდანი უნდა გადაეცა და ჩვეული იუმორისა და ირონიის ვითარებაში მყისვე მოეყოლებინა: ჩემი აღსასრულის შემდეგ გადახედე, ეგებ რაიმე სასარგებლო აღმოაჩინო, შეარჩიო და გამოაქვეყნო, — და... ცოტა დარცხვენაც შეეცებოდა, და შვილი იგრძნობდა, თითქოს მტკივნეული, ძალზე ინტიმური ტვირთისაგან სწადია გათავისუფლებო.

უფროს ფამუქს თავის დროზე პოეტობა მოეწადინებინა და პოლ ვალერის ლექსებიც კი ეთარგმნა თურქულად, მაგრამ... ლატაკ ქვეყანაში მკითხველის სიმწირის გამო ლექსების წერითა და ლიტერატურით ცხოვრების გართულებას მორიდებოდა — მამამისი, ანუ ორჰანის პაპა, მდიდარი და საქმიანი კაცი ყოფიდა და შვილს ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები ბედნიერად გაეტარებინა, და აღარ მოინდომებდა, ლიტერატურული საქმიანობითა და წერით სირთულეები შექმნოდა. და ორჰანი გაუგებდა, მამას ცხოვრება მთელი თავისი მშვენიერებით რომ უყვარდა.

მამის ჩემოდანში მოთავსებულ ტვირთს დიდხანს რომ ვერ მიეკარებოდა და მის შემხედვარეს შეშფოთება ეუფლებოდა ხოლმე, ეს იმიტომ, ემინოდა, აქ რაც მეგულება, შესაძლოა არ მომეწონოსო.

შემის მთავარი მიზეზი კი, რისი გაგონებაც არა სურდა, ის იყო, რომ შესაძლოა მამა კარგი მწერალი აღმოჩენილიყო. თუკი ჩემოდანში მართლაც დიდი ლიტერატურა დახვდებოდა, მაშინ უთუოდ უნდა ერწმუნა, რომ მამამისში ვიღაც სხვა ადამიანი სახლობდა, რადგანაც აღმასვლის წლებშიც გულითა და სულით ენადა, რომ მამა მწერალი კი არა, მარტოდენ მამა ყოფილიყო.

ფსიქოლოგიურად ადვილი ასახსნელია ეს ყოველივე და განზოგადებდად არც ეღირებოდა ეს ყოფითი დეტალი, თვითონ ორჰან ფამუქი რომ არ განზოგადებდეს და ყველაფერი

არ გადააქონდეს მწერლისა და პროვინციად შერაცხილი სამშობლოს ურთიერთობის ჭრილში, მის შემოზღუდულ ფარგალში რომ ველარ ეტევი, როგორც ხელოვანი, თუგინდ შენი ქვეყანა არც მცირერიცხოვანი იყო და არც დაპყრობილი — ირლანდიისავით. პროვინციელის შეგრძნება ხომ მაინც ისევე გიფორიაქებს სულს, როგორც ირლანდიელ მწერალს, ვინც უეცრად ისეთ ცეცხლმოდებულ ნიჭიერებასა და ლიტერატურულ უნარს აღმოაჩენდა საკუთარ თავში, დროზე უნდა მოესწრო მისთვის შესაფერისი თხზულების შექმნა, ვიდრე ტალანტი ჩაეფერფლებოდა.

ორჰანის მამას მწერლობის წყურვილი რომ მოსწოლოდა, ერთხანს ამიტომაც მიეტოვებინა ოჯახური ცხოვრება, პარიზისათვის შეეფარებინა თავი და იქ, სასტუმროს ნომერში, სხვა საკმაოდ კარგი მწერლების დარად, რვეულები გაეცხო, ჩემოდანში რომ მიუჩენდა ადგილს და, როგორც ჩანს... სამუდამო განსასვენებელსაც.

ეროვნულთან ერთად დასავლურის ნაზავი უნდა ყოფილიყო მისი მხატვრული სამყარო — ამას ესწრაფოდა ორჰანის მამა, მაგრამ...

და აი დგებოდა ორჰანის ჯერიც, რათა ეს განზრახვა მას ექცია ნამდვილ მხატვრულ რეალობად.

და ჯერ რომ მკაფიოდ გააცნობიერებდა მწერლისა და მისი სამშობლოს ურთიერთობას ისეთ დროსა და სივრცეში, სადაც მწერლის მოვალეობა ყოველგვარი პოლიტიკისაგან დაშორებული ლიტერატურის წინაშე ისეთ მოთხოვნებს გიყენებდა, მკვეთრი გადაწყვეტილების გარეშე ამო იქნებოდა თავი შეგვირდნო იმად, რაც განგებრახა... დიახ, ჯერ რომ მკაფიოდ გააცნობიერებდა:

— უმთავრესი, რაც სამყაროში, ასევე ცხოვრებასა და ლიტერატურაში ჩემი ადგილის თაობაზე განვიცადე, ის გახლდათ, რომ „ცენტრში“ არ ვიმყოფებოდი. მსოფლიოს ცენტრში ჩვენზე უფრო შეძლებული, ასატანი ცხოვრება ჰქონდათ და მე, თვითეულ სტამბოლელსა და თურქთან ერთად, ამ ყველაფრის მიღმა ვიყავი. ვფიქრობ, დღეს ამ გრძობას მსოფლიოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან ერთად ვინაწილებ. სწორედ ასევე, არსებობდა მსოფლიო ლიტერატურა, რომლის „ცენტრში“ ჩემგან ძალზე შორს ვახლდათ, მაგრამ უმთავრესი, რაზეც ხშირად მიფიქრია, მსოფლიო კი არა, დასავლური ლიტერატურა იყო, რომლის მიღმაც ჩვენ, თურქები აღმოვჩნდით.

ეს ბარიერი უნდა გადაელახა.

ეს საზღვარი უნდა გაერღვია.

და თუმცა ხელოვნებისათვის, ლიტერატურისათვის შეწირულად მოჰქონდა თავი, ყოველგვარი პოლიტიკური მინარევებისაგან განრიდებული ლიტერატურისათვის, ამ ბარიერის გადალახვა თუ ამ საზღვრის გარღვევა... პოლიტიკური კონიუნქტურის მეოხებით თუ მოხერხდებოდა.

და თავს იმით იმართლებდა გუნებაში, უფრო დიდი ასპარეზი მჭირდებდა, ვიდრე პროვინციული გარემოაო.

არ სურდა თვისტომებთან ერთად ჩარჩენილიყო დასავლური ლიტერატურის მიღმა.

და თუ ნოსტალგია მოანგებოდა, შეეძლო თვალდათვალ წარმოედგინა თავისი სტამბოლი, მისი ყოველი გოჯი, და დასავლელი მკითხველისათვის ისეთი გზამკვლევი შეეთავაზებინა, ლიტერატურული ქსოვილით შემოსილი, უკეთესი ვერავითარი რუკა ვერ აღმოჩენილიყო ტურისტებისათვის.

„დაბრუნდები“ — უტყვი მზერით მიაცილებდა მამის აჩრდილი.

„არასოდეს, არასოდეს, არასოდეს“ — ყველაფერზე ერთად გაღიზიანებულიყო ორჰან ფამუქი, ბედისწერაზეც, საკუთარ თავზეც, თურქეთზეც, მსოფლიოზეც... ოღონდ ეს კი იცოდა მტკიცედ და განუხრელად, რომ პროვინციაში ვერ ჩაიხრჩობოდა, და ვერც დასავლური ცხოვრების შუაგულში შეღწევის გარეშე აქცევდა თურქეთსა თუ სტამბოლს მსოფლიო მწერლობის განუყოფელ, აუცილებელ ნაწილად.

გარბოდა, თითქოს თოკით ეწეოდნენ.
 უკან არ იხედებოდა, თითქოს ძაფიც არ აკავებდა.
 მამას შეეძლო რაღაც ეგრძობინებინა მისთვის, მაგრამ მკაფიოდ ვერ ჩამოუყალიბებდა, რაკილა თავისთვისაც ვერ გაეცნობიერებინა შესაფერისად და სიტყვიერ გარსში როგორღა მოაქცევდა უილიამ ბატლერ იეიტსისთვის, ვისაც მოეხსენებოდა ის საიდუმლო, როგორ შეიძლება მცირერიცხოვან და უფლებააყრილ ქვეყანაში დარჩე და სულიერად მთელი სამყარო მოიკვცა, და შენი მწერლური მემკვიდრეობა პროვინციული გარემოს ანაბეჭდად კი არ დატოვო, არამედ ეს პროვინცია აქციო დასავლური ლიტერატურის განუყოფელ, აუცილებელ ნაწილად... მოეხსენებოდა კიდევ და არც გასაზიარებლად ენანებოდა, ეგაა, გაუგებდნენ თუ ვერა, გაუგებდნენ თუ ვერა!.. იმ წუთას იქნებ წესიერად არც მოესმინათ, მაგრამ ოდესმე, ოდესმე თუ მაინც...

ხალხო, ვაჟას ქალიშვილი მოდის...
 დუნდგო ბოლომდე გადაპოზილა და თამარი სასახლეს მისდგომია, დედინაცვალიც რომ უკვე იქ შეზურულა შავად და ლეგანაც და ვახტანგაც აქეთ-იქით მისცემინა გლოვას.
 გულქანი არ ახლდათ.

შიშველ-ტიტველი ვიყავი და ვერ წავიდოდით, — ეთერ თათრადიქს გაუმჯღავნებდა როდის-როდის, და კიდევ იმ მიზეზსაც, რომ: სახლს არ დანებდებოდა თავი, არც საქონს, ვილაცას ხომ უნდა მიეხედა...
 და, აი, გულქანი...

ისე არამცთუ ნეშტისათვის არ დაუხედავს, სამარესაც არასოდეს მოინახულებდა — არც დიდუბეში, არც მთაწმინდაზე. ეგონა, სამარეზე რომ მივიდა, იქვე ამომხდებდა სულიო.
 — შე ვინც მიყვარდა, იმის საფლავს რა მანახვებს. არა ვნახავ იმის სამარესა, არა.

მამას სიზმარში არ ხედავო? — ეკითხებოდა ეთერ თათრადიქს და... კიდევ გააოგნებდა ამ შეკითხვით, რადგანაც რაც გონში ჩავარდნილიყო, ქვეყანა ეხვეოდა და მამის ამბავს ეკითხებოდა, მაგრამ... მამას სიზმარში არა ხედავო?..
 — დავბერდი და, ჩემის ლამაზის მამის სულს გეფიცები, შენს მეტს არავის უკითხავ...

ეს ცნობისნადილი რომ გაგჩინდეს, ვაჟას სულის ნაჟური უნდა იყო გადმოსული შენში... ვაჟასეული სწრაფვა ზმანება-თაკენ, ვაჟასეური შეგრძნება სიზმრისა, ძველთა ეპიკოსთა დასადარი.
 გულქანს კი იმ დღესაც ენახა მამა სიზმარში.

კარს შემოაღებდა და შემოიხედავდა. გულქანს არ მოაგონდებოდა მისი სიკვდილი, ცოცხალივით შეეგებებოდა. ეგაა, მოეხატებოდა და ხმას ვერ გასცემდა. ის დაინტერესდებოდა: როგორ ხარ, რანაირადო?... — და კიდევ გაქრებოდა. და ვერ გაეგო ქალს, რატომ ქრებოდნენ მოლანდებანი ასე სწრაფად და მამაც დიდხანს არაფრისდიდებით არ გაჩერდებოდა, და ამას რარიც დაწყებოდა გული, რა იქნებოდა, სიზმარში მაინც მემამნა მამისათვის, ეს რაღა შესაშური იყო ჩემთვისაო...

ის მაინც რა იყო, ვაჟას აჩრდილი რომ ამცნობდა ერთხელ: — შვილო, ცოტა გაფრთხილდი, ფრთხილად იყავი... და კიდევ გადარჩებოდა მაშინ დიდ განსაცდელს. იმ მოლანდებისას... არაყი უნდა ეთხოვა.
 იმ მოლანდებისას... თავქვე მოდიოდა ჭიქა წყლით ხელში. იმ ზმანებისას კი ამას საქონლის ძოვებ-ძოვებისას უეცრად ეკლესია უნდა ამოსვეტოდა ტყეში, და ამას გაცემა ვერ დაეფარა: აქ ეკლესიას რა უნდაო?!. სარკმლიდან გადაიხედავდა და... მამას დაინახავდა, მაგიდასთან მიმჯდარს. შემოუბრუნდებოდა და სანერ-კალამს მიაჩერებდა: დაიჭი, დაიჭიო.
 — მამა, — გულქანს უნდა ეთქვა, — მეძროხე ქალი ვარ, წერა-კითხვა არ ვიცი.

მაგრამ იმას დაბეჯითებით უნდა გაემეორებინა: — დაიჭი, დაიჭი... რაც მოგაგონდეს, სუყველაფერი წერე...

და ერთბაშად გაქრებოდა, გადაიკარგებოდა...
 რას უნდა ნიშნავდესო? — ვერავითარ აზრს ვერ გამოიტანდა ამ ზმანებიდან ქალი, თუმცა გული უგრძობდა, რომ რაღაცის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო... რაღაცის, რაღაცის...

და მართლაც არ აუცხადდებოდა?
 — ეს ბოლო სიზმარი კი შენ აქ ამოსვლად მექნა, ეთერო. მით თუ მაძლევდა მამაი სანერ-კალამთა, მით თუ მთხოვდა, რაც მოგაგონდეს, ყველაფერი წერეო. რა აღარ მოვიგონეთ მე და შენ ერთადა, რა აღარ გიამბე, ამაღ მექნა ეს სიზმარი, ამაღა, ჩემო ქალო...

* * *

ივანე აბავეი პანაშვიდისთანავე გაჩქარებულიყო ქაშვეთის ტაძრისაკენ, თან თავისი ვაჟი ვასო და ვასილ ჩაჩანიძეც წაყვანა და სანთლებსაც უყიდდათ — ვაჟას ცხედრის ფეხებთან ანთეთო. ჯერ ისიც ვერ ეპატიებინა საკუთარი თავისათვის, სულთმობრძავი ვაჟა რომ ვერ მოენახლებინა ლაზარეთში და ახლა უკანასკნელი პატივის მიუგებლად როგორ დადებოდა.

ეკლესიიდან გამოსულები ეზოში თვალს მოჰკრავდნენ კედლის მღებავ მიხაკასა და მხატვარ ნიკალას, ქუდმოხდილები რომ იყურებოდნენ ეკლესიის კარისაკენ.

დაკრძალვის დღეს კი აბავეებისა და ჩაჩანიძეების ოჯახები სამგლოვიარო პროცესიას დიდუბის პანთეონში რომ გაჰყვებოდნენ, მათთან ერთად მიაბიჯებდნენ მიხაკაც და ნიკალაც.

ივანე აბავეი და დავით ჩაჩანიძე, ვასილის ძმა, რამდენჯერმე რომ ასწევდნენ სასახლეს, მიხაკაც და ნიკალაც შეუდგამდნენ მხარს.

დასაფლავების შემდეგ ივანე ამათ ყველას დაპატიჟებდათ დიდუბის ღვინის ღუქანში და ვაჟას შესანდობარს შესვამდნენ.

ნიკო ფიროსმანი — ვაჟას შესანდობარი ჭიქით ხელში.
 ნიკო ფიროსმანი — ვაჟას სასახლისათვის მხარის შემდგმელი.

ნიკო ფიროსმანი — „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ნაშლილი ილუსტრაციის ავტორი.

ნიკო ფიროსმანი — ვაჟასავით რომ გულზე ესვენა მზე-მთვარე და ლაპარაკობდა ღმერთთან.

და გულსა და გონებაში გამუდმებით ჩამორეკავდა ხოლმე ვაჟას ის აღმტაცი სიტყვები: შე უღმერთო, ოქროს ხელი და ნიჭი გქონიაო!..

...განა ამასაც რამდენი ხანი დარჩენოდა წუთისოფელში...

* * *

ჯერ კი თამარი ის-ისაა მისდგომია მამის სასახლეს, მაგრამ... იქ ვილაც სხვა წევს, რომელიც რაღაცით კი ჰგავს, განა არა, მამას, მაგრამ... მამა მაინც არ არის. არა, ნამდვილად არ არის ის კაცი, თიბვა-მკაში რომ ეშველებოდა ლევანთან ერთად, ის კი სამკალში თოფსაც გამოიყოლებდა ხოლმე და იფანსა ან რომელიმე ხის ტოტზე შემომსხდარ მტრედებს რომ დაინახავდა, მკას თავს ანებებდა და სანადიროდ გასწევდა.

მამა მაგიდასთანაც არ უშვებდა დასალავებლად, თვითონვე ალაგებდა, და თუ თამარს ეგონებოდა, ძალიანაა მიყრილ-მოყრილი ფურცლები და წიგნები და ცოტა ხელს შევავლებო, მამა ძალიან გაჯავრდებოდა ხოლმე: როგორ ამირიე აქაურობაო... არადა, ხან მაგიდაზე ისეთი ქოსი იდგა!.. დაუღლაგებდი და: ამირიეო!..

მამას საწოლზე დათვის ტყავი ჰქონდა გადაფარებული, ზედ თეთრი ნაბდის ქერა ფენია, ქერაზე ვეფხვის ტყავი ეხატა, საწოლის თავთან კედელზე ირმისა და ჯიხვის რქები იყო მიკრული, აგრეთვე არნივის ფრთები და ბრჭყალები. იქვე კედელზე ფარ-ხმალიც იყო ჩამოკიდებული, და ორი თოფი —

ერთი ბერდენკა და ერთი ცინალი, მათ გვერდით დიდი ფანდურიც მოჩანდა, მამა ზედ რომ დაიმღერებდა ხოლმე, განსაკუთრებით აკი წერისას სჩვეოდა. მართალია ღამით წერდა ხოლმე, ბალები რომ მიიძინებდნენ, მაგრამ ერთხელ თამარს გვიანობამდე რომ არ დაეძინებოდა, მალულად მიადევნებდა მზერას წერის პროცესს, ფანდურის აკომპანიმენტით შეზავებული.

გზადაც რომ სჩვეოდა ჯიბიდან წიგნაკისა და ფანქრის ამოღება, ცხენზევე?

როდესაც სადმე ერთად მიდიოდნენ, ცხენს ყოველთვის თამარს შეაკაზმვინებდა ხოლმე: კარგად მყავხარ დაცდილი, შენ ჩაუდე ალვირი ცხენსაო!..

ზამთრისათვის მომარაგება რომ უყვარდა, ბალებს აზიდვინებდა მაჟალოს ჩალაბზეში ჩასაყრელად და წნილისათვის, ხოლო საარყედ — პანტას. თამარს საკაბეს დაჰპირდებოდა ხოლმე, ლევანს კი ჩოხა-ახალუხს.

ზამთარში ამოყრიდნენ შეცივებულ მაჟალოს ჩალიდან, ალხობდნენ ცეცხლთან და შეექცეოდნენ. აყენებდნენ კარგ კაპარსაც სუფთა, დიდ ქილაში. ზამთარში კაპარი მუდამ ჰქონდათ — მამას უყვარდა მისი სმა. ზაფხულში კი პანტიდან ტკბილ სასმელს აკეთებდა — წვენში ჩამიჩს ყრიდა, ბოთლებში ასხამდა და... ჰოი, რა საამური სასმელი გახლდათ. — აბა კარგი, ტკბილი პანტა შეარჩიეთ და თითო ბოთლს თქვენც გაგიშვადებთო, — ახალისებდა ბავშვებს.

რაო, ეს რა ხმა ჩაესმის?

— საკრამენტო, საკრამენტო, — გაიძახის ვილაც.

ეს ხომ მამაა. ეტყობა, ძალიან გაუფავრებით და ამ ძახილით იოხებს გულს.

ხმა მოისმის, თორემ თვითონ აქ არსადაა, ეს ვილაც მხოლოდ ჰგავს, თორემ ის როგორ იქნება, როდესაც ასე გაუცხოებულია. ეს რა, ისე მოეფერება და დაამშვიდებს, მამას რომ სჩვევია და თუნდაც მაშინდელი მოალერსება ახლაც თბილად ეღვრება სხეულში თამარს, ავდარი რომ მოუსწრებდა ახუნის გორაზე მეზობლის გოგოსთან ერთად საქონელში წასულს და ხმელი წიფლის გამომწვარ გვერდს შეეფარებოდნენ. წვიმა რომ გადაიღებდა და მზე გამომაშუქებდა, ჩაეძინებოდათ და დაღამებას ველარ გაიგებდნენ.

მამა წამოსულიყო მოსაძებნად და ამას ძილში ჩაესმოდა:

— თამრო, სადა ხართ, რა უყავით საქონელი!

გამოღვიძებულს ძალიან შეეშინებოდა, მამა გამიჯავრდებო, მაგრამ ის:

— დაგთბებოდათ მზეზე და იმიტომ ჩაგძინებიათ.

აქ კი ვილაც უცხო რომ წევს, იმიტომაც, რომ ამდენ ხალხს დაუნაწილებია და მიუსაკუთრებია. თამარსაც არგუნებენ თავის წილს, განა არა, მაგრამ მთლიანად ვილა დაუნარჩუნებს.

უნუფემოდ გამქრალა ის დრო.

და ერთბაშად ამოდის თვალწინ ზმანებისეული სურათი, მამა ნიკორზე მჯდომი რომ უახლოვდება სახლს, გახარებული თამარი კი წინ ეგებება, მაგრამ ის... ხმას არა სცემს და გზის გაგრძელებას აპირებს. ეს ცხენს ყელზე ეხვევა, გაშვებას არ აპირებს, მაგრამ... მამამ თავი უნდა გაიბრუნოს და:

— ეჰ, რაღა დროსია!..

და ნავიდეს და შთაინთქას ნისლებში ანუ მთების ფიქრებში, თვითონ როგორც უყვარდა ხოლმე თქმა, და გაიღიმებდა კიდეც გულიანად, თორემ აბა, სიცოლისა რა იცოდა კანიაბულური სურათების მხილველმა, დევების ქორწილს გამოცლით რომ გამოეცლებოდა, მაგრამ ის შემზარაობა თვალთაგან არა შორდებოდა და ყურში უწიოდა უკანაშით გამომავალი კივილი: ძმის ხორცი როგორა ესჭამოო!..

ცრემლები მოწვიმს თამარის არსებიდან, მაგრამ სხვანი მხოლოდ მის გამშრალ თვალებს ხედავენ, რაკილა ცრემლი გულში იღვრება კოკისპირულად, იქ თხრის სამარეს და იქ იკეტება სამუდამოდ.

— ეჰ, რაღა დროსია!

ვაჟა-ფშაველა ნისლებს შერევია, იდუმალებას დაბრუნებია, მინდიას მითს შერწყმია და... წუთისოფელში რაღა დარჩენია...

იმ წუთას იქნებ წესიერად არც მოესმინათ იეიტისათვის, მაგრამ ოდესმე, ოდესმე თუ მაინც...

დაე წურავის ეგონებოდა სტერილურ თვალთან ზიარება სასიკეთო თავისი მწერლური მისწრაფებისათვის, რადგანაც უკან დარჩებოდა ბუნება მთელი თავისი სიუხვითა და საზრდოთი, რასაც ის ნამდვილი სულიერი მონაპოვარი უნდა ამოეზიდა და ექცია ხელშესახებად, რაც გარეგნულად ეგებ მართლაც ჰგავდა ერთ ხეობაში ჩაკეტვას ჩამორჩენილი მსოფლმხედველობისა და კილოკავის ანაბრა, მაგრამ იეიტისათვის ეს ყოველივე იმ სულ სხვა გადასახედიდან უნდა გააზრებულიყო და შეფასებულიყო, სილამაზის დასაბრუნებლად სული და ბუნება რომ უნდა შეგვეუღლებინა.

ქადაგად დაცემულიყო იეიტისი.

სცენიდანაც რამდენჯერ უქადაგია თავისი პიესებით, მაგრამ ამჯერად მისი აუდიტორია ერთადერთი მსმენელისაგან — ამბიციებით გაგუდული ყმანელიკაცისაგან — შედგებოდა და მას შეაგონებდა, რომ როდესაც იდეა, ინდივიდის ცხოვრებიდან მომდინარე, შეეუღლებოდა ხალხის მიერ შობილ წარმოსახვას, მაშინ დავდგებოდათ დიადი ხელოვნების წინაშე — ჰომეროსი იქნებოდა, შექსპირი თუ შარტრის საკათედრო ტაძარი.

ჩამოთვლა კიდე შეიძლება გაგრძელდეს და... მზერის მიმოვლებისას ძალდაუტანებლად ამოჩნდეს ვაჟა-ფშაველას აჩრდილიც, როგორც ერთი ყველაზე თვალნათლივი დადასტურება იეიტისის ესთეტიკური მრწამსისა, ეროვნული სულისკვეთება რომ შეჭრილიყო ამ მრწამსში, მაგრამ რა შეიძლება დაელო, რითი შეიძლება შემოეზღუდა, როდესაც ეროვნულად მოაზროვნე ადამიანზე უფრო მსოფლიო მოქალაქე არ არსებობდა და ვერც იარსებებდა — სოციალისტური თუ ლიბერალური გლობალიზმის მიერ იდეალად დასახული კოსმოპოლიტობა მსოფლიო მოქალაქეობის ამ ზნეობრივ სულთან შედარებით სიმყიფესა და ხელოვნურობას ვერ გასცილდებოდა, გარეგნულად ეგებ უფრო ბრჭყვიალაც, მაგრამ შინაგანი ბუნებით — სრულიად უმწეო და გზიდან ამაცდენელი კაცობრიობისა, ჯოისის იმ წუთას რომ ვერ დააჯერებდი, ეს მყიფე და ხელოვნური თუ არა სჯობდა იმ ნამდვილს, და ირონიით ამიტომაც გაუქარწყლებდა იეიტისს მთელ თავისი მგზნებარებას: განზოგადებანი პოეტებმა კი არა, სწავლულებმა შექმნეს და ამიტომაც არიან ყოვლად გამოსადეგარნიო.

გულში ჩაიკლავდა წყენას იეიტისი.

„დაბრუნდები“ — ღალადებდა მისი მზერა.

„არასოდეს, არასოდეს, არასოდეს“ — პირგამეხებული იდგა ახალგაზრდა კაცი არჩევანის წინაშე, რომელიც უკვე გადაენწყვიტა და ყველაზე შესაფერის დროსლა ეძიებდა მის ალსასრულელებლად.

იმ ჭკუაზე იყო სწორედ, აქ ჩაეხშო და ჩაეკლა თავისი ნიჭი, აქ ამოერთვა სული, ამათთვის შეექმევიინებინა თავი — ჩარლზ პარნელივით.

ამიტომ რაც დროზე გაასწრებდა, მით უკეთესი: მისთვისაც და ლიტერატურისთვისაც.

„დაბრუნდები“ — ასე მაინც რატომ სჯეროდა იეიტისს?!

„არასოდეს, არასოდეს, არასოდეს“ — ასე მაინც რატომ არ ეპარებოდა ეჭვი ჯოისს?!

წასაღებდა განა რა სჭირდებოდა, ორიოდ ნივთსაც იკმარებდა, ეგაა, აგროვებდა და... ხელიდან უცვიოდა, ნაეტანებოდა და... თითქოს გაურბოდნენ.

შეელოდა, იმათაც დაუნანებლად შეეელოდა, ოლონდაც დროზე გასცლოდა აქაურობას, თორემ სული თუ შეეხუთებოდა, რაღა უშველიდა... ამიტომაც დაე ყველაფერი დაეყარა და გაესწრო, გაესწრო, გაესწრო...

ერთხელ მაუნდა ალუდას, ერთხელ მობრუნვა თავისა...

მერაბ გეგია

თვითნაზადი, დაუდგროვადი, ყველგანყოფი...

საკოველთაოდ ცნობილია, რომ ღიმილი არის გოგი ქავთარაძის პირველი გზავნილი და ამასთანავე სავიზიტო ბარათი, რაც მასთან თუნდ ხანმოკლე ურთიერთობის შემდეგ სამუდამოდ გვამახსოვრდება. მისი პიროვნული სისუფთავე და ნიჭი, შეზავებული ცხოვრებისეულ, ზოგჯერ ავანტიურულ კოლიზიბთანაც კი, ცალკერძ ინვესტ მხარდაჭერის სურვილს, ცალკერძ კი... იუმორის ტალღაზე გვამყოფებს.

პირველი ნიმუში: გასული საუკუნის 60-იანი წლები. თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სტუდენტებს, რომელთა შორის იყო გოგი ქავთარაძეც, დაევალებათ რაიმე ფაბულის შეთხზვა. ვინ რა მოიფიქრა და ვინ — რა. ზოგის მონაფიქრი მოინონეს, ზოგის — დაინუნეს. გოგიმ კი ასეთი ფაბულა შესთავაზა ჯგუფის ხელმძღვანელს: სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი ეძებს ფაბულას ქუჩაში, გამვლელ-გამომვლელთა შორის. ეძებს იმ ეზოში, სადაც ცხოვრობს, მეგობრებისა და ამხანაგების წრეში, გოგონასთან პაემანის დროს, ამფონებთან ქეიფში, თვით ინსტიტუტის კედლებშიც კი. შედეგად — ფაბულა შეიქმნა ისე, რომ იგი არ შექმნილა. ფაბულას მიენიჭა საუკეთესოს სტატუსი.


მეორე ნიმუში: ინსტიტუტში გამოცხადდა სტუდენტური ჩემპიონატი ქადრაკში. პირნავარდნილმა ექსტრავერტმა გოგი ქავთარაძემ ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა განაცხადი გამოუსწორებელი ინტრავერტების შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად. არადა, მონაწილეთა შორის იყვნენ თანრიგოსნებიც და თვით ოსტატობის კანდიდატებიც კი. იცოდნენ რა გოგის თავმოყვარეობის ურყევობა, ყველა გააკვირვა მისმა გადაწყვეტილებამ. ჩანს, თავისი თავის იმედი აქვსო, სხვა რა უნდა ეფიქრათ.

ყველას გვახსოვს ვასიუკებში ოსტატ ბენდერის „გროსმანისტრული“ პირველი სვლა — ე2-ე4. გოგის ეს სვლაც არ გაუკეთებია. პარტიის დანებებამდე პარტინორებს ამცნობდა, რომ კინოგადაღებაზე მიეჩქარება, სამწუხაროდ, თამაშისთვის არ სცალბა და დიდსულოვნად მზად არის ყაიმზე შეუთანხმდეს მეტოქეს.

სტუდენტთა შორის გოგიზე პოპულარული არავინ იყო. მის მიერ სულ ცოტა ხნის წინათ ნათამაშევა სოსოიამ მარჯანიშვილის თეატრში შეძრა თეატრალური სამყარო, ხოლო შეყვარებული ჭაბუკის როლმა კინოფილმში „ქორნილი“ იგი მსოფლიოს ორბიტაზე გაიყვანა. მისი ავტორიტეტის ზეგავლენით ზოგმა მიიღო მისი შეთავაზება, ზოგმა („შურიანმა“) კი — უარყო. ვინც დაიყოლია, ხომ კარგი და ვინც ვერა, იქ ნავერბას დასჯორდა. საბოლოოდ გოგიმ ჩემპიონატში ისე დაიკავა სოლიდური ადგილი მონაწილეთა სიაში, რომ არცერთი პარტია არ უთამაშია. ანკი როგორ უნდა ეთამაშა? ბავშვობიდან მოყოლებული სძაგდა ქადრაკი.

ოლიმპიელთა დევიზი, რომ მთავარია ოლიმპიადაში მონაწილეობა და არა — მასში გამარჯვება, გოგის მაგალითზე მთლად ცხადზე ცხადი გახდა. მის რეიტინგს შეემატა „ჭკვიანების თამაშში“ მონაწილეობის ფაქტი. მომავალმა მსახიობებმა უნდა იცოდნენ, ვისთანაც აქვთ საქმე...

აქაც „დავალემა“ შეასრულა ისე, რომ თავი საერთოდ არ აუტკივებია...



მაგრამ ასეთი „ზედაპირულობა“ ვრცელდება მხოლოდ უმნიშვნელო ცხოვრებისეულ პერიპეტეტივებზე, ხოლო ხელოვნებაში და ყოფაშიც გოგი ქავთარაძე სრულიად თავდაუზოგავია და ყოველივე მხოლოდ ნაღდი სწამს. ასე იცხოვრა კომუნისტურ წლებშიც და მას შემდეგაც. ახლაც ასე ცხოვრობს, რეჟისორის, მსახიობის, პარლამენტარისა და თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის სტატუსით.

ცხოვრების დინამიკასთან შეფარდებით ხელოვანის ნაღვანის ყოველგვარი „შეჯამება“ უადგილო და, ამასთანავე, არაგონივრულიცაა. ხელოვნებაში ასეა, რა ბევრი მწვერვალიც უნდა გქონდეს დაპყრობილი, ერთი, უსახელო — კიდევ დაგრჩება დასაწყობობი. მაგრამ განვლილის ასახვა და მითუფრო, გაანალიზება, „აროდეს მოგვცემს ზიანსა“. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სულ ახლახან გამოცემული მატეიანე-ალბომი „გიორგი ქავთარაძე“, სადაც მსახიობისა და რეჟისორის მოღვაწეობის ვრცელი პანორამაა წარმოდგენილი. იგი მოიცავს ქართული თეატრის (და არამარტო) ცხოვრებას 60-იანი წლებიდან დღემდე, რამეთუ მის არეალში მოქცეულია, რიგითად, მარჯანიშვილისა და რუსთაველის, ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის, გრიბოედოვისა და რუსთავის თეატრები, თბილისის თეატრალური სარდაფი. ჩამოთვლილი თეატრებიდან უმრავლესში იგი ერთდროულად იყო სამხატვრო ხელმძღვანელიც, რეჟისორიც და მსახიობიც.

ქართულ თეატრში საკმაო იშვიათობა იყო, დღეს კი ფართოდ გავრცელებულია პრაქტიკა, როცა მსახიობები სპექტაკლებს დგამენ. კომუნისტურ ხანაში გოგი ქავთარაძე გახლდათ ერთადერთი, ვინაც მთლიანად შეათავსა ეს ორი პროფესია თანაბარ დონეზე და თანაც იმ ატმოსფეროში, სადაც პროფესიები მკაცრად და „გეგმიურად“ იყო დიფერენცირებული. ამ თვალსაზრისით მან პირველმა გადმოიტანა დასავლური გამოცდილება, სადაც თვით ალორძინების დროიდან მოყოლებული რეჟისურა და სამსახიობო ხელოვნება ლამის განუყოფლად თანაარსებობენ.

ყოველივე ამის პარალელურად გოგის ხშირად ინვესტინგ სხვა თეატრებზეც ცალკეული დადგმების განსახორციელებლად. ესენია (ქრონოლოგიურად): მეტეხის თეატრი, ბულგარეთის ბლაგოევგრადის დრამატული თეატრი, სლოვაკეთის ბრატისლავას თეატრი „ნოვა სცენა“, ნიტრას დრამატული თეატრი, სლოვაკიის ტელევიზია, თბილისის ახმეტელის თეატრი, ტავანროგის ანტონ ჩეხოვის მემორიალური თეატრი, რუსთავის თეატრი, თბილისის თეატრალური სარდაფი, თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი. ეს თუმცა კი არასრული, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც შთამბეჭდავი ჩამონათვალია.

ახლა რაც შეეხება სტილისტიკას. გოგი ქავთარაძე აქაც გამოირჩევა მრავალფეროვნებით. აღნიშნულ ალბომში, რომლის რედაქტორ-შემდგენელია კოტე ნინიკაშვილი, ვკითხულობთ: „როცა 20 წლის გოგი ქავთარაძე გამოჩნდა ასპარეზზე, ქართულ ხელოვნებაში ახალი ტალღა ზვირთებოდა, მონუმენტურ, პათეტიკურ, ჰეროიკულ სტილში შექმნილი ხელოვნების ნაწარმოები ფერს იცვლიდა, თეატრალური ესთეტიკა სადა გამომსახველობით ხერხებს ეუფლებოდა, სცენა ცხოვრების მაჯისცემას გამოხატავდა, მწერლის თხრობის მიხედვით ხა-

სიათს იღებდა, იცვლებოდა კინოენა და მხატვრის ხედვის სტილისტიკა. ტრადიციული ფსიქოლოგიური თეატრის პარალელურად მზადდებოდა პოლიტიკური თეატრის საფუძველი.”

მოგეხსენებათ, მსახიობისა და რეჟისორის ფსიქოტიკი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მსახიობი ყოველმხრივ ცდილობს, რომ გაიმრავალფეროვნოს რეპერტუარი სხვადასხვა პერსონაჟში გარდასახვის გზით და ამ მრავალფეროვნების ნიაღში მიაგნოს თავის სტილისტიკას. რეჟისორები კი პირიქით, ჯერ საკუთარ სტილს ეძებენ და თუ მიაგნეს, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მრავალფეროვნების ძიებას შინაარსობრივი თვალსაზრისით. თუკი ასეთ ძიებას შედეგი არ მოჰყვა, მათი სპექტაკლები წყლის წვეთებით ემსგავსებიან ერთმანეთს.

გოგი ქავთარაძემ თავის სარეჟისორო კრედიტს აქცია პიესაში ისეთი „გარდასახვა“, სადაც შენარჩუნებული იქნებოდა დრამატურგის სულისკვეთებაც, გრძობათა ბუნებაც და, ამასთანავე, ამ გზით სცენაზე ასახული მოვლენები მაქსიმალურად შეეხმიანებოდა მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ სიტუაციას. სწორედ ასეთი მიდგომის წყალობით მან ერთის მხრივ საგრძობლად გაიფართოვა სარეპერტუარო სივრცე და მეორე მხრივ არსებულ სინამდვილესთან მაქსიმალურად დაახლოვა სპექტაკლების ჟღერადობა და მთავარი სათქმელი. ამ თვალსაზრისით იგი განუხრელად მიჰყვება მისი მოძღვრის, მიხეილ თუმანიშვილის მიერ მონიშნულ გზას. ამასთან დაკავშირებით იგი წერს:

„თუმანიშვილის ფენომენი ჩემთვის მხოლოდ ცოცხალი მითი კი არა, უფრო პროფესიული რელიგიაა, ჩემს გარეშე თუ — ჩემგან დამოუკიდებლად არსებული... რელიგია, რომლის მიმდევარიც ვარ მთელი შეგნებით.“

პოლისტილისტიკა, ურთიერთდაპირისპირებული ფორმების სინთეზი გოგი ქავთარაძის რეჟისორული ხელნერაა. მის სპექტაკლებში სწორედ ეს აძლევს მსახიობებს ფართო გასაქანს. ამ დიაპაზონს აღიქვამენ მსახიობთა შორის ყველაზე გამოცდილები და „ტოტალური რეჟისორის“ მიმართ ყველაზე კრიტიკულად განწყობილნი. აი, რას წერს ბათუმის თეატრის წამყვანი მსახიობი იური ცანავა: „გოგი ქავთარაძეს კიდევ ერთი უნარი შესწევს, მას შეუძლია მიწიერი გახადოს თვით ყველაზე პათეტიკურად დანერგული ნაწარმოები, ცხოვრებისეული შტრიხებითა და სიღრმით ნარმოაჩინოს იგი. მსახიობთან მუშაობაში რეჟისორი საოცრად აზრიანი და კოლეგიალურია, არასდროს არ ცდილობს თავს მოგახვიოს მხოლოდ საკუთარი თვალსაზრისი, ანგარიშს უწევს მსახიობის ინდივიდუალობას...“

...გოგი ქავთარაძე დასის მობილიზების ოსტატიც გახლავთ, თავისი ავტორიტეტით და ნიჭით ქმნის თანამოაზრეთა კოლექტივს...“

ყველანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ გოგი ქავთარაძის პოლისტილისტიკა, პირველ რიგად, იმ სინთეზის ძიებაა, სადაც დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ პირიქით, სრულ ჰარმონიაში იმყოფებიან და ერთმანეთს ავსებენ. გოგი ქავთარაძე მხატვრულ სეგმენტთა ფუნქციურობის წინ წამოწევით ახერხებს მათ განონასწორებას. სწორედ ამიტომ სტილთა ნაირფერობა არ აღიქმება როგორც ეკლექტიზმი.

მატიანე-ალბომი ვრცლად ასახავს გოგი ქავთარაძის მოღვაწეობას სამივე მიმართულებით — რეჟისორი, მსახიობი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. აქ წარმოდგენილი მასალები კიდევ ერთხელ გვარჩმუნებს, რომ გოგის განსაკუთრებული ხიბლი და ქარიზმა სწორედ მის მრავალწინაგოვანებაშია.

ნებისმიერი თეატრალური მოღვაწის ოცნებაა საკუთარი თეატრის შექმნა. აქ იგულისხმება არა იმდენად თეატრის დამოუკიდებელ ერთეულად არსებობა, რამდენადაც საკუთარი სულის დამკვიდრება კონკრეტულად რომელიმე ერთ თეატრალურ სივრცეში. სურვილი საყოველთაოა, მაგრამ მისი რეალიზების უნარი — მხოლოდ ერთეულთა ხვედრი. იმ ერთეულთა შორისაა გოგი ქავთარაძეც. ყველა იმ თეატრში, სადაც იგი

მოღვაწეობდა, დამოუკიდებელი ეპოქა იქმნებოდა. ამას ყველაზე უკეთ ცხადყოფს მსახიობთა გამონათქვამები მისი შემოქმედების შესახებ, რასაც უმაღლესად დაგვიდასტურებს თუნდაც მცირედი ამონარიდები მათიანე-ალბომიდან.

ერემო სვანაძე: ბატონი გოგის შემოქმედება დღესაც სანატრელი და სასიამოვნოა ქუთათურებისათვის. მის შემოქმედებით მუშაობას ვაძარებ გიგა ლორთქიფანიძის სტილს. გ. ქავთარაძისათვის არ არსებობს რთული სიტუაცია. ეს ის შემოქმედია, რომელსაც შეუძლია კოლექტივის ერთ მუშტად შეკვრა და დარაზმვა თეატრის გამარჯვებისათვის.

გოგი ქავთარაძე მასობრივი სცენების ვირტუოზია. ის ისე ლაღად, ამოუწურავი ფანტაზიით და საოცარი მიგნებით ავებდა სცენების მთელ კრიალოსანს, რომ გვიკვირდა, როდის ასწრებდა, სად ჰქონდა ამდენი ენერჯია და გამოიმგონებლობა.

მსახიობთან მუშაობა მისი სტიქიაა. მას შეუძლია აანთოს და გაიყოლოს არა მარტო ახალგაზრდა, არამედ ოსტატი მსახიობიც.“

თინა ბოლქვაძე: „გოგი ქავთარაძემ თავისი მჩქეფარე ნიჭით შემოანათა სოხუმის ქართულ თეატრში როგორც რეჟისორმა და ორგანიზატორმა. იგი იმ იშვიათთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ნიჭიერად ფლობს და ერთმანეთს უთავსებს აქტიორულ და რეჟისორულ ხელოვნებას.“

თინა ბაბლიძე: „ბატონო გოგი! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, თქვენი სიცოცხლე და შემოქმედება ისევე საჭიროა ჩვენი თეატრისათვის, როგორც ჰერი, როგორც წყალი და როგორც სამშობლო.“

„თქვენი სამსჯავრო მართალი სამსჯავროა“, თქვენი შემოქმედება ნათელი გზაა მომავლისაკენ.“

ლეილა კალანდია: „ბატონო გოგი! გახსოვთ 1982 წლის 30 იანვარი, როცა ჩვენს თეატრს სათავეში ჩაუდგით? 25 დღეში, ე.ი. 25 თებერვალს ვითამაშეთ პირველი პრემიერა ახალ შენობაში (ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“. რეჟისორი გიზო ჟორდანიანი, თქვენ — ბაჩანა რამიშვილი). სპექტაკლის შემდეგ, როცა ტაშით ინგრეოდა დარბაზი, ჩამწურჩულეთ: „ხედავ, გოგი, თეატრი სუნთქავს“. ორივეს ცრემლები მოგვერია... მას აქეთ ჩვენი თეატრი არათუ სუნთქავს, არამედ მყარად დგას ფეხზე, წარმტყობით დადის გასტროლებზე, ერს მხარში უდგას ჭირსა თუ ლხინში. მოკლედ, ცხოვრობს ბობოქარი ცხოვრებით და ყოველივე ეს თქვენი თავკაცობით.“

ნორა ყიფიანი: „მე სოხუმის თეატრში ექვსი ათეული წელი გავატარე და არ მახსოვს ამდენი წარმატებითი გასტროლები, რაც თქვენი მუშაობის პერიოდში იყო — მოსკოვსა თუ ლენინგრადში, რიგასა თუ ვილინუსში, კიევსა თუ მინსკში, მურმანსკსა თუ ვოლგოგრადში, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში ჩატარებულ გასტროლებზე. ეს პირთლაც ბედნიერი წლები იყო...“

ლეილა ხურიტი: „და ბოლოს, გოგი ქავთარაძის სოხუმში ყოფნის ათი წლის განმავლობაში, რომელსაც ჩვენს თეატრში „ოქროს ხანას“ უწოდებენ, მე ძალიან ბევრი შემოქმედებითი სიხარული განმიცდია, რისთვისაც უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო მას. შემოძლია თამამად ვთქვა და ვიამაყო იმით, რომ ბატონი გოგის გაზრდილი ვარ“.

ლეილა შოთაძე: „ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მიიპოვა აღიარება როგორც რეჟისორმა და მსახიობმა. საოცრად არ უყვარს მინაზე დაშვება — მისთვის ერთხაზოვანი თეატრი არ არსებობს. სწორედ ამიტომ უყვარს ხალხს. ეს გახლავთ რეჟისორი, რომელიც მისეული ხედვით არავის არ ჰგავს...“

სცენური საშუალებების განმეორებას არ ახდენს — ყოველთვის ახლის ძიებაშია...“

...განსაცვიფრებლად უყვარს ადამიანი...“

...რუსთავის თეატრი დიდი სიხარულით და სიყვარულით შეხვდა გოგი ქავთარაძის მოსვლას...“

ოთარ სეთურიძე: „როცა გავიგეთ თქვენი რუსთავის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად მობრძანება — სიხარულით

აღვივებულ. შემდეგ ერთსულოვნება სპექტაკლზე „ცოდვის შვილები“ მუშაობაშიც გამოვლინდა. სიცოცხლისაგან გათოშობის თქვენი დაუღალავი შრომა და მონდობა გვაინფიცირებდა მძიმე პირობებს. ყველა მსახიობი, მთელი დასი, დიდი თუ პატარა, ტექნიკური პერსონალიც კი დიდი შემართებით ვიღვწოდით...”

ახლა დროა გავეცნოთ თეატრმცოდნეების ნააზრევს გოგი ქავთარაძის შემოქმედების ირგვლივ. კვლავ მცირე ამონარიდები:

ეთერ გუგუშვილი: „როგორი მოუსვენარია ეს გოგი ქავთარაძე! ამ წერილზე ფიქრისას ვერ „დავეწიე“, ვერა და ვერ ამოვიცანი მასში ყველაზე მთავარი, არსებითი. სულ ვფიქრობდი: რას მოვეჭიდო? სად არის ამოსავალი წერტილი? როგორც კი ვიგრძნობდი, უმალ ხელიდან მისხლტებოდა. თითქოს უკვე გამეცქა (არა, გაიქროლა), რაღაც ახალს აკეთებს, რომელიც სრულიადაც არ ჰგავს გუშინდელს. რა არის ეს, არათანმიმდევრულობა? — იკითხავს მკითხველი. არა, ამაში გამოიხატება მისი ძალიან სწრაფი რეაქცია მოვლენებზე, გარე სამყაროზე, ამ სამყაროს სიმდიდრის გათავისების უნარი, განუმეორებლობა, ყოველთვის ახლებურად რომ გამოიყურება — ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.“

ვასილ კიკნაძე: „გოგი ქავთარაძის თეატრი — მამაკაცური შემართების თეატრია. მისი თეატრის გამოკვეთილად ვაჟკაცური ტემპერამენტი, „ვაჟკაცური რიტმი“ და ენერჯია, ძველ მეომარ საქართველოს მაგონებს, მაშინ ყველაფერში ჭარბობდა მამაკაცური სანყისი...“

...გაიხსენეთ გოგი ქავთარაძის „დიდოსტატის მარჯვენა“, „1832 წელი“, „ჰელადოს“, „ბოშები“(ერთი ცის ქვეშ)“. თითქმის ყველა სპექტაკლი კაცურ გახელებას ავლენს. აქ ყველაფერი ვაჟკაცურია, სიმღერაც, ცეკვაც, ტირილიც, სიხარულიც. აქ სიყვარულიც უფრო ძლიერია და მშვენიერი. მისი თეატრის ქალებიც უფრო ქალურნი არიან.

რეპერტუარსაც ისე ირჩევს გოგი ქავთარაძე, რომ ქართული ეროვნული ენერჯია მეტად წარმოჩნდეს არა მხოლოდ ფიზიკურ ძალაში, არამედ აზრთა ჭიდილშიც“.

ნათელა ურუშაძე: „გოგი ქავთარაძე ეკუთვნის რეჟისორთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელთაც შესწევთ უნარი არა მარტო სპექტაკლის, არამედ თეატრის ორგანიზაციისა. კოლექტივის მართვის მისეული მეთოდის საყრდენიც, ფიქრობ, საქმის ცოდნასა და სიყვარულშია, ყველა თანამშრომლისადმი პატივისცემასა და ყურადღებაში. ამიტომ სჯერათ მისი და უყვართ, რომ არაფერი ვთქვათ იმ განსაცვიფრებელ პირად მომხიბვლელობაზე, რაც თავისთავადაც უდიდესი მნიშვნელობისაა ნებისმიერი წარმატებისათვის.“

ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია გ. ქავთარაძის ერთგულება განცდის თეატრისადმი, მისი სიყვარული სცენიდან თქმული სიტყვისადმი...”

ნოდარ გურაბანიძე: „მე არ ვიცნობ მსახიობს, რომელსაც თავისი არტისტული კარიერა უცებ ასეთი ბრწყინვალეობით დაენწყოს. პირველი როლების ასეთი წარმატება მაშინ შეიძლება ვინმემ მის ბუნებრიობას და განუმეორებლობას (ამ როლებისთვის ზედგამოჭრილს) დააბრალოს, მაგრამ დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს როლები მისი შინაგანი სამყაროს ინდივიდუალურ თვისებებს ავლენდნენ. თავის ცხოვრებაში უამრავი როლი ითამაშა სცენაზე და ეკრანზე — მაგრამ ვერ დავასახელებთ ვერცერთს, სადაც სიყვარულის და ხელოვნურობის რაიმე ნასახი იგრძნობოდეს. თავის ცხოვრებაში მრავალი სპექტაკლი დადგა, მაგრამ ვერ დავასახელებთ ვერცერთს, სადაც მისი ხალასი ნიჭი და მახვილი გონება არ იგრძნობოდეს...“

...ეს ბუნებრივი მაგნეტიზმი მის გარშემო თავს უყრის ნიჭიერ ადამიანებს, აღვიძებს მათში ახალ-ახალ შემოქმედებით იმპულსებს. ამით აიხსნება ის, რომ სადაც არ მივიდა გოგი ქავთარაძე (ბათუმი, ქუთაისი, სოხუმი, ახლა — რუსთავი), იგი აქ არა მხოლოდ კარგ თეატრს ქმნიდა, არამედ ქმნიდა კულტურის ცენტრს, რომელიც იზიდავდა მწერლებს, მხატვ-

რებს, მუსიკოსებს, საერთოდ შემოქმედებითი ბუნების ხალხს. ამ მხრივ იგი მხოლოდ დიდ კოტე მარჯანიშვილს თუ შეიძლება შევადაროთ...”

ვაჟა ძიგუა: „გოგი ქავთარაძე ერთდროულად რეალისტიც არის და რომანტიკოსიც. თუკი მის აქტიურულ ნამუშევრებში ჭარბობს ყოფითი, ცხოვრებისეული სიმართლე, რეჟისურაში თვალნათლივ იკვეთება რომანტიკული სულისკვეთება, ინტერესი ისტორიული წარსულისა და ეროვნული თემატისადმი. იგი მიიღტვის მასშტაბური აზროვნებისაკენ, მას იზიდავს მეტაფორულობა, ხალხმრავალი მიზანსცენების ეფექტური განლაგება. ადვილად თხზავს საინტერესო გადანიშნულებას, რითაც მსახიობებს აძლევს საშუალებას ინდივიდუალურობის გამოსავლენად.“

გურამ ბათიაშვილი: „გოგი ქავთარაძე თხემით ტერფამდე ქართველია. ქართულ დრამატურგიას იმიტომ კი არ ირჩევს, რომ ეს უფრო ეიოლება, არამედ ასე სწამს და ასე სჯერა...“

...მასთან მუშაობა ძალიან ადვილია. ადვილია იმიტომ, რომ იცის, საით უნდა წავიდეს, რა უნდა გააკეთოს, ავტორის ერთგულია, პატივს სცემს და ენდობა მას, მაგრამ რეჟეტიცი-აზე ახლოს არ გაიკარებს, ვიდრე სპექტაკლის სახე საბოლოოდ არ გამოიკვეთება...”

ნანა ბობოხიძე: „ჩვენმა არეულმა დრომ უამრავ პრობლემასთან ერთად ქართველებს ერთი გასაჭირიც დაგვატეხა თავს — დღეს ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელია, უთვალავი საზრუნავით გაბრუნებული ადამიანები რაიმეთი შეძრას, ნიღბებად ქცეულ, სახტად დარჩენილ სახეებს სიცოცხლის ნიშანწყალი დააჩნიო... დღეს ქვეყანაში ერთდროულად ქაოსიცაა და უცნაური გარინდებაც... მცდელობაც, ბრძოლაც რაღაცის შესაცვლელად და ყოველ ახალ, დაუნდობელ დარტყმაზე პასუხად მხოლოდ შესტების ენა — ერთი არაჩვეულებრივი ფილმის გმირის, მარადიასი არ იყოს...“

გოგი ქავთარაძეს არასოდეს უჭირდა ადამიანებისთვის გულის გათბობა, თუმცა ახლა ვეღარ არის ისეთი ლაღი — დაძაბულია, დაფიქრებული... ესაუბრები და გრძობ — გამოუდებით სადღაც, სხვაგანაა ფიქრით... იმ ფიქრში კი უეჭველადება ნატვრაც, საბრძოლო შემართებაც, სურვილიც, დიდი ტკივილიც, ჭმუნვაც და ოცნებაც...”

ძალიან, ძალიან მინდა, ერთ მშვენიერ დღეს, მის სახეზე ისეთივე ღიმილი დავინახო, რომლის გამოც ასე ძლიერ შეიყვარა ქართველმა ხალხმა...”

მატიანე-ალბომში შესულია კოლეგა-რეჟისორების ნააზრევიც გოგი ქავთარაძის მოღვაწეობის თაობაზე. დავეჯერდეთ კვლავ მოკლე ამონარიდებს.

რობერტ სტურუა: ჩემი საყვარელო გოგი! ჩემთვის თეატრის შეგრძნება შენით დაიწყო. მასსოვს პირველად „მე ვხედავ მუხს“ რომ ვნახე, შენმა თამაშმა ისე აღმაფრთოვანა, რომ ოცნებად მქონდა ჩემ სპექტაკლში გეთამაშა, რადგან იმ პერიოდში ჩვენ თანამოაზრენი ვიყავით. ასეც მოხდა, ჩვენმა თეატრმა, ჩემი აზრით, ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლში „ვახშმობის წინ“ მოგინვია...”

...როცა რეჟისორობა დაიწყე, გული დამწყდა. მეჩვენებოდა, რომ ქართულ თეატრს ერთი კარგი მსახიობი დააკლდა, მაგრამ იმდენად კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდე ხელი, რომ შენმა მუშაობამ ბათუმში, ქუთაისსა და სოხუმში, ყველაგან უდიდესი კვალი დააჩნია ქართულ სათეატრო ხელოვნებას.

და დღეს, როცა ჩვენს თეატრში კვლავ დგამ სპექტაკლს, მინდა გისურვო წარმატება, რადგანაც ხელოვანის ხელახალი მისვლა თეატრში ძალზე საპასუხისმგებლოა. რას იზამ, ასეთია ჩვენი პროფესია — სულ მუდამ გამოცდები ვაბაროთ.“

თემურ ჩხეიძე: „ზოგს მსახიობად დაბადებული ჰგონიხარ, ზოგი კი შენს რეჟისურას ამჯობინებს. ჩემთვის შენ თეატრი ხარ, თავად თეატრი. ვიცი შენი დამოკიდებულება პათეტიკის მიმართ, მაგრამ ამ ნათქვამს მალაღფარდოვნად ნუ აღიქვამ.“

არ არსებობს თეატრში არც ერთი ფუნქცია, ხელმძღვანელიდან დაწყებული სარეჟიზიტორო საამქროთი დამთავრებული, რომლის მაღალ დონეზე შესრულება არ შეეძლოს...

...ცხადია, ჩემგან არ მოელი შენი საუკეთესო სპექტაკლებისა თუ როლების ნუსხას, მათ ავ-კარგზე მსჯელობას. მიჭირს შენზე წერა. ასე მგონია, ძმას ვაქებ.

სანამ შენ იქნები — თეატრიც იქნება. სანამ შენისთანა ხალხი იარსებებს, თეატრი არ მოკვდება.”

სანდრო მრევლიშვილი: „სტანისლავსკის აფორიზმი — „გიყვარდეს ხელოვნება შენში და არა შენი თავი ხელოვნებაში“ — ზუსტად გოგინია ნათქვამი, რადგან გოგის არასოდეს არ ახრჩობს ამბიცია, ყოყლოჩინობა და გაუმართლებელი პატივმოყვარეობა.

სწორედ ამიტომ არის ყოველთვის იქ, სადაც ქართულ თეატრს უჭირს. ბათუმი, ქუთაისი, სოხუმი, რუსთავი... დადის ეს უნიჭიერესი კაცი, მხატვრული იდეებით სავსე ზურგჩანთამოკიდებული, და სადაც მივა, შემოქმედებით ცეცხლს დაანთებს, თავის თავს დაატყობს თეატრსაც და ქალაქსაც, სადაც ეს თეატრია.”

„ზოგიერთი რეცენზია“ — ამ სათაურით მატინე-ალბომში შეტანილია თეატრმცოდნეთა ნაზრევი გოგი ქავთარაძის სარეჟისორო და სამსახიობო ნამუშევრების შესახებ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე. აქ წარმოდგენილია ყველაზე ავტორიტეტულ კრიტიკოსთა, მწერალთა, დრამატურგთა შეფასებანი, რომელთა შორის არიან ცნობილი უცხოელი თეატრალური მოღვაწეებიც. ეს ყოველივე კიდევ უფრო ფართოდ წარმოაჩენს გოგი ქავთარაძის როგორც შემოქმედსა და მოქალაქეს.

აქვეა მისივე მოგონებანიც კოლეგა რეჟისორებსა და მსახიობებზე სათაურით „ორიოდ სიტყვით თეატრალურ მოღვაწეებზე“. იგი დიდი სითბოთი, თუმცა კი იმავდროულად ანალიტიკური მიდგომით იხსენებს შემოქმედებით შეხვედრებს კოლეგებთან, რომელთა შორისაც არიან ლილი იოსელიანი, რენე აბესაძე, თემურ ჩხეიძე, დიმიტრი ჯაიანი. ყველგან ჩვეული უბრალოებით, თუმცა კი შეფარული სიბრძნით არის ასახული მათი ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი დრამატული მომენტი.

მატინე-ალბომში შეტანილია გოგი ქავთარაძის ესეისტური ესკიზებიც მომავალი ავტობიოგრაფიული წიგნისათვის სახელწოდებით „შეცდომები“. ერთი ფრაგმენტი ამ ესკიზებიდან:

„ადამიანის ცხოვრება შეცდომებისგან შედგება. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეტაპზე ის უშვებს შეცდომებს (ამაში უტყდება საკუთარ თავს! მერე ცდილობს ამ შეცდომების გამოსწორებას, მაგრამ მაინც იმავე შეცდომას უშვებს).

იმიტომ, რომ ის ასეთია — ესაა მისი ხასიათი!!! ამ შეცდომების გამოსწორების ჭიდილში გადის მთელი ცხოვრება, მე, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ შემოქმედ ადამიანს, ადამიანს, რომელიც „რალაცას“ წარმოადგენს, ან „ვილაცას“...“

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ აქაც გოგი ქავთარაძე მივა იმ პარადოქსულ დეტერმინანტამდე, რომ შეცდომები დაუშვა, მაგრამ შეცდომები არ დაუშვია.

ანკი შეცდომა როგორ უნდა დაუშვა, როცა ღვთით ბოძებული გაქვს მუხების სამსახურში ყოფნა. ნაბორძიკება შეცდომად ვერ ჩაითვლება. ფეხი ხომ მხოლოდ იმას უსხლტება, ვინც ყინულოვანი მწვერვალის დაპყრობას ლამობს...

გოგი ქავთარაძის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი კოლიზიები გრძელდება და მატინე-ალბომის შინაარსი ამის დადასტურებაცაა და ერთგვარი სანინდარიც...

მარინე ტურავა

შოპის მისტერია

(ნატა ვარადას პოემა „მერვე დღისა, უადამიანოდ“)

ნატა ვარადა — სახელიც კი პოეტურია, ვარადაშვილია, ფილოსოფიური...

ნატა ვარადა უკვე კარგა ხანია თანამედროვე პოეზიის გამორჩეული სახელია — თავისი ვარამით, ტკივილიდან გასხვივონებამდე, სულიერ განმანდამდე ამაღლებული სტრიქონებით, ხატწერით... იგი პოეტია მხატვრული აზროვნებით, დამოკიდებულებით, ცხოვრების წესითაც კი. შეუძლებელია ასე წერა, თუ პოეზიით არ სუნთქავ, არ ცხოვრობ...

ნატა ვარადას შემოქმედება დასტურია იმისა, რომ პოეზია თავისი ბუნებით მხოლოდ რიტორიკისკენ არ არის მიდრეკილი. ეს არის განსჯასა და რეფლექსიაზე დაფუძნებული პოეზია. სწორედ ამიტომაც ნატა ვარადას პოეტური სამყარო ხშირად რთულია, თუმცა ეს სირთულე არ არის ხელოვნური, არ არის პოზა და პოეტის შინაგანი წყობიდან, სირთულიდან მომდინარეობს. ნატა ვარადას არ სჭირდება და არც შეუძლია პოზირება... ის თანამედროვე, მოდური, აქტუალური პოეტია მიდგომებით, ფორმით, მაგრამ მსოფლმხედველობით, ღირებულებათა სისტემით ტრადიციული, ქართველი პოეტია. ჩემთვის, ქართველი მკითხველისათვის, მის მეტაფორულ აზროვნებაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის. ალბათ, ამიტომაც ნატა ვარადას ნაკლებად უჭირს ტრადიციულ პოეტიკაზე აღზრდილი, კლასიკური ლექსის მოთაყვანე მკითხველის გულის მოგებაც.

ნატა ვარადას უყვარს სამშობლო, უყვარს ღმერთი და არ ერიდება ამ თემებზე წერას, პირიქით, ეს მისი საყვარელი თემებია... მას არ სჭირდება უსამშობლობა და უღმერთობა, ეპატაჟი თვითდამკვიდრებისა და საკუთარი თავის გამოსახატავად. ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ 13 ივნისის (2014, 12) ნომერში ნატა ვარადას პოემა — „მერვე დღისა, უადამიანოდ“ გამოქვეყნდა, სადაც პოეტის ახალი შესაძლებლობანი გამოვლინდა. პოემა დამოუკიდებელი ლექსებისაგან შედგება, რომელთა ნაწილს შესაქმის აქტი, დაბადების მისტერია აერთიანებს.

პუბლიკაციას ნინო სადღობელაშვილის შესანიშნავი ბოლოსიტყვა ამშვენებს: „შესაქმის აქტი შვიდი დღეა. სამყაროს ცხოველმყოფელობას შვიდი დღე განაპირობებს. მერვე დღის ფიქრი ადამიანში ტრანსცენდენტურ განცდებს აღძრავს; ის უფრო ხელოვნების, წარმოსახვის სფეროა, მგრძობელობის უმწვერვალესი რეგისტრია; შესაძლებლობაა, რომელიც პოეტმა სიტყვაში დაუშვა.“

„სიტყვაში დაშვებული შესაძლებლობანი“ ამ პოემაში სხვადასხვა ნაკადში, მოტივსა და ქვეტექსტში ვლინდება. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. თითოეული ლექსის სათაურიც და ეპიგრაფიც გააზრებული, გათვლილი და მხატვრული ფუნქციის მატარებელია. ის კომპოზიციური ელემენტია, თავისებური გასაღები, რომელმაც უნდა გაგვიადვილოს ნატა ვარადას პოეტურ სამყაროში გზის გაკაფვა. პირველივე ლექსში მეტაფორული აზროვნება და წმინდა წერილის უჩვეულო ალუზია იპყრობს მკითხველის ყურადღებას:

**შვიდივე დღეს მინაში დავფლავ,
სისხლის მდინარით მოვრწყავ,
საორშაბათო — მერვე დღის მინის ბორცვები
რომ გადაიხსნას:
— ლაზარე არ გამოხვიდე!**

ერთი კრიტიკოსის ორი წერილი

ბეთანიელი ლაზარე, მარიამისა და მართას ძმა, უფალმა იერუსალიმში შესვლამდე გააცოცხლა, ოთხი დღის მკვდარს უბრძანა: ლაზარე, გამოვედ გარე! რამდენიმე დღის წინათ დაკრძალული მიცვალებულის მკვდრეთით აღდგინების სასწაულმა მრავალი იუდეველი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. მღვდელმთავრებმა, კაიაფას მეთაურობით, სწორედ ამ სასწაულის შემდეგ გადანყვიტეს იესო ქრისტეს შეპყრობა და მოკვდინება, ვინაიდან მათში აღიძრა შური და ბოროტება განკაცებული უფლის მიმართ, რომელიც მათთვის დაუჯერებელ სასწაულებს ახდენდა.

პოემაში ეს რეალობა შეცვლილია — ლაზარე არ გამოხვიდე, რაც უფლის ჯვარცმის გადავადებას ან სულაც ადამიანის, კაცობრიობის ამ ცოდვისაგან გათავისუფლებას უნდა გულისხმობდეს... თუმცა პოემის სათქმელიდან გამომდინარე, ლაზარე არ გამოხვიდე — ისტორიის სრულიად განსხვავებულ მდინარეებზე, სრულიად სხვაგვარ არჩევანსაც უნდა ითვალისწინებდეს...

„ქალია შესაქმის კამერტონი. ქალმა მერვე დღეს კარი უნდა გაუღოს. დედამინამ ქალისგან უნდა აირჩიოს — იშვას თუ აღარ იშვას. და ეს წინააღმდეგობრიობა, არჩევანის კონფლიქტი, პოემის თავსა და ბოლოში, განსხვავებული თემატიკით, მაგრამ თანაბარი ტრაგიზმით გამოჩნდება“ (ნინო სადღობელაშვილი).

პოემის ეს ფრაგმენტი არ არის აპოკრიფული მწერლობის ნიმუში, როცა ავტორი ბიბლიაში დანყვებული სხვადასხვა ამბის დასრულებას ცდილობს. აპოკრიფია ნინო დარბაისელის ლექსი „ლაზარე“ (რომლის ანალიზიც გადმოცემულია ლევან ბრეგვაძის წერილში „ლირიკული აპოკრიფი“). ნატა ვარადასათვის უცხო არ არის ბიბლიური თემატიკა, მოტივები, ალუზია, რაც ამ პოემაში ბარელიეფის, ლექსებში ამოტვიფრული პასაჟების სახით ვლინდება, სწორედ ამ ბარელიეფთა ერთიანობამ უნდა შეკრას კომპოზიციური ქარგა, ლირიკულ-სუბიექტური ნაკადი.

მორის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“ მარადიული ძიების პროცესს განასახიერებს, ნოვალისის „ცისფერი ყვავილი“ უმაღლესი პოეზიის მარადიულ სიმბოლოდ იქცა. ნატა ვარადას პოემაში „ლურჯი შაშვის სიმღერა“, პოეზია არის დედამინის ალორძინება:

**ვარდების მელიოდიას ჩემი ზეციური ხმა,
ლურჯი შაშვის გაზაფხულზე სიმღერით კი
დედამინა ალორძინდება:
— ვცხოვრობ უშენო სიზმრებით, მე შენი ფრთები.**

აქ, ერთი მხრივ, „შაშვი მგალობლის“ ქართული მოტივებიც ცნაურდება, მეორე მხრივ კი, „პირველქმნილი ფერის“ ზოგადპოეტური განცდაც, შემოქმედის ზეცასთან, უფალთან ზიარებაც...

თანაგანცდისა და თანაღმობის საოცარი შეგრძნება გეუფლება, როცა ნატა ვარადას სტრიქონებს კითხულობ ქალებზე, საკუთარი საშოები „ემმაკების საბუდრებად“ რომ უქცევიათ, „დედობა რომ არ ეღირსებათ“, სხვათა შვილებს ბოროტის მზერას რომ არიდებენ. სქემარქიმანდრიტი მამა ვიტალი (სიდორენკო, 1928-1992) გამახსენა ნატა ვარადას „ლოცვამ მძევებისათვის ემმაკათა განსადევნებლად.“ საოცარი გახლდათ მამა ვიტალისთან ცოდვების აღსარება. განსაკუთრებული მადლის გამო მისთვის არაფერი იყო დამალული. დიდ ეპიტიმიას არ ადებდა მათ, ვინც ვერ აღასრულებდა; სამაგიეროდ, მივიღოდა წინამძღვართან და სთხოვდა: „ეპიტიმია დამადე — აბორტი გავიკეთო“. „გგონიათ, ადვილია იყო დაფარულის მხილველი? როცა ხედავ, ადამიანი იღუპება, იცი, როგორ დაეხმარო და ისიც იცი, რომ ამ დახმარებას არ მიიღებს, გული დიდი მწუხარებით გეცხებაო“, — უთქვამს ერთხელ. პოეტის გულიც თანაგრძნობით არის აღსავსე, იგი უშუალოდ, გულწრფელად, ადამიანურად ევედრება დედა ღვთისმშობელს ილოცოს „მეძავ ქაღნულებზე“:



ნატა ვარადა

**მარიამ,
მათ მოეხურათ, ფეხშიშველთ და
სამოსგანძარცვულთ
სამოთხის კარი. ცხვირწინ პირდაპირ.
და მათ სულებს აღარ აქვთ შვევა,
თუ გაქვს დრო და თუ გაქვს მოცდა, დაო,
ამო-
თქვი
მათთვის.**

აქვე „მეგვიპტელთა წესს“ ახსენებს პოეტი და ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული წმინდანი მარიამ მეგვიპტელი (+522) გახსენდება, რომელიც ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ავხორცობის ვნებაში და არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ სხვა ადამიანებსაც აცდუნებდა. ორმოცი წელი უდაბნოში გაატარა, ლოცვასა და მარხვაში და ადამიანებს ხსნის იმედი ჩაუსახა. ასეთივე იმედს აჩენენ პოეტები...

შემდეგ ლექსში ნატა ვარადა თავის საყვარელ პოეტ ქალებზე საუბრობს — სილვია პლათი, რომელიც, თვითმკვლელობის შემდეგ, ფემინისტებმა მამაკაცურ ძლიერებას შეწირულ ქალურ გენიად აღიარეს, ენ სექსტონი — მეოცე საუკუნის გამორჩეული ამერიკელი პოეტი, ფორუე ფაროხზადი — ირანელი პოეტი ქალი, ჩადრისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი, და ესმა ონიანი, ვისაც ნატა ვარადა თავის მასწავლებელს ეძახის.

ინტერესთა სფეროც მოინიშნა და გემოვნებაც, პოემის ერთ-ერთი სათქმელიც — კაცობრიობის სუ-

ლის ისტორია, მისი უმშვენიერესი და უნატიფესი ნაწილის მიერ შექმნილი, სიტყვასა და საქმეში დაშვებული შესაძლებლობა... აქვე კიდევ ერთხელ და მერამდენედ ქალთა შორის უმთავრესის — ღვთისმშობლის სახება და მასთან დაკავშირებული პოეტის დედის სახე — „დედაჩემს კი თვალები აქვს ბოდბის ღვთისმშობლის“...

ამას მოყოლებული „ვაზის სატირალო“ — პაპა-კაცების საქმე, ვაზის მოვლა, გასხვლა, გარანდვა „კოჟურიანი ხელეებით“ და მაინც მშობიარობა, შობის მისტერია: „მარადიული ცრემლით სიცოცხლის ზიარება“ და მოსავლის აღება „მშობიარობის დარაღ“.

შემდეგი ბარელიეფი „სადიდო დის სიმღერა“ ყოფიდან ამოზრდილი მამის სახითა და ნატა ვარადას მხატვრული აზროვნების კიდევ ერთი თავისებურებით გვამახსოვრდება — პოეზიად იქცეს ყოფა, გარემო, ყველაფერი, რასაც პოეტის კალამი შეეხება:

**მოდი დავდოთ ფული,
დაო, დაიკო,
არ დაველოდოთ თვის ბოლოს,
არ დაველოდოთ ხელფასის დღეს.
მოდი ავაგროვოთ ფული,
დაო, დაიკო
და მამიკოს საშობაოდ ფეხსაცმელი ვუყიდოთ.**

ბავშვობის განცდაც — როცა დები, მამის წყალობით, თბილ ღუმელს ეფიცებოდნენ, უღელტეხილს სერავდნენ საკუთარი სახლებიდან გამოდევნილი ორსული ქალები — „მუცლებში შვილებს მალავდნენ, ისე დაუტკბათ დედაშვილობა, დაუშაქრდათ მურაბებივით ქალებს სხეული.“ კიდევ ერთი შტრიხი, ნიშანი — განწირულებიდან, უსასოობიდან ამოზრდილი იმედი, სინათლე...

შემდეგი ლექსი კოპენბერგში დაკარგულ 130 ბავშვს ეძღვნება, 130 ზვარაკს, რომლებიც 1284 წელს ჰამელნიდან წაუყვანია უცნობ მესტირეს და უგზოუკვლოდ დაუკარგავს:

**— ჭიამაია, დედა, დედა მაპოვნინე,
ჭიამაია.
მე შენ დედას გაპოვნინებ, ჭიამაია.**

ქალაქის ხიდზე მდგარი, წითელქუდიანი მესტირის პორტრეტს ისე აშკარად, ისე ხელშესახებად, ისე ნათლად გვიხატავს პოეტი, რომ მკითხველს კარგად ხანს არ შორდება „მონადირის სტიკის ხმა“ და გაუჩინარებული ბავშვების დარდი.

ლოგიკური გაგრძელებაც, ამ ბავშვების დედობაზე არანაკლებ ძნელი უფლის დედობა, ჯვარზე გაკრული შვილის ხილვა, მერე რა, რომ სულიწმინდით ნაყოფი გეხარა. შვილის სიკვდილი ყოველთვის უმძიმესი განსაცდელია:

**მთავარ ანგელოზი ფრთებს შენკენ გამოწვდილი,
მზერას ვერ გისწორებს —
ლურჯი მონატრებით ილიმი.**

ისევ სილურჯე, ზეცასთან და პირველყოფილ სინმინდესთან, უფალთან, სიყვარულთან ნაზიარები...

ჯვარცმით მთავრდება პირველი ნაწილი და იწყება მეორე — ბარელიეფი: „კუმურდოსფერი“. პიეტა — მწუხარებისა და ტკივილის მარადიული ხატი — მგლოვიარე ღვთისმშობელი — კიდევ ერთხელ წამოიზრდება ჩვენ თვალწინ. ლექსს სევდის საოცარი ჰარმონია აქვს: „ბოლოქანქარა ბი-

ჭო-გოგოები, მოლაღურები, სამოთხის ჩიტები. დანარჩენნი გალობენ, გალობენ.“

კიდევ ერთი მოულოდნელობა — პოეტის მიერ დანერილი დაუჯდომელი წმინდა ადრიანესი და ნატალიასი (საშინაო საკითხავი). წმინდანები ახალგაზრდობაში შეუღლებულან, წამებამდე სულ ერთი წლით ადრე. ბიოგრაფიის ნიკომიდიამი უცხოვრიათ, იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (305-311) დროს. საგულისხმოა, რომ წმინდა ადრიანე და ნატალია მიიწვევიან როგორც კათოლიკური, ასევე მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანებად, ხსენების დღე აღინიშნება 26 აგვისტოს (8 სექტემბერს). დასაწყისი ლოცვები, ძლისპირი, ტროპარი და კონდაკი ლექსს მართლაც დაუჯდომელის კომპოზიციურ ქარავში აქცევს, წმინდა სალოცავებისა და ფსალმუნთა მელოდია და ინტონაცია ლოცვის შეგრძნებას გიჩენს. სულიერ მზაობასთან ერთად, გამბედაობაც სჭირდება ამგვარი სტრიქონების შექმნას... სილვია პლატის, ენ სექტონის... სხვათა და სხვათა...

რაზეც უნდა წერდეს პოეტი, რომელ სატიკივარსაც უნდა უტრიალებდეს, სამშობლო არასოდეს ავინყდება: ბედკრული, ტანჯული, მაგრამ მშობლიური, ერთადერთი, შეუცვლელი. არსად პათეტიკა და სიყალბე, ყველგან ცოცხალი, ემოციური, უშუალო განცდა:

**ჰოი ყური დამიგდე, ბებერო სამშობლო,
როგორიც ხარ, ასეთი მინდა მიყვარდე.
არ გაბედო, არ გაგინყრეს გამჩენი,
ისე არ მოიმშოო ეგ ტიალი მუცელი,
მე თმათეთრა დედ-მამას,
უკბილოებს, ბავშვების გულდნაქცევს
არ გავცვლი სხვა სიკეთეზე,
თავში არც კი გაივლო,
ჩამოთოვლილ მთა-გორებს დაგიფატრავ,
გპირდები.**

განცდის სიმძაფრით, სახეობრივი აზროვნებით — პოემის უძლიერესი ფრაგმენტი, არაკონვენციური ლექსის ოპონენტებისათვის კი კითხვა — რომელმა რითმამ და კლასიკურმა საზომმა უნდა გადასძლიოს ეს ემოცია, ეს ტკივილი?! შინაგანი ორგანიზებულიობა, რიტმი და მუსიკალურობა კი ყოველთვის აქვს ნატა ვარადას ლექსს.

აქვე მინდა შევეხო პოეტურ მიმართვას, რომელსაც ავტორი განსაკუთრებული ოსტატობით იყენებს და გამორჩეულ მხატვრულ ფუნქციასაც აკისრებს. „პოეტური მიმართვა... ფუნქციონირების თვალსაზრისით განყენებულია, აბსტრაქტულია, რაკი რჩება ადრესატისაგან გამოსხაურების მოლოდინის გარეშე, — ბიბლიური გამოთქმით რომ დავახასიათოთ — ხმად მლაღადებლისად უდაბნოსა შინა. სწორედ აქ უნდა ვიგულოთ პოეტური, უფრო ზუსტად, ლირიკული მიმართვის ექსპრესიულობის საწყისიც და საწინდარიც. აბსტრაქტულობა კი აქ აპრიორი გულისხმობს ადრესატამდე მიმართვის მიუღწევლობას (მიუწვდომლობის გაგებით) და გამორიცხავს მისგან ადეკვატური საპასუხო რეაგირების მოლოდინს. ამიტომ უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ასეთ ადრესატს წარმოსახვით ადრესატს ვუნოდებდით“ (შუქია აფრიდონიძე, „პოეტური მიმართვა ქართულ პოეზიაში“).

ასეთი წარმოსახვითი ადრესატები ბლომადაა ნატა ვარადას შემოქმედებაში, პოეტური მიმართვა მას უშუალოდ, სიყვარულის, ერთგულების გამოსახატავად სჭირდება უმთავრესად და გამორიცხავს ფამილარობას, უკრძალველობას: „დაო, დაიკო“ მისთვის საკუთარი დაც არის და ღვთისმშობელიც, „ბებერი სამშობლო“ — უტკბილესი სინტაგმა, ტკივილსაც და სიხარულსაც რომ იტევს ერთდროულად...

მომდევნო ლექსში ასეთ „წარმოსახვით ადრესატად“ ენა წარმოჩნდება:

**ო, ენავ ჩემო, ჩემო ენავ,
ჩემო სამშობლოვ,
ჩემი ხმა მინდა ამოგაცალო.**

აქ სამშობლო და ენა ერთი და მთლიანია, მაგრამ რატომ გადაუწყვეტია პოეტს გაჩუმება — საკუთარი ხმის ამოგლეჯა სამშობლოს კონტექსტიდან. რა ტკივილს მიყვავართ აქამდე, რა საფიქრალს, რა სიყვარულს, რომელ ინვესტიციას, ისტორიის ნაშლას, წყლით გავსებულ მთის რომელ სოფელს, რომელ უბადრუკობას?! სიტყვა აღარ არის საშველი, ლექსი აღარ არის ტალკვესი, ამიტომაცაა „ჩემი ხმა მინდა ამოგაცალო“ უსარგებლო, არაფრის მომტანი, ამიტომაც „უხმოდ და ჩვენ გარეშე წყალსაც კი ნაუღიხარ, ხუთას ფაბრიკიანო გუბერნიავ.“

ისევ ღვთისმშობელი, ამგვარი სასწრაფოებისა და განწინრულების, ტრაგიზმის შემდეგ დაცემულთა და უიმედოთა მხსნელი, სამშობლოს მხსნელი, კუმურდოსფერი, აყვავებული, მბჟუტავი იმედი:

**შენ დგახარ, უცქერ სამივე დროში
განფენილს, როგორ ქათქათებს
შენი სამშობლო საზღვარზე
მდგარი.**

ბავშვობის უნაზესი მოგონება ლექსის ქალი მესეიდე და მელოტი მთის იქეთ მცხოვრები „დედის მამის ყონაღნი“ ცოცხლდებიან შემდეგ ლექსში. მესეიდე, რომელიც ჩუმ-ჩუმად ყიდის დალესტნურ ვერცხლს, სახლის დათბილულ ფეხსაცმელს, ჭრელ-ჭრელ მოსახვევს. როგორ არ უნდა პოეტს „ერთმორწმუნე რუსების“ მიერ „მონადირეული ლეკები“ გაქრნენ და მხოლოდ ჩვენ გადავრჩეთ, ამ სურვილს უტკბილესი შეგრძნება — ლეკურიც აძლიერებს, ნატა ვარადა „უფრო მეტად მესეიდურ ლეკურს“ რომ უნოდებს. სწორედ ეს არის ვაჟა-ფშაველას სამშობლო, სადაც მუცალი და ალუდა, ჯოყოლა და ზვიადური ერთნაირად უნდა გიყვარდეს, მესეიდე — შენი წარსულის, ისტორიის, ერთიანი კავკასიის ნაწილად უნდა აღიქვა...

ნათელში ინთქმება პოემის ბოლო პასაჟი და შვებით ამოისუნთქავს სევდიოთა და დარდით, განწირულებით დაღლილი მკითხველი:

**ყოველი სოფელი მოინადირე სინანულმა.
მე სად გამიქრი ახლა, რა
და ვთქვა,
რა ამოვთქვა, ამოდ სიყვარულისა.
ამოდ ამოდი, მზეო ნათელი,
ღვთაებრივ, ანუ!**

ხილული ნათელი უხილავეში, სიმბოლურში გადავიდა, გადასხვავებდა, ხილული მზე ღვთაებრივში... ისევ ბიბლიური სიმბოდე, იდუმალება, ინტონაცია...

პოემა ნატა ვარადასათვის ჩვეულ ანუანბემანშია შესრულებული, ლექსებად დაყოფას პლუსიც აქვს და ნაკლიც. პოეზიური ისაა, რომ ანუანბემანის ერთფეროვანი ინტონაცია და ინერტულობა აქ დაძლეულია, ყველა მონაკვეთს საკუთარი ინტონაცია და მხატვრულად გათვლილი ფინალი აქვს. ნაკლი კი ის, რომ პოემას უანრულად დასრულებული სახე ნაკლებად აქვს და უფრო ციკლს ჰგავს, რამდენიმე მოტივით გაერთიანებულს, მაგრამ, თავისი მხატვრული თავისებურებით, მაინც ციკლს.

მართალია, თანამედროვე პოემა რადიკალურად განსხვავდება ეპოპეისაგან, რომელსაც ამბავი, კომპოზიციური სირთულე, დიდი მოცულობა, მოქმედების ფართოდ გაშლა, დროის მონაკვეთი, პერსონაჟების სიმრავლე, ზოგჯერ გმირთა მოქმედების იდეალიზაცია, ამბის ჰიპერბოლური გადმოცემა, დინჯი, დარბაისლური კილო ახასიათებდა, თანამედროვე პოემასაც, უანრული ნომინალიზმის მიუხედავად, მაინც სჭირდება ავტორისა და პერსონაჟთა განცდები, ლირიკული ელემენტი, რომელიც ზედაპირზეა და მიმართულებას აძლევს სიუჟეტის განვითარებას. ამ პოემაში ეს ელემენტი მკითხველის საძიებელია... რთული მხატვრული სამყარო, ჩემი აზრით, განსაკუთრებულად მოითხოვს უანრობრივ სიმარტივეს...

ნატა ვარადას პოეტური ენა, მხატვრული სამყაროს მსგავსად, არის რთული და საინტერესო. ზოგჯერ ძალიან ყოფითი, სამეტყველო, ზოგჯერ წმინდა წერილის ლექსიკით გაჯერებული, ძარღვიანი, ძირძველი... მას აქვს უნარი ერთ ლექსში, სრულიად მოულოდნელად, შეურწყას ერთმანეთს ეს ორი საწინააღმდეგო ნაკადი, მეტყველების სტილი და ამით მხოლოდ საკუთარი პოეტური მეტყველება შექმნას. ნატა ვარადას აქვს უნარი სიტყვის თამაშზე ააგოს ფრაზა, სტროფი, ლექსი. ამ მაგალითში ერთი ფუძისგან ნანარმოები ზმნები (აგისხნი-აგხსნი-ასხეს-შესხმა) ქმნის მხატვრულ ეფექტს:

**აგისხნი!
წვიმა წაასხეს ქარებმა,
მე შემოვედი ზაფხულის მხესავით.
აგხსნი —
ასხეს უჩინარმა დედაბრებმა ვნება გასაღებს.
შესხმაა.
ადამიანათყოფნისა,
ან ყოფილისა.
ფრთათა, ენათა.**

საოცარია პოემის ფერთა პალიტრა — შინდისფერა მწვანე, ცეცხლოვანი ვნება, ოქსიმირონად გადმოღვრილი — ნათელი შუალამე, აღდგომისფერი, ხახვის ფურცლებისფერი, დედისფერი საღამო, თეთრი სტუმრები, სითეთრე შთანთქა, ლილისფერი თვალეები, ტბისფერი თვალეები, თივისფერი თმა, კუმურდოსფერი...

მეტაფორა ნატა ვარადასათვის გამოსახვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა და ყველაზე ხელმისაწვდომიც, ძნელი დაადგინო სად გადის შესაძლებლობის ზღვარი. „მეცემოდა დედის გაბავშვებურ ხელებს, მოფერების შვებას მისცემოდა.“ ისევ ზმნის თამაში (მეცემოდა-მისცემოდა), სიბერისა და ბავშვობის ნაცნობი შედარების პოეტურ ხატად ტრანსფორმაცია...

სიტყვასთან, ფრაზასთან პოეტის დამოკიდებულება ყოველთვის ფაქიზი, მოკრძალებულია. ნატა ვარადა განსაკუთრებულად გრძნობს ქართულ სიტყვას. პოემაში არ არის დაუხვეწავი, გაურანდავი ფრაზა, როგორც ჩანს, იგი ბევრს მუშაობს თითოეულ გამოთქმაზე, პოეტურ სინტაქსსა თუ ლექსიკაზე...

ტომას ელიოტი წერდა: „ყველა ჭეშმარიტი პოეტის უკან დიდი ფილოსოფოსი დგას“. თანამედროვე პოეზია შეუძლებელია ფილოსოფიის, განსჯის, კონცეფციის, ერთიანი ხედვის გარეშე. თუ ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს გავაკეთებთ — მომავალ დიდ პოეტში სწორედ რეფლექსიის უნარი და ქართული ლირებულებანი უნდა შეერთდეს. თუ სწორი მიმართულებით გააგრძელებს სვლას, ნატა ვარადას აქვს ამის პოტენციალი.

დრო გვიჩვენებს, ყველაზე დიდი მსაჯული...
ყველაზე დიდი მასწავლებელი ამქვეყნად...

ლიტერატურული „ღოზა“

(ლუკა ბაქანიძის რომანი „მესამე ნაპირი“)

ამ რომანზე წერა ლუკა ბაქანიძის ლექსიკის გამოყენების გარეშე თითქმის შეუძლებელია. ნიჭიერი მწერალია, ყველა ის თვისება აქვს, რაც პროზას სჭირდება — წერის ტექნიკა, გაბედულება, პირველივე რომანში გამოკვეთილი მხატვრული სტილი, ინდივიდუალიზმი, ცხოვრებისეულ ტენდენციათა ხაზგასმისა, დასამახსოვრებელ პერსონაჟთა ხატვა და კიდევ ამბავი, სიუჟეტი, რომელიც, პოსტმოდერნისტულ ხანაში ასეთი მიზნების და მოძულეებულიც კი გახდა. ერთ ძირითად სიუჟეტურ ხაზს უამრავი პატარა, პარალელური ამბავი „ჩაეფინება“ და „მოაქვს...“ ახალი განცდები, შეგრძნებები, ტკივილი, სიხარული, „ნარსულის აჩრდილებიც ნამოუღებენ“ დროდადრო. ლუკა ბაქანიძის პირველი რომანი „მესამე ნაპირი“ ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა (№4-7, 2014). რომანში არის სკაბრეზი, ჟარგონის, ე.წ. სლენგის ფოიერვერკი, „ნარკატა“ და ალკოჰოლი, სექსი (ეროტიკა-პორნოგრაფია) და ეპატაჟი, რაც თითქოს ასე მოჭარბებულია დღეს მსოფლიო თუ ეროვნულ ლიტერატურაში...

თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, მთავარი პერსონაჟი — ჯიო (ჯიოლენდი) და არა თანამედროვე ტექსტებისათვის უკვე ტრადიციული ავტორი-ნარატორი — გვიყვება საკუთარ თავგადასავალს, ცხოვრებას... არ მინდა ნაქარევი დასკვნა გავაკეთო და იმ ადამიანებს დავემსგავსო, რომლებიც ავტორსა და პერსონაჟს დაუფიქრებლად აიგივებენ ხოლმე, მაგრამ წარმოუდგენლად მიმაჩნია ასე წერა, თუ თვითონვე არ გამოსცადე, არ აიკიდე მსგავსი ტვირთი, მინიმუმ „მესამე ნაპირის“ პერსონაჟი მწერალივით — რომანის დასაწერად მაინც უნდა იტრიალო ამგვარ გარემოში, ლოკალში...

ლუკა ბაქანიძე არ ჰგავს კაბინეტის მწერლებს, მხოლოდ პლატონურ სიყვარულზე რომ შეუძლიათ აღმატებულად წერა, რახან სხვანაირი სიყვარული არ გამოუცდიათ, ცხოვრებისათვის დრო არ დარჩენიათ. სხვისი არ ვიცი, მე კი ლიტერატურა საკუთარი გამოცდილების, ემოციის გაზიარება მგონია პირველ რიგში და არა სუროგატულის, წარმოსახვითის... „ნაფაზების დაკაკუნებით“, პიდარასტების, ჰიპების, ჰაკერების კუტოკებით, ელესდეებითა და ათასი ჯურის ნარკოტიკით, სექსუალური სცენებითა და მათი კადრებად ქცევით იხატება ეს ლოკალი, გამომდინარეობს ყოფა, რომელსაც ლუკა ბაქანიძე, ცოტა არ იყოს, იდეალიზებულად წარმოგვიჩინა. სამაგიეროდ, გაღმელთა ყოფა მთლიანად სიყალბეზეა აგებული — ერთმანეთის ცხოვრების გაკონტროლება, მანქანები და ტანსაცმელი, დისკო და ნაშები, სნობიზმი...

იქ ცუკერბერგის სამყარო და ფეისბუქია „ხოლმი“, ონლაინტიპები „იჩითებიან“, აქ კი ბუნებასთან სიახლოვე, ცისა და მიწის სიყვარული, ზღვითა და ვარსკვლავებით, ალიონით ტკობა. აქ მეგობრობაც სხვანაირი იციან და სიყვარულიც. ნეა ჯიოლენდის ერთადერთი სიყვარულია, სუფთა და შეუბღალავი, თუმცა იგი მარკოზას ქალია, „კარუსელის მარაქაში“ კი მეგობრების ქალებთან ამგვარი რამ შეუძლებელია. ამიტომაც ჯიოლენდი მშვიდად, უემოციოდ ეგუება ამ ამბავს და თავისთვის, უპრეტენზიოდ და უპასუხოდ უყვარს... დიდი სიყვარულის გაკონტროლება ყოველთვის უჭირდათ ყველა ეპოქისა და მწერლის პერსონაჟებს... ჯიოლენდისთვის კი უმთავრესი ძმობაა, ნეის სიყვარულის მიუხედავად, ალე და მარკუსა არიან მისი განუყოფელი ძმაილები, ამიტომაც მათთვის ყველაფერს დათმობს, საკუთარ გრძნობებსაც, პერსონასაც.

გამოღმა ადამიანები ნაკლებად არიან პატივმოყვარენი, თუმცა პერსონალურობა, ინდივიდუალობა არცერთს არ აკლია. „უსტატუსო და შემთხვევითი მასტები“ არ არიან.

ჯიოლენდი თითქმის იდეალურია, მუშტისხელა ჰამიშებითა და არყით რომ არ იბრუებდეს თავს, თუმცა ეს რომანში სულაც არ განიხილება უარყოფით ფაქტად. ლუკა ბაქანიძე ისე გაიტაცა ნარკომანის, გამოღმელის თვალთ დახახულმა სამყარომ, რომ ზომიერების გრძნობა დაკარგა. არადა „ოქროს კვეთი“ ყველგან და ყველაფერში საჭიროა, მითუფრო პერსონაჟის, სიტუაციის ხატვისას. ჯიოლენდს მეტ დამაჯერებლობას რამდენიმე სისუსტე და თვითირონია ანიჭებს. ამაში მწერალი მართლაც უბადლოა... „კარუსელის მარაქა“ ამ პათოსით არის დახატული, ყველა „საკუთარმა სპიდმა“ თუ თავგადასავალმა მოიყვანა აქ, ალექსანდერი კრიმინალური ავტორიტეტის პერსპექტივას გამოექცა, ჯიოლენდი — გაუცხოებას, მარკუსა ნამდვილად შიდასთან დაავადებული... აქაურობა, ყოფილი მამაოს თავკაცობით, მარგინალებით არის სავსე, თუმცა ნანარმოებში სწორედ დანარჩენი სამყაროა მარგინალიზებული... ფლეიტით, ტურნის გარმონითა და გიტარით მარაქა საოცარ მუსიკას უკრავს, მაგრამ არც პოპულარობა, არც ფული აინტერესებს. ხალისით იპარავენ სიმინდს, წნილს, ცოცხალ ბატსა და ინდოურს, თევზს, მაგრამ არასოდეს ფულს... ქეიფისა და დროსტარების შემდეგ ნარჩენებს ორმოშო ყრიან, მოჭრილ ხეს ბოდიშს უხდიან, დატყვევებულ დელფინს ათავისუფლებენ...

განსაკუთრებულ მხატვრულ ფუნქციას ასრულებს ჯიოლენდის, როგორც მთხრობელის, რემარკები. პოსტმოდერნისტული ალუზიურობა და ტრადიციული ტექსტების „გადაამუშავება“, გარემოქმედება, თამაშზე, ასოციაციებზე აგებული მხატვრული სტილი სრულიად უცხოა ამ რომანისათვის, რაც მხოლოდ კეთილგანწყობას იწვევს. სამაგიეროდ, აქ გვაქვს მეტატექსტი — საკუთარი ტექსტის, კომპოზიციური თუ არქიტექტონური სვლების ასხნა-განმარტების არცთუ ურიგო მცდელობა...

უნდა აღვნიშნო მითოლოგიური პარალელებიც, რომელიც უფრო ტექსტის სამკაულის ფუნქციას ასრულებს. ეს არც რემითოლოგიზაციაა და არც ახალი მითოსი, ამიტომაც არის საინტერესოც და განსხვავებულიც, თანამედროვე კონტექსტში. „ბეჭერი რომ არ გავაჩმასო, ახლა ჩვენი მატარებელი ჯაყჯაყის მიზეზ-შედეგები და ძმობა გაგება შემომყავს და წელან რაც ვიბოდილა, ეგ შესავალი გავაკეთე იდეაში: რაზგონს რომ იღებ, მერე უფრო ნაღდი გამოდის ამბავი, როგორც იტყოდა ზარატუსტრა.“ ამ რემარკას, რომელიც რომანის ფონზე, ენობრივი თვალსაზრისით, საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება, აუცილებლად უნდა მოყვეს მწერლის მხატვრული ენის შეფასებაც. გასაგებია, რომ ქუჩის მუსიკოსებზე, ნარკომანებსა და უსახლკარო ლოთებზე, მეძაგვრსა და ბოგანოვებზე აკადემიური, მნივინობრივი ქართულით ვერ დანერ, თანამედროვე მწერლობის ენა, ბუნებრივია, ახლოს უნდა იყოს სამეტყველო, ცოცხალ ენასთან, მაგრამ სკაბრეზის ამგვარი მოძალება, ამგვარი სლენგი ხშირად გადაჭარბებული მგონია და არა მხატვრული დანიშნულების მატარებელი... ლუკა ბაქანიძეს აქაც გაუჭირდა „ოქროს კვეთის“ შენარჩუნება, რაც მისი ახალგაზრდული მაქსიმალიზმის გამოვლინებად მიმაჩნია. არადა სწორედ კლიშეებისაგან თავისუფალი მისი ენა საბოლოოდ მწერლის უძლიერეს მხარედ უნდა იქცეს, თუ, თქმა უნდა, ჟარგონულ უკიდურესობას დააღწევს თავს.

თავიდან ვიფიქრე, რომ რომანის უმთავრესი სათქმელი, სწორედ გაღმელთა სიყალბისა და პოზირების, სნობიზმის მხილება იყო, ფრანგი სიურრეალისტი მწერლის ჟაკ რიგოს სიტყვებიც გამახსენდა: „მე მიყურებთ, მაგრამ თქვენს თავს ხედავთ“. მოგვიანებით მეგონა, რომ ლუკა ბაქანიძის მიზანი გამოღმელთა ცხოვრების გარომანტიკულება, იდეალიზაცია იყო, მხოლოდ ფინალისკენ გავაცნობიერე, რომ ორივე გზის დაძლევა და გავლით ცდილობს ჯიოლენდიცა და მასთან ერთად ავტორიც საკუთარი თავისა და მესამე ნაპირის პოვნასაც... სათაურიც

სწორედ ამას უნდა მიანიშნებდეს. აქვე ნიციშეს უკვე ტრივიალურად ქცეული, მაგრამ უნიკალური ფრაზა გამახსენდა — „ყველაფერი რაც არ გკლავს, გაძლიერებს.“ მწერლის მიზანიც სწორედ ეს უნდა ყოფილიყო, ფინალისკენ მკითხველის გაყოლიება თუ შეტყუება, რასაც იგი ოსტატურად ახერხებს. რომანი დიდი ინტერესით და სიამოვნებითაც იკითხება, მიუხედავად ლუკა ბაქანიძის ლექსიკისა, რომელსაც ავტორი ხშირად ესთეტიკურ ჩარჩოებში ვერ აქცევს, სადაც ეს მეტ-ნაკლებად მიღწეულია, ნამდვილად უნაკლო მხატვრული სტილის მონმენი ვხდებით, სიამოვნებასაც არაჩვეულებრივს ვიღობთ. ლიტერატურის უმთავრესი დანიშნულება, განსაკუთრებით დღეს, სწორედ ეს არის — ტექსტით ტკობა, გართობა. უნდა ითქვას, რომ ლუკა ბაქანიძე უბადლოდ თხზავს. ორიოდ ბუნდოვანი ადგილის გარდა (მაგალითად, დიმიტრიოსის ციხე-კოშკთან მომხდარი მკვლელობა), კომპოზიციურად ყველაფერი უზუსტესად არის შესრულებული. უნაკლოა მწერლური ალღო, ფერებისა და ხმების აღქმა, მაგრამ განსაკუთრებული ოსტატობა მარკუსას სიკვდილისა და ფინალური სცენების შეთხზვისას ვლინდება. აქ მთლიანად დაძლეულია „ლიტერატურშიწინა“, ფსევდოტექსტუალური ძიებანი და ზეგავლენა, როგორც ასეთი.

მიუხედავად იმისა, რომ „მესამე ნაპირში“ ნაკლებად არის პოსტმოდერნისტული მხატვრული ხერხებისა და საშუალებების სიჭარბე, ავტორი უდავოდ ამ ეპოქის შვილია. პოსტმოდერნიზმი არ არის მხოლოდ მიმდინარეობა ან თეორიული მოძღვრება, მას ხშირად სამყაროს მდგომარეობას ან „ეპოქის დიაგნოზსაც“ უწოდებენ. „მესამე ნაპირი“ ჩვენი ეპოქის უზუსტესი დიაგნოზია, უამრავი მარგინალით — შიდსიანი, ცისფერი, ჰიპი, ჰაკერი, ქუჩის მუსიკოსი, მეძავე, ნარკომანი, ლოთი საშიში და სტიგმატიზირებული ადამიანებისათვის, თავის მხრივ, სწორედ ეს განსხვავება, მრავალფეროვნება ქმნის სამყაროს, რომლის ქაოტურობაც სიყვარულის, განსხვავებული აზრის, ადამიანის ვერატიანით, გაუცხოებით არის განპირობებული. არადა, როგორი ადვილია — თავად ამ ადამიანების პოზიციიდან, მათი თვალთახედვით აღიქვა და გაიგო ეს მრავალფეროვნება, აქ ადგილი ყველასთვისაა... ეს მრავალფეროვნება ყველას ეკუთვნის, საყოველთაოა...

რაც შეეხება სიახლეს...
 გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურისათვის უცხო არ არის არც ნარკომანიის, არც ლოთობის, არც მეძავეობის, არც ეროტიკულ-პორნოგრაფიული თემები. თავიდან ტრადიციულ მხატვრულ აზროვნებას მიჩვეული ქართველი მკითხველი ძნელად იღებდა ამგვარ ტექსტებს. უფრო ისეთებს გუობდა, სადაც ესთეტიკური ჩარჩოს პრინციპი მყარად მოქმედებდა, ლექსიკა და ენა არ არღვევდა მხატვრული ქსოვილის ჰარმონიას. დღეს მკითხველიც მზად არის მსგავსი ლიტერატურის წასაკითხად, აღსაქმელად, მაგრამ უმთავრესი მოთხოვნა — მწერლის ოსტატობაა. ასეთ ტექსტთა ავტორებს არავინ პატიობს საშუალო დონეზე ყოფნას. ლუკა ბაქანიძემ თავისი რომანით გააერთიანა ყველა ეს თემა და სკაბრუზულ-სლენგური მეტყველებით თითქოს ერთგვარად შეაჯამა-შეაგროვა ყოველივე, თანაც პირველ რომანშივე. თუ ადრე ამას ინდივიდუალური გამოხატულება ჰქონდა, „მესამე ნაპირში“ კოლექტიური მასშტაბები მიიღო. მე პირადად „ქვიშის კარიერის გენერლები“ გამახსენდა, ეს ფილმი



ლუკა ბაქანიძე

1971 წელს გადაიღო რეჟისორმა ჰოლ ბარტლემიმ. იგი კინემატოგრაფისტებმა მსოფლიო კინოკლასიკად აღიარეს. აქაც მარგინალობის ჯგუფურობა, რომანტიკულობა და ტრაგიზმი იყო ხაზგასმული. მსგავსი თემების შემოჭრა ქართულ ლიტერატურაში გლობალიზაციის, სამყაროს გახსნილობის დამსახურებაცაა, არა მხოლოდ კინემატოგრაფიული, არამედ ლიტერატურული სიახლეები ბევრად ხელმისაწვდომი გახდა იმავე ცუქერბერგის წყალობითაც...

„მე ვსაუზმობ კოკაინით, მერე ჭამა აღარ მინდება. საერთოდაც, არ ვჭამ ხოლმე. ვფიქრობ, მე შევად ლიტერატურის ისტორიაში, როგორც „დაექსტაზეზებული მთხრობელი“. თუ ბეროზუმა დანერა ჰერონიზე, ემისმა – კოკაინზე, ვილცამ ხომ უნდა გააუკვდავოს ექსტაზი. ეს ხომ აბსოლუტურად ლიტერატურული ნარკოტიკია, რომელიც ექსპრესიას გვიძლიერებს“ (თარგმნა პაატა შამუგია) — ეს სიტყვები ცნობილი ფრანგი მწერლის ფრედერიკ ბრეგბედერის ინტერვიუდანაა. ასეთია მოდური, „ჰარგ ტონად“ აღიარებული ლიტერატურული თემები დღეს და, ბუნებრივია, მას ქართული მხატვრული აზროვნებაც ვერ აუვლიდა გვერდს.

„მესამე ნაპირი“, ლუკა ბაქანიძის ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად ამ ტერმინის მიმართ, მე მაინც ანდერგრაუნდის ლიტერატურად მიმაჩნია, რომელიც უპირისპირდება მასობრივ კულტურას, მისტრიმს. ანდერგრაუნდი გულისხმობს არაფორმალურ, ცენზურის მიერ აკრძალულ დამოუკიდებელ კულტურას, თუმცა ზღვარი მეისტრიმსა და ანდერგრაუნდს შორის ხშირად ბუნდოვანია... თავის დროზე ანდერგრაუნდად შერაცხული მხატვრული ნაწარმოებები თანდათან მასობრივი კულტურის ნიმუშებად ქცეულან. ამ რომანში სწორედაც რომ ანდერგრაუნდულია — გაბატონებული იდეოლოგიის, სტილისტური და ენობრივი აკრძალვების, აღიარებული ნორმების, დაუნერელები კანონების, სოციალური და მხატვრული ტრადიციების სრული უარყოფა, ყოველდღიურობაში ქცევის ახალი ნორმების შემოტანა. ევროპული და ამერიკული ანდერგრაუნდის ტიპური თემებია — „სექსუალური რევოლუცია“, ნარკოტიკები, ანტირელიგიურობა, მარგინალურ დაჯგუფებათა პრობლემები.

იმავე ინტერვიუში ბრეგბედერი ასეთ სიტყვებსაც ამბობს: „რატომ ვწერ? იმიტომ, რომ ვერ ვპოულობ პასუხს კითხვაზე - „რატომ ვარსებობ?“ მე ის ვერ ვიპოვე ნარკოტიკებში, რელიგიაში, სიამოვნებაში, ოჯახში. მერე იყო ლიტერატურა. ესეც ნარკოტიკია. ასე რომ არა, ვინ აიძულებს ადამიანს, იჯდეს სახლში გამოკეტილი და ქუჩაშიც არ გავიდეს? მე, როგორც ნარკომანს, მჭირდება ჩემი ლიტერატურული „დოზა“,“ სხვანაირად „ლოკმა“ მექნება და აგრესიული ვხდები“.

იმედია, ლუკა ბაქანიძის უმთავრესი ნარკოტიკი ლიტერატურა გახდება და კიდევ არაერთხელ შემოგვაჯავნებს განსხვავებული მხატვრული სტილითა და თხრობის მანერით, პერსონაჟთა არასტანდარტულობითა და ინდივიდუალობით გამორჩეულ პროზას. არ დაავინყდება, რომ ქართული ლიტერატურა არასოდეს ყოფილა მხოლოდ „მოუ“, „სანახაობა“ და მას, სამწუხაროდ თუ საბუნდოვროდ, მხოლოდ გართობის ფუნქცია არ ჰქონია, თუმცა ეს მისი ნამდვილად, გამორჩეული, განსაკუთრებული მისიაა...
 ნარმატებას ვუსურვებ ახალგაზრდა მწერალს ამ რთულ, მაგრამ უდავოდ საინტერესო, ძიებებით აღსავსე გზაზე...

თამარ გუმბერიძე

ბედუკულმართობის შუქ-ჩრდილები

(ბია სოფარიას ნოველა „მეზობლის ჭადარი“)

„ჩვენი მწერლობის“ ა.წ. 27 ივნისის ნომერში დაიბეჭდა გია ხოფერიას ნოველა „მეზობლის ჭადარი“, რომელშიც მძაფრადაა წარმოსახული ჩვენი ყოფიერების ანაქრონიზმი. მწერალი გაუბედურებულ ადამიანთა ფარდახდელ სულსა და ცხოვრებას გვიშეფრავს და გროტესკითა და იუმორით ცდილობს ჩვენი ყოველდღიურობის ამაზრზენი ფაქტები მოიტანოს მკითხველამდე. ავტორს მწერალ-მამხილებლის მანტია მოუხსნამს და გაბედულადაც აუწევია საჯილდაო ქვა.

ნოველის მთავარი გმირის, ცხოვრების ბედუკულმართობის შედეგად დამძიმებულ გულს კიდევ ერთი ახალი დარდი შეემატა. მოსალოდნელ წარღვნას როგორ გადაურჩნენ ან სხვები და ან თვითონ. რადგან მისი სოფელი, როგორც მწერალი წერს: „თარაზოში გამოყვანილივითაა გასწორებული, სადმე ერთ გორაკსა და ბორცვს ვერ დალანდავ წამლად“, რომ თავი შეაფარო, სიცოცხლეზე ფიქრმა მოიცვა მისი გონება და იმედიც აღმოაჩინა — მეზობლის ჭადარი, რომელიც ყველაზე მაღალი, ძლიერი და საიმედო იყო.

მეზობელს თავისი ჭადარი ფუნქციონირებდა როგორც ეგონა, მალევე შეიძინა არსი და მნიშვნელობა, რადგან ჭადარს ადამიანთა გადარჩენის მისია დაეკისრა და ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა.

გადარჩენის ფიქრმა მთელი სოფელი მოიცვა. შიშმა დააკარგვინა ამ ადამიანებს ღირსება, თითქოს მოსიარულე თიხის ჭურჭლებად გადაიქცა ყველა, სადღაც გაქრა ღვთიური და ადამიანური: მგლის ანთებული თვალებით ბურკალიას ჭადრისკენ რიგ-რიგობით მიძუნძულებდნენ, რათა ზედ საკუთარი ადგილი გაენადლებინათ.

საუბედუროდ, გაჭირვებაში ადამიანები სიყვარულით კი არ ერთიანდებიან, არამედ მოყვასის სიძულვილით. ყველა ჩუმად ცდილობდა გზიდან ერთმანეთის ჩამოცილებას.

„...ო, ის მაინც მითხარი, მეოთხე მეზობელი, რა მნიშვნელობა აქვს მარჯვნივ იქნება თუ მარცხნივ, ითვლება თუ არა ახლობლად, რაც თავი მახსოვს ერთმანეთისთვის არაფერი გაგვიფუჭებია, გველის ნაკბენით რომ გამიხსენო, ითვლება თუ არა, და თუ ითვლება, ჯერ კიდევ გათენებული არაა და ამა წკვარამში, ვინ ჯანდაბამ და ამდენმა ჯანდაბებმა რანაირად მომასწრეს შენამდე და თუ მომასწრეს, ყველა ჩემზე ახლობელი რაფერ შეიქმნა?“ — ეკითხება სასონარკვეთილი მეზობელი ჭადრის მეპატრონეს. მწერლის ჩანაფიქრი ნათელია, იგი ფარდას ხდის პერსონაჟთა შინაგან ბუნებას, მათ ქცევებსა და მოქმედებას ცოცხლად გვიხატავს და ცდილობს ცხოვრებისეულ მოვლენათა მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით გაშუქებას.

ბურკალიამ მიზანმიმართულად და სარფიანად გამოიყენა მეზობლებში ქარბორბალასავით დატრიალებული პანიკური შიში და მომგებიანი ბიზნეს-გეგმა შეადგინა, ადგილები გაყიდა ჭადარზე.

ყველა თითქოს დამშვიდდა და ახლა შიშის ნაცვლად სინდისის ხმამ სუსტად, მაგრამ მაინც გაიღვიძა მათში. დაბევებულ ადგილებზე წარწერიანი ნაჭრები ჩამოკიდეს, წარწერე-

ბი თანაგრძნობითა და ცოტაოდენი სიყვარულით იყო გამსჭვალული. სურვილმა გაიღვიძა მათ გონებაში — შერჩენოდათ ადამიანური სახე, მაგრამ როცა მატარებლის გუგუნის წარღვნის მოახლოება ეგონათ, უმალ დაკარგეს ის პატარა სიყვარულის ნატამალი და „... იმ წამსვე ერთმანეთს არ უხედავდნენ, არც მთლიანად თავისიანსაც, შვილს რომ ეძახიან, იმასაც, ისე მოპლეტეს ჭადრისაკენ“ — წერს მწერალი და მიგვახვედრებს, რომ მათი ადამიანური თანაგრძნობა ნამდვილის კარიკატურული და გროტესკული ფორმაა.

ცრუგანგამი აღმოჩნდა, მაგრამ „რეპეტიცია კარგად გაიარეს“.

მოსალოდნელი უბედურება ისევ წინ ჰქონდათ. წარღვნა მართლა რომ მოვიდა, იმედაკარგულები ისევ მოადგნენ იმედის ჭადარს, მაგრამ მათი ადგილები სხვებს დაეკავებინათ. ასე გაუყიდა ღვთისპირნავარდნილმა ბურკალიამ თანამომძეებს უკანასკნელი იმედი. ვისზე? ერთი სული აქვს გაიგოს მკითხველმა, ვინ არიან ის ღირსეულები, მხოლოდ მათ რომ მოიპოვეს სიცოცხლისა და ცხოვრების უფლება, რით გამოირჩევიან, ან რატომ არიან ღვთისა თუ ერის რჩეულები?!

მწერალი პასუხს დაუფარავად სცემს მკითხველ საზოგადოებას. „ესენი დედო არიენ ერის გამრავლების, ხარისხიანი გამრავლების, საექსპორტო გამრავლების, ფულის სესხება-დახარჯვის გამრავლების: ტყუილ-მართალის გამრავლების... კოჭინების დაბადების... რომელთა დევიზია: მიანეჭი! ჩაქოლე! შეჭამე!“

ტარიელ ჭანტურიას ერთი ლექსი მახსენდება:

**სანამ უნდა უთმინოს
ტვინიანმა უტვინოს.
სანამ უნდა უყუროს
გულკეთილმა უგულოს.
სანამ უნდა უწუნოს
მლოცველს რწმენა
ურწმუნომ.
სანამ იგრილონ მათ
ჩვენ კიდევ —
ვინწუნწნოთ!**

მოთხრობაში აღწერილი მხატვრული სინამდვილე ღრმა, ემოციური და დამაფიქრებელია. ჩვენს თვალწინ იშლება დეგრადირებული, მისიადაკარგული საზოგადოება. ავტორი თითქოს საგანგებოდ ეძებს კომიკურ სიტუაციებს, რათა მკითხველამდე მსუბუქად მოიტანოს მოთხრობის პერსონაჟთა ტრაგიკული ყოფა.

თანაგანცდის გვერდით ფიქრ-საღერღელსაც აგვიშლის მწერალი. სად არის ხსნის გზა? ტრაგედიაა, როდესაც ნებით ცდები, სრულიად გაცნობიერებულად მიდიხარ იქით, სადაც შენი თავი არ დაგხვდება. თუმცა ეს სულაც არ არის ნება, საკუთარ თავზე ძალადობას უფრო ჰგავს.

გია ხოფერიას მოთხრობათა პერსონაჟები კლდიაშვილის მისიადაკარგულ გმირთა შთამომავალნი არიან. ისევე როგორც სამანიშვილთა, ქამუშაძეთა და მორბელაძეთა სამყაროში, აქედანაც გაძევებულია სიყვარული, გაძევებულია მოყვასისათვის თანადგომის ბუნებრივი სურვილი და ნამდვილი ცხოვრების ნაცვლად კარიკატურალა შეგვრჩა ხელთ.

ურთიერთგაუტანლობისა და დაუნდობლობის ძველი კანონი დღესაც არსებობს, რომელიც არღვევს ღვთაებრივ წესრიგს სამყაროში. ღმირისმომგვრელია ხალხში მოარული თქმა: მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, — რადგან მგლის მსგავსად ადამიანებიც მოურჯულბელებნი

არიან. მგლური კანონი არ სცნობს მტერ-მოყვარეს, გამო-
ნაკლისებს.

მწერალი დაუნდობელია საზოგადოების მანკიერებათა
წინააღმდეგ. დასანანია, რომ რომანტიკული იდეალები
ანაქრონიზმად იქცა ჩვენს დროში. აღარავის ახსოვს, რომ
სამშობლოს სიყვარული უმთავრესი და მარადიული ადამიან-
ური ღირებულებაა.

ავტორის დამოკიდებულება ირონიული და შეუწყნარე-
ბელია ჭადრის მოძალადე ბინადრებისადმი, მათი ფსევდო-
ინტელექტუალიზმისა და ფსევდოპატრიოტიზმისადმი.

ასეთ მედროვეთა აღზევება სწორედ საზოგადოების იმ
წევრების მარცხია, რომლებსაც ერის მსახურების სურვილი
აქვთ, მაგრამ თვალს ხუჭავენ უზნეობაზე. ასეთი ადამიანე-
ბი, რომლებიც საკუთარ სიმშვიდესა და მყუდროებას უფრ-
თხილდებიან და ძვირფას აჩრდილებთან „მედიუმივით“ ჩი-
ვილით იოხებენ გულს, ავტორის ირონიას იმსახურებენ.

მოთხრობის მთავარი სათქმელიც ესაა, უზნეობასთან
კომპრომისი დანაშაულია, რომელსაც უმკაცრესი საზღაუ-
რი მოჰყვება. იუნგი ბრძანებს, რომ „შინაგანი მზერის გამო-
საცოცხლებლად ადამიანებს გზა უნდა მივასწავლოთ“. სწო-
რედ ამ გზის გაკვალვაში ეხმარება მწერალი საზოგადოებას.

გია ხოფერიას მთავარი მისია სწორედ რომ სიმართლის
პიროვნული მსახურებაა და ეს არის როგორც ქვეყნის, ისე
სულიერი ხსნის გზა.

არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ მწერლის
მხატვრულ-გამომსახველობით ფორმებზე, რის გამოც გია
ხოფერია ღირსეულად დგას გამორჩეულ მწერალთა შორის.

„მწერალს, უპირველესად ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნ-
და ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონო-
მია და უკეთესად რომ ვსთქვათ, — მწერლის სულია. ენაში
იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“, ამიტომ ნიჭი-
ერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ ნაგვიტხავთ
წინათ, შემდეგ ხელმოწერელიც რომ შეგხვდეთ, ადვილად
იცნობთ, ვის კალმსაც ეკუთვნის“.

ვაჟა-ფშაველას ეს აზრი შეიძლება შევეუსაბამოთ გია ხო-
ფერიას შემოქმედებას. მის მიერ გახმოვანებულ მხატვრულ
სიტყვას განსაკუთრებული ხედვა და სტილი მოაქვს მკითხ-
ველამდე. მწერლისათვის ეს ხომ მთავარი სამკაულია, რო-
მელსაც ვერავითარი ზრუნვით, ვერც შრომითა და მიმბაძ-
ველობით ვერ შეისწავლი, თუ შემოქმედმა არ დაგაბერტყა
ნიჭიერების მაღლი.

„...გამოცდილება არ მოიპოვება მარტო გარედან შეძენი-
ლი იდეებისა და ცოდნის მომარჯვებით. გამოცდილება — ეს
არის გრძნობითი, ინტელექტუალური და სულიერი სიფხიზ-
ლე, რაც გამოუმუშავდება ხელოვანის არსებობაში ცხოვრების
განცდისა და განჭვრეტის საფუძველზე. ესა თუ ის აბსტრაქ-
ტული იდეაც პოეტის ნაწარმოებში უნდა იყოს „განსხეულე-
ბული“, დაკონკრეტებული და სახეობრივი გამოსახვის სა-
შუალებით განზოგადებულიც“ — წერს აკაკი ვასაძე წერილ-
ში „პოეტური ფიქრის შესახებ“, სწორედ რომ მხატვრულ სა-
ხეთა გამოსახვის ხელოვნებაშია მწერლის იდუმალება და
საიდუმლოება, მწერალი მაშინ იკავებს მკითხველის გულში
მარადიულ სამყოფს, თუ აბსტრაქტულ სახეებს ინდივიდუა-
ლური განცდითა და ფიქრით, სხვათაგან გამორჩეული
მხატვრულობით ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს.

გია ხოფერიას მოთხრობის სუპერრეალური ამბავი
მწერლური ოსტატობის წყალობით ისეთი სიღრმითა და სა-
ინტერესო მხატვრული სახეებითაა წარმოდგენილი, რომ
მკითხველი ირეალურ, მხატვრულ სინამდვილედ აღქმულ
სამყაროში გადაჰყავს და ესთეტიკურ სიამოვნებას აზიარ-
ებს. ავტორი იყენებს გაუცნაურების მეთოდს საგნისა თუ
მოვლენის ავტომატიზმიდან გამოყვანა და მისი უჩვეულო,

ახლებური აღქმა), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მწერ-
ლის სტილურ ინდივიდუალობას.

სწორად შენიშნავს მწერალი ჯემალ ქარჩხაძე: „ენას
ურიცხვი სახე აქვს. ეს ურიცხვი სახე ურიცხვი ნიუანსებით
იქსოვება — ურიცხვი ფერებით, ურიცხვი ხაზებით, ურიცხ-
ვი ინტონაციებით, ურიცხვი შესამებებით... მეორე მხრივ,
ჩვენც, ყოველ ჩვენგანს, ჩვენი ხასიათი გვაქვს, ჩვენი სტი-
ლი, ჩვენი ფერი, ჩვენი მიდრეკილებანი და თუ ზუსტად არ
შეირჩა შესაბამისობა, თუ ჰარმონია არ დამყარდა ენასთან,
თუ ზომა ზომას ვერ დავამთხვიეთ, ფერი ფერს და და მნიშ-
ვნელობა მნიშვნელობას... ჩვენ ყალბი ვიქნებით.“

გია ხოფერიას სტილის თავისებურების მთავარი განმ-
სახვრელი ფაქტორი არა მხოლოდ ენა, არამედ მისი პი-
როვნული გულახდილობაა, რაც მიუთითებს, რომ იგი სი-
ყალბის აპოლოგეტი არასოდეს ყოფილა.

თანამედროვეობის მხატვრულ ტენდენციად პოსტმო-
დერნიზმს განიხილავენ, როგორც ლიტერატურათმცოდნე-
თა დაკვირვებიდან ჩანს, „პოსტმოდერნიზმს, როგორც
კულტურულ და სოციალურ მოვლენას, დიდად განსაზღვ-
რავს მისი დრო. შეიძლება ითქვას, რომ დრო ამ შემთხვევაში
არ ნიშნავს მხოლოდ თანამედროვეობას, არამედ სულიერ
და მსოფლმხედველობრივ ეპოქას... პოსტმოდერნიზმზე
მსჯელობისას სულიერი დროის კატეგორიას შეიძლება ჩაე-
ნაცვლოს სოციუმის დრო, რადგან პოსტმოდერნიზმი უმე-
ტესად საზოგადოების განვითარების ეტაპთან მიმართებაში
განიხილება. გარდა ამისა, დროის გარკვეულ საზომად შეიძ-
ლება მივიჩნიოთ მხატვრულ-გამომსახველობითი ეტაპები
და შესაბამისად ვიმსჯელოთ რეპრეზენტაციის პერიოდებ-
ზე“ (ბელა ნიფურია „პოსტმოდერნიზმი“, „ლიტერატურის
თეორია“, 2008).

მიუხედავად სიახლისაკენ სწრაფვისა და ორიგინალუ-
რობისა, თანამედროვე მწერლობა დაუპირისპირდა ძველს,
უკვე კლასიკოსობამდე აყვანილ მწერალთა აზროვნებასა და
მსოფლმხედველობას, უპირველესად კი მხატვრული ასახვი-
სა და უფრო ზუსტად მხატვრული გამოსახვის თეორიებსა
და კანონზომიერებებს.

ლიტერატურათმცოდნე და კულტუროლოგი სოსო სიგუა
მიუთითებს რომ „90-იანი წლებიდან საქართველოში კულ-
ტურა ანტიკულტურად იქცა. გაბატონდა ანტინაციონალიზ-
მი, პორნოგრაფია და ბილნსიტყვაობა, რითაც დაუპირის-
პირდა როგორც კლასიკას, ისე მოდერნიზმს. შედეგად პუბ-
ლიკა დაიკარგა როგორც მასაში, ისე ელიტაში. ალბათ, სა-
ქართველოშიც მოხდება განყოფილი ელიტარულ და მასობრივ
კულტურებს შორის, ექნებათ თავიანთი ფორმები. ჯერჯე-
რობით ხდება მასობრივის ვულგარიზება და ელიტარულის
და პროფესიონალურის უარყოფა“ (კულტუროლოგიური სა-
ფუძველები, ტ. VII, 2012).

პოსტმოდერნიზმის მხატვრულ-გამომსახველობითი
ხერხები — სკაბრეზი, ვულგარიზმი, ეპატაჟურობა — არც
გია ხოფერიას პროზისთვისაა უცხო, მაგრამ მწერალი მათ
იყენებს და მხატვრულ სიტყვაში გადააქვს იმისათვის, რომ
ეპოქის სპეციფიკური ნიშნები მკვეთრად შეაგრძნობინოს
მკითხველს.

მწერლის მიერ გამოყენებული ენობრივ-გრამატიკული
კონსტრუქციები, სიტყვათქმნაობა, ზაუმი, მეტაფორულ-
სახეობრივი აზროვნება, ენის სიმახვილე და, რაც მთავარია,
ლიტერატურული თვალის (რას ხედავს და როგორ ხედავს)
გახლავთ გია ხოფერიას მწერლური სტილის ორიგინალუ-
რობის განმსაზღვრელი.

თანამედროვე მწერალთაგან გია ხოფერია ერთ-ერთია,
რომელმაც თაობის სათქმელი პროფესიონალიზმამდე აიყ-
ვანა და ერთგული მკითხველიც შეიძინა.

თინათინ ანასაშვილი

არქივანდრიტი ადამი „სოხუმის ქუჩაზე“

25 ივლისს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრი „მუ-ზა“ მასპინძლობდა წარდგინებას არქივანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის) წიგნისა „სოხუმის ქუჩაზე“. წიგნი აერთიანებს მამა ადამის ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, ესეის, სცენარსა და დოკუმენტურ პროზას. ორგანიზატორები გახლდნენ აფხაზეთის მთავრობა და საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი.

„დიდი პატივია თქვენს წინაშე გამოსვლა, დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ამ საღამოს ორგანიზატორებს, რომ გვაქვს საშუალება შევიკრიბოთ სოხუმის ქუჩაზე, არქივანდრიტ ადამის წყალობით, — განაცხადა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ვახტანგ ყოლბაიამ, — დღეს განსაკუთრებული დღეა, რადგან ყველანი სოხუმის ქუჩაზე შევიკრიბეთ და რაზე უნდა ვისაუბროთ, რა უნდა გავიხსენოთ, თუ არა ქვეული სიზმრად დიოსკურია, ქვეული სიზმრად ცა აფხაზური, ჩვენი სამშობლო და სანატრელად გადაქცეული მხარე. უბრალო არ არის, რომ ბათუმში, სოხუმის ქუჩაზე დაბადებული ქართველის წიგნის გამოცემა ეკუთვნის აფხაზ ქალბატონს ლანა ქეცბას და კიდევ ერთხელ მადლობა მინდა მოვახსენო, მაგრამ განსაკუთრებული მადლობა მაინც არქივანდრიტ ადამს, რომელმაც წიგნი მთლიანად აფხაზეთს მიუძღვნა. ხელთ მაქვს ეს წიგნი, „სოხუმის ქუჩაზე“ და ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს გავრა და თბილისი მარტო სერგო ქობულაძის ნამუშევრებით კი არა, მართლა დაუახლოვდა ერთმანეთს, რადგან ლოცვას დიდი ძალა აქვს, წიგნს დიდი ენერჯია მოაქვს და რწმენას გვიძლიერებს, რომ კვლავ დავბრუნდებით იქ, სადაც ვცხოვრობდით, სადაც ყოველდღე ვართ ფიქრით“.

ჭიათურა-საჩხერის მიტროპოლიტ დანიელს (დათუაშვილი) განცხადებით, „უკვე წლებიან ყველანი აფხაზეთის თემით ვცხოვრობთ, ვფიქრობთ ამაზე ყოველდღე, რადგან ეს არის ჩვენი ქვეყნის სხეულზე მოუშუშებელი ჭრილობა. ეს არის ტკივილი, რომელიც საერთოა და რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს საქართველოს საზოგადოების სიხარულს, მშვიდობას, სიჯანსაღეს. დიახ, ეს მძიმე ტვირთად გვანევს, მაგრამ თუ გავიხსენებთ ჩვენს კულტურას, ჩვენს ცხოვრებას, აფხაზეთის ისტორიას საქართველოში, ქართველთა და აფხაზთა ცხოვრებას, გავიხსენებთ როგორ ახერხებდა ჩვენი წინაპარი გადაელახა წინააღმდეგობანი, უცილებლად აღგვავსებს გრძნობა იმედის, კეთილი მომავლის. ზუსტად ეს გვმართებს დღეს, რომ ტკივილმა უიმედობის განცდა არ გააჩინოს ჩვენში, გულგატეხილობამ არ გვძლიოს. მას ემსახურება ეს წიგნი. მადლობა მამა ადამს ამ დიდი განცდისთვის, ამ დიდი ფიქრისთვის. ეს არის პიროვნება, რომელიც რასაც შეეხება მთელი არსებით აღიქვამს და ამიტომაცაა დღევანდელი საღამო ასეთი დამუხტული, იმიტომ, რომ თვითონ არის დამუხტული დიდი სიყვარულითა და დიდი ტკივილით. ღმერთმა დალოცოს მამა ადამი, მისი შემოქმედება, ღმერთმა დალოცოს აფხაზეთის და საქართველოს მთლიანობა“.

წიგნის რედაქტორის ელენე სარალიძის თქმით, ამ წიგნში მრავალი ტკივილი დაგვამახსოვრებს თავს, ეს ბათუმური სოხუმის ქუჩის სატკივარია. ეს წიგნი ლექსის ზეიმი, სიყვარულის ზეიმი და, ამავედროულად, სოხუმის მონატრება.

კრიტიკოსი მარინე ტურავა: „ამ ბოლო დროს ისეთი განცდა მრჩებოდა, რომ აფხაზეთი მხოლოდ აფხაზეთელებს და სოხუმელებს გვტკიოდა. ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ ეს ჩვენ კერძო, ლოკალურ ტკივილად იქცა. ასეთ დროს, ასეთი სასონარკვეთის უამს მალამოსავით მოგვისწრო მამა ადამის წიგნმა, თვითონ ვიზუალურად კი ისეთი იმედი ჩავგვისახა, რომ მივხვდი — გადავრჩებით, მივხვდი — დავბრუნდებით აფხაზეთში. ლიტერ-

ტურის, მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი დანიშნულება, ალბათ, ის არის, რომ უწამლოს ადამიანს.

ეს კრებული არის დასტური, რომ სამშობლო და უფალი ერთიანი, განუყოფელი, იდენტური ცნებებია. ასე იყო ყოველთვის ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის მანძილზე. მამა ადამის ეს კრებული ჩვენი კლასიკური მწერლობის თავიდან აღსაქმელად და გასააზრებლადც ერთგვარი გასაღებია ოცდამეერთე საუკუნის კონტექსტიდან. ვგულისხმობ თუნდაც ილია ჭავჭავაძის არჩევულებრივ პოემას „განდევილი“. დღესაც კრიტიკოსთა ნაწილის აზრით, განდევლის მარცხი გამოწვეულია იმით, რომ მან სამშობლოს მსახურებაზე უარი თქვა და უფლის მსახურება არჩია. წარმოდგენილია, ილიას ერთმანეთისგან გაემიჯნა მამულის მსახურება და უფლის მსახურება. ილიამ, ალბათ, ყველაზე კარგად იცოდა რა ძალა აქვს ლოცვას და მამა ადამის ეს კრებული ზუსტად დალოცვას და სამშობლოს იდენტურობის ერთგვარი სიმბოლოა. ეს ლექსები ძალიან ბუნებრივად, მცენარესავით, ხესავით, ყვავილივით, ამოიზრდება და განა იმიტომ, რომ მამა ადამმა არ იცის ლიტმცოდნეობის საკითხები, პირიქით, იგი ძალიან განათლებული, ერუდიტი პოეტია, ეს ჩანს მის ლექსებში. მამა ადამი არის არაჩვეულებრივი მეტაფორებით მოაზროვნე პოეტი. ნაკლებადაა მასთან ალექსორია და სიმბოლო, მაგრამ არის არაჩვეულებრივი ტროიული აზროვნება. მოგეხსენებათ, ქართველი ჰიმნოგრაფები თავიანთ სათქმელს ძალიან ხშირად თეთრი ლექსით გამოხატავდნენ, რითმა ითვლებოდა საერო პოეზიის სამკაულად. მამა ადამს აქვს არაჩვეულებრივი თეთრი ლექსი, მაგრამ აქვს კლასიკური ლექსებიც და არაჩვეულებრივად ფლობს რითმის ხელოვნებას.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მამა ადამს თავისი ლექსებისთვის, თავისი ლოცვებისთვის, მაგრამ უნდა ვთქვა ერთი რამ, ვიდრე ჩვენ ყველას არ გვეყვარება ალუდა კეთილურის მსგავსად მუცალი, ზვიადურის მსგავსად ჯოყოლა და ალაზა, მამა ადამის მსგავსად აფხაზი, ვერასოდეს დავბრუნდებით იქ“.

კრიტიკოსი სალომე კაპანაძე: „მამა ადამის წიგნი გადმომცეს ორი დღის წინათ. ორი დღის წინათ მივხვდი, რომ ეს უნდა ყოფილიყო ჩემი სამაგიდო წიგნი. წიგნი, რომელიც მეორედ ნაკითხვის სურვილს არ გიჩენს, ერთხელაც არ წაიკითხება. არის წიგნები, რომელსაც აქვს ის, რაც მარტო ესთეტიკურ ღირებულებაში არ შედის. აქ არის ყველაფერი ის, რაც მე მჭირდება და მომავალშიც დამჭირდება. ერთ ლექსზე მინდა გავამახვილო ყურადღება. „დათვი“ არის გამოფხიზლება, ეს არის ღირსების გაღვიძება. როგორი სიმბოლურია ეს ლექსი. უცხო ტომის ქალს საბელით მოჰყავს ბელი, რომელსაც თავისი ღირსება აქვს დაკარგული. ასე მგონია, უცხოტომელი არის ის, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ, ყვირილით, ხმაურით, იარაღით, ზოგჯერ ძალიან ზრდლობიანადაც ახდენს ჩვენი კულტურული კოდის ნაშლას. ბელები, ალბათ, ჩვენ ვართ, რომლებსაც მამა ადამმა შემოგვიძახა, რომ გვახსოვდეს ვისი გორისანი ვართ. ყველაზე საოცარი ამ წიგნში არის ბიბლიური თემის ნაზავი. მთავარი შტრიხ-კოდი, რომელიც ამ წიგნში დევს, არის მარადიული წიგნი — ბიბლია, რომელიც ყოველ ფურცელზე იგრძნობა, ყველგან გვეძახის. ვიდრე სოხუმის ქუჩაზე არ გადმოვსახლდებით, მანამდე ძალიან შორია გზა აფხაზეთამდე. მადლობა მამა ადამს იმ წუთებისათვის, იმ განცდებისათვის, რომელიც ჩვენი სულიერების ყოველ კუნჭულში შედის“.

საზოგადოებას სიტყვით მიმართა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა სვეტლანა ქეცბამ.

ლონისძიებას ვახტანგ ახალაძე და მაკა შალიკაშვილი უძღვებოდნენ. მათვე ნაიკითხეს ლექსები და მინიატურათა ფრაგმენტები ამ წიგნიდან. მუსიკალურად აფორმებდნენ თემურ ნიკლაური, ანსამბლი „რუსთავი“, ქართველიშვილთა ტრიო. პიანისტმა ნანა ავალიშვილმა თავისი იმპროვიზაციები შესთავაზა მსმენელებს; გოდერძი ჯანელიძემ (ბანი) - ზაქარია ფალიაშვილის „დამისხი, დამალევინი“; საქართველოს სახალხო არტისტმა, ელდარ გენაძემ — აფხაზური ხალხური სიმღერა, კონცერტმანსტერი კონსერვატორიის პროფესორი დარეჯან მახაშვილი გახლდათ; დათო გველესიანმა თავის სიმღერა — „აფხაზეთი“ შეასრულა.

ყველაზე დამაჯერებლად ეს პერსონა გვიჩვენება

(როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექცია გორის უნივერსიტეტში)

ლექციებზე სტუდენტების გაჩერება და მათი დაინტერესება სალექციო კურსით ცოტა რთული ამოცანაა და განსაკუთრებით გაზაფხულ-ზაფხულის ჟამს, როცა ბუნება იღვიძებს და ნათელი-თბილი დღეები ცვლის ცივ-პირქუშ დღეებს. ამ დროს ახალგაზრდები თითქოს ჩქარობენ „მეტი სიცოცხლით იცხოვრონ“, ბევრი მოასწრონ, ბევრი შეიგონონ...

გორის სასწავლო უნივერსიტეტში ოთარ ჩხეიძის სახელობის ქართული ლიტერატურის კაბინეტი ფუნქციონირებს... 26 მაისს ამ კაბინეტის კარი ჩვეულებრივ ცხრა საათზე გააღო დამლაგებელმა, მტვერი გადანმინდა მერხებზე, შეამონმა, ყველაფერი თავის ადგილზე იყო თუ არა, და გავიდა. ათის ნახევრიდან კაბინეტში სტუდენტებმა დაიწყეს შეგროვება, ყველა მოუთმენლად ელოდა ლექციის დაწყებას, რომელიც როსტომ ჩხეიძეს უნდა წაეკითხა. ლექცია ეხებოდა დიდი ქართველი მწერლის შიო არაგვისპირელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ათს რომ ათი წუთი აკლდა ლექტორმა ოთარ ჩხეიძის სახელობის კაბინეტის კარი შემოაღო. გორის უნივერსიტეტის პროფესორი მარინე ცერცვაძე შეეგება სტუმარს და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა, რომ დრო გამონახა... და ლექციაც დაიწყო... (როსტომ ჩხეიძე ხშირად სტუმრობს ხოლმე გორის უნივერსიტეტს)

ლექტორმა ბევრი ისაუბრა შიო არაგვისპირელის პიროვნებაზე, მისი ხასიათის თვისებებზე, როგორც მწერალზე. გაიხსენა მისი ცხოვრებიდან ბევრი საგულისხმო დეტალი, მათ შორის თვითმკვლელობის მცდელობა, შიო მღვიმელთან მეგობრობა, მათი დამდურების მიზეზი და სხვა. როგორც მოგესხენებათ, შიო მღვიმელის ნათესავმა გოგომ შიო არაგვისპირელის გამო თავი მოიკლა. როსტომ ჩხეიძე ამ ამბავში შიო არაგვისპირელს სრულიად უდანაშაულოდ სცნობს. არადა, თავის დროზე ამ ფაქტის გამო შიო მთელმა თბილისმა გარიყა, ყველა მას სდებდა ბრალს, როგორ ვერ შეამჩნია ეს პატარა გოგო რომ ეტროფოდაო, სანყალ გოგოს თავი შეაყვარა და თვითმკვლელობამდე მიიყვანაო...

ლექცია ძალიან საინტერესოდ წარიმართა. სტუდენტებმა ბატონ როსტომს შიო არაგვისპირელთან დაკავშირებით კითხვები დაუსვეს, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს. ყველამ დაიკმაყოფილა ცნობისმოყვარეობა... ლექცია მთავრდებოდა, როდესაც ლექციაზე დამსწრე პროფესორმა გიორგი ხორბალაძემ მოულოდნელად დამაინტრიგებელი კითხვა დასვა — რას ეტყობა როსტომ ჩხეიძე აუდიტორიას ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაზე.

ვიცი, რომ მან 2012 წელს გამოაქვეყნა პიესა „26 ივნისის საიდუმლო“, სადაც საუბარია სწორედ ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაზე. ბატონ როსტომს სულაც არ ჰქონდა გეგმაში ამ თემაზე საუბარი, თუმცა სტუდენტებიც ძალიან დაინტერესდნენ და მანაც ახალგაზრდებს ხათრი ვერ გაუტეხა.

მან სულ თავიდან დაიწყო... დაიწყო ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის მეგობრობით. გაგვახსენა, როგორ ამზადებდა დიდი ილია ივანეს თავის ლიტერატურულ და პოლიტიკურ მემკვიდრედ. ბანკის საკითხებზე მათ შორის უთანხმოება რომ წარმოიშვა, როგორც ბატონმა როსტომმა გვითხრა, ეს კამათი კამათად დარჩებოდა, ეს ორი ადამიანი აუცილებლად გამონახავდა საერთო ენას, ამ საქმეში გარეშე ადამიანები ცუდად რომ არ ჩარეულიყვნენ, ერთიც და

მეორეც რომ არ წაექეზებინათ. ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბელს შორის დაპირისპირება ბანკის კედლებს გასცდა და, ჯერ მთელი თბილისი, შემდეგ კი მთელი საქართველო მოიცვა, ორად გაყო. ამ არეულობის დროს ივანე მაჩაბელი ნააქეზეს კეთილმოსურნეებმა და დაანერინეს პამფლეტი, რომელშიც ილიას პიროვნებას, მის მოღვაწეობას ძირს უთხრიდა; მაჩაბელს ეს საქციელი ბევრმა არ მოუწონა და მომხრეებიც ერთბაშად დაკარგა. ივანეს ჯანმრთელობა შეერყა და, როგორც ბატონმა როსტომმა აღნიშნა, სწორედ ამ ამბების შემდეგ იგი ლოგინად ჩავარდა.

როსტომ ჩხეიძის მოსაზრებით, მან საკუთარ თავს ვერ აპატია ილია ჭავჭავაძეზე სისაძაგლეების დანერა და ამიტომაც შეიქნა ცუდად, და არა იმიტომ, რომ საბანკო ბრძოლისას დამარცხდა.

როსტომ ჩხეიძემ, ივანე მაჩაბლის გაქრობასთან დაკავშირებით, სტუდენტებთან რამდენიმე ვერსია მიმოიხილა და შეეცადა ამ ვერსიების დამაჯერებლობაზე ესაუბრა. ბოლოს კი მოგვახსენა ის ვერსია, რომელიც საფუძვლად უდევს მის პიესას „26 ივნისის საიდუმლო“.

როგორც აღმოჩნდა, ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ნამდვილი მიზეზი იცოდნენ ვახტანგ ჭელიძემ და ოთარ ჩხეიძემ, შალვა დადიანისა, თედო სახოკიასა და გერონტი ქიქოძისგან. თუმცა არცერთს არ სურდა ამ თემის გამოყენება ლიტერატურული ნაწარმოების შესაქმნელად. ამბობდნენ ამის დრო ჯერ არ არისო.

როსტომ ჩხეიძის თქმით, ეს დროც დადგა და 2012 წელს გამოდის პიესა, რომლის მოქმედი პერსონაჟებიც ისტორიული პირობები არიან. ამ პიესას წამმღვარებელი აქვს მოკლე მიმოხილვა, სადაც აღნიშნულია: „26 ივნისის საიდუმლოს“ ავტორი შეეცადა მაჩაბლის გაქრობის გამოკვლევასთან ერთად კიდევ ერთი საიდუმლოს ახსნასაც. ვისაც სურს, მარტოდენ მხატვრულ სიმართლედ იწამოს. ვისაც ნებავს — ისტორიულ სიმართლედაც.“

ილია ჭავჭავაძე — როგორც პიესის პერსონაჟი — საკმაოდ შთამბეჭდავად წარმოგვიდგება. ილია-დეტექტივი. იგი პირადადაა დაინტერესებული საქმის გახსნით, რადგან სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ილიას დამხობას, მის „სორიში შექვრენას“ ცდილობდნენ, მაჩაბლისა და ილიას დაპირისპირება, შემდეგ კი მაჩაბლის გაქრობა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გამოიყენეს... ხალხიც ააზვირთეს. პიესის კითხვის დროს ვხვდებით, როგორი ძლიერია ილია, როგორც გამოძიებელი, ეს გასაკვირი არცაა და თავისუფლად შეგვიძლია დავიჯეროთ, ილიამ ხომ იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა... ამ პიესაში დაუჯერებელი არაფერია, პირიქით, აქ მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი საგარაუდო სიმართლე.

აი ის ვერსიაც, რომელიც საფუძვლად უდევს „26 ივნისის საიდუმლოს“... ტასო ბაგრატიონ-მაჩაბელი (ივანე მაჩაბლის მეუღლე) ქმრის ერთგულებით მინცდამინც არ გამოირჩეოდა. როდესაც ავადმყოფი ივანე მაჩაბელი ლოგინიდან ვერ დგებოდა, ტასოსთან ხშირად იყო „სტუმრად“ უცნობი ოფიცერი. ერთხელაც, დილაუთენია ივანე მისაღებ ოთახში ლასლასით გავიდა და უცნაური სურათის მომსწრე შეიქნა! ვილაც ოფიცერი ტანზევით შიშველი იჯდა, ტასო კი მის მუნდირს აუთოებდა. მაჩაბელმა ძალ-ღონე მოიკრიბა, უთოს ხე-

ლი დასტაცა და მაღლა შემართა, ოფიცირმა ხელი კი დაუჭირა. ვანოს დაუძღვრებულმა სხეულმა ვერ გაუძლო, უთო ხელიდან გაუვარდა და... ოფიცერი გაიქცა, ტასო მაჩაბელმა სოსიკო მერკვილაძე მოიხმო თავისთან, შემდეგ აკაკი წერეთელთან აფრინა, რადგან აკაკის ფარული გრძნობების შესახებ ტასომ უწყობდა და ისიც იცოდა, რომ აკაკი მას არ გასწიწავდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ივანე მაჩაბლის გვამი საკირეში დაწვეს, ქალისა და ოჯახის ღირსების შესანარჩუნებლად, ეს ამბავი კი დამალეს. თუმცა პიესაში ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე, თავისი საუცხოო ალლოთი, სიმართლეს არკვევს, მაგრამ, აკაკის თხოვნით, ამ ამბავს ისიც საიდუმლოდ ინახავს.

ივანე მაჩაბლის გაუჩინარებასთან დაკავშირებულ ახალ ვერსიას სტუდენტები სულგანაბულები უსმენდნენ და წინა ვერსიებთან შედარებით ეს ყველაზე დამაჯერებლად მოეჩვენათ. გაზაფხულ-ზაფხულის ჟამს ლექციებზე სტუდენტების გაჩერება განსაკუთრებით რთულდება ხოლმე, რადგან ბუნება იღვიძებს, თბილი დღეების რიცხვი მატულობს... თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სტუდენტები ორ საათზე მეტი სულგანაბულნი სხედან და გული არავის გარეთ არ მიუწევს.

ანი ცაციაშვილი
მაგისტრანტი

დადლილცისფერი სამყაროს ბინადარი

(ქალღვნება ელას)

ჩემი არა, მეზობლის ეზო ყოველ დილით ლურჯად ლივ-ლივებს — ვარდკაჭაჭები იღვიძებენ, თითქოს ზეცას მინაზე ერთბაშად ათასი თვალი გაეხილოს.

ვარდკაჭაჭები — შენი სულის უჩინარი ყვავილები, ვერ-შემჩნეული, ვერდანახული...

შუადღის მოახლოებისთანავე თვალებს ხუჭავენ, სიზმრების მრუშე ბურუსში იძირებიან. იძინებენ და თან მიაქვთ ლურჯის მხოლოდ მათეული ნაირსახეობა — „დადლილი ცისფერი“.

არა, ვარდკაჭაჭები მაინც რამ გამოგარჩევინა ამდენ ყვავილში (თუ სარეველაში — ბარემ „ესეც ვთქვათ“), რამ შეგაყვარა „ვერმომშრიალე, ვერხასხასა“, თითქმის უფოთლო ღეროები, შე მათსავით ფიქრსა და დარდში დაყურსულო, დადლილცისფერო, ფიქრდარდიანო.

ჰო, ნეტა ვარდკაჭაჭები რამ შეაყვარაო, თავდაპირველად ეს კითხვა ჩნდება, მაგრამ იქვე ხვდები, რომ სწორედ ამ ყვავილებით ცხადდება ყველაზე იდუმალი მისტერია — დედის თვალები (ეს წიგნიც ხომ დედის ხსოვნას ეძღვნება), ღია მწვანე ღეროებიდან „როგორც სული გამოხელილი...“

წინ შენი ახალი კრებული მიდევს, ვარდკაჭაჭებით მოქარგული, შენი და მათი სევდა-ტკივილით სავსე. სევდის წიგნია „ცხოვრებაგაუმტარი“. აქ ყველა ლექსიდან ტკივილი ჟონავს. ტკივილი არა უბრალო, ადვილმოსაშუშებელი, ადვილდასაამებელი, არამედ

სულის ხერხემალს ჩაფრენილი, ჩახორცებული, ოქროსვედის წყალში ნაფერი,

ტკივილი — შენი და დადლილცისფერი ყვავილების სულის ნაჟური.

აქ მყუდრო სახლში „ჩაიდანში ზამთარი დულს“, პატარა გოგოს ნიბლია ჰქვია და „ზღაპრების სურნელით სავსე“ ბებიის წყალობით

**კირით შეფეთილ კედელზე...
იქერნება სამყარო.**

აქ ცხოვრობს ქალი, რომელმაც გოგობისას დედის კალთიდან სულსწრაფად ამოკრიფა ხელები, რომელთაც იმ ძველი ნდობით ვერავისკენ ველარ ინვდის. ქალი, რომელიც „ძლივს მიათრევს“ წესრიგით დამძიმებულ თავისუფლებას.

აქ ფეთქავს „მინა გაუჭრელი“, დედის „კარადაში გადანახული კრეპურორეტივით“.

აქ სიზმრის მამა შვილს პარასკევის „ჯვარედინა ჯვარს“ უტოვებს ტვირთად, ხოლო თავად მის საფლავს ფერისცვალების დღეს ცხადად აჩნია

შეუმშრალი ნაკადული შესანდობარის, ცრემლებივით ნაგრძელებული.

აქ გალაკტიონს პალტოს ნაცვლად „გიჟის კვართს“ აცმევს საქართველო.

აქ მზეზე „ბრწყინავს ავიაქარავანი“. კარგ ტონად ითვლება მომლოცველობა, თუმცა

ღვთაებრივი ცეცხლის ფრიალით სულ მდიდრები პილიგრიმობენ,

ღარიბთათვის კი

ჰკიდია მძიმე ალაყაფი აფიცრულ ზეცას.

აქ მეძუძურმა სამშობლომ

ბოლო წვეთებიც გაიბრუნა, გაიკრა მკერდი სისხლიანი,

.....
ნამოკრიფა, ვინც ხელში მოხვდა და კნუტებივით ესროლა წყვდიადს.

აქ პოეტის ჩრდილს დაუკარგავს მეგობარი ჩრდილი, ომარ თურმანაულის მთვარე კი „ნარის ეკლებზე იკანრავს კანჭებს“.

აქ სხვანაირი მარიას ეზოში ყვავის უცხო ვარდები და ჟასმინები.

აქ სახლობს

დადლილი სული ვანო პაპასი, ულამაზესი საწამლავით თავმოკლულისა.

აქ „სთვლისპირების დამზრალი სტრიქონებიდან“ წვეთავს ჩუმი ნალველი, უხმოდ წკრიალებს „გულის მონეტაც...“ კიდევ ბევრი რამ ხდება აქ, ეს ხომ „ცხოვრებაგაუმტარი“...

P.S. ესეც ამბავი, სევდის ქალო, ესეც ამბავი, შენი და ვარდკაჭაჭა წიგნის დარდით ნაფერი.

ეთერ ბერიძე

ალბერ კამიუ

მოლატა ცოლი

ავტობუსში საიდანაც ერთი გალეული ბუზი გაჩნდა, თუმცა არცერთი ფანჯარა ღია არ ყოფილა. უხმოდ და უცნაურად მოძრაობდა ზევირ-ქვევით. ერთხანს ჟანიმმა მხედველობიდან დაკარგა, თუმცა შემდეგ კვლავ დაინახა, როგორ დააჯდა მის ქმარს უმოძრაო ხელზე. ციოდა. გარეთ ქვიშიანი ქარი ქროდა და ფანჯარაზე ყოველი მიხეთქებისას ბუზი საცოდავად კრთებოდა. ზამთრის დილის მკრთალ შუქში ავტობუსი რკინის კორპუსის ხრჭალითა და ყანყალით გაჭირვებით მიიწვედა წინ. ჟანიმმა ქმარს გახედა. ჭაღარა, ეკალივით თმა მოკლე შუბლზე გადმოსვლოდა, სქელი ცხვირი, უსწორმასწორო პირი მარსელს გაბუტული ფანჯრის შესახედობას აძლევდა. ყოველი ორმოს გადავლისას მარსელი ცოლს ეხლებოდა, შემდეგ თავის ადგილს უბრუნდებოდა, მძიმე სხეულით გაშლილ ფეხებს ეყრდნობოდა და კვლავ წინ იყურებოდა გათიშული მზერით. ფხიზლად მხოლოდ მისი უთმო ხელები ჩანდნენ, რომლებიც კიდევ უფრო მოკლედ გამოიყურებოდნენ, რადგან ნაცრისფერი ფლანელის პიჯაკის სახელოები პერანგის მანუეტებზე გადადიოდნენ და მათგან უფარავდნენ. მარსელის ხელებს ისე მძლავრად ჩაებლუჯათ მუხლებს შორის მოთავსებული ტილოს პატარა ჩემოდანი, რომ გზააბნეული ბუზის შეხებას ვერ გრძნობდნენ. უეცრად მკაფიოდ გაისმა ქარის შხუილი და ქვიშის ბურუსი, რომელიც ავტობუსს გარს ერტყა, კიდევ უფრო შესქელდა. გეგონებოდათ ვილაცის უხილავი ხელი ფანჯარას ქვიშას ახეთქებდა, ბუზმა შეცივებული ფრთები შეარხია, თათები მოხარა და გაფრინდა. ავტობუსმა სვლა შეანელა, იფიქრებდით, გარეუბნის აპირებსო, შემდეგ ქარი თითქოს შესუსტდა და ავტობუსმა კვლავ აკრიფა სიჩქარე. სინათლის სხივებმა უდაბნოს მტვრით დაფარული პეიზაჟი გამოაჩინა. ფანჯარაში ორიოდე წვრილმა და გაქუცულმა პალმამ ჩაიარა, რომლებიც თუნუქისგან გამოჭრილი გეგონებოდათ.

— საზიზღარი ადგილია! — თქვა მარსელმა.

ავტობუსი მოსასხამებში გახვეული, მძინარე არაბებით იყო სავსე. ზოგიერთი სკამზე ფეხმორთხმული იჯდა და მოძრაობისას სხვებზე მეტად ირყეოდა. მათი სიმშვიდე და დუმილი ჟანიმს გულს უწვრილებდა. ეჩვენებოდა, თითქოს ამ დაძმუნებულ ესკორტთან ერთად უკვე რამდენიმე დღე მგზავრობდა; თუმცა მხოლოდ ორი საათი იყო გასული, რაც განთიადზე, დილის სიგრილეში, ავტობუსი რკინიგზის ბოლო პუნქტიდან დაიძრა მოლუშული, კლდიანი ზეგანის მიმართულებით და პირდაპირ მონითალო ჰორიზონტისკენ აიღო გეზი. მაგრამ ქარი ამოვარდა და თანდათან შთანთქა ეს უზარმაზარი სივრცე. გარეთ უკვე აღარაფერი ჩანდა. ყველანი მიჩუმდნენ, უხმოდ აგრძელებდნენ მგზავრობას უძილო ღამის შემდეგ, მხოლოდ ზოგჯერ ტუჩებს და თვალებს იწმენდნენ ავტობუსში შემოდინებული ქვიშისგან.

— ჟანიმ!

ქმრის დაძახილზე ჟანიმი შეკრთა. უკვე მერამდენედ გაიფიქრა, რამდენად სასაცილო იყო ასეთი სახელი მისნაირი სქელი და ზონზროხა ქალისთვის. მარსელს აინტერესებდა, სად იყო მათი სამგზავრო სკივრი, რომელშიც ქსოვილების ნიმუშები ელაგა. ჟანიმმა სკამის ქვეშ სივრცე ფეხით შეამოწმა და როცა რაღაცას შეეხო, გადაწყვიტა, რომ ეს სამგზავრო სკივრი უნდა ყოფილიყო. ძირს დახრა უჭირდა, რად-

გან მაშინვე ჰაერის უკმა-რისობა ენწყებოდა. თუმცა კოლეჯში სწავლისას ტანვარჯიშში ყველას სჯობდა და ქომინსაც არასდროს უჩიოდა. რა დრო გავიდა მას შემდეგ? ოცდახუთი წელი. თითქოს არც გაეცლო ამხელა დროს, თითქოს გუშინ იყო, როცა არჩევანს აკეთებდა ქორწინებასა და თავისუფალ ცხოვრებას შორის, დიახ, გუშინ, როდესაც შიშით ფიქრობდა, რომ მარტოს ელოდა დაბერება. მაგრამ მარტო არ იყო, სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა, ახლა მის გვერდით იჯდა. საბოლოოდ მაინც დათანხმდა, თუმცა მარსელი დაბალი იყო და ჟანიმს არ მოსწონდა არც მისი ხმამაღალი, წყვეტილ-წყვეტილი სიცილი და არც მისი შავი, გადმოკარკლული თვალები. თუმცა მოსწონდა მისი გულადობა, მხნეობა, რაც დამახასიათებელია ამ კუთხის ფრანგებისთვის, ასევე მოსწონდა, როგორ შეცბუნდებოდა ხოლმე, როდესაც ვინმე ან რაიმე გააღიზიანებდა, მოლოდინს გაუცრუებდა. მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ჟანიმს უყვარდა, როცა მას სიყვარულით ეპყრობოდნენ! და მართლაც, მარსელი მუდმივად მზრუნველობდა ჟანიმზე, დარწმუნებული, რომ ეს ქალი მისთვის იყო გაჩენილი და ამას ისე ხაზგასმით გამოხატავდა, რომ ჟანიმი თავის არსებობას ცხადად გრძნობდა. არა, ის მარტო არ იყო...



ავტობუსი ხმამაღლა ასიგნალებდა და გზას მიიკვლევდა უხილავ დაბრკოლებებს შორის, თუმცა მგზავრები მშვიდად ისხდნენ. ჟანიმმა უეცრად ვილაცის მზერა იგრძნო და სკამისკენ მიიხედა, რომელიც გასასვლელთან, თავისივე რიგში იყო. ის არაბი არ გახლდათ და ჟანიმს გაუკვირდა, რომ გამგზავრებისას ვერ შენიშნა. საჰარის ფრანგული კოლონიური ჯარის ფორმაში გამოწყობილს, თავზე ტილოს კეპი ეხურა, მზით გარუჯული, გრძელი და წამახვილებული სახე რალაციტურას მიუგავდა. იგი თავისი ნათელი თვალებით ჟანიმს მკაცრად და დაჟინებით შესცქეროდა. ჟანიმი მოულოდნელად განითლდა და ქმრისკენ მიიხედა, ის კი კვლავ წინ გასცქეროდა ქარსა და ბურუსს. ჟანიმი პალტოში შეიფუთნა, თვალწინ კვლავ ფრანგი ჯარისკაცი ედგა, გრძელი და თხელი, ფრენჩში გამოწყობილი, ქვიშის და ძვლების ნარევიდან აშენებული, მყიფე და მსხვერვადი მასალისა გეგონებოდათ. ჟანიმმა ახალა შენიშნა მის წინ მსხდომ არაბთა გამხდარი ხელები და მზით გარუჯული სახეები, ისინი თავიანთ მოსასხამებში გახვეულები უფრო თავისუფლად ეტეოდნენ სკამებზე, ვიდრე ის და მისი ქმარი. ჟანიმმა პალტოს კალთები შემოიკეცა. არცთუ ისე სქელი, დიდი და მსუქანი იყო, უფრო ხორცსავსე და სასურველი — ამას მამაკაცების მზერით გრძობდა. ბავშვური სახე, ნათელი და ღამაზი თვალები მის თბილ და მიმზიდველ სხეულს აშკარად არ შეესაბამებოდა.

არა, ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა. როდესაც მარსელმა მისი წაყვანა გადაწყვიტა, ჟანიმმა გააპროტესტა. მარსელი ამ მოგზაურობას დიდი ხნის წინათ აპირებდა. ჯერ კიდევ ომის დამთავრებისას,

როცა საქმეები ურიგოდ არ მისდიოდა. ომამდე, იურიდიულზე სწავლა რომ შეწყვიტა, მშობლებისგან დარჩენილი, ქსოვილების პატარა მალაზია ჰქონდა და ცხოვრებასაც არ ემდუროდა. სანაპიროზე ყოფნას ახალგაზრდებისთვის ბედნიერების მოტანა შეეძლო. მაგრამ მარსელს ხელის განძრევა ეზარებოდა და საკმაოდ სწრაფად შეწყვიტა ცოლის ტარება პლაჟზე. მათი პატარა ავტომანქანა მხოლოდ კვირა დღეებში გადიოდა ქალაქიდან. დანარჩენ დროს თავის საყვარელ ფერადი ქსოვილების მალაზიაში ატარებდა, რომელიც ნახევრად ადგილობრივი და ნახევრად ევროპული კვარცხანის თაღის ჩრდილქვეშ იდგა. დუქნის თავზე, არაბული შპალერიითა და ბარბელის სტილის ავეჯით განწყობილ სამოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. შვილები არ ყოლიათ. ასე გადიოდა წლები ნახევრად მიხურული დარაბებით დაბინდულ ბინაში. ზაფხული, პლაჟი, გასეირნება, ზეცაც კი სადღაც გადაკარგულიყო. მარსელს თავისი საქმის მეტი არაფერი აინტერესებდა. ჟანინი მიხვდა, რომ ქმრის ნამდვილი გატაცება ფული იყო და ეს არ მოსწონდა, თუმცა ვერ იტყოდა, რატომ. კაცმა რომ თქვას, ჟანინი სარგებლობდა ამ სიკეთით. მარსელზე ვერავინ იტყოდა, ძუნწიაო, პირიქით, ხელგაშლილი კაცი გახლდათ, განსაკუთრებით ჟანინის მიმართ. „თუ რამე დამემართა, — ეუბნებოდა მას, — დაცული იქნები“, და მართლაც, გაჭირვების შემთხვევაში ხომ უნდა ჰქონოდა თავშესაფარი. როგორ უნდა გაეტანა თავი? ამაზე დროდადრო ფიქრობდა. ამასობაში მარსელს დავთრების წარმოებაში ეხმარებოდა და ზოგჯერ მალაზიაშიც ენაცვლებოდა. ყველაზე ძნელი პერიოდი ზაფხული იყო, როდესაც სიცხე მოწყენილობის ტკბილ შეგრძობასაც კლავდა.

მაგრამ უეცრად შუა ზაფხულში ომი, მარსელის განვევა, შემდგომ უკან დათხოვნა, ქსოვილების დეფიციტი, საქმეების შეჩერება, ცარიელი და ცხელი ქუჩები. რამე რომ მომხდარიყო, ჟანინი ნამდვილად ვეღარ იქნებოდა დაცული, ამიტომ, როგორც კი ქსოვილები კვლავ გაჩნდა ბაზარზე, მარსელმა გადაწყვიტა, ქვეყნის სამხრეთისა და ზემო ზეგანის სოფლები შემოეწყო და უშუაკაცებოდ თვითონვე მიეყიდა თავისი საქონელი არაბი ვაჭრებისთვის. მარსელს ცოლის წაყვანა უნდოდა. ჟანინმა იცოდა, რომ გზები სავალალო მდგომარეობაში იყო, თავად ქოშინი ანუხებდა, ამიტომ ერჩია, ქმარს შინ დალოდებოდა. მაგრამ მარსელი გაჯიუტდა და ჟანინი დათანხმდა, რადგან წინააღმდეგობის გასაწევად ძალა არ ყოფნიდა. ახლა ისინი ერთად იყვნენ. ირგვლივ არაფერი ჰგავდა იმას, რაც ჟანინს გამგზავრებამდე ჰქონდა წარმოდგენილი. იგი შიშით ფიქრობდა აუტანელ სიცხეზე, ურიცხვ ბუზზე, ანანასის არყის სუნით გაჟღენთილ ბინძურ სასტუმროებზე. ვერასდროს წარმოედგინა ასეთი სიცივე, გამჭოლი ქარი, მთის ქანების მონატეხი ქვებით ჩახერგილი, თითქმის გამყინვარებული ზეგანი. ჟანინი პალმებზე და რბილ ქვიშაზე ოცნებობდა. ახლა კი ხედავდა, რომ უდაბნო ასეთი არ ყოფილა — მხოლოდ ქვები და ქვები, ყველგან, ცივი და ხრაჭუნა ქვის მტვერი, ცამიცი და მიწაზეც, სადაც თითო-ოროლა გამხმარი ბალახი თუ ამოყოფდა თავს.

უეცრად ავტობუსი გაჩერდა. მძღოლმა მგზავრებს რამდენიმე სიტყვა უთხრა იმ ენაზე, რომელიც ჟანინს მთელი ცხოვრება ესმოდა, მაგრამ ვერასდროს იგებდა.

— რა ხდება — იკითხა მარსელმა. ამჯერად მძღოლმა უკვე ფრანგულად განმარტა, რომ ქვიშა კარბურატორი გაჭედა, მარსელმა კიდევ ერთხელ მიაგინა იქაურობას. მძღოლი გაიკრიჭა, გამოაცხადა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა და გზას გააგრძელებდნენ. როგორც კი მძღოლმა ავტობუსის კარი გააღო, ცივმა ქარმა შიგ შეაღწია და მგზავრებს სახეში წვრილი ქვიშა შეაყარა. არაბებმა ცხვირი მოსასხამებში ჩარგეს და კიდევ უფრო მოიკუნტნენ.

— კარი დახურე! — დაიღრიალა მარსელმა. მძღოლი, გაღიმებული, შიგნით შებრუნდა, ყუთიდან დინჯად ამოიღო ინსტრუმენტები, კვლავ გარეთ გავიდა, ნისლში ჯერ დაპატარავდა, შემდეგ საერთოდ გაქრა. ავტობუსის კარი ღია დეტოვა.

— დამიჯერე, ცხოვრებაში ძრავი არ უნახავს!

— მოეშვი — უპასუხა ჟანინმა.

უეცრად ჟანინი შეკრთა. ავტობუსთან ახლოს, მიწის ნაყართან, უძრავად იდგნენ უცნაური, მოსასხამებში გახვეული ფიგურები. მოსასხამის კაპიუშონის ქვეშ, პირბადის უკან მხოლოდ თვალები უჩანდათ. კაცმა არ იცის, საიდან გაჩნდნენ. იდგნენ და მდუმარედ შესცვიროდნენ მგზავრებს.

— მწყემსები არიან — თქვა მარსელმა.

ავტობუსში სრული სიჩუმე სუფევდა. მგზავრებს თავები ჩაეჭინდრათ და თითქოს ქარის ხმას უგდებდნენ ყურს, რომელიც თავისუფლად ნავარდობდა უსასრულო სივრცეში. უეცრად ჟანინმა, გაოცებულმა, შენიშნა, რომ ავტობუსში თითქმის არ იყო ბარგი. რკინიგზის სადგურზე მძღოლმა ჩემოდნები და რამდენიმე ფუთა ავტობუსის სახურავზე შემოდო, შიგნით კი, ბადეებში, მხოლოდ კორძიან ხელჯოხებს და კალათებს თუ მოკრავდით თვალს. როგორც ჩანდა, სამხრეთის ეს მაცხოვრებლები ხელცარიელი მგზავრობდნენ.

ჩქარა მძღოლიც დაბრუნდა, კვლავინდებურად მხენი პირბადიდან, რომელიც სახეს უფარავდა, მხოლოდ მომღიმარი თვალები უჩანდა. გამოაცხადა, მივემგზავრებითო, და კარი მიხურა. ქარი მიწყნარდა და ფანჯრებზე ქვიშის შეხეთქების ხმა უკეთ გაისმა. ავტობუსის ძრავამ ერთი წამოახველა, შემდეგ დადუმდა. სტარტერის დიდი ხნის წვალეების შემდეგ, როგორც იქნა, დაიქოქა. მძღოლმა აქსელერატორს ფეხი დააჭრა და მანქანაც აღმუვლდა. ბოლოს ერთი მძღავრად დაასლოკინა და ადგილიდან დაიძრა. უძრავად მდგომი, ძონძებით შემოსილი მწყემსების ჯგუფიდან ვილაცის ანეული ხელი გამოჩნდა, რომელიც თანდათანობით გაქრა უკან, ნისლში. ავტობუსმა მცირე ხანში ხტუნვა დაიწყო — გზა უფრო და უფრო უარესდებოდა. ავტობუსი ინჯლოდა და არაბებიც, შესაბამისად, აქეთ-იქით ქანაობდნენ. ჟანინს ის იყო, უნდა ჩაეძინა, რომ მის წინ პალმის წვნიანი სანუნნი კანფეტით სავსე ყვითელი ყუთი შენიშნა. ჯარისკაცი-ტურა მას უღიმოდა. ჟანინმა მცირე ყოყმანის შემდეგ ერთი ამოიღო და მადლობა გადაუხადა. ტურამ ყუთი ჯიბეში ჩაიღო და სახიდან ღიმილი მყისიერად გაუქრა, ახლა იგი გზას გასცქეროდა. ჟანინმა მარსელს გახედა და მისი სქელი კეფა შერჩა მხოლოდ. მარსელი ფანჯრიდან შესქელებულ ბურუსს მიმტერებოდა, რომელიც მინაყრილის თავზე იდგა.

მგზავრობის დანაწიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ავტობუსში ყველას დალბა შეეიტყო. უცემო გარედან ყვირილი მოისმა. მოსასხამში გახვეული ბავშვები ავტობუსის ირგვლივ ბზრიალებდნენ, ხტუნავდნენ და ტაშს უკრავდნენ. ავტობუსი ოაზისში შესულიყო — გრძელ ქუჩას დადგომოდა, სადაც დაბალი სახლები იდგა. ქარი კვლავ ქროდა, მაგრამ შენობები ქვიშას აკავებდნენ და სინათლეც მატულობდა, თუმცა ზეცა კვლავაც მოქუფრული იყო. ბავშვების შრიამულში ავტობუსი მუხრუჭების ღრატუნით გაჩერდა თიხით ნაშენი, თაღებიანი, ჭუჭყიანფანჯრებიანი სასტუმროს წინ. ჟანინი ავტობუსიდან ქუჩაში გადმოვიდა და იგრძნო, რომ შებარბაცდა. სახლების სახურავების ზემოთ მდგომი ყვითელი, კოხტა მინარეთი შენიშნა. მარცხენა მხარეს ოაზისის პირველი პალმები გამოჩნდნენ და ჟანინს გულმა იქით გაუწია. შუადღე კი იყო, მაგრამ კვლავ ციოდა, ჟანინი ქარისაგან კანკალებდა. მარსელისკენ მიბრუნდა, მაგრამ ჯარისკაცი დაინახა, რომელიც მას უახლოვდებოდა. ჟანინი ელოდა მისალმებას ან ღიმილს, მაგრამ ჯარისკაცმა უხმოდ ჩაუარა

გვერდით, ისე, რომ არც გაუხედავს მისკენ და თანდათან თვალს მოეფარა. მარსელი კი ავტობუსის სახურავზე დამაგრებული თავისი ქსოვილებით სავსე შავი სამგზავრო სკივრის ჩამოღებას აკვირდებოდა. ეს არცთუ ისე მარტივი პროცესი იყო. სახურავზე ამძვრალი მძღოლი ბარგს არიგებდა და თან ავტობუსის ირგვლივ თავმოყრილ მოსასხამებიან არაბებს ელაყებოდა. ჟანიის გარს შავგვრემანი, გაძვალტყავებული არაბები ეხვივნენ და ხორხისმიერ ბგერებს გამოსცემდნენ. მან დალლა იგრძნო და მარსელს მიმართა, რომელიც, გაცხარებული, მძღოლს შეკითხვებს აყრიდა:

— მე ზემოთ ავალ!

ჟანიის სასტუმროში შევიდა. მის წინ სასტუმროს მეპატრონე, გამხდარი და მდუმარე ფრანგი, გაჩნდა. ჟანიის მეორე სართულზე აიყვანა, სადაც დახურული გასასვლელი ქუჩას გადაჰყურებდა. ნომერში რკინის საწოლი, მინანქრის თეთრი საღებავით გადაღებილი სკამი და ტანისამოსის უფარდო განჯინა ჩანდა, ლერწმის შირმით ტულაღეტი გამოყოფილიყო, სადაც პირსაბანს ქვიშის ნაზი ფენა გადაკვროდა. როდესაც სასტუმროს პატრონმა კარი მიიხურა, ჟანიმ ცარიელი და კირით შეთეთრებული კედლებიდან გამოსული სიცივე იგრძნო. ჟანიმ არ იცოდა, სად დაედო ჩანთა, იმასაც ვერ მიმხვდარიყო, თვითონ რა უნდა გაეკეთებინა. გინდ დანოლილიყო, გინდაც ფეხზე მდგარიყო, სიცივე მაინც ერთნაირად აკანკალებდა. ჟანიი კვლავ ფეხზე იდგა, ხელში ჩანთა ეჭირა, სარკმელს მიშტერებოდა, რომელიც ჭერთან ახლოს იყო და ცა მოჩანდა. რალაცას ელოდა, თვითონაც არ იცოდა, რას. მხოლოდ საკუთარ მარტოობას გრძნობდა, გამყინავ სიცივესა და უჩვეულო სიმძიმეს მკერდში. ჟანიი ოცნებებმა წაიღეს, აღარ ესმოდა არც ქუჩის ხმაური და არც მარსელის მჭექარე ხმა, მხოლოდ სარკმლიდან შემოსული მდინარის ტალღების მოძრაობას და პალმებიდან გადმოსული ქარის ქროლვას გრძნობდა, მისთვის ახლობელს. შემდეგ ქარი გაძლიერდა, წყლის ტკბილი ხმა ტალღების სტვენად გადაიქცა. ჟანიმ წარმოიდგინა, რომ კედლებს იქით მოქნილი და ტანწერნეტა პალმების ზღვა ქარიშხალს აეჭოჩრებინა. ვერაფერს მიაშვავებდი ჟანიის მოლოდინს, მხოლოდ ის უხილავი ტალღები ესალბუნებოდა მის დაღლილ თვალებს. ხელებდაშვებული, მოუქნელი, წელში ოდნავ მოხრილი ჟანიი კვლავ ფეხზე იდგა, სქელ ფეხებს სიცივე შეუმჩნეველად ეუფლებოდა. თვალწინ კვლავ მოქნილი და მაღალი პალმები დაუდგა და ახალგაზრდობა მოაგონდა.

ცოლ-ქმარმა თავი მოინწესრიგა, შემდეგ სასადილო ოთახში ჩავიდნენ. შიშველ კედლებზე, ვარდისფერ და იისფერ ფონზე ჩაძირული აქლემები და პალმები მოეხატათ. თალის ფორმის ფანჯრებიდან მკრთალი შუქი შემოდოდა. მარსელმა სასტუმროს პატრონს ვაჭრების შესახებ გამოკითხა. შემდეგ მათთან ოფიციალტი მოვიდა — ასაკოვანი არაბი, რომელსაც ქურთუკზე სამხედრო ორდენი ეკიდა.



მხატვარი ვიორჯი ჩაჩანიძე

მარსელი ძალზე შეფიქრიანებული იყო და ანგარიშშიუცემლად აგლახავებდა პურის ნაჭერს. ჟანიის წყლის დაღვევა დაუშალა — გადადუღებული არ იქნება, ღვინო მოსვით. ჟანიის კი ღვინო არ უყვარდა, ძალიან თენთავდა. მარსელმა მენიუსი ღორის ხორცი აღმოაჩინა:

— ყურანი კრძალავს. მაგრამ არ იცის, რომ კარგად მოხარული მავნე არაა. ჩვენ კი კარგად ვიცით მომზადება. რაზე ფიქრობ?

ჟანიი არაფერზეც არ ფიქრობდა, თუმცა შეიძლება ფიქრობდა კიდევ, თუ როგორ დაამარცხეს მზარეულებმა წინასწარმეტყველები, მაგრამ უნდა ერქარათ, რადგან მეორე დილით გამგზავრებას აპირებდნენ, კვლავ სამხრეთისკენ. სადილის შემდეგ ყველა სერიოზული ვაჭარი უნდა მოენახულებინათ. მარსელმა მოხუც არაბს საჩქაროდ ყავის მოტანა დაავალა, მან თავი დაუქნიათ და უხმოდ, პატარა ნაბიჯებით დაშორდათ.

— ფრთხილად იარე, მენჯი არ ამოიგდო! — ჩაიქირქილა მარსელმა და ცოლს შეხედა. როგორც იქნა, ყავა აღირსეს. სასწრაფოდ შეხვრიპეს და ცივი, მტვრიანი ქუჩაზე გავიდნენ. მარსელმა ახალგაზრდა არაბს დაუძახა, ჩემოდნის გადაზიდვაში მომეხმარეო, და საფასურის გადახდაზე დაუნყო ვაჭრობა. მას ერთხელ უკვე ახსენა ჟანიისთვის, საკმაოდ ბუნდოვნად, არაბები ყოველთვის ორჯერ მეტს ითხოვენ, რათა საბოლოოდ მეოთხედ მაინც მიიღონ. ჟანიი თავს კარგად ვერ გრძნობდა და უხმოდ მიყვებოდა უკან. სქელი პალტოს ქვეშ ჟანიის შალის კოსტიუმი ჩაეცვა და საკმაოდ შებოჭილად გრძნობდა თავს. ღორის ხორცი, მართალია, კარგად მოხარბული, და ასევე პატარა ჭიქით დაღეული ღვინო კიდევ უფრო უმძიმებდა მდგომარეობას.

ისინი პატარა სკვერს მიუყვებოდნენ, სადაც ხეები მტვრით დაფარულიყო. არაბები გზას ისე უთმობდნენ, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ. მოსასხამის კალთები აკეცილი ჰქონდათ, ყველა ჩამოძონძილიყო, თუმცა ჟანიმ შეამჩნია მათი ამაყი სახეები, რასაც მის ქალაქში მცხოვრებლებს ვერ ატყობდა. ჟანიი ჩემოდანს მიჰყვებოდა, რომელიც გზას უკაფავდა ბრბოში. გალავნის ყვითელი კარიბჭე გაიარეს, პატარა მოედანზე აღმოჩნდნენ, სადაც ისეთივე დამტვერილი ხეები იდგა. ის სიღრმეში დუქნების და თაღების ხარჯზე ფართოვდებოდა. მოედანზე გაჩერდნენ ერთი უცნაურად თავწანვეტებული შენობის წინ, რომელიც საარტილერიო ჭურვს ნააგავდა და კირით ლურჯად იყო შეღებილი. შიგნით, ერთადერთ ოთახში, რომელიც კარიდან შემოსული სინათლით ნათდებოდა, ხის გაპრიალებული დახლის უკან თეთრულავაშიანი მოხუცი არაბი იდგა. იგი ჩაიდანს ზევით-ქვევით სწევდა და ჩაის ასხამდა სამ პატარა ფერად ფინჯანში. ვიდრე ნახევრად ბნელ მაღაზიაში რამეს გაარჩევდნენ, მარსელს და ჟანიის ზღურბლის მიახლოებისთანავე პიტნის ჩაის არომატი შეეგებათ. მარსელმა მოკალუული ჩაიდნებით, ჭიქებით, ლანგრებითა და ღია ბარათების ჩასალაგებლებით წარ-

მოქმნილი გირლანდებით ჩახერგილი შესასვლელი გაჭირვებით გადალახა და პირდაპირ დახლის წინ აღმოჩნდა. ჟანი-ნი შესასვლელში გაჩერდა და გვერდით გაინია, რომ ოთახი მთლიანად არ ჩაბნელებულიყო. ამ დროს მოხუცი ვაჭრის უკან, სიბნელეში, ორი არაბი შენიშნა, რომლებიც მათ ღიმილით შესცქეროდნენ. ისინი გატენილ ტომრებზე ისხდნენ, რომლებითაც მალაზიის უკანა ნაწილი იყო გავსებული. კედელზე შავ-წითელი ფერის ნოხები, ნაქარგი ქსოვილები ეკიდა, იატაკზე დახვავებულიყო არომატული მარცვლებით სავსე ტომრები და პატარა ყუთები. დახლზე, გაპრიალებული სპილენძის პინეტის სასწორის და ძველისძველი ციფრებგადაშლილი სახაზავის გვერდით შაქრის თავები ელაგა, რომლებიც ლურჯ მკვრივ ქალღმერთს იყო გახვეული და ერთ მათგანს წვეტი ნატეხილი ჰქონდა. ჩაის არომატით გადაფარული მატყლისა და სანელებლების სუნი უფრო მკვეთრი გახდა, როდესაც მოხუცი გამყიდველი სტუმრებს მიესალმა და ჩაიდან დახლზე დაღო.

მარსელი სწრაფად და დაბალ ხმაზე ლაპარაკობდა, ასე იცოდა საქმიანი საუბრებისას. შემდეგ ჩემოდანი გახსნა, სასწორი და სახაზავი დახლზე გვერდით გასწია და თავისი ქსოვილების ნიმუშები მოხუც ვაჭარს წინ გაუშალა. მარსელი ნერვიულობდა, ხმას უმალვებდა, უადგილოდ იცინოდა, იმ ქალივით იქცეოდა, მამაკაცს რომ ეკეკლუცება და თავის თავში არ არის დარწმუნებული. იგი ხელებს შლიდა და ყიდვა-გაყიდვაზე მიანიშნებდა. მოხუცმა თავი გააქნია, სინზე დადებული ჩაის ჭიქებით მის უკან მყოფი ორი არაბისკენ გაემართა და რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, მარსელს სასო რომ წარუკვეთა. მარსელმა მოხვეტა თავისი ქსოვილები, ჩემოდანში ჩაალაგა, შუბლიდან არარსებული ოფლი მოიწმინდა. შემდეგ პატარა მეზარეულს გასძახა, გარეთ გავიდნენ და გზას გაუდგნენ. პირველივე დუქანში, რომლის მეპატრონეც საოცრად ამაყი სახით დახვდა, ბედმა გაუღიმა.

— არ მესმის, რას იბრძვიან! — თქვა მარსელმა. — ისინიც ვაჭრები არიან. ცხოვრება ყველას უჭირს.

ჟანიანი უხმოდ მიჰყვებოდა. ქარი თითქმის ჩადგა. ცა ალაგ-ალაგ მოიწმინდა. სქელი ღრუბლების ლურჯი ღრმულებიდან ცივი და კაშკაშა სინათლე გამოდიოდა. მოედანი გაიარეს. პატარა ქუჩებით განაგრძეს გზა, სადაც თიხის კედლებზე ზოგან დეკემბრის დამჭენარი ვარდები, ზოგან კი გამხმარ-დაჭიანებული ბრონეულები ეკიდა. ირგვლივ მტვრის, ყავის, დამწვარი ხის ქერქისა და ცხვრის სუნი ტრიალებდა. შენობების კედლებში გამოჭრილი დუქნები საკმაოდ დამორებულიყო ერთმანეთს. ჟანიანი გრძნობდა, რომ ფეხები უმძიმდებოდა. მარსელი კი თანდათან მშვიდდებოდა, ვაჭრობას იწყებდა, გუნებაზე მოდიოდა და ჟანისს „ჩემო პატარას“ ეძახდა. მოგზაურობა შედეგადაც ჩანდა.

— რა თქმა უნდა, მართალი იყავი — ეუბნებოდა ჟანიანი — უკეთესია, უშუალოდ მათთან დაიჭირო საქმე.

ცენტრში სხვა გზით დაბრუნდნენ. შუადღე გადასულიყო, ცა თითქმის მოიწმინდა. მოედანზე გაჩერდნენ. მარსელი ხელებს იფშენებდა და სიყვარულით უმზერდა თავის ჩემოდანს.

— ერთი ამას შეხედე! — მიმართა ჟანიანს. მოედნის მეორე მხრიდან მათკენ მალაღი, გამხდარი, ბრგე არაბი მოემართებოდა, ცისფერ მოსასხამში, რბილ ყვითელ ნულებსა და ხელთათმანებში გამოწყობილს, ამაყი, არწივის ცხვირით დამშვენებული, მზით გარუჯული სახე მალლა აენია. რომ არა თავზე ნაკრული ჩაღმა, საფრანგეთის კოლონიური ადმინისტრაციის ოფიცერი გეგონებოდათ, რომელთა ხილვაც ჟანიანს ყოველთვის ალაფრთოვანებდა. არაბი ხელთათმანებს იხდიდა, სადღაც ზევით იმზირებოდა და ცოლ-ქმარს უახლოვდებოდა.

— ბიჭოს! გენერალი ჰგონია თავი! — მხრები აიჩეჩა მარსელმა.

კი, აქ ყველას ამაყად მოჰქონდა თავი, მაგრამ ამას ნამდვილად ზედმეტი მოსდიოდა. მოედანი ირგვლივ ცარიელი იყო. არაბი კი ჩემოდანს უახლოვდებოდა, ისე, რომ ვერც მას ამჩნევდა, ვერც მის პატრონებს. როგორც კი მანძილი არაბსა და ცოლ-ქმარს შორის სწრაფად შემცირდა, მარსელმა თვალის დახამხამებაში სტაცა ხელი ჩემოდნის სახელურს და გვერდით გადადგა. არაბმა ისე გაიარა, თითქოს არაფერი შეენიშნოს და კვლავ აუჩქარებლად გაემართა გალავნისაკენ. ჟანიანმა ქმარს შეხედა და მისი შეცბუნებული სახე დაინახა.

— ამათ ჰგონიათ, ყველაფრის უფლებზე აქვთ! — უთხრა ცოლს. ჟანიანმა არაფერი უპასუხა, ზიზღს გვრიდა არაბის ბრიყვული ქედმაღლობა და უეცრად თავი უბედურად იგრძნო. შინ მოუნდა, თავის პატარა ბინაში. გაყინულ სასტუმროში დაბრუნებაზე გაფიქრებაც კი გულს უღონებდა. შემდეგ გაახსენდა, რომ სასტუმროს მეპატრონემ ურჩია, ციხე-სიმაგრის ტერასაზე ასვლა, საიდანაც უდაბნოს დათვალიერება შეიძლებოდა. ამის შესახებ მარსელს უთხრა და დაუმტყა, ჩემოდანი სასტუმროში შეგვიძლია დავტოვოთ. მაგრამ ის დალოილი იყო, სადილამდე წაძინებას აპირებდა.

— ძალიან გთხოვ! — შეეხვეწა ჟანიანი.

მარსელმა ყურადღებით შეხედა და უპასუხა:

— კეთილი, ჩემო კარგო.

ჟანიანი ქუჩაში ელოდა, სასტუმროს წინ. თეთრ სამოსში გახვეული ადამიანები მატულობდნენ და მატულობდნენ. ამ ბრბოში ერთ ქალსაც ვერ მოჰკრავდით თვალს, ჟანიანს ამდენი მამაკაცი ერთად არასოდეს ენახა. მას არავინ აქცევდა ყურადღებას. ზოგი კი იყურებოდა მისკენ, მაგრამ ვერ ამჩნევდა — ნელა აბრუნებდნენ გამხდარ, მზით გარუჯულ სახეებს, რომლებიც ავტობუსის ფრანგ ჯარისკაცსა და ხელთათმანებიან არაბს მიუგავდათ, ამაყა და ეშმაკს ერთდროულად. ისინი უცხოელისკენ თავს მიატრიალებდნენ, მაგრამ ვერც ხედავდნენ და მდუმარედ, მსუბუქად ჩაუვლიდნენ გვერდს ჟანიანს, რომელსაც კოჭები დასიებოდა. შინ დაბრუნების სურვილი და შფოთვა უფრო და უფრო უძლიერდებოდა:

— ნეტავი რას ჩამოვედი აქ?

ამასობაში სასტუმროდან მარსელიც გამოვიდა. როდესაც ციხე-სიმაგრის კიბეს აუყვინ, საღამოს ხუთი საათი იქნებოდა. ქარი სრულიად ჩამდგარიყო. ცა ერთიანად მოიწმინდა, მუქი იასამნისფერი გახდა. სიცივე მატულობდა და ლოყებს უსუსხავდათ. კიბეზე რომ ადიოდნენ, შუა გზაზე, კედელთან მიწოლილმა მოხუცმა არაბმა მეგზურობა შესთავაზა, თან არც განძრეულა, თითქოს წინასწარ იცოდა, უარს რომ ეტყოდნენ. გრძელ და ციცაბო კიბეზე პაქნები თიხით დაეტკებნათ. რაც უფრო მაღლა ადიოდნენ, სივრცე წინ უფრო ფართოვდებოდა, მუქი ცივი და მკვეთრი ხდებოდა, ოაზისიდან მოსული ყველა ბგერა ნათლად და გარკვევით ისმოდა. მზით გაცისკროვებული ჰაერი ჟანიანსა და მარსელში იჭრებოდა, თითქოს თრთოდა და ეს თრთოლვა გეგონებოდა მატულობდა კიდევ. მათი ყოველი ნაბიჯი ხმოვან ტალღებს წარმოქმნიდა და ყველა მიმართულებით ვრცელდებოდა. როდესაც ტერასამდე ააღწიეს, პალმების წარაფებს უკან თვალუნვდენელი ჰორიზონტი გამოჩნდა. ჟანიანს მოეჩვენა, მთელი ზეცა ერთ ხმამაღალ და მოკლე ნოტაზე აჟღერდაო, ექო თავზე გადაეკლო, შემდეგ კი ყველაფერი მიწყნარდა და იგი მარტო დარჩა უსაზღვრო სივრცის წინაშე.

ჟანიანმა ნელა გააყოლა თვალი ულამაზეს თაღს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. მის ქვევით არაბული ქალაქის სახლების თეთრი და ლურჯი კედლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, აქ მზეზე გასაშრობად დაკიდული წინაკის ასხ-

მულეები სისხლის მუქ ლაქებად მოხანდნენ. კაციშვილი არ ჩანდა, თუმცა შიდა ეზოებიდან მოხალული ყავის არომატი, სიცილი და გაუგებარი ფეხის ხმა გამოდიოდა. მოშორებით, თიხის კედლებით არათანაბარ კვადრატებად დაყოფილ პალმების კენწეროებს ქარი აშრივებდა, მაგრამ სიო გაღვანამდე ვერ აღწევდა. კიდევ უფრო შორს, თითქმის ჰორიზონტთან იწყებოდა მოყვითალო და ნაცრისფერი ქვების სა-მეფო, სადაც სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ჩანდა. მხოლოდ ოაზისთან ახლოს, ჰორიზონტთან, პატარა მდინარესთან, რომელიც პალმების ქალას დასავლეთიდან უქცევდა გვერდს, დიდი შავი კარები მოჩანდა. ირგვლივ უმოძრაოდ მდგომი აქლემების ჯოგი შორი მანძილიდან პანანისა არსებებად ჩანდნენ და ნაცრისფერ მინაზე უცნაური დამწერლობის ჩრდილებს ტოვებდნენ, რომლის გაშიფრვასაც კაცი ვერ მოახერხებდა. უდაბნოს თავზე უდაბნოსავით უკიდევანო სიჩუმე იდგა.

ჟანიჩი მოაჯირს გადასწოლოდა, ხმას ვერ ძრავდა. წინ გაშლილ სივრცეს თვალს ვერ სწყევტდა. მარსელი კი ვერ ისვენებდა, შფოთავდა. სციოდა და უკან უნდოდა დაბრუნება. რაღა აქ სანახავი? ჟანიჩი კვლავ ვერ აშორებდა თვალს ჰორიზონტს, მოეჩვენა, რომ ქვევით, უფრო სამხრეთისკენ, იმ ადგილას, სადაც ცა და მიწა ერთდებოდნენ ნათელი ხაზით, მას რაღაც ელოდა — ის, რაც ყოველთვის აკლდა და რასაც დღემდე ვერ გრძნობდა.

სალამოვდებოდა, გამჭვირვალე სინათლე ნელ-ნელა სუსტდებოდა და ლივლივა ხდებოდა. ამ დროს, აქ სრულიად შემთხვევით მოხვედრილი ქალის გულში წლებით, ყოფით და კაემნით შექმუნული ნასკვი თანდათან იხსნებოდა. ჟანიჩი მომთაბარე მწყემსთა კარვებს უცქერდა. იქ მცხოვრებნი არასდროს ენახა, შავ კარვებში არაფერი მოძრაობდა და მანაც მათზე ფიქრობდა, რომელთა არსებობაც დღემდე არ იცოდა. სამყაროს მოწყვეტილი, ერთიმეფა, უსახლკარო ხალხი ხეტიალობდა უზარმაზარ ტერიტორიაზე, რასაც ჟანიჩის მზერა სწვდებოდა და რომელიც უმნიშვნელო ნაწილი იყო კიდევ უფრო დიდი სივრცისა, უდაბნოს თავბრუდამხვევ სიშორეში რომ ვრცელდებოდა. ისინი არ ჩერდებოდნენ, ვიდრე სამხრეთით ათასობით კილომეტრის გავლის შემდეგ პირველივე მდინარეს და მისგან სიცოცხლემიცემულ ტყეს არ შეხვდებოდნენ. ამ თვალუნვდენელ, გამომშრალ და დახეთქილ მინაზე უხსოვარი დროიდან შეუსვენებლად დახეტიალობდნენ — თავისუფალი და უცნაური სამეფოს ლატაკი მბრძანებლები, რომელთაც არც არაფერი გააჩნდათ და არც არავის ემსახურებოდნენ. ჟანიჩი ვერ ხვდებოდა, რატომ იცხებოდა იგი ასეთი ტკბილი და ვრცელი ნალღვევით და რატომ ეხუჭებოდა თვალეები. მხოლოდ ის იცოდა, რომ დასაბამიდან ეს ქვეყანა მისთვის იყო აღთქმული, თუმცა მისი არასდროს გახდებოდა, ალბათ გარდა იმ წარმავალი წამისა, როცა თვალეებს კვლავ გაახლდა და უძრავ ზეცას ახედავდა, რომელზეც სინათლის ზვირთები გაქვავებულიყვნენ, მაშინ, როცა ხმები არაბული ქალაქიდან უეცრად გაქრებოდა. ჟანიჩის მოეჩვენა, რომ ქვეყნიერების სვლა გაჩერდა, ამ წამიდან არავინ ბერდებოდა და არავინ კვდებოდა. ირგვლივ თითქოს სიცოცხლეს შეჩერებულიყო, მხოლოდ მის მკერდში გოდებდა ვიღაც ტკივილისა და ალტაცებისგან.

ამასობაში ნათელი და ცივი მზე დაიძრა, დასავლეთს მიუახლოვდა და ცა გაანთილა. აღმოსავლეთით დიდი რუხი ღრუბელი გამოჩნდა, რომელიც მზად იყო თვალუნვდენელი სივრცის ნასალეკად. სადღაც შორს ძაღლის პირველი ყმუილი გაისმა და გაციებულ ჰაერში გაიფანტა. ჟანიჩი ახლავდა მიხვდა, რომ სიცივისგან კბილები უკანკანებდა.

— რა სისულელეა, ამ სიცივეში შეიძლება ფეხებიც გაფშკოს კაცმა, უნდა დავბრუნდეთ! — მარსელმა ცოლს ხელი

უშნოდ ჩაავლო. ჟანიჩი მობრუნდა და მორჩილად გაჰყვა. მოხუცი არაბი კიბესთან კვლავ არ განძრეულა, თვალეებით გააცილა ქალაქისკენ მიმავალი წყვილი. ჟანიჩი მიდიოდა, ვერავის ამჩნევდა, უეცარი და საშინელი დაღლისგან წელში მოხრილი, საკუთარ სხეულს ძლივს მიათრევდა — წონის დაძლევა გადაულახავ ნინააღმდეგობად ეჩვენებოდა. წამიერი ალტაცება უკვალოდ გამქრალიყო. ახლა თავს მეტად დიდად და მოუქნელად, მეტად თეთრად გრძნობდა იმ სამყაროსთვის, სადაც შეაბიჯა. მხოლოდ პატარა ბავშვი, ახალგაზრდა გოგონა, ხმელ-ხმელი მამაკაცი და მიმალული ტურა იყვნენ ერთადერთი არსებანი, რომელთაც შეეძლოთ მშვიდად ეთელათ ეს მიწა. რაღა დარჩენოდა? მილასლასებულიყო საძინებლამდე, სიკვდილამდე.

ჟანიჩი მართლაც მილასლასდა რესტორნამდე. მარსელი უეცრად დადუმდა, მხოლოდ თავის დაღლილობაზე თუ წაიუნუნებდა, ჟანიჩი კი ამ დროს უმწეოდ ებრძოდა გაციებას, სიცივის მატებას გრძნობდა და ძლივძლივობით მიაღწია საწოლამდე. მარსელი გვერდით მიუწვა, სინათლე ისე ჩააქრო, ხმა არ გაუცია. ოთახი გაყინული იყო. ჟანიჩს ამცივებდა, სიცივე უწევდა, სუნთქვა უჭირდა, ძარღვებში სისხლი დუნედ მოძრაობდა და ველარ ათობოდა, გაურკვეველი შიში იყრობდა. გვერდი იცვალა, ძველებურმა რკინის საწოლმა მის სიმძიმეზე დაიჭრიალა. არა, ნამდვილად არ უნდოდა ავად გახდომა. მარსელს უკვე ეძინა, მასაც უნდა დაეძინა, ასე იყო საჭირო. ჟანიჩს სარკმლიდან ქალაქის ყრუ ხმები მოსდიოდა. გაურკვეველ ჰანგებს, რომელთაც მავრიტანული კაფეების ძველისძველი, დუღლუნა პატეფონები გამოსცემდნენ, ზანტი ბრბოს ხმაურიც ემატებოდა. უნდა დაიძინოს! თვალეები დახუჭა, შავი კარვების დათვლას შეუდგა, აქლემები მშვიდად ძოვდნენ, ჟანიჩი უკიდევანო მარტოობამ შთანთქა. და მაინც, რატომ ჩამოვიდა აქ? ამ შეკითხვაზე ჩაეძინა კიდევ.

საკმაოდ სწრაფად გამოეღვიძა. ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა. ამ მდუმარე ღამეში მხოლოდ ძაღლის ჩახრინწული ყმუილი მოდიოდა ქალაქის ბოლოდან. ჟანიჩს შეაჟრჟოლა. გვერდი იცვალა, მკლავზე ქმრის ძლიერი ხელი შეიგრძნო და ძილ-ბურანში უეცრად მას მიეკრა. ძილის დინებას ზედაპირზე მიჰყვებოდა, შიგ არ იძირებოდა, ქმრის ხელს შეუცნობელი იმედით ეჭიდებოდა, როგორც უსაფრთხო თავშესაფარს. ჟანიჩი ლაპარაკობდა, თუმცა ხმა არ ამოსდიოდა, ლაპარაკობდა, მაგრამ თვითონაც არ ესმოდა, რაზე. მხოლოდ მარსელის ცხელ სხეულს გრძნობდა. ოც წელზე მეტია, ყოველ ღამე, როგორც ახლა, მისი სითბოთი თბებოდა, მასთან ერთად, ავადმყოფიც, მოგზაურობაშიც... და რა უნდა ეკეთებინა შინ მარტოს? ბავშვები არ ჰყავდათ! ალბათ ეს აკლდა? არ იცოდა. მთელი ცხოვრება მარსელს მიჰყვებოდა უკან, ბედნიერი, რომ ვიღაცას სჭირდებოდა. ჟანიჩმა იცოდა, იგი აუცილებელი იყო მარსელისთვის და მისგან ამ ერთადერთ სიხარულს იღებდა. მარსელს ნამდვილად არ უყვარდა ჟანიჩი. სიყვარულს, სიძულვილნარევსაც, არ გააჩნია ასეთი კოპებმეკრული სახე. მაგრამ როგორი სახე ჰქონდა მარსელს? სიყვარული მათთან ღამღამობით მოდიოდა, სიბნელეში არ ჩანდა, ხელის შეხებით თუ შეიგრძნობდი. ნუთუ არსებობს წყვდიადში კიდევ სხვა სიყვარული, რომელსაც შეუძლია დღისითაც გვიხმობდეს? ჟანიჩმა ეს არ იცოდა, თუმცა იცოდა, მარსელს იგი სჭირდებოდა და თვითონაც სწორედ ამის მოთხოვნილება ჰქონდა, ამ სურვილით ცხოვრობდა დღე და ღამე, განსაკუთრებით ღამე, ყოველ ღამე, როდესაც გრძნობდა, რომ მარსელს არ უნდოდა მარტოობა, არც სიბერე, არც სიკვდილი, მას ჟანიჩი გამოემეტყველება უჩნდებოდა, რასაც ჟანიჩი სხვა მამაკაცებშიც ამჩნევდა — ერთადერთ საერთოს, რითაც ერთმანეთს ჰგავდნენ ეს შეშლილები, გონიერების ნიღაბაფარებულნი, ვიდრე ველური გახელე-

ბა პირველივე ქალთან მიაგებდათ, არა იმდენად ვნების მოსაკლავად, უფრო მარტოობიდან და ღამის წყვლიადიდან გასაქცევად, რისი შიშიც ყოველთვის ჰქონდათ.

მარსელი ოდნავ შეინძრა, თითქოს ჟანინისგან მოშორება სურდა. არა, მას ჟანინი არ უყვარდა, უბრალოდ უმისოდ ყოფნა ეშინოდა. უკვე დიდი ხნის წინათ უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს, ცალ-ცალკე სძინებოდათ ცხოვრების ბოლომდე. მაგრამ ვის შეუძლია, რომ ყოველთვის მარტოს ეძინოს? მხოლოდ ერთეულებს, რომელნიც მონოდებამ ან უბედურებამ მოკვითა ადამიანებს და ყოველ ღამე სიკვდილთან ერთად ნვებიან სანოლში. აი, მარსელი ამას ვერ იზამდა, იგი სუსტი და თვინიერი ბავშვი იყო, ტანჯვისა რომ ყოველთვის ეშინოდა, და მისმა ბავშვმა, რომელსაც ასე სჭირდებოდა ჟანინი, ახლა სუსტად ამოიხრა. ჟანინი კიდევ უფრო მიეხუტა და მკერდზე ხელი დაადო. მდუმარედ უხმობდა სასიყვარულო სახელით, რომელიც ოდესღაც მოიგონა და რომლითაც ერთმანეთს დაუფიქრებლად ეჩურჩულებოდნენ ხოლმე.

ჟანინი მთელი გულით ეძახდა. ყველაფრის მიუხედავად, მასაც სჭირდებოდა მარსელი, მისი ძალა, პატარა ახირებანი. სიკვდილისა ხომ ჟანინსაც ეშინოდა. „ამ შიშს თუ დავძლევ, ბედნიერი ვიქნები...“ — გაიფიქრა და მაშინვე ენითაუნერული სევდა შემოაწვია. მარსელს მოშორდა. არა, ვერასდროს გადალახავს შიშს, ვერასდროს იქნება ბედნიერი და მოკვდება ისე, რომ ამ ტანჯვას თავს ვერ დააღწევს. ჟანინს გული უწუხდა, ჰაერი არ ყოფნიდა, სული ეხუთებოდა უშველებელი სიმძიმისგან, ოცი წელი ზედ რომ აწვა და თრგუნავდა. თავისუფლება სურდა, თუნდაც მის ფასად, რომ ვერც მარსელი და ვერც სხვა მისნაირები ვერასდროს ღირსებოდნენ თავისუფლებას... სრულიად გამოფხიზლდა. სანოლში წამოჯდა, ყური მიაპყრო ძახილს, მოეჩვენა, რომ სულ ახლოს იყო. მაგრამ სადღაც ღამეში, ოაზისის დაუცხრომელი ძაღლების ყეფა ისმოდა მხოლოდ. პალმების ტოტებთან სუსტი ქარის შეხება წყლის ნახმაურად ეჩვენებოდა. ქარი სამრეთიდან ქროდა, იქ, სადაც უდაბნო და ღამე ერთმანეთში ათქეფილიყვნენ მყარად ქვეყნად ცის ქვეშ, სადაც სიცოცხლე ჩერდებოდა, სადაც არავინ ბერდება და კვდება. შემდეგ ქარის ტალღები მიწყნარდა, ჟანინს აღარც სჯეროდა, თუ რამე მოესმა, გარდა უხმო ძახილისა, რომლის მიჩუმება ან გაძლიერება კი შეეძლო, თუმცა მის აზრს ვერ ჩასწვდებოდა, თუ ახლავე არ უპასუხებდა. კი, მყისიერად, ამაში სავსებით იყო დარწმუნებული!

ფრთხილად წამოდგა და სანოლთან გაირინდა. ქმრის სუნთქვას ყურადღებით აკვირდებოდა. მარსელს ეძინა. ცოტა ხანში სანოლიდან გამოყოლილი სითბო გაქრა და ჟანინი სიცივემ შეიპყრო. ნელა იცვამდა, ტანსაცმელს ხელისცეცებით ეძებდა ღამის ღამპიონების მკრთალ შუქზე, რომელიც ქუჩიდან დარაბებში შემოდის. ფეხსაცმელები ხელში ეჭირა, კარებთან მივიდა. სიბნელეში ერთხანს შეიცადა, კარის გაღება დააპირა, საკეტმა დაიჭრიალა, ჟანინი ადგილზე გახევადა. გული ძლიერად უცემდა, სმენა დაძაბა, სიჩუმით გამხნევებულმა კვლავ მოჰკიდა საკეტს ხელი, დაატრიალა და მოეჩვენა, რომ ვერასდროს გააღებდა. ბოლოს, როგორც იქნა, საკეტი გაიღო. ჟანინი გარეთ გასრიალდა, კარი ფრთხილად მიხურა, კარს ლოყა მიადო და ყური მიუგდო. ცოტა ხანში მარსელის სუნთქვა მოესმა. ჟანინი მობრუნდა და დერეფნისკენ გაიქცა, სახეზე ღამის გაყინული ჰაერი მიეხალა. სასტუმროს კარი დაკეტილი დახვდა, ვიდრე ურდულს ეჯაჯგურებოდა, კიბეზე მოხუცი დარაჯი გამოჩნდა და არაბულად რაღაც უთხრა.

— მალე დავბრუნდები, — უპასუხა ჟანინმა და ღამეს მისცა თავი.

პალმებსა და სახლის სახურავებზე შუა ციდან ვარსკვლავთა გირლანდები ჩამოყრილიყვნენ. ჟანინი ამჟამად დაცარიელებულ, პატარა ქუჩაზე გარბოდა, რომელსაც ციხე-სი-

მაგრემდე მიჰყავდა. სიცივეს მზის ძალა დაეთრგუნა და ღამეს დაპატრონებოდა. გაყინული ჰაერი ფილტვებს უხურებდა. წყვლიადი თითქმის არაფერი ჩანდა, მაგრამ მაინც გარბოდა. ქუჩის ბოლოს სინათლე გამოჩნდა, რომელიც ბრუნავდა და მისკენ მიემართებოდა. ჟანინი შედგა, უცნაური კაკუნი მოესმა, სინათლე გაძლიერდა და მან უშველებელი მოსასხამები დალანდა, რომლის ქვეშაც ველოსიპედის ბორბლები მოძრაობდნენ, მათ გვერდით ჩაუქროლეს, ცოტა დააკლდათ, გვერდი გაეკრათ მისთვის. სინათლის სამი ნითელი წერტილი სწრაფად გაუჩინარდა სიბნელეში. ჟანინმა კვლავ განაგრძო გზა ციხე-სიმაგრისკენ. კიბის ნახევარი აიარა, ცივმა ჰაერმა ისე მოუსუსხა გულმკერდი, გადანყვიტა, შეჩერებულიყო, მაგრამ უნებურად ტერასის მოაჯირს მუცლით მიეხალა. მიმედ სუნთქავდა, თვალები დაებინდა, სირბილმა ვერ გაათბო, მთელი სხეული კვლავ უკანკალებდა. მაგრამ ცივმა ჰაერმა, რომელსაც ყლუპ-ყლუპით ყლაპავდა, ნელა დაუარა ძარღვებში და სუსტმა სითბომ თანდათან მოიცვა მისი გაყინული სხეული. თვალწინ, როგორც იქნა, ღამის სივრცე გადაეშალა. არც ქოშინი ისმოდა, არც ხმაური, ჟანინის ირგვლივ მარტოობასა და მდუმარებას მხოლოდ სიცივისგან ქვიშაძქვეული ქვების ყრუ ტკაცუნის ხმა თუ არღვევდა.

უეცრად მოეჩვენა, თითქოს მთელი ზეცა უცნაურად დატრიალდა მის თავზე. ცივი და მშრალი ღამის ნიაღში გამუდმებით იბადებოდა ათასობით ვარსკვლავი და მათი მოკაშკაშე ყინულის ლოლუები გაჩენისთანავე წყდებოდნენ და შეუმჩნეველად მისრიალებდნენ ჰორიზონტისკენ. ჟანინი თვალს ვერ სწყვეტდა მოკაშკაშე სინათლის თამაშს, თითქოს მასთან ერთად მოძრაობდა და საკუთარი არსების სიღრმისკენ მიაბიჯებდა, სადაც სიცივე და ცხელი სურვილები ერთმანეთს ებრძოდნენ. მის წინ, უდაბნოს ქვეშე ვარსკვლავები საითთაოდ ეცემოდნენ, ქრებოდნენ და ყოველ ჯერზე ჟანინი სულ უფრო იხსნებოდა ღამის შესახვედრად. თავისუფლად სუნთქავდა, ავინყდებოდა სიცივე, არსებობის სიმძიმე, უაზრო და მდორე ცხოვრება, სიცოცხლისა და სიკვდილის მძიმე სევდაც. ამდენი წლის შემინებულნი, გიჟური და უმიზნო სრბოლის შემდეგ, როგორც იქნა, შეჩერდა. ამ წამს იგრძნო, რომ თავის ფესვებს მიაგნო, სასიცოცხლო ძალებმა კვლავ დაუარა სხეულში და კანკალი შეანყვეტილა. მოაჯირს მუცლით მიეყრდნო, ზეცას შესცქეროდა, მხოლოდ აფორიაქებული გულისცემის დანყნარებასა და სიმშვიდეს ელოდა. ცაზე თანავარსკვლავედები უმოძრაოდ ეკიდნენ, მათი სინათლის ბოლო მტევნები უდაბნოს ჰორიზონტთან ჩამოცვივდნენ. მაშინ კი ღამის მდინარემ გამოუთქმელი სინაზით იწყა ჟანინის ავსება, სრულიად გააძევა სიცივე, თანდათან მისწვდა ბუნდოვანი არსებობის სიღრმეს, ნაპირს გადავიდა და მის ბაგეს შესაბრალის კვნესად აღმოხდა. რამდენიმე წამში ცივ მინაზე გულაღმა განოლილ ჟანინს მთელი ზეცა თავს გადაეფარა.

როდესაც ჟანინი კვლავინდებური სიფრთხილით დაბრუნდა სასტუმროში, მარსელს ისევ ეძინა. ჟანინი ლოგინში რომ შეწვა, მარსელმა რაღაც ჩაიბურტყუნა და სწრაფად წამოჯდა, ის ლაპარაკობდა, ჟანინს კი არაფერი ესმოდა. მარსელი ადგა, სინათლე აანთო და შუქი ჟანინს სილასავით გაენნა სახეზე. მარსელი ხელსაბანთან მიბარბაცდა, მინერალური წყლის ბოთლი მონახა და მოიყუდა, კარგა ხანს სვამდა. შემდეგ მობრუნდა, უკვე საბნის ქვეშ აპირებდა შეძრომას, სანოლზე მუხლი დააყრდნო და ჟანინს მიაჩერდა, მაგრამ ვერაფერი მიხვდა. ჟანინი ქვითინებდა, ცრემლებს ვერ იკავებდა და ჩურჩულებდა:

— არაფერია, ძვირფასო, არაფერი!

ფრანგულიდან თარგმნა
ტარიელ ნაფორაძე

ისტორიული რიჩარდ მესამე

გამხმარ ნერგით დამტყნარი მარჯვენა, ზურგზე აღმართული გორაკი, უსწორმასწოროდ გამოზომული მრუდე ფეხები — აი, ასეთი გარეგნობით დააჯილდოვა უილიამ შექსპირმა ავკაცობის ეტალონად შერაცხული რიჩარდ მესამე (მახინჯი სული უნდა ჩაბუდებულიყო მახინჯ სხეულში!) და საუკუნეებს გაჰყვა ღვთისგან ყოველმხრივ დაწყევლილი მეფის უსიამო სახეება. სცენაზე, ეკრანზე, მკითხველთა წარმოსახვაში დამკვიდრდა ერთხელ დადგენილი შტამი და ეჭვმიუტანელი უკვდავება მოიხვეჭა.

სინამდვილეში ბუნებას ესოდენ შეუბრალებლად არ გაუწირავს რიჩარდ მესამე. შემონახულია მისი პორტრეტი, შემონახულია თანამედროვეთა მოგონებები, მაგრამ მინიმუმბულიც კი არსად არის ის ფიზიკური სიმახინჯე, რაც ინგლისის უილბლო მეფეს სიკვდილის შემდგომ მიაწერეს. დიახ, ისტორიული რიჩარდ მესამე, შექსპირის რიჩარდისაგან განსხვავებით, არც კუზიანი ყოფილა და არც კოჭლი. როგორც ამბობენ, მისი პირისახეც არ იყო მოკლებული მომხიბვლელობას. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რიჩარდ მესამეს, რეალურ რიჩარდ მესამეს, ერთადერთი ფიზიკური ნაკლი გააჩნდა — მარჯვენა მხარი მარცხენაზე ოდნავ აწეული ჰქონდა.

ისტორიული რიჩარდ მესამის (1452-1485) ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათი, მეტნაკლები სიზუსტითა და სისრულთა, შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

თავისი უფროსი ძმის — მეფე ედვარდ IV-ის სიცოცხლეში რიჩარდი იქცეოდა, როგორც მისი ერთგული ქვეშევრდომი, უახლოესი მეგობარი და სანდო თანაშემწე. იგი მთავარ როლს თამაშობდა სამხედრო და ადმინისტრაციულ ასპარეზზე, ძალაუფლების თვალსაზრისით კი სახელმწიფოში მეორე კაცად ითვლებოდა. 1470 წელს, როდესაც ლანკასტერებმა ამბოხება მოაწყვეს, მეფის შუათანა ძმა, მთავარი კლარენსისა, მათ მხარეზე გადავიდა. ხოლო რიჩარდი ბოლომდე ერთგული რჩებოდა უფროსი ძმისა, მასთან ერთად გაიქცა ევროპაში და მასთანვე ერთად დაბრუნდა უკან ლონდონზე გასალაშქრებლად. ბარნეტისა და ტიუქსბერის გადამწყვეტ ბრძოლებში, სადაც გაანადგურეს ლანკასტერები, რიჩარდი დიდი სიმამაცით იბრძოდა. თავის საგვარეულო გერბზე ამოკვეთილ დევიზს („ვარ შებოჭილი ერთგულებით“) საქმით ადასტურებდა.

ამ ბრძოლებში დაიღუპა ლანკასტერთა გვარის უფლისწული ედვარდი. არ არსებობს საბუთი იმისა, რომ სწორედ რიჩარდმა მოკლა იგი. რაც შეეხება ტაუერში გამოწყვედილი ჰენრი VI-ის მკვლელობას, შესაძლოა, რიჩარდიც იმ ღამით იქ იმყოფებოდა, მაგრამ ასევე იმყოფებოდნენ იქ იორკელთა სხვა წინამძღოლებიც.

რიჩარდს მინდობილი ჰქონდა პოლიტიკური კონტროლი ჩრდილოეთ ინგლისზე, სადაც მუდამ შუოთი ტრიალებდა ლანკასტერთა მომხრეების გავლენისა და შოტლანდიელთა განუწყვეტელი შემოსევების გამო. თავისი ადმინისტრაციული ნიჭის წყალობით რიჩარდმა ისეთი წესრიგი დაამყარა, როგორც ამ მხარეში დიდი ხანია აღარ ახსოვდათ. მან ინგლისის ჩრდილოეთი ლანკასტერთა საყრდენიდან გადააქცია იორკთა საყრდენად.

1471 წელს რიჩარდმა ცოლად შეირთო ანა ნევილი, თექვსმეტი წლის ქვრივი ბრძოლაში დაღუპული ედვარდისა (მეორე ვერსიით, ანა მხოლოდ საცოლე იყო უფლისწულისა). სხვათა შორის, რიჩარდი და ანა ბავშვობიდანვე ერთად იყვნენ გაზრდილნი. ორი წლის შემდეგ შეეძინათ შვილი. რიჩარდი თურმე დაჯილდოებული იყო კდემამოსილების მოძველებული გრძნობით და ძალზე შორს იდგა სამეფო კარზე გავრცელებული ალერაბსნილობისაგან. იგი ერთგულ მეუღლედ რჩებოდა სიკვდილამდე.

1477 წელს კლარენსი, მუდმივი ორგულობისათვის, ტაუერში ჩაამწყვდიეს და, ცოტა ხნის შემდეგ, ღვინის დიდ კასრში ჩაახრჩვეს. რიჩარდი ამაოდ ლამობდა ძმის გადარჩენას. იგი კლარენსის მკვლელობას დედოფალსა და მის დამქაშებს ამბობდა და თითქოსდა ფიციც კი დადო, შურს ვიძიებო.

იმდროინდელი ამბების მოწმე, იტალიელი დომინიკო მანჩინი აღნიშნავს, რომ კლარენსის სიკვდილის შემდეგ „რიჩარდი ძალზე იშვიათად ეკარებოდა სამეფო კარს. იგი საკუთარ სამფლობელოებში რჩებოდა და თავისი სამართლიანობითა და გულმონყალებით ქვეშევრდომთა ერთგულებას იხვეჭდა“.

წყენარად ცხოვრობდა ჩრდილოეთში და თავს არიდებდა სამეფო კარის ინტრიგებსა და უზომო ფუფუნებას. ენეოდა პროვინციული არისტოკრატის ცხოვრებას, ხან საქმით იყო გართული, ხან —

ნადირობით, ხანაც — მუსიკით (მუსიკოსთა მფარველობის გამო მან ხელოვნების მეცენატის სახელი დაიგდო).

ქალაქ იორკის საბუთები შეიცავს მისი მოღვაწეობის საქებათ სიტყვებს. ქალაქის „მამები“ აღნიშნავენ: „კეთილი და მიუკერძოებელი სამართალი ელოდა ყველა სიმართლის მაძიებელს, ღარიბსა თუ მდიდარს, წარჩინებულსა თუ მდაბიოს“. მათივე სიტყვით, „გლოსტერის ჰერცოგი ჩვენს საკეთილდღეოდ განუული დიდი გარჯისათვის დაჯილდოებულ იქნა ექვსი გედითა და ექვსი ქარიყლაპით“, ხოლო პარკლამენტმა ჯილდოდ მამულები უბოძა. ხალხის გაჭირვების ყამს რიჩარდს გადასახადებიც შეუმცირებია.

ასე განვლო მისი ცხოვრების ოცდაათმა წელიწადმა. ინგლისელი ისტორიკოსის ე. ჩითჰემის სიტყვით, რიჩარდი 1483 წელს რომ გარდაცვლილიყო, ისტორიაში უეჭველად დარჩებოდა ნიჭიერი მხედართმთავრის, კეთილსინდისიერი ადმინისტრატორისა და ერთგული ძმის სახელით.

მაგრამ 1483 წელს გარდაიცვალა მეფე ედვარდ IV (ლორმუცელობამ და მშვენიერი სქესით უკიდურესმა გატაცებამ ორმოცდაერთი წლის ასაკში მოულო ბოლო) და თავის ანდერძში ინგლისის ლორდ-პროტექტორად და თორმეტი წლის მემკვიდრე უფლისწულის მეურვედ რიჩარდი დატოვა. დედოფალსა და მის დამქაშებს ეს ანდერძი გულზე არ ეხატებოდათ. ზემოხსენე-



მხატვარი ბადრი გაგნიძე

ბული მანჩინის სიტყვით, ისინი შიშობდნენ, რომ თუკი რიჩარდი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდა, კლარენსის მკვლელობაში ეჭვიმტანილთ სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდათ. მათი მიზანი ის იყო, რომ მემკვიდრე უფლისწული სასწრაფოდ გაემეფებინათ. ამ შემთხვევაში დედოფალი გახდებოდა რეგენტი, ხოლო მისი ნათესავები — ქვეყნის ფაქტიური ბატონ-პატრონები.

რიჩარდმა ქალაქ იორკს სამხედრო დახმარება სთხოვა. შეუთვალა, დედოფალი და მისი მომხრენი მოკვლას მიპირებნო. თავის გადასარჩენად მას ერთადერთი გზა რჩებოდა — სამეფო გვირგვინის მიტაცება. ალბათ რიჩარდის ინიციატივით მოსახლეობას აუწყეს, რომ ყმანვილი უფლისწულები მეფის „უკანონო“ შვილები იყვნენ (ედვარდ IV-ის ქორწინება ელისაბედთან, ფორმალური თვალსაზრისით, უკანონო იყო, ვინაიდან მეფეს მანამდე საქორწინო კონტრაქტი სხვა ქალთან ჰქონდა დადებული). ამ „ალმოჩინის“ შემდეგ ჭეშმარიტი მემკვიდრე სამეფო ტახტისა, რიჩარდის გარდა, აღარავინ რჩებოდა და პარლამენტმა მას თავზე გვირგვინის დადგმა სთხოვა.

რიჩარდის მისამართით ყველაზე სერიოზული ბრალდება ტაუერში ჩამწყვდეული ყმანვილი უფლისწულების მკვლელობა. მითქმა-მოთქმის თანახმად, ისინი რიჩარდის ბრძანებით დახოცეს.

ე. ჩითჰემი წერს: „ორი უმანკო ბავშვის მკვლელობა, XV საუკუნის სტანდარტების მიხედვითაც კი, საზარელ დანაშაულს წარმოადგენდა“. მისი მოსაზრებით, რიჩარდის სავარაუდო დანაშაულის დასაბუთება არ არის დამაჯერებელი, მაგრამ ძალზე სარწმუნოა, რომ იგი მართლაც ყოფილიყო ორგანიზატორი ამ შემადრწუნებელი მკვლელობისა. ინგლისელი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ უფლისწულნი თვალთ აღარავინ უნახავს 1483 წლის შემოდგომის შემდეგ და ფიქრობს, ისინი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, რიჩარდი უთუოდ გამოიყენებდა მათ ჰენრი ტიუდორის წინააღმდეგ; ე. ჩითჰემი იქვე ამტკიცებს, რომ რიჩარდს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ვინაიდან ცოცხალი უფლისწულები მუდამ იქნებოდნენ შეთქმულებათა შთაგონების წყაროდ.

მაგრამ მ. ბარგის სიტყვით, უფლისწულთა მკვლელობა რიჩარდისათვის თვითმკვლელობას ნიშნავდა, მეტიც — სავსებით უაზრო იყო, რადგანაც პარლამენტის აქტმა ისინი მეფის „უკანონო შვილებად“ გამოაცხადა და მათ ყოველგვარი უფლება ტახტზე დაკარგული ჰქონდათ. მ. ბარგი დასძენს: ამ ყმანვილების დედას, ელისაბედ დედოფალს, როგორ შეეძლო შერიგებოდა რიჩარდს (1484 წლის თებერვალში), თუკი იცოდა, რომ იგი მისი შვილების მკვლეელი იყო. მკვლევარი მიუთითებს, რომ ამ ქალს, უსაზღვროდ პატივმოყვარესა და დაულალავ ინტრიგანს, ასეთი ლმობიერი და მიმტვევებელი ბუნება როდი ჰქონდა. მ. ბარგის დასკვნით, ზემოხსენებული ამბავი ინგლისის ისტორიის ერთ-ერთ საიდუმლოებად რჩება.

1484 წლის აპრილში უეცრად გარდაიცვალა რიჩარდის ერთადერთი შვილი, ტახტის მემკვიდრე. მასთან ერთად დაიმარხა საკუთარი დინასტიის შექმნის ოცნება. მემამულე წერს: „უნდა გენახათ მისი დედ-მამა, მოულოდნელი მწუხარებისაგან თითქმის სიგიჟის ზღვარზე რომ იყვნენ მისული“. რიჩარდის მემკვიდრის სიკვდილმა ისევ წარმოქმნა სამეფო ტახტისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლების საფრთხე. ბრეტონში მიყურებული გრაფ რიჩმონდის შანსები მკვეთრად გაიზარდა და მისი მომხრეები ინგლისში გამოცოცხლდნენ.

1485 წლის მარტში გარდაიცვალა რიჩარდის მეუღლე, დედოფალი ანა. და თუმცა ყველას, ვინც იცნობდა მას, მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ იგი დიდი ხანია მძიმედ იყო დაავადებული ქლეკით, მაშინვე გავრცელდა ჭორი, თითქოსდა იგი რიჩარდმა მონამლა, რათა შეემგომში ცოლად შეერთო თავისი ძმისწული, რომელსაც შეთქმულნი რიჩმონდთან დაქორწინებას უპირებდნენ. რიჩარდი იძულებული გახდა, საჯაროდ განეცხადებინა, ამგვარი განზრახვა თავშიც არ მომსვლიაო.

შეთქმულება მზადდებოდა თითქმის რიჩარდის თვალწინ, მაგრამ ერთადერთი კაცი, ვინც ამას ვერ ხედავდა ანდა არ სურდა დანახვა, თვითონ რიჩარდი იყო.

1485 წლის აგვისტოში რიჩმონდი, არცთუ მრავალრიცხოვანი ფრანგი დაქირავებული მეომრების თანხლებით, გადმოვიდა ინგლისში. გადამწყვეტი და ხანმოკლე ბრძოლა გაიმართა ბოსვორთთან, 22 აგვისტოს. რიჩარდის მომხრეთა დიდი ნაწილი მტრის მხარეზე გადავიდა. თავისი ერთგული მეომრების მცირე რაზმის ანაბარად დარჩენილი რიჩარდი ყვირილით: „ლალატია, ლალატი!“ მტრის ჯარის შუაგულში შეიჭრა და ხელჩართულ ბრძოლაში მალე ჰპოვა აღსასრული. ეს იყო უკანასკნელი მეფე ინგლისისა — დაღუპული ბრძოლის ველზე. რიჩარდის გაშიშვლებული ცხედარი ცხენზე გადაკიდეს, ლეისესტერში წაასვენეს და ბრბოს გასართობად გამოფინეს. ორი დღის შემდეგ ვილაც ბერებმა, ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს, რომ ინგლისის მეფის ცხედარი მიწას მიებარებინათ. ქალაქ იორკის სამოქალაქო ჩანაწერებში აღნიშნულია: „მეფე რიჩარდი, გულმონყალედ რომ მეფობდა ჩვენზე, საწყალობლად იქნა მოკლული — ჩვენი ქალაქის სავალალოდ“. რიჩარდი დაიხიეს ბოსვორთის ბრძოლაში გადარჩენილმა რაინდებმა და ესკვარებმა მისი ამალიდან, აგრეთვე იმთა, ვისაც ჩრდილოეთში მისი მმართველობა ახსოვდა.

როგორც აღნიშნავენ, რიჩარდი ცუდად იცნობდა ადამიანის ბუნებას. კაცს ერთხელ რომ ენდობოდა, ეს გრძნობა, მიუხედავად ყველაფრისა, ბოლომდე მიჰყვებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ინტრიგების ოსტატადაც არ თვლიან. რიჩარდს აკლდა ედვარდ IV-ის უნარი მეგობრების შექმნისა. წარჩინებულნი ეხამუებოდა და მხოლოდ თავისი სიყმანვილის მეგობრებსა და მისივე წყალობით აღზევებულ ნიჭიერ ხელქვეითებს ენდობოდა. ბრძოლის ველზე ის უშიშარი იყო, მაგრამ თავისი მტრების ფარული ინტრიგებისა და ხრიკების წინაშე სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდა. ისტორიული რიჩარდის ბედი მოწმობს იმას, თუ რა ცოტას ნიშნავს პირადი სიმამაცე მეფისათვის, რომელსაც აკლია პოლიტიკური მოქნილობა და გაქნილობა, რა მცირე ფასი აქვს ხმლის ცოდნას — ინტრიგების ცოდნასთან შედარებით.

რაც შეეხება უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე“ — მისი მაღალმხატვრული ღირსებანი და მომხიბვლელობა იმდენად ძლიერია, რომ მკითხველისა თუ მაყურებლისათვის არსებითი მნიშვნელობა, ალბათ, არცა აქვს იმ საკითხს, თუ როგორი იყო ისტორიული რიჩარდი.

მთავარი ისაა, რომ შექსპირმა თავისი ჯადოსნური კალმით შექმნა დაუნდობელი და მუხანათი ტირანის სახე — ერთგვარად კონცენტრირებული ნიმუში ყველა დროისა და ყველა ჯურის ტირანისა, რომელთა ბოროტი სული დაუცხრომლად ებრძვის და სპობს სიკეთეს, კაცთმოყვარეობას, ადამიანის ღირსებასა და პატიოსნებას, რათა ადამის მოდგმა პირუტყვთა ჯოგად გადააქციოს.

რუსთაველის სახელობის თეატრის შესანიშნავმა სპექტაკლმა ქართულ მაყურებელს ისევე გაუშინაურა რამაზ ჩხიკვაძის რიჩარდ მესამე, როგორც წინა ხანებში — უმანგი ჩხეიძის ჰამლეტი და აკაკი ხორავას ოტელო.

შექსპირის „რიჩარდ მესამე“ შესაძლოა იმიტომაც მოიხვეჭა ასეთი პოპულარობა ქართულ სცენაზე, რომ იგი თავისი შინაარსით, დაძაბული სიუჟეტითა და კოლიზიების სიმძაფრით ერთგვარად წააგავს ჩვენი წარსულის ყველაზე მღელვარე ეპიზოდებს. შექსპირის უკვდავი ნაწარმოები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ბანალურ ჭეშმარიტებას, რომ ფეოდალური თუღლი და შინაომები, ძალაუფლებისა და სამეფო ტახტისათვის სასტიკი ბრძოლა, დასახმარებლად გარეშე ძალთა მოხმობა, ლალატი და ორგულობა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ისტორიისთვის არ არის დამახასიათებელი, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ ხოლმე.